K 216 802
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი და მისი შესწავლის საკითხები

შესავალი 11
გამოცემანი და თარგმანები 15
თხზულების შემცველი ხელნაწერები 20
ვახტანგის წინა რედაქციის ნუსხები 21
ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები 29
ტექსტის დადგენის საკითხები 32
I ლექსიკა . . . . , , 33
მასლათა თუ მისეულითა? 33
ორი „ამირას“ სახელი თხზულებაში 36
გეჰენია 39
დაუჰამრავი 42
კარასეული . . . . , 45
იამხანაგეს 48
იმერეთი? 49
II თხზულების ენის მორფოლოგიურ თავისებურებათა შესახებ . . . 50
1. ბრუნვათა ზოგიერთი ფორმა და ტექსტის იკითხვისები . . . 52
2. წარმოქმნის თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები ტექსტში 57
3. ზმნური ფორმები ნუსხებსა და გამოცემებში 65
III. სინტაქსურ კონსტრუქციათა ზოგიერთი სახეობა და მათი მნიშვნელობა ტექსტის კრიტიკისათვის 76
1. განკერძოებული განსაზღვრებები 76
რა არის ნათქვამი გი
ქუე-დამზიდველი
ალსართანის დახს
მხედველი ყოველ
განმრავლებად ტა
2. ერთგვარწევრებიანი
განწილულითა ერ
წესად და კანონად
დიდგორის ბრძოლ
IV. ზოგი რამ თხზულებ
ბიბლიური პარალე
ზოგიერთი სასულ
V. თხზულების ტექსტ
VI. ვახტანგის ნარედა
ცხორებაჲ მეფეთ-მეფი
მცირე ლექსიკონი
საძიებლები თხზულებისა
გამოკვლევაში დამოწმე
«Жизнеописание царя
The Life of David, King

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის წყაროები

62

2000
შემოწმებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლები

IX

„მეცნიერება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი
და საძიებლები დაურთო
მზექალა შანიძემ

თბილისი
1992

417.3(C922)+ 9(C922)„10-11(001)+902(C922)+4999621-53

63. 3(2г)
ს 323

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომი „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატიული წყაროს მონოგრაფიული შესწავლის და გამოქვეყნების პირველ ცდას. ტექსტის დასადგენად გამოყენებულია რვა ნუსხა; ფილოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზის შედეგად მრავალი ადგილი, რომელიც ხელნაწერებში და „ქართლის ცხოვრების“ ადრეულ გამოცემებში ენობრივად და შესაბამისად შინაარსეულად გაუმართავი იყო, წინამდებარე გამოცემაში გასწორებულია. გამოკვლევაში შესწავლილია ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ნაჩვენებია რამდენიმე ათეული ლიტერატურული პარალელი ამა თუ იმ ადგილისათვის.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე† (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე †

სერიის რედაქტორი რევაზ კიკნაძე †
ტომის რედაქტორები: აკაკი შანიძე †
როინ მეტრეველი

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი ელ. ბაბუნაშვილი
ისტორიის მეცნ. დოქტორი ე. ხოშტარია

ც $\frac{0505010000}{M607\ (06)—92}$ რეზ.—90 გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992

ISBN 5—520—01438—8

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сумбат-Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе.

14. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. არსენი საფარელი. განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოჲსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

25. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.

27. გ. ოთხმეზური. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1982.

33. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984.

35. ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, I. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია, თბ., 1986.

37. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიაშვილმა. თბ., 1985.

39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзнишвили, Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, II, ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაყომია. თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншериани. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1988.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987.

48. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987.

49. XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988.

50. Источниковедческие разыскания, 1985. Тбилиси, 1988.

51. ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბ., 1988.

52. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, III, „მატიანე ქართლისა", სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა". შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაყომია, წარმოებაშია.

53. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII—XVIII სს.) თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ა. ველკოვმა და ნ. შენგელიამ. თბ., 1989.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1989.

55. ფრესკული წარწერები, I. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბ., 1989.

56. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, XIV—XV სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ქ. გრიგოლიამ, თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ. წარმოებაშია.

57. მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1990.

58. ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო მ. ბერძნიშვილმა. თბ., 1989.

59. Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е. С. Такаишвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартишвили. Тбилиси, 1989.

60. კორიდეთის საბუთები (X—XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1989.

61. სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. თბ., 1990.

ვუძღვნი
მშობლების — თამარისა და აკაკის ნათელ ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი და მისი შესწავლის საკითხები

შესავალი

„ქართლის ცხოვრების" შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს: მისი პირველი გამოცემის შემდეგ თითქმის საუკუნენახევარია გასული. ამ ხნის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ, ადრე უცნობი ნუსხების გამოვლინებამ, მათმა შეჯერებამ და შედგენილობის შესწავლამ, „ქართლის ცხოვრების" ცალკეული ნაწილების საკმაოდ ინტენსიურმა ანალიზმა ბევრი რამ ახალი წარმოაჩინა საქართველოს ისტორიის ძირითადი ნარატიული წყაროს შესახებ. დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ „ქართლის ცხოვრება" ერთგვაროვანი არ არის: მასში შეკრებილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა, ზოგჯერ ანონიმურ, ავტორთა დაწერილი თხზულებები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; კრებულში შეტანილ თხზულებებში გამოვლინებულია სხვადასხვა რედაქციული ფენები, ჩანს ცალკეულ ნაწარმოებთა თუ მათი ნაწილების ავტორთა განსხვავებული ისტორიული კონცეფციები, სხვადასხვა მიდგომა მოვლენებისადმი და მათი არაერთგვაროვანი შეფასება, სხვაობანი ენასა, სტილსა და წერის მანერაში.

ყოველივე ეს, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, განაპირობებს „ქართლის ცხოვრების" კიდევ უფრო ინტენსიური დაწვრილებითი კვლევის აუცილებლობას მრავალ ასპექტში; მათ შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანია ტექსტოლოგიური შესწავლა, რათა ისტორიკოსებს ხელთ ჰქონდეთ შეძლებისდაგვარად სანდო და „სუფთა" ტექსტი.

„ქართლის ცხოვრებამ" — ყოველ შემთხვევაში მისმა უძველესმა ციკლმა მაინც — კრებულის შედგენისას მასში შეტანილ თხზულებათა „პრეპარაციის" შემდეგაც მრავალი ცვლილება განიცადა: მრავალგზის გადაწერის პროცესში ტექსტში შეიპარა მრავალი უნებლიე დამახინჯება თუ გადამწერთა შეგნებული შესწორებანი. „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ისტორია ამ მხრივ ძალზე ჰგავს „ვეფხისტყაოსნისას": ქართული ეროვნული სულიერი საუნჯის ამ ორი უდიდე-

სი ორიგინალური ძეგლის ბედი უფრო სავალალო გამოდგა, ვიდრე სასულიერო დარგის მრავალი თხზულებისა; უკანასკნელთაგან ბევრმა მოაღწია ჩვენამდე შეურყვნელი სახით, უძველეს ნუსხებში; მათი მთარგმნელების, შემდგენლებისა თუ გადამწერების ვრცელი ანდერძები ხშირად დაწვრილებით გვამცნობენ ამა თუ იმ თხზულებისა თუ ნუსხის ისტორიას. „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილს კი, რუსთველის პოემის მსგავსად, ვიცნობთ მხოლოდ მასში შეტანილ ნაწარმოებთა შექმნის დროიდან რამდენიმე საუკუნით გვიან გადაწერილი ნუსხებით; ამიტომ ტექსტი ზოგჯერ ისე არის შერყვნილი და ავტორისეულ დედანს დაშორებული, რომ ხშირად გაუგებარი რჩება მკითხველისათვის როგორც ხელნაწერებში, ისე გამოცემებშიც. ა. შანიძე წერს: „მე- 15 — 17 საუკუნეებში გადაწერილი ძველი ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლები ყველა სავალალო მდგომარეობაშია, მათი ტექსტები ერთობ შერყვნილია“ და მათ შორის პირველად „ქართლის ცხოვრებას“ ასახელებს [26, გვ. 222].

„ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემამ, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით დაიბეჭდა [80], უდიდესი სამსახური გაუწია მეცნიერებსა და მკითხველებს: მან თავი მოუყარა მრავალ ახალ მონაცემს ტექსტის შესახებ. ამავე გამოცემამ თვალნათლივ დაგვანახა როგორც ჩვენს ხელთ მყოფი ტექსტის საერთო სურათი, ისე მისი შემდგომი ტექსტოლოგიური შესწავლის აუცილებლობა. ამ გამოცემაში, როგორც ცნობილია, გამოქვეყნებულია „ქართლის ცხოვრების“ მთლიანი ტექსტი; კვლევის თანამედროვე ეტაპზე კი განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა აუცილებლობა მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე შესწავლისა; მხოლოდ ამ გზით შეიძლება „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ამა თუ იმ თხზულების უფრო დაწვრილებით გაანალიზება, მისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლინება და ნაწარმოების ენობრივ-სტილისტური ანალიზის შედეგად ცალკეული შერყვნილი ადგილების მეტ-ნაკლები სიზუსტით აღდგენა. ასეთი გამოცემების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ [65], ივ. ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგ დაბეჭდილი, მისი მომზადებული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ [58]; აქვე უნდა მოვიხსენოთ ახლახან გამოსული „ასწლოვანი მატიანე“ ჟამთააღმწერელისა [71].

დავითის ისტორიკოსის თხზულება ჯერჯერობით ცალკე შესწავლილი და გამოქვეყნებული არ ყოფილა (სხვადასხვა კრებულებში ცალკე დაბეჭდილი ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ გამოცემათა თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებას წარმოადგენს [73, გვ. 489—512; 84, გვ. 115—152; 85, გვ. 239—276]. ამ ნაწარმოების „აღდგენილი

დედნის“ დაბეჭდვის აუცილებლობა (ისევე, როგორც სხვებისა) ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა ჯერ კიდევ 1916 წელს, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ პირველსავე გამოცემაში [46[1], გვ. 165]. მას განზრახული ჰქონია კიდევაც ამ სამუშაოს შესრულება, მაგრამ დიდ მეცნიერს არ დასცალდა მისი განზრახვის განხორციელება. 1936 წ. დაწერილ წერილშიც ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა უმნიშვნელოვანესი ქართული ორიგინალური ძეგლების ცალ-ცალკე გამოცემის აუცილებლობას. ამ წერილს, რომელიც ივ. ჯავახიშვილის არქივში არის დაცული და მხოლოდ 1976 წ. გამოქვეყნდა [45, გვ. 266], დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

„ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ განსაკუთრებით საჭიროებს საგანგებო ტექსტოლოგიურ შესწავლას. „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნაწილთან შედარებით იგი მეტად არის დამახინჯებული და შერყვნილი. ენისა და სტილის მხრივ ნაწარმოები საკმაოდ რთულია; ტექსტი შეიცავს მრავალ ლიტერატურულ პარალელსა და რემინისცენციას, რომელთა „გახსნის“ გარეშე ნაწარმოებში ბევრი რამ გაუგებარი რჩება. თხზულების ბევრი ადგილი, როგორც ჩანს, გვიანდელ გადამწერებს მართლაც არ ესმოდათ, რასაც მოწმობს ცალკეული სიტყვებისა და ტექსტის მონაკვეთებისნაირგვარი, ზოგჯერ სრულიად უაზრო ვარიანტები ხელნაწერებში. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ უმნიშვნელოვანესი საისტორიო და ლიტერატურული ძეგლის ენა და პოეტიკა მთლიანობაში დღემდე საგანგებოდ არავის შეუსწავლია, მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, ნიკო ბერძენიშვილისა და სხვათა შრომებში ამ ნაწარმოებიდან არაერთი ადგილი არის განხილული და შესწორებული. ისიც უნდა შევნიშნოს, რომ ენობრივი და ტექსტუალური ანალიზი ასეთ შემთხვევებში უმთავრესად საკუთრივ ისტორიული საკითხების გადასაწყვეტად არის გამოყენებული; „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, როგორც თავისი ჟანრობრივი, ენობრივი და ლიტერატურული სპეციფიკის მქონე ნაწარმოები, დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია, თუმცა ყველა მკვლევარი, ვინც კი მას შეჰხებია, ამ ნაწარმოების ავტორის განსწავლულობასა და თხზულების მაღალ მხატვრულ ღირსებას აღნიშნავს.

წინამდებარე გამოცემა დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტოლოგიური შესწავლისა და ნაწარმოების ავტორისეული ტექსტის შეძლებისდაგვარად დადგენის ცდას წარმოადგენს. გამომცემლის სურვილი იყო, მიეწოდებინა მკითხველისათვის „ძალისა და გულისხმის-ყოფისა ჩუენისაებრ“ გამართული ტექსტი და ამით მცირეოდენი წვლილი შეეტანა იმ ნაწარმოების შესწავლაში, რომლის კვლევისათვის პირველი ეკლიანი გზა წინა თაობათა წარმომადგენლებმა

გაგვიკაფეს და რომელსაც შემდგომშიც უთუოდ მრავალი მკვლევარი გამოუჩნდება. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ წინამდებარე ნაშრომში წინ არის წამოწეული სწორედ ის საკითხები, რომლებიც ტექსტის გამართვას შეეხება. ამის შესაბამისად არის შესწავლილი თხზულების ენისა და სტილის ზოგიერთი მხარე, გათვალისწინებულია კულტურულ-ისტორიული რეალიებიც, რომლებიც ტექსტის გაგებისათვის არის საჭირო. ნაწარმოების ენისა და პოეტიკის სრული, თანმიმდევრული და სისტემური ანალიზი კვლავ მომავლის საქმედ რჩება. აქ ისევ „ვეფხისტყაოსნის" მაგალითი შეიძლება დავიმოწმოთ და „დავითის ცხოვრების" შესახებ გავიმეოროთ ივ. გიგინეიშვილის ნათქვამი რუსთველის პოემაზე; მკვლევარი აღნიშნავს, რომ მას პირველ რიგში პოემის ენის საკითხები აინტერესებდა, მაგრამ იქვე განაგრძობს: „სანამ პოემის ტექსტის დადგენის საქმე მოგვარებული არაა, მანამ ენობრივი თვალსაზრისით პოემის სრულსა და ამომწურავ დახასიათებას მრავალი სიძნელე ეღობება წინ. მეორე მხრივ, იმასათვის, რომ პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა მოხერხდეს, სრულიად აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის" ენის ყველა ნიუანსის გათვალისწინება" [4, გვ. 6]. ასევეა გადაჯაჭვული ერთმანეთს დავითის ისტორიკოსის ენის შესწავლისა და ტექსტის დადგენის საკითხები; ოღონდ განსხვავება ის არის, რომ რუსთველის პოემა მრავალჯერ არის გამოცემული, არსებობს ათეულობით (და მეტიც) გამოკვლევა პოემის ტექსტისა და ენის შესახებ, „დავითის ცხოვრებას" კი, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრებას" საზოგადოდ, ამ თვალსაზრისით დღემდე ბევრად უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ტექსტის გამართვა და კრიტიკულად დადგენა აუცილებელია თხზულებაში მოთხრობილი რეალური ისტორიული მოვლენების სწორად გასაგებად და გასააზრებლად. მხოლოდ ტექსტოლოგთა და ისტორიკოსთა ერთობლივი კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი როგორც დავითის მემატიანის თხზულებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა (მათ შორის ნაწარმოების ავტორობისაც), ისე ამ ნაწარმოების ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ქართულ ისტორიოგრაფიაში და ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში.

წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხსენებებად იყო წაკითხული, გამოქვეყნებულია თითო-ოროლა მცირე წერილიც. ახალ მასალასთან ერთად ზოგი რამ აქედანაც არის დამოწმებული, რომ ავტორის თვალსაზრისი დავითის ისტორიკოსის თხზულების შესახებ მთლიანობაში ყოფილიყო მოცემული.

ბრძენ შოთას უბრძანებია „არ-დავიწყება მოყვრისა“. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „გვმართებს, რომე მადლი მივსცეთ“ იმათ, ვისი ხსოვნაც ჩემთვის მუდამ დაკავშირებული იქნება ამ წიგნთან. პირველი მათგანია პროფესორი ვარლამ დონდუა, რომელმაც დიდი ხნის წინათ შემოგვთავაზა „ქართლის ცხოვრების“ რუსულად თარგმნის იდეა და დავითის ისტორიკოსის თხზულება შემომაძლია სათარგმნელად — მაშინ ამ საქმიანობას მხოლოდ მოხალისეთა ენთუზიაზმი განსაზღვრავდა. რუსულ თარგმანზე მუშაობამ თვალნათლივ მიჩვენა ქართული ტექსტის საგანგებოდ შესწავლისა და ზოგი ადგილის გამართვის აუცილებლობა. ეს წიგნი, მრავალ მიზეზთა გამო, მხოლოდ ახლა ქვეყნდება, მაგრამ ჩემს ვალად ვრაცხ გავიხსენო ქართველი პატრიოტი და მკვლევარი, რომლის გზიანმა სიტყვამ ამ ორი ათეული წლის წინათ დამაკვალიანა და მიჩვენა სასიკეთო სათავე ჩემი ამ შრომისა.

უნდა გავიხსენო ლაშა ჯანაშია, ჩემი კოლეგა და მეგობარი, რომელიც მისთვის ჩვეული გულისხმიერებითა და ხალისით მეხმარებოდა ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების გარკვევაში, კაცი, რომელიც ყოველთვის მზად იყო თავისი მრავალი საშური საქმე გადაედო, რომ უკლებლივ ყველა დაჭირვებულისათვის გაეწვდინა მაშველი ხელი.

და კიდევ... აკაკი შანიძე, რომელიც იყო ჩემთვის ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი — როგორც მეცნიერი, და ყველაზე გულითადი მრჩეველი — როგორც მამა. Requiescant in pace: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი“ (მათე, 12, 35).

გამოცემანი და თარგმანები

იმ დიდებულ ნაწარმოებს, რომელშიც დავით აღმაშენებლის ბობოქარი ცხოვრება და დაუცხრომელი მოღვაწეობა არის აღწერილი, ცალკე, დამოუკიდებელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. დავითის თანამედროვისა და დაახლოებული პირის მიერ დაწერილი თხზულება, ქართულ საისტორიო კრებულში შესატანად შეკვეცილი და ნარედაქციევი [46, გვ. 210], დღეს ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ როგორც „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილი. ა. მურავიოვის სიტყვით, სრული ტექსტი დავითის ისტორიკოსის თხზულებისა გელათის მონასტერში ყოფილა დაცული და XIX ს. შუა წლებში დაკარგულა [49, გვ. 17]. ამავე ცნობას გვაწვდის მ. საბინინიც, ოღონდ მის წყაროს არ ასახელებს [73, გვ. 103; გვ. 512 შენ.]. დღეს ამ ცნობათა სისწორის შემოწმება შეუძლებელია: ჯერჯერობით მთლიანი ძეგლი არსად ჩანს. ამიტომ ამ ნაწარმოების გამოცემა და შესწავლა დღემდე უპირატესად „ქართლის ცხოვრების“ კვლევასთან არის დაკავშირებული.

პირველად „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი“ დაიბეჭდა 1849 წ. მარი ბროსეს დამუშავებულ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში [78, გვ. 236—263][1]. დღეს კარგად არის ცნობილი, რომ მარი ბროსემ ტექსტი დაბეჭდა ვახტანგისეული რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით (BRT). თხზულების სათაურიც გვიანდელი რედაქციისა არის; „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გიორგის ძისა, რომელი იყო სამოცდამეათვრამეტე შვილი შვილთაგანი დავით წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა დავით-აღმაშენებელი: ესე იყო მეფე ქართლისა და აფხაზეთისა ორმეოცდამეათექუსმეტე“. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში დღეს, ისევე, როგორც ადრეულ ნუსხებში, საკმაოდ არის შერყვნილი, მიუხედავად ამისა, სახელოვანმა ისტორიკოსმა ბევრი რამ სწორად გაიგო და გაიაზრა (ეს განსაკუთრებით ჩანს ტექსტის ფრანგულ თარგმანში). მან რამდენიმე ისეთი შესწორება თუ კონიექტურა მოგვაწოდა, რომელიც შემდგომ ყველა მკვლევარმა გაიზიარა.

1849 წელსვე დაბეჭდა მარი ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის პირველი ტომი. დავითის ისტორიკოსის თხზულების თარგმანს, რომელიც ამ ტომში შევიდა [94, გვ. 345—381] ისევე, როგორც „ქ. ც.“ დანარჩენი ნაწილისას, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მიუხედავად ქართული ტექსტის დამახინჯებული სახისა, მ. ბროსეს მრავალი ადგილის ძირითადი აზრი სწორად აქვს გაგებული და შესაბამისად ნათარგმნი (ზოგიერთი შემოკლებებით). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ შენიშვნებში მოცემულია კომენტარები და ცნობები ამა თუ იმ ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ, სათანადო წყაროების მითითებით. მაგალითად, მელიქ-შაჰის შესახებ ნათქვამია, რომ სომეხი ისტორიკოსის ვარდანისა და მათეოზ ურჰაელის შეფასება მელიქ-შაჰის პიროვნებისა დავითის ისტორიკოსისას ეთანხმება [94, გვ. 349, შენ. I]. თარგმანს ახლავს ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნებიც. მ. ბროსე მსჯელობს ძ ე გ ლ და დ ა ჰ მ ა ნ სიტყვათა შესახებ [94, გვ. 356, 365], განმარტავს გ ე ლ ა თ ი ს ეტიმოლოგიას [94, გვ. 357]. და სხვ. მართალია, მ. ბროსეს ტექსტის გაგებაშიც და შესაბამისად თარგმანშიც აქვს დაშვებული შეცდომებიც, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ქართული ენისა და ისტორიის შესწავლის საერთო მდგომარეობას XIX ს. პირველ ნახევარში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი თავიდან აცილება იმ დროს შეუძლებელი იყო. ერთი მაგალითი: ს ა ს დ უ ნ ი („მწჳრის გასადენი ხვრელი“ — საბა) მ. ბროსეს გეოგრაფიულ პუნქტად მიუჩნევია. ასეთი ცალკეული ფაქტები სრულიადაც არ ამცრობს მ. ბროსეს უზარ-

[1] ვარიანტებში და სხვაგანაც იგი ასე არის აღნიშნული: ქც[F].

მაზარ ღვაწლს; საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ მისი ინტუიცია ურთულესი ადგილების გაგებაში მართლაც გასაოცარია. ისიც დიდად არის დასაფასებელი, რომ უკანასკნელ ხანებამდე არაქართველი მკითხველი საქართველოს ისტორიას ძირითადად ამ თარგმანით ეცნობოდა.

მ. საბინინის მიერ გამოცემული ტექსტი დავითის ცხოვრებისა „საქართველოს სამოთხეში“ [73, გვ. 489—512] თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს მ. ბროსეს ტექსტს. სათაურის შემდეგ მოთავსებულია ნიკოლაოზ ტფილელის შესხმა, რომელიც საზოგადოდ არ არის „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში; განსხვავებულია დასაწყისი სიტყვები: „შემდგომ შემცირებისა საქართუელოჲსა მოვიდა სულტანი“... დანარჩენი ტექსტი, თითო-ოროლა, ალბათ ბეჭდვის დროს გამორჩენილი ფრაზის ნაწილისა თუ სიტყვის გარდა, იგივეა, რაც მ. ბროსეს გამოცემაში. თხზულებას ახლავს შენიშვნები, რომლებშიც განმარტებულია ზოგიერთი სიტყვა ან მოცემულია ავტორისეული კომენტარი. შენიშვნები სულ ოცდაათამდეა. მთავარი ნაკლი ამ გამოცემისა ის არის, რომ არსად მითითებული არ არის, თუ რა მასალა აქვს მას გამოყენებული საერთოდ მთლიანი წიგნის შესადგენად. მართალია, წინასიტყვაობაში მ. საბინინს ჩამოთვლილი აქვს მრავალი წყარო, რომლითაც მას უსარგებლია [73, გვ. ბ—გ], მაგრამ თვითონ კრებულში არსად მათზე კონკრეტული მითითება არ არის, ამიტომ მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტების რაობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დასადგენია. საყურადღებოა ისიც, რომ ამავე წიგნში დავითის ცხოვრებას მოსდევს დავითის პიროვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე სხვა დოკუმენტი თუ თხზულება: დავითის ანდერძი, „გალობანი სინანულისანი“, ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა და „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ [73, გვ. 512—530]. დავითის ისტორიკოსის თხზულება გამოიცა აგრეთვე მარიამისეულ და ანასეულ ნუსხებში (ნ. ქვემოთ), ხოლო უკანასკნელი კრიტიკული გამოცემა — ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით — ისევ „ქართლის ცხოვრების“ მთლიანი ტექსტის ნაწილს წარმოადგენს (I ტომის 319—363 გვ.).

მ. საბინინს „საქართველოს სამოთხის“ გამოცემაზე რამდენიმე წლით ადრე რუსულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს ქართველ წმინდანთა ცხოვრებები. ამ გამოცემის მესამე წიგნის ერთი ნაწილი [92, გვ.103—140] მიჩნეულია დავითის ისტორიკოსის თხზულების რუსულ თარგმანად. მაგალითად, ასეა იგი მითითებული ივანე ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ ახალ გამოცემაში [46, გვ. 452]. ნამდვილად კი რუსულ გამოცემაში აღწერილი დავითის ბიოგრაფია წარმოადგენს კომპილაციას, რომლის ძირითადი, მაგრამ არა ერთად-ერთი წყაროა „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“. მ. საბინინი ამ თხზულების ტექსტს ხშირად თავისი სიტყვებით გადმოს-

ცემს, ავრცობს მას, ან პირიქით, მნიშვნელოვან ფაქტებს აკლებს. თხრობის დასაწყისშივე შინაარსი განსხვავებულია: იგი იწყება „ქართლის ცხოვრების“ წინამავალი ნაწილის შემოკლებული გადმოცემით; თარგმანის ხასიათის საჩვენებლად დავასახელებთ ერთ მაგალითს: მ. ბროსეს გამოცემაში, რომელსაც მ. საბინინი იმოწმებს, როგორც თავის წყაროს [92, გვ. 103], ტექსტი ასეთია: „მას ჟამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მელიქ-შას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა და ამით ღონითა აიღო სულტნისაგან კახეთი“ [ქც[1], 239], იმავე ფაქტს მ. საბინინი ასე გადმოსცემს: Кахетинский царь Агсартан, видя, что право на царство кахетинское отнято у него и передано Мелеком Георгию, решился на последнее средство; отправился ко двору султана Мелек-Шаха, просить пощады и для более успешного действия принял магометанство. [92, გვ. 107]. მ. საბინინი რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებას საკუთარი თხრობის წყაროდ იყენებს, აჩვენებს აგრეთვე მის მიერ ხშირად ხმარებული ფრაზები: говорит летописец, по выражению летописца [92, გვ. 106, 108, 109 და სხვ.]. ყველაზე მეტად კი მ. საბინინის ტექსტს დავითის ისტორიკოსის თხზულებისაგან აშორებს ის ცნობები, რომლებიც ნაწარმოებში ნახსენები არ არის და რუსულში სხვა წყაროებიდან არის შეტანილი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მ. საბინინი ამ წიგნშიც წერს, რომ სრული ტექსტი „დავითის ცხოვრებისა“ დაკარგულია). ასეთია თხრობა ქვაბთახევის მონასტრის აშენებისა და მარტყოფის განახლების შესახებ [92, გვ. 117]; გელათის შესახებ ნათქვამია, რომ მეფეს აქ აუშენებია ქალთა მონასტერი იესუ ქრისტეს ფერისცვალების სახსენებლად [92, გვ. 118]; ახსნილია, თუ რატომ უწოდეს დავითს „აღმაშენებელი“ [92, გვ. 119]; დასახელებულია მისი ოთხი ძე; დემეტრე, ვახტანგ, გიორგი, კონსტანტინე (ისტორიკოსი ახსენებს მხოლოდ პირველ ორს), და სამი ასული: კატა, თამარ, რუსუდან [92, გვ. 138]; აღწერილია დავითის დამარხვა და შემდეგ მისი სამარხის გადატანა გელათის მთავარ ტაძარში [92, გვ. 138—139]; დიდგორის ბრძოლა, პირიქით, სულ ორიოდე სიტყვით არის ნახსენები [92, გვ. 126]. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტიც ყოველთვის სწორად არ არის გაგებული: გრიგოლ ბაკურიანისძის წოდება (ზ ო რ ა ვ ა რ ი) მას ნათარგმნი აქვს როგორც страшилище [92 გვ. 105], თუმცა უკვე მარი ბროსეს სწორად აქვს სიტყვა თარგმნილი და მისი წარმომავლობაც ახსნილი — զորավար [94, გვ. 346].

ჩვენს მიზანს არ შეადგენს მ. საბინინის ამ შრომის კვლევა და მისი წყაროების ძიება; ზემოთ მოყვანილი მასალა მხოლოდ იმისთვის

არის დამოწმებული, რომ ვაჩვენოთ: იგი საერთოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ დავითის ისტორიკოსის თხზულების თარგმანად. ზ. ჭიჭინაძის გამოცემას [79] ჩვენ საგანგებოდ არ განვიხილავთ: იგი მარი ბროსესას იმეორებს.

1957 წ. ამ ნაწარმოების გერმანული თარგმანი ცალკე გამოაქვეყნა მიხეილ წერეთელმა [95, გვ. 47—73]. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ თარგმანი ემყარება ანასეული და მარიამისეული ნუსხების გამოცემებს, აგრეთვე თვით მის მიერვე დადგენილ ტექსტს. როგორც თარგმანიდან ჩანს, მთარგმნელს ტექსტის ტრადიციულ გაგებაში დიდი ცვლილება არ შეუტანია, თუმცა ზოგი საეჭვო ადგილი მთარგმნელს სწორად გაუაზრებია და შესაბამისად უთარგმნია.

1985 წ. გამოვიდა „ქართლის ცხოვრების“ გერმანული თარგმანი, შესრულებული გერტრუდ პეჩის მიერ. წიგნში შეტანილია ამ კრებულის ნაწილები (სათაურის მიხედვით: 300—1200 წწ.) მათ შორის არის „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ [96, გვ. 395—444].

ჩვენ საშუალება გვქონდა ხელნაწერში გაგვეცნო თხზულების ინგლისური თარგმანი, რისთვისაც მთარგმნელს, ქ-ნ ვივიენს (ქეთრინ ეშთონს), მადლობას მოვახსენებთ. იგი ძირითადად მიჰყვება მარი ბროსეს ფრანგულ თარგმანს.

დაბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, რომლის კრიტიკული გამოცემა უძველესი ხელნაწერების მიხედვით შესრულებულია ილ. აბულაძის მიერ (უფრო ადრე, იგი ერთი გვიანდელი ნუსხის მიხედვით დაბეჭდილია 1884 წ; 1851 წ. მარი ბროსემ დაბეჭდა ამავე თხზულების ფრანგული თარგმანი ხელნაწერის მიხედვით) [82, გვ. 09, 011]. ძველი სომხური თარგმანი შესრულებულია XII ს. [82, გვ. 020]. იგი წყდება სწორედ დავით აღმაშენებლის ცხოვრებაზე და თხზულებას ბოლო აკლია (დაახლოებით ერთი ფურცელი). თარგმანი შემოკლებულია (საერთოდ) და შიგ მთარგმნელის ინტერპოლაციებიც არის; ერთ-ერთი მათგანი არის, როგორც ილ. აბულაძე შენიშნავს, ჩანართი, რომელიც ვარდაპეტ სარკავაგს ეხება [82, გვ. 020, გვ. 254]. საზოგადოდ, დავითის დამოკიდებულებაც სომხურ ეკლესიასთან დედნისაგან განსხვავებულად არის გადმოცემული. მიუხედავად ამისა, ძველი სომხური თარგმანი, როგორც ძველი დედნიდან შესრულებული, დიდად მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის ისტორიისათვისაც და ტექსტის დასადგენადაც. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტზე მუშაობისას სომხურმა თარგმანმა ბევრჯერ საგულისხმო მასალა მოგვაწოდა.

„ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემისათვის ს. ყაუხჩიშვილს გამოუყენებია თხუთმეტი ქართული ხელნაწერი. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ შესულია ყველაში, ერთის გარდა. ჩვენი გამოცემისათვის შერჩეულია რვა ხელნაწერი, მათ შორის ერთი ისეთი, რომელიც ს. ყაუხჩიშვილისათვის უცნობი იყო (ჩვენი გამოცემის Q). ესენია (დათქმული ნიშნები იგივეა, რაც საზოგადოდ არის დღეს მიღებული): ვახტანგის წინადროინდელი ტექსტის ხუთი ხელნაწერი: CAMQm; ვახტანგ მეექვსისა და მის „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნარედაქციევად ცნობილ ნუსხათაგან გამოყენებულია სამი: RDT. ასეთი შერჩევა იმითაა შეპირობებული, რომ უფრო გვიანდელი ხელნაწერები დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტუალური კრიტიკისათვის ახალსა და საგულისხმოს არაფერს იძლევა[1]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: ეს ნათქვამი ეხება მხოლოდ იმ ნაწარმოებს, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ: „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი სხვადასხვა თხზულებებისათვის ცალკეულ ნუსხათა მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, ყველა შემთხვევაში ერთნაირი არ არის. ამავე დროს ვახტანგის დამუშავებული ადრეული ნუსხები, რომლებშიც არ არის უფრო გვიანდელ ნუსხებში სხვა გადამწერთა მიერ შეტანილი ცვლილებები, ჩამატებები და დამახინჯებები, თვალსაჩინო მასალას წარმოგვიდგენს ვახტანგის რედაქტორულ მუშაობაზე დასაკვირვებლად და მისი ხელიდან გამოსული ტექსტის გვარობის დასადგენად.

უნდა ითქვას ისიც, რომ ტექსტის მდგომარეობის საერთო სურათი „ქართლის ცხოვრების“ ზოგ გვიანდელ ნუსხაში დღეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ზოგიერთი მათგანის შესახებ დაწვრილებითი ცნობები უკვე მოიპოვება ე. თაყაიშვილის აღწერილობაში; ესენია: **b** (ფალავანდიშვილისეული, S—25, 1761 წ.) და **d** (S—354, XVIII ს. შუა წლებისა, დადიანისეული. ე. თაყაიშვილი მას „მეგრული ბიბლიოთეკისას“ უწოდებს). ე. თაყაიშვილს ნაჩვენები აქვს ამ ნუსხათა სხვაობები მ. ბროსეს გამოცემასთან შედარებით: [b: 52, გვ. 202—270, „დავითის ცხოვრებისათვის გვ. 242—247; d: 52, გვ. 419—517; „დავ. ცხ“. 52, გვ. 492—495]. კიდევ ერთი მაგალითი: „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებული ერთ-ერთი (K) ხელნაწერის შესახებ (ქუთ. მუზ. № 441, XIX ს.) თვითონ ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი მომდინარეობს ბროსეს მიერ დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრე-

---

[1] ეგევე შეიძლება ითქვას ე. წ. ნინოსეული ნუსხის ასლებზე: S—5314, S—5316, Q—380 ხელნაწერებზე [5, გვ. 186]. აგრეთვე S—4975 ხელნაწერზე (ეს ნუსხები ს. ყაუხჩიშვილს არ გამოუყენებია).

ბის“ ტექსტიდან (ხოლო გადამწერს ზოგი რამ თავისებურად შეუცვლია) და, მაშასადამე, მას მანუსკრიპტული მნიშვნელობა არა აქვს“ [ქც², გვ. 052].

წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული ყველა ხელნაწერი (Q-ს გარდა) დიდი ხანია კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში; ამიტომ მათი მთლიანი აღწერა და დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიის ჩვენება აუცილებლად არ მიგვაჩნია. თითოეულ ნუსხაზე მსჯელობისას ვეხებით უმთავრესად იმას, რაც დაკავშირებულია დავითის ისტორიკოსის თხზულებასთან და საჭიროა იმის გასათვალისწინებლად, თუ რა სახით მოუღწევია ჩვენამდე ტექსტს. ამიტომ არის, რომ ცნობები ხელნაწერთა შესახებ ყოველთვის ერთ ყალიბში არ არის ჩასმული. თითოეულ შემთხვევაში წინ არის წამოწეული ის, რაც მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ნუსხაში ტექსტის მდგომარეობის დასახასიათებლად.

ამავე მიზეზით არ არის თანმიმდევრულად აღწერილი თხზულების შემცველ ნუსხათა ორთოგრაფია. საზოგადოდ, XVI—XVIII სს. ხელნაწერთათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული სიჭრელისა და ენობრივ ფორმათა სხვადასხვაობის მიხედვით ყოველთვის არც არის შესაძლებელი ავტორისეული ტექსტის თავდაპირველი სახით აღდგენა სხვა გარემოებათა გაუთვალისწინებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ფორმებთან, რომელთა ვარიანტულობა უკვე თხზულების დაწერის დროისათვის არის მოსალოდნელი. ამიტომ გამოცემაში გამოყენებულ ნუსხათა ზოგიერთი ორთოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი თუ ცვლილებები განხილულია იქ, სადაც ვეხებით ტექსტის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თხზულების ტექსტის საერთო მდგომარეობა ხელნაწერთა ჯგუფების მიხედვით და ამ ჯგუფების ურთიერთმიმართება წარმოდგენილია მომდევნო თავებში; აქ კი ნაჩვენებია ცალკეული ნიშნები (ზოგიერთი იკითხვისები და ტექსტუალური დამახინჯებები), რომლებიც სპეციფიკურია ამა თუ იმ ნუსხისათვის, ანდა, პირიქით, ცხადყოფს მის სიახლოვეს სხვებთან. ამგვარი მასალა აგრეთვე საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ ცვლილებათა გასათვალისწინებლად, რომლებიც ნაწარმოებმა განიცადა გადამწერთა ხელში, აგრეთვე სხვადასხვა ნუსხებში შეტანილი ტექსტის ვარიანტულ სხვაობათა საერთო თუ განსხვავებული წყაროების გამოსავლინებლად, და, შესაბამისად, ტექსტის კრიტიკულად დასადგენად.

ვახტანგის წინა რედაქციის ნუსხები

C (თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტისა, Q—207): ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეისწავლა იგი და დაადგინა მისი რაობა 1923 წ.

მანვე გაარკვია, რომ ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი, XVI—XVII სს-ში გადაწერილი თავ-ბოლო ნაკლული ნუსხა შეუვსია 1731 წ. ერაჯ ჭალაშვილს [41, გვ. 373]; გვიანდელი ხელით არის ნაწერი 2—42, 214—216, 272—616 ფურცლები. 214—216 ფურცლებით შევსებულია ძველი ტექსტის კ"ც რვეულის პირველი ორი ფურცელი. სწორედ აქ იწყება დავითის ისტორიკოსის თხზულება — 215-ე ფ. უკანა მხარეზე; წინამავალი თხზულებაა „მატიანე ქართლისაჲ". უკანასკნელ სიტყვებს — „და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი, ამინ" — უშუალოდ აგრძელებს ფრაზა: „აქა დიდი და ღ"თივ განბრძნობილი დავით დაიბადა, მსგავსი ალექსანდრესი და ვახტანგისებრივე სუიანი და გამარჯვებული", ხოლო მას იმავე სტრიქონზე უსათაუროდ მოსდევს თხზულების ტექსტი. ჭალაშვილის ხელით ნაწერია სულ ორი გვერდი; მისი ნაწერი მთავრდება 216r-ზე: „სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისა". ამ ფურცლის უკანა მხარე დაუწერელია, ხოლო 217-ე ფურცლიდან ტექსტი ნაწერია ძველი ხელით: „...ისნი, ბაგრატეულნი და სასუმურნი"... იგი მთავრდება 251 ფ. წინა მხარეს. ამრიგად, დავითის ისტორიკოსის თხზულების უდიდესი ნაწილი (35 1/2 ფ.) გადაწერილია XVI—XVII სს-ში.

ივ. ჯავახიშვილმა ადრევე შენიშნა, რომ ჭალაშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილის გადამწერს დავითის ცხოვრების ნაკლული დედანი უნდა ჰქონოდა ხელთ და ამის დასამტკიცებლად მაგალითიც დაასახელა: იგი მიუთითებს, რომ მსჯელობას დავითის სამხედრო პოლიტიკის შესახებ ამავე სტრიქონზე (ეს არის 247r-ს ბოლო სტრიქონი. **მ. შ.**) მიჰყვება თხრობა დავითის პიროვნების შესახებ. იქვე ნათქვამია, რომ დაკლებული ადგილი ანასეული და მარიამისეული ნუსხების სამ-სამი გვერდის ოდენობისაა. [41, გვ. 382]. ს. ყაუხჩიშვილს ამ ადგილას ასეთი შენიშვნა დაურთავს: „ამის შემდეგ 360, 13 გვერდამდე („რამეთუ სიტკბოებისა") აკლია C-ს, სადაც დანაკლისი ტექსტის მაგიერ სწერია: „და შემდგომი მისი ქალაქი, ციხენი და სოფელნი" [ქც², 358, შენ. 1]. ასეთივე ვითარება C-ში სხვაგანაც გვაქვს: დიდგორის ბრძოლის აღწერისას თხრობის დიდი ნაწილი და მისი შეფასება თხზულების ავტორის მიერ C-ში გამოტოვებულია; სიტყვებიდან „თუ ვითარ წინა-განაწყო" ტექსტი უშუალოდ გრძელდება ასე: „განკრთა და აიყარა მინდორით, სადა იდგა". მაშასადამე, თხრობა პირდაპირ გადადის სულტნის შამახიად შელტოლვაზე (232v, სტრ. 12). ქც²-ში აქაც არის შენიშვნა: „ამის შემდეგ ვიდრე გვ. 343,9 („ძალიდა") აკლია C-ს". ტექსტის გამოტოვებული მონაკვეთი MA ნუსხებში ისევ დაახლოებით სამი გვერდის ოდენობისაა. Q-ში მას ორივეგან დაახლოებით თითო ფურცელი უკავია.

ჭალაშვილისეულ ხელნაწერში აქა-იქ გვხვდება ნუსხური დედნის არასწორი ამოკითხვის შედეგად მიღებული მცდარი იკითხვისები: შესახუეწელ (219v=შესახუეველ) მოიცადეს (=მოიხადეს) განჩინება რისხვისა 219v; კიცხევით, რ გ ე ბ ი თ (=ძაგებით) 247r და სხვ. უნდა შეინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები აქაც და სხვაგანაც ჩვენთვის ცნობილ ამა თუ იმ ნუსხისათვის უშუალოდ ნუსხურ დედანს ყოველთვის არ გულისხმობს. C-ში ზოგიერთი დამახინჯებული იკითხვისი მხედრულ დედანზეც შეიძლება მიგვანიშნებდეს: მთავარ და (=მთავარდა) 248v; საველოთა (=საჭელოთა) 246r.

როგორც ყველა სხვა ხელნაწერში, C-ში სხვადასხვანაირი შეცდომები გვხვდება. დამახინჯებულია ცალკეული სიტყვები: ჭელნი დ ი დ თ ა (სწორია: დედათა) მოწყალეთანი 219v; იწყეს ნ ა ვ ი თ ა (ნიავთა) ცხორებისათა მობერვად 220v; დ ა ლ ე უ ლ ნ ი (და ძლეულნი) ვითარ მძლედ გამოაჩინნა 236r; განათავისუფლნა... მ ი ს კ ა რ გ ვ ი-თ ა (მოსაკარგვეთა) მაჭირვებულთაგან 242v. არასწორადაა ნახმარი მორფოლოგიური ფორმები: [სულტანი]... წარმოავლენდის... წარმოსცნის... და ე ძ ი ე ბ ე ნ (სწ. ეძიებნ) 235r; მორფოლოგიურ და სინტაქსურ ნორმათა დარღვევათა გამო ტექსტი გაუგებარია: სამშუინველისაგან ოდენ ს ა ც ნ ა უ რ ი ს ა გ ა ნ (სწ. საცნაური) ცოცხლად 249r; არა მხილებითა გ ო ნ ე ბ ი თ ა (სწ: გონებისაჲთა) 241r და სხვ.

ცალკე უნდა გამოვყოთ C-ს იკითხვისები, რომლებიც საზოგადოდ ვერ ჩაითვლება ავტორისეული ტექსტიდან მომდინარედ, რადგან ისინი არა მარტო უპირისპირდება სხვა ნუსხათა შესაბამის ადგილებს, არამედ თხზულების საერთო სტილის საწინააღმდეგოც არის; იგულისხმება იკითხვისები, სადაც ძველ ქართულ ლექსიკურ ერთეულებს ენაცვლება გვიანდელი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვები, ანდა ხდება რთულ სინტაქსურ კონსტრუქციათა შეცვლა უფრო მარტივით: ერთი მჯარი 232v (შდრ. ერთ კერძო, აგრეთვე: სხუით კერძო იქვე C-ში); გაქცეულისა 233r (შდრ. მლტოლვარისა); გაქცეული 233r (შდრ. მეოტი); აღმოირბინა 233v (შდრ. აღმოისრბოლა), ჩამოჴდის ცხენსა 237r (შდრ. გარდაჰჴდის ჰუნესა); დიდად უმძიმდა 238r (შდრ. ფრიად ეძჳნებოდა); არღარა მოეგონა იგი საქმე 238r (შდრ. სრულიად დაჰვიწყდა წინამდებარე საქმე); თუმცა მათთუის ეცნობა 238v (შდრ. უკუეთუმცა მათდა ცნობებად წარსრულ იყო); დიდითა ცემითა ჴრმალნი დაგრხეს (!), რომელ ქარქაშთა მათთა არღარა წავიდეს 239r (შდრ. ფრიადისა ცემისაგან ჴრმალმანცა დაღუღლარჭნილმან უარყო ქარქაში თჳსი).

ვრცელი თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ უყვარდა დავითს წიგნები, C-ში ერთგან შემოკლებულია ისე, რომ ტექსტი გაუმართავია:

შეკრიბნა... ვითარცა სჴუამან პატელემოს (ე. ი. პტოლემეოს) ამას ზედა იგინი იყვნეს მოუწყუენელ ლაშქრობათა და წიგნები ეკიდის ჯორთა და აქლემთა 236v — 237r.

საზოგადოდ, ტექსტის დამახინჯება და გავულგარება C-ში თხზულების ბოლოშია უფრო მეტი. ამიტომ საფიქრებელია, რომ ნუსხის დედანი აქ არა მარტო ნაკლული იყო, არამედ დაზიანებულიც და ძნელად ამოსაკითხავი.

A(ხელნაწერთა ინსტიტუტისა, Q—795): ივ. ჯავახიშვილის მიერ 1913 წ. აღმოჩენილი ხელნაწერი დღეს კარგად არის ცნობილი; როგორც აღვნიშნეთ, იგი მთლიანად გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ. [76,]. ხელნაწერის დათარიღების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ხელნაწერის ანდერძის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ იგი გადაწერილია ანა დედოფლის ბრძანებით 1479—1495 წლებში 1222—1223 წლის დედნიდან [44, გვ. 305]. ბოლო ხანებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელნაწერი წარმოადგენს პირს ანასეული ქართლის ცხოვრებისას, გადაღებულს, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVI—XVII სს. [40, გვ. 45]. ორივე დათარიღების მიხედვით ანასეული ნუსხა ძველ, ვახტანგის წინადროინდელ ჯგუფში შედის.

ხელნაწერს თანამედროვე გვერდობრივი ნუმერაცია აქვს. დავითის ისტორიკოსის თხზულებას უჭირავს 338—410 გვერდები. იგი უშუალოდ აგრძელებს წინამავალ ტექსტს, შუა სტრიქონზე, ყოველგვარი სათაურის გარეშე, ოღონდ ტექსტის პირველი ხუთი სიტყვა წითური მელნით არის ნაწერი (ისევე, როგორც ცალკეული ტექსტუალური მონაკვეთების დასაწყისები მთელ ხელნაწერში; თხზულებაში წითურით გამოყოფილია ასამდე მონაკვეთი). ხელნაწერის გამოცემაში ს. ყაუხჩიშვილი იმოწმებს ი. ჯავახიშვილს და მიუთითებს, რომ დავითის ცხოვრების დასაწყისში ფურცლები ერთგან არეულია [76, გვ. 201, შენ. 3]; ეგევეა ნათქვამი „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში [ქც^2, გვ. 319]. როგორც ჩანს, A-ს გადამწერს ჰქონია დედანი, რომელშიც ერთი რვეულის ფურცლები არეული ყოფილა; 1, 7, 3 — 6, 2, 8, ხოლო დედანი — დაახლოებით ანასეული ხელნაწერის ზომისა: უადგილოდ ჩართულ ტექსტს, ე. ი. დედნის ერთ ფურცელს, A-ში 37 სტრიქონი უჭირავს; მაშასადამე, A-ს დედანში გვერდზე (ისევე, როგორც თვით A-ში) 17—18 სტრიქონი უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ RDT, რომელიც ხშირად A-სათვის სპეციფიკურ იკითხვისებს გვიჩვენებს, ამ მონაკვეთის ფარგლებში ტექსტის თანმიმდევრობას სწორად იძლევა.

ს. ყაუხჩიშვილი საკმაოდ ვრცლად ახასიათებს მთლიან ხელნაწერს, ჩამოთვლის გადამწერის წერით შეცდომებს, ქარაგმათა უმარ-

თებულო გახსნას, ნუსხურის არასწორად ამოკითხვის შედეგად დაშვებულ შეცდომებს და სხვ. [76, გვ. LIII—LXIV]. ენობრივი შეცდომები (გრამატიკულ ფორმათა შერყვნა და დამახინჯება, ამა თუ იმ ბრუნვათა და ზმნურ ფორმათა უადგილოდ ხმარება) ხშირად ტექსტს სრულიად გაუგებარს ხდის.

დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი (სავარაუდოა — სხვაც) A-ში კიდევ უფრო მეტად არის შერყვნილი, ვიდრე ს. ყაუხჩიშვილის მიერ დამოწმებული მასალების მიხედვით ჩანს, რადგან A-ს ზოგიერთი მცდარი იკითხვისი მას სწორად მიუჩნევია და „ქართლის ცხოვრების“ ძირითად ტექსტში შეუტანია: სასანთლენი და კ ი დ ე ლ ნ ი (ქც^2, გვ. 330, შდრ. ს ა კ ი დ ე ლ ნ ი CMQmRDT); მ უ ნ დ ღ ე ნ დ ე ლ ა დ (დღეინდელად ქც^2) (A 344, ქც^2, გვ. 322; შდრ. ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი სწორი ფორმა C-ში: მოდღენდელად დღედმდე).

A-სათვის დამახასიათებელია ტექსტის გამარტივება, რთულ სინტაქსურ კონსტრუქციათა შეცვლა უფრო მარტივით; აქ ვუჩვენებთ ორიოდე მაგალითს: დაიმალა ღელეთა ავჭალისათა A 385, შდრ.: დაიმალა ჰავჭალისა ღელეთაგანსა ერთსა შინა MQm (C: ავჭალისა ღელეთა შინა); რომელნი მას სათნო-ეყოფვოდიან A 355, შდრ.: რომელნი... სათნო-ყოფილად მისდა აღუჩნდის (CMQmRT); ვითარცა ზემო ვთქუით A 352; სხვა ნუსხების მიხედვით სწორად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი იკითხვისი: ვითარცა ზემორე სიტყუამან განაცხადა.

A-ში ტექსტის თანმიმდევრობა დიდგორის ბრძოლის აღწერისას სხვაგვარია, ვიდრე MQm ნუსხებში. სხვაობა M-სთან აღნიშნული აქვს ს. ყაუხჩიშვილს [76, გვ. 217, შნ. 9]. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ A-ში (რომელსაც აქ მიჰყვება RDT) ტექსტი არეულია, სწორი მიმდევრობა თხრობისა გვაქვს MQm-ში (ამის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით არის მსჯელობა).

M (ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწ. S—30): 1884 წ. აღმოჩენილი ეს ხელნაწერი 1906 წ. მთლიანად გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა [77]. იგი დათარიღებულია მასში მოხსენებული მარიამ დედოფლის ზეობის მიხედვით 1638—1646 [52, გვ. 34] ან 1633—1646 [5, გვ. 115] წლებით. გამოცემაში კარგად ჩანს ხელნაწერის ხასიათი და მასში შეტანილ თხზულებათა ტექსტის მდგომარეობა, რადგან ე. თაყაიშვილმა ხელნაწერში უცვლელი სახით გაიმეორა მისი ორთოგრაფია, შერყვნილი სიტყვები და ტექსტის მონაკვეთები, პუნქტუაცია და სხვ. შესწორებები მ. ბროსეს გამოცემისა თუ ცალკეულ ხელ-

ნაწერთა შესაბამისად, აგრეთვე თავისი კონიექტურები ე. თაყაიშვილმა შენიშვნებში შეიტანა. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი ხელნაწერში დასათაურებულია ასე: „ცხორება: მეფეთ: მეფისა“; იგი მოთავსებულია გამოცემის 281—335 გვერდებზე. ამ გამოცემის შესახებ ივ. ჯავახიშვილი 1936 წ. წერდა: „მარტო ერთი ხელნაწერის გადმოწერა და დაბეჭდვა თუნდაც იმიტომ არ არის მიზანშეწონილი, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებული დროთა განმავლობაში სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული და ჩანართი ცნობებით შევსებული აღმოჩნდა და ხელნაწერების ტექსტიც ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამისდა მიუხედავად, სწორედ ამ ხანაში ტექსტების გამოცემის ძირითად მიზნად და პრინციპად ერთი ხელნაწერის ტექსტის ვითომცდა „ფოტოგრაფიული სისწორით“ დაბეჭდვის წესი შემოიღეს. ეს პრინციპი ისეთ უკიდურესობამდე იყო მიყვანილი, რომ მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ მრავალზე უმრავლესი სრულიად უცილობლად დამახინჯებული ადგილებიც კი გამოცემაში უცვლელად იყო დატოვებული. ამის გამო, დაბეჭდილი ტექსტი არამცთუ ჩვეულებრივი, არამედ ხშირად მცოდნე მკითხველისათვისაც კი გაუგებარია. ასეთ შემთხვევებში გამომცემლის მოვალეობა მექანიკურ მუშაობას არ სცილდება და, როგორც გამომცემლისა, ისევე, და უფრო მეტად, წამკითხველის შრომა მომქანცველი, უმადური და მომაბეზრებელი ხდება. ასეთი გამოცემა მარტო მცირერიცხოვან მკვლევართათვის არის გამოსადეგი, მაგრამ მათთვისაც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ხელნაწერის მაგივრად გამოყენება შეიძლება“ [45, გვ. 263—264]. ისტორიკოსის ტექსტში (რომელსაც M-ში ძველი სათვალავით 512—567 გვერდები, ხოლო ახლით — 260v—288r ფურცლები უჭირავს) „მრავალზე უმრავლესი სრულიად უცილობლად დამახინჯებული ადგილები“ საყურადღებოა იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში გვხვდება არა მარტო ამ ნუსხაში, არამედ სხვაგანაც; ისინი საერთოა MQm ან Mm ჯგუფებისათვის, რასაც მნიშვნელობა აქვს ამ ნუსხათა წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების გასარკვევად. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ჩუენ თანა პურითა არბევდიან M 269 v (შდრ. ჩუენთა ნაპირთა CA); და ჟამიჟამს M 278 r, m. ჟ̃ იჯს Q, (შდრ. რაჟამს CARDT). სამეფოსა (-ოს Q) მის თავი (თავის) საუფლო ყო M 262 v Qm, (შდრ. სამეფო მისი თავისუფალ ყო CRDT, ს. მ. განათავისუფლა A). ზამთრითა ს ი ტ ფ ი თ ა M (261 v Qm) (შდრ.: სიფიცხ(ლ)ითა CA). რამდენსამე შემთხვევაში MQm-ში განმეორებულია სიტყვები წინამავალი ტექსტიდან, მაგალითად: რამეთუ როდესვე (ოდესვე ARDT, სწორია: ოდესმე) ყვიანლა ვალავი (სწორია: ყვიან ლავლავი CARDT) და თჳნიერ მიზეზისაცა+ყვიანლა ვალავი და თჳნიერ მიზეზისა M 279 r Qm.

Q (ხელნაწერთა ინსტიტუტისა, Q—1219): ხელნაწერს მიაკვლია აკაკი კლიმიაშვილმა 1959 წ; მანვე გამოაქვეყნა მისი აღწერილობა და მეტად საყურადღებო ანდერძი [10, გვ. 371], საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაუწერინებია „ქ̃კს ტ̃პე", ე. ი. 1697 წელს, უჯარმის სამების ეკლესიის მღვდელს ნიკოლოზს, მწიგნობართუხუცესის იოანეს ძეს, და მიურთმევია ამბა ალავერდელის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ძმის, სახლთუხუცესის დურმიშხანისათვის. ხელნაწერის გადამწერია, ამავე ანდერძის მიხედვით, იოსებ მგალობისძე. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მითითებულია დედანი, საიდანაც არის გადაწერილი ხელნაწერი: „არა ეპოებოდა სანახებსა კახეთისასა, არამედ მცხეთას ოდენ ისხნეს ეკლესიასა შინა თავთა მოციქულთასა სუეტსა ღ̃თივ აღმართებულსა, ახალსა იერუსალიმსა. სრულ იქმნა საწადელი ჩემი: მოვიხვენ და გარდავაწერინე... რომელსა მომენიჭა უღირსად ეპისკოპოზობა და ჴელთ-მედვა ზრუნვა უჯარმის კარს... ეკლესიისა წმიდისა სამებისა ნიკოლოზს, ძესა მწიგნობართ-უხუცესისა იოანესა". ა. კლიმიაშვილის ვარაუდით, Q ხელნაწერის დედანი ის ნუსხაა, რომელიც ნახსენებია 1546 წ. მცხეთურ გუჯარში [50, გვ. XIX]. კ. გრიგოლია მიუთითებს, რომ 1546 წ. გუჯარში ნახსენები „ქართლის ცხოვრება" უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გადაწერილი [5, გვ. 121]. (ამჟამად — ხელნ. ინსტ. Ad 501).

Q ხელნაწერი დავითის ისტორიკოსის ტექსტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისად უნდა ჩაითვალოს ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებისათვის" საზოგადოდ [7, გვ. 47]. გადაწერის თარიღისა და ტექსტის გვარობის მიხედვით იგი ვახტანგის რედაქციის წინარე დროის ნუსხათა ჯგუფში შედის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ჯგუფში Q ერთად-ერთია, რომელიც მთლიანად (გარდა ანდერძებისა) ნუსხურით არის ნაწერი. საფიქრებელია, რომ მისი დედანიც ასეთივე იყო. შესაძლოა, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ Q-ში ძველი ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმები უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე მხედრულად ნაწერ ნუსხებში, (მიუხედავად იმისა, რომ Q-ში შერყვნილი ადგილებიც მრავლად მოიპოვება). ეს საშუალებას იძლევა ზოგიერთი საყურადღებო დაკვირვება ჩავატაროთ თხზულების ენაზე, განსაკუთრებით მორფოლოგიურ ფორმებზე.

დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი Q-ში ძალზე ახლოს არის Mm ხელნაწერებში დაცულ ტექსტთან. ამავეს ასკვნის „ასწლოვანი მატიანის" მასალების მიხედვით რ. კიკნაძე; [71, გვ. 30]. ეს საშუალებას გვაძლევს MQm ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფის დედნის ჩამოყალიბების დროდ საკმაოდ ადრეული ეპოქა წარმოვიდგინოთ —XVI ს-ზე უფრო ადრე.

დავითის ისტორიკოსის თხზულებას ხელნაწერში უჭირავს 92r—110v. სათაური — „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისაჲ“ (ისეთივე, როგორც M-ში) ნაწერია წითელი მელნით, სტრიქონის შუაში. იგი პირდაპირ, ინტერვალის გარეშე მოსდევს წინამავალ თხზულებას და მისგან გამოყოფილია მხოლოდ სამწერტილით. ტექსტი (რა თქმა უნდა, იმ სახისა, როგორისაც იგი საზოგადოდ არის „ქართლის ცხოვრებაში“) სრულია. ნაწერია, როგორც აღვნიშნეთ, ნუსხურად, სიტყვები დაქარაგმებულია; სასვენ ნიშნებად გამოყენებულია ერთი, ორი და სამი წერტილი. ზოგიერთ ადგილას, სადაც გადამწერს ტექსტი ვერ გაუგია, ან დამახინჯებულად მიუჩნევია, მას სიტყვების თავზე საგანგებო ნიშანი დაუსვამს. მაგ. მოისრა 92v (მოისარი); ჩუჱლნი 93r (ჩჩვლნი); გიბი 98v (გიში); რ῀ი ხრბითა 99v (რომლისა ხარებითა); მოჰამებთა 100r (მოჟამეთა); ვაღავი 104r; მეტყუჱ 105v (ნუ მეტყჳ) და სხვა. Q-ს Mm-თან საერთო მცდარი იკითხვისები აქვს, მსგავსი შემთხვევები ზემოთ იყო ნაჩვენები.

უნდა აღინიშნოს, რომ Q-ში ზოგიერთ შემთხვევაში გვაქვს სწორი იკითხვისები Mm-საგან განსხვავებით: კარის ციხე-ქალაქი (ც. ქართლი Mm) 92r; ესე აღძრვანი (აზნაურნი Mm) წარმართთანი 94r; არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმაჲ (გასმია Mm) 97v; აღიარეს ცხადად ძლე῀ულბჲ (ძლიერა Mm) თჳსი 107v; ცხენკეთილნი და პირ-შეუქცეველნი (პირ-შექცეულნი Mm) 99v. კახეთის მეფის კვირიკეს სახელი Mm-ში დამახინჯებულია ასე: კაე (ქარაგმა უნდა იყოს არასწორად გახსნილი), ხოლო Q-ში ეს სახელი, რომელიც ტექსტში ოთხჯერ გვხვდება, ყოველთვის დაქარაგმებულად არის დაწერილი: კ῀ე 95rv. არსენი იყალთოელის სახელი, რომელიც Mm-ში დამახინჯებულად არის მოცემული (აყვლიოელისა), Q-ში უფრო სწორია: იყლ῀თოელსა 107v.

დავითის ისტორიკოსის თხზულებას Q-ში რამდენიმე გვიანდელი მხედრული მინაწერი აქვს. 94v-ზე, სადაც აღწერილია დავითის გამეფება, მიწერილია: „დავით აღმაშენებელი გაჴელმწიფდა“. იმავე ფურცელზე კიდევ ორჯერ არის ნახსენები დავით აღმაშენებელი. ეს ეპითეტი, როგორც ცნობილია, თვითონ ნაწარმოებში არსად არ გვხვდება; აღშენება ტექსტში ყოველთვის კონკრეტული რაიმის (ტაძრის, ქსენონის) აშენებას გულისხმობს. იქ, სადაც ქართველთა ორგულებაზეა მსჯელობა (108v), არის მინაწერი: „ქართველნო, ასე ამბობს ცხოვრება თქვენი“.

m (ხელნაწერთა ინსტიტუტისა, H—2135): გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილია 1736 წელს, მაგრამ მისი ნაწილი, როგორც ცნობილია, ვახტანგის რედაქციის უწინარესი სახისაა [76, გვ. XXXVIII, 5, გვ.

118]. დავითის ისტორიკოსის თხზულებას უჭირავს ხელნაწერის 328—373 გვ. თხზულების ტექსტი სრულია, ოღონდ იქ, სადაც ტექსტი იწყება, სიტყვებს: „ამისსა შემდგომად მოვიდა მალიქშა“, წინ მიუძღვის სათაური წითელი მელნით: „ცხორება მეფეთ-მეფისა გიორგისა“; 334-ე გვერდზე კი, სადაც დავითის გამეფება არის მოთხრობილი, თხზულების რამდენიმე სტრიქონი გამოყვანილია წითელი მელნით: „იწყო აღმოცისკრებად... დავით. მას ჟამსა იყო ჰასაკითა ი҃ვ წლისა, ხოლო ქორანიკონი იყო ტ҃თ“. გვერდზე აშიაზე წითლით სწერია: „დავით აღმაშენებელი“. ამის შემდეგ თხზულების ბოლომდე ზედა აშიებზე გამოყვანილია „დავით“ (ყოველი ფურცლის უკანა მხარეზე) „აღმაშენებელი“ (წინა მხარეზე). ამ გარემოებას შეცდომაში შეუყვანია კ. გრიგოლია, რომელიც მიიჩნევს, რომ თხზულება 334-ე გვერდზე იწყება [5, გვ. 117].

დავითის ისტორიკოსის თხზულება m-ში „მეფის არჩილის ნაქონნები“ ძველი რედაქციის ნუსხიდან არის გადაწერილი. თხზულების ტექსტი მეტად ახლოა MQ-სთან და, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამ ნუსხებისათვის (განსაკუთრებით M-სათვის) დამახასიათებელ შეცდომებსაც იმეორებს. ტექსტში, არის თვით გადამწერის მიერ დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომებიც, გვიანდელი ენობრივი ფორმები და სხვ.

ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს გამოცემაში ვახტანგისეული რედაქციის ხელნაწერთაგან გამოყენებულია სამი: რუმიანცევისეული (R), ჯანაშვილისეული (D) და თეიმურაზისეული (T). როგორც ცნობილია, R, გადაწერილი 1703 წლამდე, ვახტანგის მიერ უშუალოდ გამოყენებული ნუსხა არის და მას ვახტანგის ხელით შესრულებული მინაწერებიც აქვს [5, გვ. 135—136, 51, გვ. 13]. ადრეულია ჯანაშვილისეული ხელნაწერიც [5, გვ. 144]. რაც შეეხება თეიმურაზისეულს, მისი დათარიღებისა და მასში ტექსტის მდგომარეობის შესახებ რამდენიმე განსხვავებული აზრი არსებობს [5, გვ. 155 და შემდ.], მაგრამ არცერთი დათარიღება XVIII ს. პირველ მეოთხედს არ სცილდება; ტექსტიც ისტორიკოსის თხზულებისა ამ ნუსხაში ძალზე ახლოა RD-სთან.

R (ხელნაწერთა ინსტიტუტისა H—2080): ხელნაწერში დავითის ისტორიკოსის თხზულებას უჭირავს 218r — 248v. სათაური ვრცელია: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გიორგის ძისა, რომელი იყო სამეოცდამეათვრამეტე შვილიშვილთაგანი დავით წინასწარმეტყუელი-

სა, რომელსა ეწოდა დავით აღმაშენებელი. ესე იყო მეფე ქართლისა და აფხაზეთისა მეორმეოცდა ექუსე“ (უკანასკნელი ოთხი სიტყვა თითქოს სხვა მელნით არის ნაწერი, მაგრამ ხელი იგივეა). მიუხედავად ასეთი სათაურისა, ცხრა გვერდზე (218r—222r) ფურცლებს ზემო აშიაზე „ქუდად“ გასდევს დასათაურება: „გიორგი ბაგრატოანი“. მხოლოდ 222v-ზე, სადაც დავითის გამეფებაა მოთხრობილი, აშიაზე ზევით იწყება აღნიშვნა: „დავით (ფურცლების წინა მხარეზე) აღმაშენებელი“ (უკანა მხარეზე), რაც მაჩაბლისეული ნუსხის ვითარებას წააგავს. იმ ფურცლებზე, რომლებიც „დავითის ცხოვრებას“ უჭირავს, მხოლოდ ორი მინაწერია: „კვრიკე მეფე კახეთისა“ 223v; 229r-ზე კიდეზე არის მინაწერი: „ამისა ჟამთა შევიდენ მთარგმანებელნი წიგნთაგანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭის ძე ქრისტეს აქათ ქ῀ქს ჩრ῀ოდ“. 232v-ზე, სადაც არის ტექსტის სიტყვები: „ლიჟათათ ქურდევანამდე“, აშიაზე გასწვრივ სწერია: „არბიალაით ჟაჟთ ვიდრე ქურდევანამდი და [ხ]იშტალანთამდე“.

ტექსტი ნაწერია სუფთად, ჩასწორებების გარეშე.

D (ხელნაწერთა ინსტიტუტისა, S—4730): ისევე, როგორც R, უთარიღო ხელნაწერია; ხელისა და სხვა ნიშნების მიხედვით XVIII საუკუნისად ითვლება. დავითის ისტორიკოსის თხზულებას უჭირავს ხელნაწერის 108r—139r. ამ ნუსხაში ტექსტს საკმაოდ ბევრი აკლია, რადგან ზოგი ფურცელი დაკარგულია. ტექსტი იწყება ლ῀ბ რვეულის პირველ ფურცელზე; მომდევნო რვეული (ლ῀გ) თავ-ბოლო ნაკლულია, სულ აკლია ხუთი ფურცელი (ერთ ადგილას ფურცელთა თანამედროვე ნუმერაციაა მცდარი. 136-ს მოსდევს 138. აქ ტექსტს არ აკლია).

სათაური აქაც ვრცელია, როგორც R-ში, ოღონდ შინაარსეულად მთლად R-სას არ ემთხვევა: ჯერ ერთი, ხაზგასმულია, რომ მეფის დავითის ზედწოდება გვიანდელია: „უწოდეს შემდგომად დავით აღმაშენებელი“. ამავე სათაურის მიხედვით, დავითი ყოფილა ქართლისა და აფხაზეთის ორმოცდამეთხუთმეტე მეფე. სათაურის პირველი სტრიქონის გასწვრივ აშიაზე გადამწერის ხელით სწერია: „ბ῀ დავით“. ამავე გვერდზე სხვა ხელით აშიაზე: „დავით აღმაშენებელი მეფეთ იქმნა ქ῀ტს აქათ წელსა ჩ῀პთ“. იმავე გვერდზე ტექსტში ნახსენები კარნუ ქალაქის გასწვრივ აშიაზე: „კარნუ არზრუმია“ 108r. 111r-ზე მინაწერია ტექსტის ხელით, მისი ნაწილი აწ ქამად ჩამოჭრილია: „ვაი რა... ავ ცნობ... თავის თ[ავის]... ნდობა... რჯული“. ეს მინაწერი გიორგი მეფის ვეჟინში სანადიროდ წასვლის თხრობის გასწვრივ არის.

ისევე, როგორც R-ში, ფურცლის ზედა აშიებს დავითის გამეფების აღწერამდე გასდევს ზედა-წარწერილები: „გიორგი ბაგრატოანი“

(108v—112r), ხოლო შემდეგ მიჰყვება ზედა-წარწერილი: „დავით (ფურცელთა უკანა მხარეს) აღმაშენებელი“ (წინა მხარეს).

მინაწერი „მთარგმანებულთა“ შესახებ, რომელიც R-ში აშიაზე გვხვდება, D-ში უკვე ტექსტშია შეტანილი ოდნავ შეცვლილი სახით: „ხ῀ ამისა ჟამთა შინა იყუნეს მთარგმანებელნი წიგნთანი ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოანე ტაიჭის ძე ქრისტეს აქათ ჩრ῀ოდ“ 118r.

ვახტანგისეული რედაქციის სხვა ნუსხათაგან განსხვავებით D-ში აქა-იქ ჩამატებულია თითო-ოროლა სიტყვა, რომელთა რაიმე განსხვავებული რედაქციისაგან მომდინარედ ჩათვლა ძნელია. ეს სიტყვები თვით გადამწერის მიერ უნდა იყოს ნახმარი თხრობის დასაკონკრეტებლად ჩართული: ასეთების მაგალითია მეფის სახელის არაერთგზისი ჩამატება ტექსტში: მოსცეს მეფესა დ ა ვ ი თ ს 115v; აღიხუნა მეფემან დ ა ვ ი თ იქვე, და სხვ. ასევე, კვირიკეს სახელს უმატებს სიტყვებს: „მეფე კახეთისა“ 114v, თუმცა კონტექსტი ცხადია და ეს სიტყვები არ არის საჭირო. ასეთივე ჩანართებია: ესმაცა მათგან ს ი ტ ყ უ ა ე ს ე ვითარმედ 109r. შარვანში ლაშქრობის შემდეგ ჩამოტანილი ალაფის დასახელებისას კვლავ დამატებულია სიტყვა: წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ შ ა რ ვ ა ნ ე ლ თ ა თ ა 118v.

T (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდისა, M 24, ძველი შიფრები: G1, M13): ერთად-ერთია ვახტანგის რედაქციის ხელნაწერთა შორის, რომელიც ნუსხური ხელით არის დაწერილი. ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ ნუსხა საეკლესიო წრეებში ჩანს გადაწერილი [5, გვ. 167]. ხელნაწერის გადაწერის დროისა და მისი ვახტანგისეული რედაქციის სხვა ხელნაწერებთან მიმართების შესახებ აზრთა ერთიანობა არ არის [5, გვ. 157 და შემდ.]; ჩვენთვის არსებითია ის, რომ ისტორიკოსის თხზულება ამ ხელნაწერში ვახტანგისეული რედაქციისა არის. მას ხელნაწერში უჭირავს 161v—187v. სათაური ვრცელია და (ორთოგრაფიულ სხვაობათა გამოკლებით) ემთხვევა R-სას.

T-ში ცნობა „მთარგმანებელთა“ შესახებ არ არის არც აშიაზე, როგორც R-ში, არც ტექსტში, როგორც D-ში (შდრ. T 170r—v). არ არის არც D-ს ჩანართი ანისის საყდრის განახლებისა და კატრონიტეს საფლავის შესახებ (შდრ. T 176v): T-ში არის ერთი ჩანართი, რომელიც არცერთ სხვა ნუსხაში არ არის: იქ, სადაც იწყება თხრობა საეკლესიო რეფორმის შესახებ, ი ქ მ ნ ე ბ ო დ ა სიტყვას მოსდევს ჩამატების ნიშანი, ხოლო ზემოთ, სტრიქონებს შუა, წვრილად ჩაწერილია: „რ῀ გარდაიც῀ვლა კ῀ზ გბ῀რლ საფარელი და დაჯდა კ῀ზდ ი῀ე“ 166v. ეს არის ერთ-ერთი საეკლესიო ხასიათის დამატებით ცნობა-

თაგან, რომლებიც საზოგადოდ არის შეტანილი T-ში [5, გვ. 164]. ამას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მ. ბროსემაც, რომელმაც მიუთითა, რომ ჩანართი ავსებს კათალიკოსთა სიას [94, გვ. 354, შენ. 3]. ამ ერთი ჩანართის გარდა, თხზულების ტექსტი ნაწერია სუფთად, შესწორებებისა და ჩამატებების გარეშე.

ტექსტის დადგენის საკითხები

ხელნაწერთა მიმოხილვიდან ჩანს, რომ უძველეს და ყველაზე მნიშვნელოვან ნუსხებშიც კი ტექსტი დავითის ისტორიკოსის თხზულებისა საკმაოდ შერყვნილია. დამახინჯებულია როგორც ცალკეული სიტყვები, ისე ტექსტის მონაკვეთებიც, ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი; ნუსხებში ტექსტის მოცულობაც არ არის ერთგვარი (არ ვგულისხმობთ კლებას ხელნაწერის დაზიანების გამო). ხშირად რომელიმე სიტყვა ან წინადადება, რომელიც არის რომელსამე ნუსხაში ან ნუსხათა ჯგუფში, მეორეში ამოღებულია და სხვ.

თხზულების ავტორისეული ტექსტის შეცვლისა და შერყვნის მიზეზთა შორის შეიძლება დავასახელოთ:

ნუსხურად ნაწერი ტექსტის მცდარი ამოკითხვა, ქარაგმების არასწორი გახსნა;

მცდარი, გვიანდელი ან ქართულ ენაში საზოგადოდ არარსებული ფორმების შემოტანა ტექსტში;

გადამწერთათვის გაუგებარი სიტყვების შეცვლა მსგავსი გრაფიკისა ან ბგერადობის მქონე ლექსიკური ერთეულებით, რაც პირველადი ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ზოგჯერ სრულიად უცვლის შინაარსს;

რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამარტივება, სიტყვების გამოკლება, ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური გამეორებებისა და სინონიმური პარალელიზმის „გახლეჩა“;

ტექსტის დამახინჯება და შეკვეცა ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული (ძირითადად ბიბლიური) პარალელების არასწორად გაგების გამო და სხვ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თხზულების ამა თუ იმ ადგილის გაგებისა და შესწორებისათვის ზოგჯერ ერთდროულად არის გასათვალისწინებელი რამდენიმე ასეთი შესაძლებლობა ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

ნაწარმოების გამოსაცემად მომზადების დროს ჩატარებული დაკვირვება ტექსტზე, მის ენასა და მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებზე საშუალებას გვაძლევს მკითხველს შევთავაზოთ ზოგი-

ერთი მოსაზრება ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთისა თუ ცალკეული სიტყვის შესახებ.

ლექსიკა

მასლათა თუ მისეულითა?

ისტორიკოსის თხზულებაში ერთ-ერთი ადგილი, უკანასკნელი გამოცემის მიხედვით, ასე იკითხება: „მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯვითა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათასხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას შინაშე“ [ქც^{2}, გვ. 332]. ეგევე ადგილი მ. ბროსეს გამოცემაში ზოგიერთ ვარიანტულ სხვაობას გვიჩვენებს, მაგრამ „წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა“ იქაც ისევე არის დაბეჭდილი [ქც^{1}, გვ. 245].

მ ა ს ლ ა თ ა სიტყვის მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის. იგი სულ სხვადასხვაგვარად არის განმარტებული; მ. ბროსეს იგი ადგილის სახელწოდებად მიუჩნევია და შესაბამისად უთარგმნია: marcha tout la nuit vers Maslatha [94, გვ. 359]. მ. საბინინის რუსულ ტექსტში ამ სიტყვის ფარდად საერთოდ არაფერი ჩანს [92, გვ. 120]. მ. წერეთლის გერმანული თარგმანიდან ჩანს, რომ მას სიტყვა გაუგია ასე: ‘ჩუმად, იდუმალ‘, რადგან თარგმანში ვკითხულობთ: heimlich [95, გვ. 55] გ. პეჩის თარგმანის მიხედვით, მ ა ს ლ ა თ ა აგრეთვე გეოგრაფიული პუნქტია: marschierte er... auf Maslani zu [96, გვ. 410]. ასეთი ფორმა სახელისა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემას ემყარება, რადგან ეს სიტყვა საკუთარ სახელთა საძიებელში არის შეტანილი ასეთი ფორმით: მ ა ს ლ ა ნ ი (ა გ ა რ ა ნ ი — ა გ ა რ ა თ ა ტიპის სახელთა ანალოგიით) და მითითებულია, ოღონდ კითხვის ნიშნით, რომ იგი გეოგრაფიული სახელწოდებაა [ქც^{2}, გვ. 411].

მ ა ს ლ ა თ ა ყველა ნუსხისათვის საერთო იკითხვისი არ არის. ძველ ხელნაწერთაგან იგი დადასტურებულია მხოლოდ A-ში. CMQm-ში იგი გამოტოვებულია.

„ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში, შესაბამის ადგილზე ნახსენებია მხოლოდ თრიალეთი: „ამ დროს ილაშქრა ათიათასამდე თურქმა თრიალეთს. ხოლო დავითი ნაჭარმაგევს იყო. როცა მოესმა მათ შესახებ, წამოვიდა მათკენ მთელი ღამე მცირედი ლაშქრით და განთიადის ჟამიდან საღამომდის დაამარცხა ისინი“ [82, გვ. 242]. ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიაში კი. ეგევე ამბავი ასეა აღწერილი: „შემდგომად თრიალეთს მოვიდა თურქობა სულტნისა ს҃ჩ სპანი, ქ҃სა ჩრ҃იე, ქართულსა ტ҃ლე. სცნა მეფემან ნაჭარმაგევს

მდგომმან, **ჩ҃ფ** ტაძრეულითა სპითა მიეგება და პირველსავე ბრძოლასა ივლტოდნენ თურქნი“ [81, გვ. 157].

მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ამ წყაროთა ტექსტი მ ა ს ლ ა თ ა სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად არაფერს იძლევა. სომხური თარგმანი მიახლოებით გადმოსცემს ლაშქრის რაოდენობას, რომელიც დედანში ზუსტად არის დასახელებული. ვახუშტის ტექსტში ტ ა ძ რ ე უ ლ ი თ ა გადმოტანილია ისტორიკოსის თხზულების წინამავალი წინადადებიდან — („ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა“), თანაც სავარაუდოა, რომ ასეთი პარაფრაზი პირველადი ტექსტის შინაარსს მთლად ზუსტად ვერ გადმოსცემს. უნდა შენიშნოს ისიც, რომ არც ივ. ჯავახიშვილს მოუცია მ ა ს ლ ა თ ა სიტყვის რაიმე ინტერპრეტაცია. იგი ამბობს: „ისინიც უჩუმრივ „უგრძნეულად“ შემოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მაინც შეუტყეს და დავით აღმაშენებელს, რომელიც მაშინ ნაჭარმაგევს იდგა, მოახსენეს. მეფემ რომ ეს ამბავი შეღამებისას „მიმწუხრ“ შეიტყო, დაუყოვნებლივ იმ 1500 ჯარისკაცითურთ, რომელიც კი იმ ჟამად შეესწრო იქვე, თრიალეთისაკენ გაემგზავრა და მთელ ღამეს გზაში იყო“ [42, გვ. 197]. აქედან ჩანს, რომ ი. ჯავახიშვილი მარიამისეული ტექსტის იკითხვისს არჩევს. საყურადღებოა ისიც, რომ მ ა ს ლ ა თ ა, როგორც გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი სახელწოდება, საზოგადოდ არ ჩანს ქართულ წყაროებში. იგი არ არის, მაგალითად, ვახუშტის გეოგრაფიაში. არ არის ცნობილი არც მსგავსი სიტყვა იმ მნიშვნელობით, რომელიც გერმანულ თარგმანშია ნაგულისხმევი.

ჩვენი ვარაუდით, ხელნაწერთა ერთ ნაწილში მ ა ს ლ ა თ ა ნუსხურად ნაწერი ავტორისეული ტექსტის შერყვნის შედეგი უნდა იყოს. ტექსტში უნდა ყოფილიყო დაქარაგმებული დაწერილობა, რომლის სწორი წაკითხვა არის მ ი ს ე უ ლ ი თ ა; მ ა ს ლ ა თ ა ქარაგმის არასწორი გახსნის შედეგად არის მიღებული (მს҃ლთა ან მსლ҃ითა).

ნაცვალსახელები **ჩემი, შენი, მისი** და სხვ. ქართულში ძველთაგანვე აწარმოებს ახალ ფუძეებს სხვადასხვა აფიქსებისა ან აფიქსის ფუნქციით გამოყენებული თანდებულების მეშვეობით [29, გვ. 116]. -ეულ აფიქსით ნაწარმოები ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ წარმომავლობას პირისაგან, მის კუთვნილებას, მისგან მოცემულს და ა. შ., ძველ ქართულში საკმაოდ არის გავრცელებული; მაგალითად, მეათე საუკუნის ცნობილი მოღვაწე იოანე-ზოსიმე, რომელსაც ხელახლა შეუმოსავს სინური მრავალთავის ხელნაწერი, თავის ანდერძში წერს: „მე ფრიად ცოდვილი იოვანე და მიქაელ... და ყოველნივე ჩ უ ე ნ ე უ ლ ნ ი ცოცხალნი და მიცვალებულნი“ [74, გვ. 373]. ბევრია ამგვარად წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები „ვეფხისტყაოსანში“: „მაგა ცხენსა ჩ ე მ ე უ ლ ს ა წამოსწრებს კართა ვერა

1405; „რა მნახო, შენცა გეამოს, შენეულითა მშვენოდეს 499; შენეულნივე რიდენი ებურნეს 580; მასვე ცხენსა შენეულსა ზის 1001; აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა 1309; ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა 339; მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად 341; ეგე სამხრე მისეული 896; მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია 1291; ცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს — საქმე არს მისეული 1418; საჭურჭლენი მათეულნი დიდნი ნახნა 1047“.

ასეთივე წარმოების სიტყვები უფრო გვიანაც გვხვდება: „რუსუდანიანში“ ვკითხულობთ: „მოართვა... მოაჯსენა... ჩემეულად ეს გქონდესო“ [72, გვ. 145].

დაბოლოს, უნდა შეინიშნოს, რომ მსგავსი წარმოება დღესაც გვაქვს ქართულ ენაში. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მისეული მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითით არის დადასტურებული, მაგრამ შენეულ-ისათვის ერთ-ერთი დამოწმება თანამედროვე ნაწარმოებიდან არის. ცოცხალია მსგავსი წარმოება დიალექტებშიც: მაგალითი მოგვყავს თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალიდან, თუშის მეტყველებიდან: „აშალეს და მაშინვე ვიცანი ჩემეული ცხვარი“ [34, გვ. 47].

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ -ეულ სუფიქსით წარმოებული სახელები ქართულ ენაში საკმაოდ ფართო გავრცელებულობისაა უძველესი დროიდან დღემდე; ამავე მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ მსგავსად ნაწარმოებ სიტყვათა ერთ-ერთი მნიშვნელობა არის კუთვნილების აღნიშვნა.

ამრიგად, დავითის ისტორიკოსის თხზულებაში სავარაუდებელია მასლათას ნაცვლად მისეულითა: წარვიდა მისეულითა კაცითა ათასხუთასითა; ასეთი იკითხვისი შინაარსობრივადაც გამართლებულია, რადგან მას მხარს უჭერს კონტექსტი: დავითმა წაიყვანა თან თავისი 1500 კაცი, რადგან მხოლოდ „ესეოდენნი დახუდეს მას შინაშე“

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში საზოგადოდ ბევრია წარმოქმნილი ფუძეები, ამიტომ მისეული ავტორის სტილისათვის უცხო არ ჩანს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ შეინიშნოს შემდეგი: ამავე ნაწარმოებში ყივჩაყთა საქართველოში დასახლების შესახებ ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ვკითხულობთ: „ხოლო ყივჩაყნი დაასყუნნა ადგილთა მათ მარჯუეთა“ [ქც², გვ. 337]. მათ არის აგრეთვე მ. ბროსეს გამოცემაში. ვარიანტები: სამთოდ MQm, სამათოდ C, მათთა და სხვებში. ივ. ჯავახიშვილს ეს ციტატა „ქართველი ერის ისტორიაში“ მოჰყავს შემდეგი სახით: „ადგილთა სამათოდ მარჯუეთა“ [42, გვ. 200]. როგორც ჩანს, ეს იყო ივ. ჯავახიშვილის

კონიექტურა, რომელსაც მხარი დაუჭირა მოგვიანებით (1923 წ.) აღმოჩენილმა ჭალაშვილისეული (C) ნუსხის ჩვენებამ.

ს ა მ ა თ ო დ ტიპის წარმოება აგრეთვე საკმაოდ ხშირია ქართულ ენაში. სანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ ანალოგიური მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“ — დანიშნულების სახელები, ნაწარმოები სა-ო კონფიქსით სხვადასხვა ნაცვალსახელებიდან [29, გვ. 134]: ლხინი ს ა ჩ ე მ ო მაგას არ შეეწონების 610; აწცა მიცოდი ს ა შ ე ნ ო დ 416; თუ მოგვცემ შვილსა ს ა მ ი ს ო დ 517; ეგონა ს ა მ ი ს ო დ რამე ზიანი 1278; ს ა მ ა თ ო თავისი წარმოების მიხედვით სრულიად ბუნებრივი ჩანს დავითის ისტორიკოსის ტექსტში. ამრიგად, ზემოხსენებული ადგილისათვის სწორად უნდა იქნეს მიჩნეული ი. ჯავახიშვილის მოწოდებული კონიექტურა: „ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა ს ა მ ა თ ო დ მარჯუეთა“. ასეთი იკითხვისი გამართლებულია აზრობრივადაც. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითს ყივჩაყებისათვის მათთვის ვარგისი „მარჯუე“ ადგილები შეურჩევია.

ორი „ამირას“ სახელი თხზულებაში

თხზულების დასაწყისში ნახსენებია ორი თურქი მხედართმთავარი — საქართველოს დალაშქვრის მონაწილენი. A ნუსხაში მათ შესახებ ნათქვამია: „მათ უკუე ლაშქართა, ესევითარითა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა დაემთხუივნეს ამირანი დიდნი, ი ა ს ი ვ ი ნ მ ე და ბ უ ჟ ღ უ შ, მათ თანა სიმრავლე ურიცხუი თურქთა, საბერძნეთსა მიმავალთა“ [76, გვ. 201]. (ი ა ს ი ვ ი ნ მ ე ასეა CMQmRT).

ზემოხსენებულ პირთა სახელებისათვის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში ს. ყაუხჩიშვილს ძირითად ტექსტში A-ს იკითხვისები აქვს დატოვებული. სხვა ვარიანტები ამავე გამოცემის მიხედვით შემდეგია: იასი ვინმე] იასი პარი B, იასი პასი p, პასიასი d, ვინმე იასი D. ბუჟღუშ] ბუჟღუბ a (სომხური თარგმანი. მ. შ.), ბუღღუჟ C, ბუჟღოშ Mm, ბუჟობ b, ბუჟღობ სხვებში. Q-ში, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი არ იცნობდა, გვაქვს: იასი ვინმე და ბუჟღოშ (როგორც Mm-ში). სომხურ თარგმანში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნახსენებია მხოლოდ ერთი ამ „ამირათაგან“, ვახუშტის ისტორიაში კი მათ ი ა ს ი და ბ უ ჟ ღ ო ბ ა (ვარ. ბუჟღობ h, ბუღღობა Rdyz) ეწოდება [81, გვ. 154]. მ. ბროსეს გამოცემაში ი ა ს ი ვ ი ნ მ ე და ბ უ ჟ ღ ო ბ გვხვდება [ქც[1], გვ. 237]; იგივე აქვს გამეორებული მ. საბინინს [73, გვ. 389], ხოლო ფრანგულ თარგმანში მ. ბროსემ ეს სახელები Iasi და Boujgob [94, გვ. 346] ფორმით გადმოსცა. დავითის ისტორიკოსის თხზულების წერეთლისეულ თარგმანში მოხსენებული არიან ein gewisser Iassi und Bujgosch

[95, გვ. 47]. გ. პეჩის თარგმანშიც ძათ ein gewisser Jassi und Bushgusch ეწოდება [96, გვ. 396].

თურქ „ამირათა" სახელების სხვადასხვაგვარი გადმოცემა „ქართლის ცხოვრების" ნუსხებში საჭიროდ ხდის ამ სახელთა სწორი ფორმის გარკვევას. სხვა ქართულ წყაროებში ცნობები მათ შესახებ არ ჩანს. ნ. შენგელია აღნიშნავს, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ნახსენები პირები სპეციალურ ლიტერატურაში ა ბ უ ი ა ყ უ ბ-ისა და ი ს ა ბ ო რ ი-ს სახელით არიან ცნობილნი. [39, გვ. 309], ხოლო მის მიერ დამოწმებულ თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებში ჩვენთვის საინტერესო პირთა სახელები შემდეგი ფორმით არის გადმოცემული: Ebû Jakûb და Isa Böri ან Isa Börü [35, გვ. 505] იმ პირველწყაროებში, რომელთაც თურქი ისტორიკოსები ასახელებენ (ესენია „ქართლის ცხოვრება", მათეოს ურჰაელის, მუნეჯიმბაშისა და ქესრევი თებრიზის თხზულებები), ამ სახელების დაძებნა გაჭირდა. გამორიცხული არ არის, რომ, მითითებულის გარდა, ავტორებს ხელი მიუწვდებოდათ სხვა წყაროებზეც, კერძოდ, XVII ს. თურქი ისტორიკოსის მუნეჯიმბაშის თხზულების არაბულ დედანზე, რომელიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე თურქ ავტორთა მიერ დამოწმებული სახელებისა და ქართულ ნუსხათა სხვადასხვა ვარიანტების შეპირისპირება, ვფიქრობთ, საშუალებას იძლევა ვარაუდით მაინც აღვადგინოთ დავითის ისტორიკოსის მიერ თავდაპირველად ნახმარი უფრო სწორი ფორმები, რომლებიც გვიანდელ ნუსხებში უთუოდ შერყვნილია გადამწერთა მიერ.

ანასეული ნუსხის ბ უ ყ ღ უ შ და მისი ვარიანტები სხვა ნუსხებში უნდა გადმოსცემდეს იმ სახელს, რომელიც თურქულ წყაროებში Ebû Jakûb-ის ფორმით არის მოცემული. მუსლიმანურ სამყაროში საკმაოდ ხშირი ხმარებისა არის სახელები, რომელთა შემადგენლობაში შედის აბუ (არაბული ابو 'მამა'). ცოცხალ მეტყველებაში იგი ხშირად შეკვეცილი ფორმით გვხვდება: მსგავსი მაგალითები სხვადასხვა ენაში არის დადასტურებული. თავკიდური ხმოვანი (a←'a) იკარგება, რაც ჩანს დაწერილობაში. მაგ., بو على سينا — ბ უ ა ლ ი ს ი ნ ა. სომხურ წყაროებშიც გვხვდება მსგავსი რამ. საკუთარი სახელი ა ბ უ ს ა ი დ ი გადმოცემულია ასე: *Պուսախտ*, *Պուսայխտ*, *Մուսախտ* [34 გვ. 506].

ზოგიერთი ქართული საკუთარი სახელიც გვიჩვენებს, რომ ამგვარი მოვლენა ქართული სინამდვილისათვისაც დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ამგვარი შედგენილობის საკუთარი სახელები ქარ-

თულში არც თუ ძალზე ბევრია. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნახსენები ა ბ უ ლ ა ს ა დ ი [90, გვ. ნა] და იოვანე მთაწმიდლის სიმამრი ა ბ უ ჰ ა რ ბ ი [60, გვ. 16]. ამ სახელებში არაბული **აბუ** სიტყვა სრული ფორმით დასტურდება, მაგრამ სხვაგან იგი შეკვეცილი სახით გვხვდება: XIII საუკუნის ჰიმნოგრაფის ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ი ს გვარში პატრონიმად, საიდანაც გვარსახელია ნაწარმოები, არაბული წარმოშობის ბ უ-ლ-მ ა ი ს ი მ უნდა ვივარაუდოთ (მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ამოსავალი არაბული სახელის დადგენა ძნელია ფონეტიკური ცვლილებების გამო).

'abū-ja'qub სახელის ორი ერთმანეთის მომდევნო თანხმოვანი (ع) და q (ق) ქართულ წარმოთქმაში ერთი ბგერით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მით უმეტეს თუ ვივარაუდებთ, რომ იგი სპარსულის მეშვეობით არის შემოსული. აქ კი სემიტური '-ს დაკარგვა წარმოთქმაში ჩვეულებრივია (ისევე, როგორც ბერძნულში; შდრ. **Ιακωβ**, რომელიც იმავე საერთო-სემიტური ძირიდან ნაწარმოები სახელის გადმოცემას წარმოადგენს და ქართულში ი ა კ ო ბ ფორმით არის შემოსული). არაბულ-სპარსული გზით შემოსულ სიტყვებში '(ع) -ს შესაბამისად, როგორც ცნობილია, კ და ყ გვაქვს. ამასთან, ნ. მარის ვარაუდით, ყ უფრო გვიანდელია. ამრიგად, 'abūja'qub სახელის შემოსვლა ქართულში სავსებით კანონზომიერია ბ უ ი ა ყ უ ბ ფორმით. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს არის დავითის ისტორიკოსის მიერ ნახმარი სახელი, მით უმეტეს, რომ მის მიერ მოთხრობილი ამბების მოწმე და მხილველ პირს იგი უთუოდ ზეპირი გზით უნდა ჰქონოდა შეთვისებული. ავტორისეული ბ უ ი ა ყ უ ბ გადამწერთა მიერ იქნა შეცვლილი. მან განიცადა როგორც უცხო სახელთა დაწერილობაში ესოდენ ხშირი გრაფიკული დამახინჯებები, ისე ფონეტიკური ცვლილებებიც. ორი მჟღერი ბ-ს გავლენით **ყ→ღ**, ხოლო **ია→(ჲა)→ჟა** ბუიაყუბ→ბუიაღუბ→ბუჟაღუბ→ბუჟღუბ ფონეტიკური ვარიანტებია, **ბ/შ** და **უ/ო** კი გრაფიკული ხასიათისა არის. ანასეულ ნუსხაში, სადაც საზოგადოდ ხშირია სავარაუდო ნუსხური დედნიდან გადაწერილი გრაფიკულად მსგავსი ასოების არასწორად ამოკითხვის გამო დაშვებული შეცდომები, ამ შემთხვევაშიც დამახინჯებული ფორმა გვხვდება: შ ბ-ს მაგიერ, უფრო გვიანდელ ხელნაწერებში კი შედარებით სწორი ფორმა არის მოცემული: ბ უ ჟ ღ ო ბ. ოღონდ, საფიქრებელია, ავტორისეული ფორმა სახელისა ადრევე უნდა შეცვლილიყო, რადგან ასეთი ვარიანტი არის დამოწმებული ძველ სომხურ თარგმანში, რომელიც ადრე არის ნათარგმნი (მისი უძველესი ხელნაწერი 1279—1311 წლებისაა).

თურქულ წყაროებში ნახსენები მეორე სახელი Isa Böri არაბულ-თურქული წარმომავლობისაა, მისი პირველი ნაწილია عيسى, რომელიც, როგორც იესუ ქრისტეს სახელის არაბული ფორმა, ქართულ ძეგლებში გვხვდება: „აბდულმესიანში“ და თეიმურაზ პირველის პოემაში („წამება ქეთევანისა“) „ვერ გამომიხსნას ი ს ა მ ა ნ“ (სტრ. 26). შესაძლოა ვივარაუდოთ ამოსავლად ი ს ა ან ე ს ა ფორმა. ცვლილება გადამწერების ხელში კონტამინაციის გზით უნდა მომხდარიყო — ი ა კ ო ბ, ი ე ს ე და მსგავს სახელთა ანალოგიით. თურქი „ამირას“ სახელის მეორე ნაწილი არის საერთო-თურქული სიტყვა, რომელიც ეტიმოლოგიურად ‘მგელს’ ნიშნავს და რომელიც სხვადასხვა ჟღერადობის მქონეა თურქულ ენებში: böri, büri, bära, pörä და სხვა. იგი დღესაც იხმარება საკუთარ სახელად. ზეპირი გზით შეთვისებული ამ სახელის ფორმა შესაძლოა ყოფილიყო ბ ო რ ი ან ბ ა რ ი; ი ფუძისეულია; ამოსავალ ფორმასთან ახლოა B ხელნაწერის პ ა რ ი (ნაკლებ მოსალოდნელია არაბული بوری დაწერილობის შესაბამისი ბ უ რ ი). ეს უკანასკნელი მ. ბროსეს ი ა ს ი სახელის განმეორებულ დაწერილობად მიუჩნევია, ამიტომაც ფრანგულ თარგმანში მხოლოდ Iasi დაუწერია [94, გვ. 346]. რაც შეეხება ვ ი ნ მ ე სიტყვას, იგი გადამწერის ჩამატებულია: მას დაუწერია ქართულ სინამდვილეში ცნობილი სახელისათვის მიმსგავსებული ი ა ს ი და სახელის მეორე, გაუგებარი ნაწილის განსამარტავად შეუნიშნავს: „იასი ვინმე“, ესე იგი ვიღაცა იასიო.

ამრიგად, დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ზემოხსენებული შერყვნილი ადგილი ასე უნდა გაიმართოს: წინა დაემთხჳვნეს ამირანი დიდნი, ის[ა ბ]არი და [ა]ბუ[იაყ]უბ (ან, რაც უფრო მოსალოდნელი იყო ჩვენს ტექსტში: **ბუ-იაღუბ**) 5[1]. ასეც არის გასწორებული ჩვენს გამოცემაში.

გეჰენია

ეს სიტყვა თხზულებაში არცერთი გამოცემის მიხედვით ტექსტში შეტანილი არ არის. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ადგილი: „ანუ რასათვის ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების მყოფელთათჳს ჭეშმარიტად, ხოლო საშინელებანი ურჩთა და უღირსთათჳს?“ [ქც^2, გვ. 359]. შინაარსის მიხედვით, აქ ჩანს „შუებათა და ნეტარებათა“ დაპირისპირება „საშინელებებთან“. პირველი განკუთვნილია „ღმრთისა ნების მყოფელ-

[1] რიცხვები აღნიშნავს (აქ და ქვემოთ) ჩვენი გამოცემის ტექსტის პარაგრაფებს.

თათჳს“, ხოლო მეორე „ურჩთა და უღირსთათჳს“. ღვთის ნების მყოფელთ ელით სამოთხე, რომელიც ისტორიკოსის ტექსტში ორჯერ არის ნახსენები, როგორც სამოთხე და როგორც სასუფეველი. ორივე ეს სიტყვა უძველესი დროიდანვეა ქართულში დადასტურებული: სასუფყველი გვხვდება ხანმეტ ტექსტებში: მოგელოხ თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ მ. 21, 43 [89, გვ. 52] უძველეს ქართულ წყაროებში იგი ადრევე აღნიშნავს ღმერთის საბრძანებელს (βασιλεία τοῦ Θεοῦ), ესე იგი სამოთხეს. უკანასკნელი სიტყვა თავისი პირველადი მნიშვნელობით არის 'ბაღი': „ვიქმენ მე მტილები და სამოთხები“. ეკლ. 2,5 — ოშკის ნუსხა 978 წ ('εποίησά μοι κήπους καὶ παραδείσους) ეს სიტყვა (სამოთხე, ესე იგი ბაღი, სადაც მოთხვა ანუ 'სიარული, სვლა' შეიძლება), ადრევე იძენს ქართულში დღევანდელ მნიშვნელობას.

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში სასუფეველი და სამოთხე სინონიმებია. სინონიმთა ხმარება ქმნის სტილისტურ პარალელიზმს, რომელიც ესოდენ ხშირია თხზულებაში (მის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ არის მსჯელობა).

ამრიგად, ღვთისმოსავთ ელით სამოთხის შვება-ნეტარებანი, ხოლო მისი ნების უარმყოფელთ — საშინელებანი. ამგვარი წაკითხვა ტექსტისა აშკარად არღვევს სიმეტრიას. მოსალოდნელი იყო, რომ სამოთხესთან ნახსენები ყოფილიყო ჯოჯოხეთიც და დაპირისპირებაც სრული იქნებოდა: სამოთხის შვებანი და ჯოჯოხეთის საშინელებანი. იმ ნუსხებში, რომლებიც მ. ბროსეს ხელთ იყო, შესაბამისი სიტყვა არ არის, სხვა ნუსხები კი საშუალებას გვაძლევს ტექსტში აღვადგინოთ ავტორის მიერ ჯოჯოხეთის აღსანიშნავად ნახმარი სინონიმური სიტყვა. შესაბამის ადგილას ნუსხებში გვაქვს: საშინელებანი გაენიისანი M, ს. გაენისნი Q, ს. გაენისანი m. მ. წერეთელმა სწორად ამოიცნო Mm-ის დამახინჯებულ ფორმებში ძველი ქართულის კარგად ცნობილი სიტყვა გეჰენია, რაც მისი თარგმანიდან ჩანს: Schrecknisse der Gehenna [95, გვ. 70]. გ. პეჩის გერმანულ თარგმანში ეს სიტყვა, არ არის [96, გვ. 440].

გეჰენია ძალიან ადრეა ქართულში ნასესხები (შდრ. ბერძნული γεέννα) და დადასტურებულია უკვე ხანმეტ ტექსტებში: „განხერნეთ სასჯელსა გეჰენიაჲსასა“ მ. 23, 33 [89, გვ. 55]. ჯოჯოხეთი, რომელიც შემდგომ შინაარსის მიხედვით თითქმის მთლიანად ცვლის გეჰენია სიტყვას, ძველ თარგმანებში, როგორც ჩანს სემანტიკურად მაინც სხვაობს. იგი ჩვეულებრივ ᾅδης სიტყვის ფარდია ძველ ოთხთავებში.

ამრიგად, MQm-ის ვარიანტები ტექსტში ავტორისეული გეჰენია სიტყვის აღდგენის საშუალებას იძლევა. ს. ყაუხჩიშვილი კი თავის გამოცემაში დაეყრდნო A-ს ჩვენებას, სადაც ეს სიტყვა ამოღებულია. A-ს მისდევს RDT.

ყურადღება უნდა მიექცეს ქადაგებულ სიტყვასაც. ეს ფორმაც ARDT ნუსხებშია, ხოლო MQm-ს შესაბამისი იკითხვისია ქადებულან, მოცემულ კონტექსტში სწორედ ეს უკანასკნელი უნდა მივიჩნიოთ შინაარსეულად უფრო მისაღებად. მართლაც, ტექსტის განსახილველ მონაკვეთში ლაპარაკია არა იმაზე, რაც ქადაგებულია, არამედ იმაზე, რაც ელის მომავალში ერთი მხრივ — ღვთისმოსავებს და მეორე მხრივ — ღვთის ნების უარმყოფლებს. ასეთ კონტექსტში კი შინაარსს უფრო მიესადაგება ქადებული. ვნებითი გვარის ეს მიმღეობა ქართულში ნიშნავს, 'აღთქმულს, დაპირებულს, მოსალოდნელს', როგორც კარგს, ისე ცუდს. სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ილ. აბულაძის ლექსიკონში დამოწმებული ციტატა ისეთი ძეგლიდან, როგორიცაა „მამათა სწავლანი": „უკუეთუ მზემან სინათლე გჳქადა და არა ყო იგი საქმით, სიქადული ხოლო მისი ვერ განანათლებს სოფელსა". ქადება დამუქრებასაც ანუ ცუდის დაპირებასაც აღნიშნავს, რაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნიდან": ასმათ ლხინსა მიქადებდა 397; მაგრამ როცა განრისხებული ჭაშნაგირი ფატმანს დაემუქრა, ავთანდილმა გაკვირვებით იკითხა: რას დაგექადა იგი ყმა? 1109.

მაგალითები გვიჩვენებს, რომ დავითის ისტორიკოსის ზემოთმოყვანილ ნაწყვეტში სწორედ ქადებულან ან ქადებულ არიან უნდა მივიჩნიოთ ავტორისეულ იკითხვისად. მიმღეობასთან მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმით ხმარება XII ს. ძეგლში მოულოდნელი არ არის. შდრ. დამკჳდრებულან [Sin 11, X ს. გვ. 13v].

ზედმეტად მიგვაჩნია ტექსტის ამ მონაკვეთში სიტყვა ჭეშმარიტად, რომელიც არის ARDT-ში; იგი აზრობრივად ზედმეტია და გაუმართავ სიტყვაშეხამებას ქმნის. საფიქრებელია რომ იგი A-ში ჩართულია ღვთისმოსავი გადამწერის მიერ, როგორც ემოციური შეძახილი, გამოთქმული სენტენციის დასადასტურებლად.

ზემოთმოყვანილის შესაბამისად, საანალიზო მონაკვეთი ასეა გამართული: ანუ რაჲსათჳს ქადებულან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების-მყოფელთათჳს, ხოლო საშინელებანი **გეჰენიაჲსანი** ურჩთა და ულირსთათჳს? 95.

დაუჰამრავი

ერთ-ერთი ბრძოლა თურქებთან დავითს წყალდიდობის დროს მოუხდა; ეს ეპიზოდი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ასე არის გადმოცემული: „გაზაფხულ განდიდნა მტკვარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახნა მეფემან იგინიცა და ალონს მტკუარსა გაცურდა დაუზრავსა მას წყალსა“ [ქც², გვ. 340]. ჩვენს ყურადღებას ამჟამად იქცევს სიტყვა დ ა უ ზ რ ა ვ ს ა, რომელიც მ. ბროსეს გამოცემაში ამ სახით არის დაბეჭდილი: და უ ჰ ა ზ რ ა ვ ს ა მ ა ს [ქც¹, გვ. 249].

ფრანგულად ეს მონაკვეთი ასეა ნათარგმნი: Au commencement du printemps le Mtcouar étant devenu si gros que ses eaux débordèrent de leur lit, les Turkomans, se fiant lá-dessus, s'établirent négligemment à Barda. Le roi, qui en fuit enstruit, passa le Mtcouar à la nage, vers Alon, avec les Qiphtchaqs, tandis que l'état du fleuve empêchait que l'on ne se doutât de rien [94, გვ. 365]. ამ თარგმანის მიხედვით ჩანს, რომ ბროსეს დ ა უ ჰ ა ზ რ ა ვ ი პირდაპირ არ უთარგმნია. იგი წერს, რომ დიდი წყალდიდობის გამო თურქებს საშიშროების ეჭვი არ ჰქონდათო.

ს. ყაუხჩიშვილის დ ა უ ზ რ ა ვ ი კი გულისხმობს 'გაუყინავ, გამლღვარ წყალს'. ტექსტის გერმანულ თარგმანებში სწორედ ამ მნიშვნელობების შესაფერისი ლექსიკური ერთეულებია მოცემული: in dem eiskalten (შდრ: Wörtl. zum Erfrieren bringenden) Wasser 'ყინულივით წყალში' [95, გვ. 59]; durchschwamm er mit den Kiwtchaken die Schmelzwasser der Mtkuari 'გადაცურა... მტკვრის გამლღვარი წყალი' [96, გვ. 418].

იმის გასარკვევად, თუ რომელი იკითხვისი შეიძლება მივიჩნიოთ უფრო სწორად, მივმართოთ ხელნაწერთა ჩვენებას: დაუაზრავსა A („ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში შეცდომით: დაუზრავსა. ანასეული ნუსხის პუბლიკაციაში ტექსტის ფორმა სწორადაა გადმოცემული), და უზარავსა C, დაჰუაზრავს MQ და ჰუაზრავსა mRT, ჰუაზრავსა D. სხვა ნუსხათა ჩვენება ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით, შემდეგია: დაჰუაზრავს, და დაუჰაზრავსა.

ს. ყაუხჩიშვილის მიერ ნავარაუდევი დ ა უ ზ რ ა ვ ი, რომელიც გაუყინავს ნიშნავს, შინაარსეულად მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ. დავითის ისტორიკოსის ეპითეტები ყოველთვის ზუსტია და მარჯვედ მორგებული. მას არ დასჭირდებოდა უზარმაზარი წყალდიდობის აღწერის დროს საგანგებოდ იმის აღნიშვნა, რომ წყალი დ ა უ ზ რ ა ვ ი, ანუ გ ა უ ყ ი ნ ა ვ ი იყო.

მ: ბროსეს გამოცემაში ნახმარი უ ჰ ა ზ რ ა ვ ი ან დ ა უ ჰ ა ზ რ ა ვ ი (B-ს მიხედვით) წარმოადგენს ჰ ა ზ რ ფუძიდან ნაწარმოები ნასახელარი ზმნის უარყოფით მიმღეობას.

ჰ ა ზ რ ი, როგორც ლექსიკური ერთეული, ძველ ქართულში იშვიათია. იგი არ არის ოთხთავში, არც სინურ მრავალთავში, არ ჩანს იგი „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონიაში" (ხელნაწერი მასალის მიხედვით), არ არის დადასტურებული არც „ქართლის ცხოვრების" სიმფონიის I და II ნაკვეთებში.

თავკიდური ჰ-ს არსებობა სიტყვაში მის უცხოურ წარმომავლობას გვაფიქრებინებს.

შესაძლოა, აქ გვქონდეს არაბული حزر 'ვარაუდი, მიხვედრა, ეჭვი'. მართალია, ქართულში არაბულიდან ნასესხებ სიტყვებში თავკიდური h (ბგერა, აკუსტიკურად ქართული ჰ-ს მსგავსი) და ḥ ჩვეულებრივ იკარგება, მაგრამ საწინააღმდეგო შემთხვევებიც ცნობილია: ჰამალი, ჰაჯამი, ჰუბუტი, ჰუთი [62 ა, გვ. 44, 85].

საინტერესოა ის ერთადერთი მაგალითი, რომელიც ი. აბულაძეს აქვს მოყვანილი თავის „ლექსიკონში": „რომელი-იგი უკეთურებისაგან უცხო არნ, იჭჳსა და ჰაზრისა არავე ადვილად მიმავალ არნ". მაგალითი აღებულია XI ს. A 92 ხელნაწერიდან, რომელიც შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებას — „ათანასე ალექსანდრიელის შესხმას". ბერძნულ დედანთან შედარება გვიჩვენებს, რომ ეფთჳმის თარგმანში ჰენდიადისი გვაქვს — მას ორი სიტყვით უთარგმნია დედნისეული ერთი (ὑπονοία) სიტყვა: ი ჭ ჳ თ ა და ჰ ა ზ რ ი თ ა, რაც მოწმობს, რომ იგი მათ სინონიმებად მიიჩნევს. იმავე თხზულების მეორე თარგმანში, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის, ქართული თარგმანი თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ბერძნულს: „ბოროტმან მსწრაფლ აბრალის კეთილსაცა, ხოლო კეთილმან არცაღათუ ბოროტსა ადვილად, ვინაჲთგან სიბოროტედ არ განმზადებულ, არცა მ ე ჭ უ ე ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ ადვილ-სატაცო". (ხელნაწ. A — 109, XII ს. 239).

მასალის სიმცირის გამო, საგანგებო კვლევა ჰ ა ზ რ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისა და მისი ცვლილებისა ამჟამად არ ხერხდება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰ ა ზ რ ი თავდაპირველად „ეჭვს, ვარაუდს, გუმანით მიხვედრილს" აღნიშნავდა. ასეთი მნიშვნელობა ჩანს უფრო მოგვიანებითაც, არსენი იყალთოელის ნათარგმნ „ქრონოგრაფშიც", სადაც ჰ ა ზ რ ი ცალკე ფუძედ გვხვდება და მისგან სხვა სიტყვებიც არის ნაწარმოები. ერთგან ნათქვამია ბალაამის წინასწარმეტყველების შესახებ: „ესე უფროჲსღა ჰ ა ზ რ არს ვიდრეღა წინაჲსწარმეტყველება" [83ა, გვ. 114]. არსენის ჰ ა ზ რ სი-

ტყვით უთარგმნია στοχασμὸς [93, გვ. 239]. იქვე ნათქვამია: ვერაგნი კაცნი მომავალთა საქმეთა წ ი ნ ა-მ ო ჰ ა ზ რ ე არიან (καὶ δεινοὶ ἄνθρωποι τοῦ μέλλοντος καταστοχασταί εἰσιν [83[a], გვ. 239]. მაშასადამე, მ ო ჰ ა ზ რ ე არის 'დაახლოებით მცნობი, მიმხვედრი'.

იმავე კონტექსტში ნათქვამია: ჴელოვნებითი წინაჲსწარმეტყუელებაჲ (პირუტყვთა ბუნებითი წინასწარმეტყველებისაგან განსხვავებით. მ. შ.) არს მკურნალთა, მენავეთა და მ ო ჰ ა ზ რ ე თ ა ჲ, რამეთუ ერთნი იგი სნეულებათა და დაჴსნათა მათთა წინაჲსწარ იტყჳან, ხოლო მეორენი — შეცვალებასა ჰაერთა და ქართასა, და მესამენი ე. ი. συμβούλοι), გულისჴმისყოფით მისწუთებიან მომავალთა საქმეთა—οἱ δὲ τοῦ μέλλοντες συνέσει καταστοχαζόμενοι [93, გვ. 239].

არსენის თარგმანში ჩანს, რომ ჰ ა ზ რ ს' ვარაუდის, ეჭვის, მიხვედრის მნიშვნელობაც ჰქონია. თეოდოსი განგრელის მოსახსენებლის ქართულ თარგმანში, რომელიც XII ს-შია შესრულებული, ნათქვამია: და ჩემდაცა და სხუათა უმეტესთა უღონოდ საგონებელნი კეთილ დ ა ჰ ა ზ რ ვ ი თ ა აღჴსნნა" [32, გვ. 236]. აქაც დ ა ჰ ა ზ რ ვ ა, ალბათ, 'მიხვედრას, ჩაწვდომას' ნიშნავს:

შემდგომში ჰ ა ზ რ და ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვების მნიშვნელობა იცვლება და სხვა ნიუანსს იღებს, ნიშნავს საერთოდ' ფიქრს', დღევანდელ' აზრს';, ამას უკვე „ვეფხისტყაოსანი" მოწმობს: ა ზ რ ა დ არად აღარა მცალს 126,4; ა ზ რ ა დ შეიქმენ 365,3 და სხვ.

ამრიგად, საფუძველს მოკლებული არ არის ვარაუდი, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში დ ა უ ზ რ ა ვ ი ს სანაცვლოდ დ ა უ ჰ ა ზ რ ა ვ ი, ანუ წარმოუდგენელი (немыслимый) გვქონოდა. ასეთი ვარაუდი გამოთქმულიც იყო ჩვენ მიერ [32, გვ. 237]. მაგრამ შემდგომმა დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლოა დ ა უ ჰ ა ზ რ ა ვ ი გადამწერთა მიერ შეტანილი სიტყვა იყოს. მართალია, შინაარსეულად იგი უდგება ზემოაღნიშნულ ადგილს, მაგრამ ავტორისეულ ტექსტში დასაშვებია სხვა ლექსიკური ერთეულიც ვივარაუდოთ.

ა. შანიძე თავის რუსთველოლოგიურ შტუდიებში ერთგან ეხება „ვეფხისტყაოსნის" ა მ ა რ სიტყვას [24, გვ. 254]. ამ წერილში ნაჩვენებია, რომ წარმოშობით სპარსული სიტყვა (شمار 'რიცხვი, რაოდენობა, საწყაო') საკმაოდ ხშირად არის ნახმარი XII—XIV ს. ძეგლებში. ერთ მაგალითს გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი": „რიცხუი ურიცხუ იყო და ჰ ა მ ა რ ი — უამრავი" [65, გვ. 7]. აქვეა დამოწმებული სხვა მაგალითებიც: თამარ მეფის სიგელში მღვიმისადმი ხელრთვებში იკითხება: „ქრისტეს სწორმან ანტონი ჭყონდიდელმან დიდითა ღუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოჲთა ა ღ უ ჰ ა მ-

რავითა მოიყვანა წყაროჲ ესე“. თვით ანტონ ჭყონდიდელის ხელრთვაში ამავე საბუთში თამარი, დავით სოსლანი და მათი ძე გიორგი ლაშა ასე არიან მოხსენებული: „რომელთა წელნია უჰამრავ და სუფევაჲ დაუსრულებელ“ [83, გვ. 101, 102].

ა. შანიძის მიერ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ჰამარი ადრევეა ქართულში შემოსული: მის მიერ დამოწმებულია ციტატა „ვისრამიანიდან“, სადაც, მისი აზრით, თავკიდური ჰ შესაძლოა იმიტომ იყოს დაკარგული, რომ ტექსტი გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული: უამრავი ლაშქარი გყავს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისეული ტექსტისათვის იგი ჰაეიან ფორმებს ვარაუდობს. ესენია ჰამარი (ამარი მცავით დათვალეს 1053) და უჰამარი (სპა უამარია 1320). არის ეს სიტყვა „ჟამთააღმწერელშიც“: „ღვინისა არა იყო ამარი“ [71, გვ. 149].

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დავითის ისტორიკოსის ტექსტში საანალიზო მონაკვეთებშიც დაუჰამრავი უნდა გვქონოდა. დაუჰამრავსა წყალსა ნიშნავს უზომოდ ბევრს, ძალიან მოდიდებულ, მოზღვავებულ წყალს, რაც მოცემული ადგილის შინაარსს ძალიან კარგად გადმოსცემს.

დაუჰაზრავი, შესაძლოა ნუსხური ტექსტის ცუდად ამოკითხვის გამო იქნა დამახინჯებული, რადგან გამორიცხული არ არის ნუსხური მ-სა და ზ-ს აღრევა. მართალია, უამრავი შემდგომი პერიოდის ქართულში უცნობი სიტყვა არ არის, მაგრამ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არქაული ფორმით მოცემული დაუჰამრავი მაინც გაუგებარი დარჩენილა ჩვენთვის ცნობილ ძველი ჯგუფის ხელნაწერთა საერთო არქეტიპის გადამწერისათვის და მან იგი დაუჰაზრავ სიტყვად მიიჩნია, რასაც მოწმობს შესაბამისი ვარიანტები ამ ნუსხებში.

ამრიგად, ტექსტი ამ ადგილას ასე უნდა გასწორდეს: მტკუარსა გაცურდა **დაუჰამრავსა** მას წყალსა 53.

კარასეული

თურქმანთა მიერ საქართველოდან გატაცებული ალაფის აღწერაში ნახმარია სიტყვა, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ორსავე გამოცემაში დაბეჭდილია როგორც ბაგრატეული: „სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისაგანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი“ [ქც[2], გვ. 319]. მ. ბროსეს გამოცემაში ვკითხულობთ: „ოქროჲსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი და სასმურნი“ [ქც[1], გვ. 237]. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით სასმურნი და სამწდეონი ბაგრატის ნაქონი ყოფილა: შეიძლება ბაგრატეულნი კიდევ წარმოვიდგინოთ როგორც ერთ-

ერთი წინამავალი სიტყვის პოსტპოზიციური განსაზღვრება: სამსახურებელნი... ოქრო[ჲ]სა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი. ამ შემთხვევაში საანალიზო სიტყვა ბაგრატის ნაქონად „სამეფო ტაბლის სამსახურებელ ჭურჭელს“ წარმოგვიდგენს. მ. ბროსესთან კი ბაგრატეული გაურკვეველი მნიშვნელობის არსებით სახელად წარმოგვიდგება.

ბაგრატეული AC ხელნაწერთა იკითხვისია, ოღონდ C-ში ბაგრატეულნი და სასუმურნი არის. უკანასკნელი იკითხვისი განმეორებულია RDT-შიც: ბაგრატეულნი და სასმურნი. ძველი რედაქციის სხვა ნუსხებში კი შემდეგი ფორმები გვხვდება: გარატეულნი (გარტეულნი m) და სიასამურნი, სამწდეონნი Mm. Q-ში იგი სულ გამოტოვებულია: და სამსახურებელნი და ს˜სმურნი; ბოლო სიტყვას უზის ნიშანი, რომელსაც გადამწერი გაუგებარ სიტყვებს უკეთებს თავზე.

მაშასადამე, ბაგრატეული ან აღნიშნავს კონკრეტულ ნივთთა კუთვნილებას ბაგრატის მიერ, ანდა თვითონ არის რაღაც ნივთის სახელწოდება. პირველი შესაძლებლობა ნაკლებად არის გამართლებული: ბაგრატეული წინამავალ სამსახურებელ თუ მომდევნო სასუმურ სიტყვათა განმსაზღვრელად უადგილო ჩანს: მთელს თხზულებაში საზოგადოდ ავტორს ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის ძველი მფლობელი ჩვეულებრივ დასახელებული არ ჰყავს. ერთად-ერთი გამონაკლისი გვხვდება იქ, სადაც ნახსენებია ხვასროვანთა ნაქონები „ტახტნი და საყდარნი“, სადაც ნათქვამია, რომ ისინი „ივარად მოხუმულნი“ იყვნენ; იმ შემთხვევაში, როცა ისტორიკოსი ძველად ნაქონებს რასმე იხსენებს, იგი მოგვითხრობს: მამათა და პაპთაგან წარღებულნი ქუეყანანი 62. გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც სუფრის ჭურჭელზე, სხვასთან შედარებით არც თუ ისე დიდი ღირებულების ნივთებზე, უნდა ყოფილიყო საგანგებოდ ნათქვამი, რომ იგი ბაგრატის (ან რომელი ბაგრატის?) ნაქონები იყო. ამიტომ ეს სიტყვა ტექსტში გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ. ძველი სომხური თარგმანი ამ ადგილის გასარკვევად არაფერს იძლევა: თურქთაგან საქართველოს დალაშქვრა იქ ძალიან მოკლედ არის აღწერილი და მათ მიერ წაღებული ალაფი საზოგადოდ არ არის ნახსენები [82, გვ. 236, 237]. ვახუშტის ისტორიაში კი ბაგრატეულის გამოძახილს ვპოულობთ: „თურქთა წარიღეს სიმდიდრე მეფისა უზომო სამსახურებელნი ბაგრატოვანულნი“ [81, გვ. 154].

კონტექსტის მიხედვით და იმიტომაც, რომ ავტორის სტილისათვის საზოგადოდ მეტად დამახასიათებელია სინონიმების ხმარება, საანალიზო ადგილას ბაგრატეულიც ჭურჭლის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი სიტყვის შეცვლილ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი

ვარაუდით, ავტორისეულ ტექსტში აქ უნდა გვქონოდა ქართულ ძეგლებში დადასტურებული კ რ ა ს ე უ ლ ი, კ ა რ ა ს ე უ ლ ი ან კ რ ა ს ო უ ლ ი.

ეს სიტყვა, როგორც საღვინის ან საზოგადოდ ჭურჭლის სახელი, ისევ დავითის დროინდელ ძეგლებში გვხვდება; მის მიერ შიომღვიმის ლავრისათვის მიცემულ ანდერძში ვკითხულობთ: „შჳდეულისა პარასკევსა თითო კ ა რ ა ს ე უ ლ ი მიეცეს, სეფისკუერსა და თესლსა თანა შესუან ყოველთა“. მეორეჯერ იმავე ანდერძში ნახსენებია: „თითო კ ა რ ა ს ე უ ლ ი ღჳნოჲ“ [54, გვ. 97, 98]. როგორც თანდართულ ფოტოზე ჩანს, სიტყვა ორივეჯერ დაუქარაგმებლად, სრულად არის დაწერილი.

კ რ ა ს ე უ ლ ი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (κρασοβόλιον). ქართულში მისი ხმარება დავითის მახლობელ ხანებში დადასტურებულია სხვა ძეგლებშიც. „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ გვხვდება კ რ ა ს ო ვ უ ლ ი: „ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა, ოთხი კ რ ა ს ო ვ უ ლ ი მიართუან“ [60, გვ. 44]. იგივე სიტყვა ნახსენებია გრიგოლ ბაკურიანიძის ტიპიკონში, რომელიც დაახლოებით 1083 წ. არის დაწერილი, ამ ძეგლში მას ოდნავ განსხვავებული ფორმა აქვს: „ოთხი კ რ ა ს ო ვ ო ლ ი სრულიად მიეცემოდის“, „ორ-ორი კ რ ა ს ო ვ ო ლ ი იწდიოს“ [28, გვ. 85]; „თჳთო კ რ ა ს ო უ ლ ს ა სუმიდენ“; „სუმიდენ ორ-ორსა კ რ ა ს ა უ ლ ს ა“ [გვ. 88].

თ. ჟორდანია დავითის ანდერძის რუსულ თარგმანში ამ სიტყვას ბერძნული ფორმითვე გადმოსცემს: по одному красоулу [91, გვ. 13]. ასევე იქცევა ა. შანიძეც: пьют по две красовули... и по одной красовуле [28, გვ. 300]. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბერძნული სიტყვა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ღვინის ჭურჭლის აღსანიშნავად ბიზანტიურ გარემოსთან დაკავშირებულ ქრისტიანულ სამყაროში; იგი გვხვდება სლავურშიც: красо(в)уля—монастырский кубок, кружка, чаша [53].

ამრიგად, კ რ ა ს ე უ ლ ი ან კ ა რ ა ს ე უ ლ ი, როგორც ჭურჭლის (აქედან: საწყაოს) სახელი, XI—XII სს. ქართულში რეალურად არსებობს. დავითის ისტორიკოსის ტექსტის ზემოთ დასახელებულ მონაკვეთში სწორედ ღვინის სხვადასხვა ჭურჭელია ჩამოთვლილი, ამიტომ კ ა რ ა ს ე უ ლ სიტყვა ტექსტში შინაარსის მიხედვით სრულიად გამართლებულია.

დასაშვებია თუ არა იმ ვარიანტების მიხედვით, რომლებიც ნუსხებში გვხვდება, წარმოვიდგინოთ ისტორიკოსის თხზულებაში სიტყვის თანდათანობითი ცვლილება? ამასთან უნდა გავიხსენოთ, რომ ნაწარმოების ტექსტში სხვადასხვა ნუსხებში ისეთი იკითხვისებიც არის, რომელთა ახსნა ფონეტიკურ ან გრაფიკულ ნიადაგზე ძნელად

ხერხდება. ცხადია, რომ Mm-ის იკითხვისები (გარატეულნი, გარტეულნი) უფრო ახლოა პირვანდელ ფორმასთან (კარასეული — გარასეული — გარატეული?), ხოლო CA-ს ბ ა გ რ ა ტ ე უ ლ ნ ი გაუგებარი დაწერილობის გააზრიანების შედეგია.

ზემოთქმულის შესაბამისად, ტექსტს ვასწორებთ ასე: **სამსხურებელნი** სამეფოთა ტაბლათანი, ოქროჲსა და ვეცხლისანი, **კარასეულნი**, სასუმურნი და სამწდეონი პატიოსანნი 5.

იამხანაგეს

თხზულების დასაწყისში მოთხრობილია გრიგოლ ბაკურიანისძის ჩასვლა გიორგი მეფესთან ბანას. მათი ერთად ყოფნა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით, ასეა აღწერილი: „მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანისძე... და დიდად გ ა ნ ი ხ ა რ ე ს და განისუენეს“ [ქც[2], გვ. 318]. ეს იკითხვისი მიჰყვება A-ს, რომელსაც უმნიშვნელო ვარიანტებით იმეორებენ RDT. განსხვავებულია MQm, სადაც გ ა ნ ი ხ ა რ ე ს სიტყვის სანაცვლოდ ასეთი იკითხვისია: დ ი ა დ ი ა ა მ ხ ა ნ ა გ ი. C-ში ტექსტის ეს ნაწილი ჭალაშვილის ხელითაა ნაწერი: დ ი დ ა დ ი ა მ ხ ა ნ ა გ ე ნ ე ს.

ა მ ხ ა ნ ა გ ი ახალი სპარსული სიტყვაა, რომელიც X—XI ს-შია შემოსული ქართულ ენაში [1, გვ. 280]. „ვისრამიანში“ ვკითხულობთ: „ა მ ხ ა ნ ა გ ი მისი შეპირვება იყო“. ცნობილია მისგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაც; „ამირანდარეჯანიანში“ ნათქვამია: „გ უ ე ა მ ხ ა ნ ა გ ა და მუნ მოვიდა შავი ჭაბუკი“. ა მ ხ ა ნ ა გ ი და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები არც თუ იშვიათია შემდეგაც. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: მეორე ლექსი კარგია ა მ ხ ა ნ ა გ თ ა სათრეველად 17; ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ დ ე ს, ლაღობდეს 80; ფრიდონ ლაღი ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ს 497; მაშასადამე, მოულოდნელი არ არის ამგვარი სიტყვის გამოყენება ისტორიკოსის თხზულებაშიც.

MQm ნუსხების დ ი ა დ ი ა ა მ ხ ა ნ ა გ ი ტექსტის დამახინჯებას წარმოადგენს. ყველაზე უფრო მისაღებია C-ს იკითხვისი, თუმცა ზმნის ფორმა მთლად გამართული არ არის. A-ში კი გაუგებარი თუ დამახინჯებული ადგილი შეცვლილია გ ა ნ ი ხ ა რ ე ს სიტყვით.

უნდა შეინიშნოს შემდეგიც: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერაჲ ჭალაშვილის ხელით ნაწერია ისტორიკოსის თხზულების მეტად მცირე ნაწილი, რომლის მიხედვით ძნელია ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელ ნუსხებს მისდევს იგი. მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს, რომ თხზულება უსათაუროა, როგორც A-ში; გარდა ამისა, ზოგიერთი იკითხვისიც ამ მცირე მონაკვეთში მისდევს არა ვახტანგისეულ რედაქციას, არამედ ძველი ნუსხებისას. (მასვე წელსა MQmc, შდრ. ხო-

ლო მასვე წელსა ARDT; იოტნეს MQmc შდრ. იოტნეს სპარსნი ARDT 1. მოსცა ღმერთმან MQmc +გიორგის ARDT მისცა... MQc+ და განიყარნეს ARDT 2. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ C-ს იკითხვისი საანალიზო მონაკვეთში არ არის გვიანდელი; მაშასადამე, ეს ადგილი უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: **დიდად იამხანაგეს** და განისუენეს 2.

იმერეთი?

თხზულების არსებულ გამოცემებში ერთგან ნახსენებია ი მ ე რ ე თ ი. ბროსეს გამოცემაში იგი B(1839 წ.) ნუსხას მისდევს. მის ხელთ მყოფ ნუსხებში (RT) გვაქვს ი მ ე რ ი თ ს. ასევეა MQm-ში, ხოლო CA-შია: ი მ ე რ ი თ. სიტყვა გვხვდება შემდეგ კონტექსტში: „მეფერა გარდავიდის აფხაზეთს, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა ი მ ე რ ე თ ს და შეკრბეს... და ხიმარჯუთ მოიპარეს სამშჳლდე“ [ქც^2,გვ. 331].

დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად თხზულებაში ყოველთვის ნახმარია ა ფ ხ ა ზ ე თ ი, რომელიც ტექსტში შვიდჯერ არის ნახსენები; მაგ., წარვიდა მეოტი აჭარით ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ 2; გარდავლო მთაჲ ლიხთაჲ და შთავიდა ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ 17; წარმოვლო მსწრაფლ ა ფ ხ ა ზ ე თ ი თ 52.

საანალიზო მონაკვეთში ნახსენებია მეფის აფხაზეთში გადასვლა, მომდევნო წინადადებაში კი, თუ გამომცემელთა კონიექტურას გავიზიარებთ, ისევ გეოგრაფიული სახელია (ოღონდ სხვა) ნახმარი.

სავარაუდოა, რომ აქ სხვა სიტყვა უნდა ყოფილიყო; ნუსხათა განსხვავებული იკითხვისების მიხედვით აქ შეიძლება აღვადგინოთ ი მ ი ე რ ‘იქეთ, იქეთკენ‘, რაც შინაარსეულად სრულიად გამართლებულია; ჯერ ნათქვამია, რომ თურქებს ნაკლები შიში ჰქონდათ მეფის დასავლეთში გადასვლისას, შემდეგ კი მოთხრობილია, თუ რა მოხდა მაშინ, როცა მეფე იქ წავიდა.

ი მ ი ე რ და მისი საპირისპირო მნიშვნელობის ა მ ი ე რ ზმნიზედები ძველ ქართულში ხშირად გვხვდება; ჯუარს-აცუეს და მის თანა ორნი სხუანი ი მ ი ე რ და ა მ ი ე რ, და შორის იესუ (ი. 19, 18 — როგორც ძველ, შატბერდულ ოთხთავებში, ისე მომდევნო რედაქციებში). მსგავსივე მაგალითი გვაქვს ოშკის ბიბლიაშიც: შიმონვარნი მისნი უვიდოდეს ა მ ი ე რ და ი მ ი ე რ მდინარის კიდესა მას [გამ. 2, 5]. ორიგინალურ ისტორიულ ძეგლებშიც მსგავსი ფორმები საკმაოდ ხშირია. დაუდგინნა ლაშქარნი ი მ ი ე რ და ა მ ი ე რ [ქც^2, გვ. 18, 4]: დაიბანაკეს ა მ ი ე რ და ი მ ი ე რ არაგუსა [ქც^2, გვ. 150].

ისტორიკოსის თხზულებაში გვხვდება მ ი ე რ: მ ი ე რ მოეყვა-ნა... დედოფალი 44, ალვიდის ხესა... და მ ი ე რ საცნაურ-ყვის ჭრტინვაჲ თჳსი 83; გარდავიდა მეფე გეგუთს და მ ი ე რ ხუფათს 50.

სავარაუდებელია, რომ დაქარაგმებული იმ̃რ დაამახინჯეს გვი-ანდელმა გადამწერებმა და ი მ ე რ ე თ, ი მ ე რ ე თ ს დაწერილობები ამ დამახინჯებების შედეგია.

ი მ ე რ-ა მ ე რ ი ისტორიული წყაროების მიხედვით მიმოხილული აქვს ნ. ბერძენიშვილს [2, გვ. 632—640]. საარქივო მასალებიდან ამო-ღებული შენიშვნები ყოველთვის ერთგვაროვანი ხასიათისა არ არის. დავითის ისტორიკოსის თხზულებასთან დაკავშირებით იგი წერს: „ვგონებ პირველად გვხვდება ტერმინი იმერეთი“ [3, გვ. 636]. ხოლო „ისტორიათა და აზმათა“ შესახებ მიუთითებს: „აფხაზეთშია გეგუ-თი და აჯამეთი და არა „იმერეთში“. ასეთი ტერმინი იმ დროს არ არსებობდა“ [გვ. 639]. შესაძლოა ი მ ე რ ე თ ი, როგორც წარმოქმნი-ლი ფუძე, ადრეული წარმოშობისაც იყოს, მაგრამ (რაც თვით ნ. ბერ-ძენიშვილსაც აქვს ნათქვამი) იგი უნდა ყოფილიყო არა კონკრეტული გეოგრაფიული ან პოლიტიკური ერთეულის სახელი, არამედ ზო-გადად იქაური, გადაღმა მხარის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული. ამას ადასტურებს ის მაგალითები XI—XII ს. ძეგლებში, სადაც ი მ ე რ (←იმიერ) და ა მ ე რ (←ამიერ) სიტყვები ზედსართავის მნიშ-ვნელობით გვხვდება; გიორგი მესამის სიგელში (1177 წ.) დასახე-ლებულნი არიან „ეპისკოპოსნი ი მ ე რ ნ ი და ა მ ე რ ნ ი“ [83, გვ.72]. ასეთივე მაგალითი შეიძლება დავიმოწმოთ „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან:“ ი მ ე რ ი თ ზღჳთ ვიდრე ა მ ე რ ა დ ზღუადმდე ექუსი მილიონი არს [59, გვ. 198].

იმერ- და **ამერ-** ფუძიდან წარმოქმნილი სახელები და-დასტურებულია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში: ყოველნი კავ-კასიისა ი მ ე რ ე ლ ნ ი და ა მ ე რ ე ლ ნ ი (როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, აქ იგულისხმებიან კავკასიის ქედის იქეთ და აქეთ მცხოვ-რებნი). [2, გვ. 639].

ამრიგად, ი მ ე რ ე თ ი დავითის ისტორიკოსის ტექსტში იმიტომ კი არ უნდა მივიჩნიოთ ზედმეტად, რომ ამ დროს შეუძლებელია მსგავ-სი წარმოქმნილი სახელის არსებობა (შდრ. ო ვ ს ე თ ი, ა ფ ხ ა ზ ე-თ ი, კ ლ ა რ ჯ ე თ ი, ს პ ა რ ს ე თ ი იმავე თხზულებაში), არამედ იმი-ტომ, რომ საანალიზო მონაკვეთში იგი შინაარსის მიხედვით საჭირო არ არის.

თხზულების ენის მორფოლოგიურ თავისებურებათა შესახებ

მოკლე ენობრივ მიმოხილვაში, რომელიც წინ უძღვის „ქარ-თლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემის პირველ ტომს, გრამატიკულ

თავისებურებებს სულ ერთი გვერდი აქვს დათმობილი. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი „უხვ მასალას იძლევა XI—XIII სს. ქართული ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენათა დასახასიათებლად“. და იქვე განაგრძობს: „პირველ რიგში უნდა ითქვას შემდეგი: **„ქართლის ცხოვრება“ არის საერო მწერლობის ძეგლი** (ხაზი გამომცემლისაა. **მ. შ.**). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უძველეს ნუსხებში (ACMm) ისეთი ენობრივი ფორმები გვხვდება, რომლებიც განასხვავებენ „ქართლის ცხოვრებას“ XI—XII სს. სასულიერო შინაარსის ძეგლებისაგან. „ქ. ც“. ძეგლებში უხვად არის შეჭრილი ახალი ქართული ენობრივი ფორმები“ [ქც², გვ. 046]. ახალი ქართულის დამახასიათებელ ნიშანთაგან დასახელებულია ორად-ორი: პირველი მათგანია ის, რომ „ხმოვანფუძიან სახელებში თითქმის არასოდეს არ იხმარება ბრუნვათა დაბოლოებებში **ა** (შემდეგ მოყვანილია რამდენიმე კონკრეტული მაგალითი **მ. შ.**). XVIII ს. გადამწერთ ხშირად აღდგენილი აქვთ **ა**“. მეორე ნიშნად მიჩნეულია სხვაობა რიცხვით სახელთა გადმოცემისას; ტექსტში დადასტურებულ ძველ და ახალ ფორმათაგან პირვანდელი ტექსტის კუთვნილებად ავტორს „ხალხური“ (ე. ი. გვიანდელი. **მ. შ.**) ფორმები მიაჩნია: თორმეტთა, მეთოთხმეტესა და სხვ. ავტორი განაგრძობს: „ახალი, სალაპარაკო ენიდან შემოსული ფორმები, რასაკვირველია, იმას არ მოასწავებს, რომ ენა უკვე გამოვიდა ძველი ქართულის ფარგლებიდან. „ქართლის ცხოვრების“ ენა ჯერ კიდევ ძველი ქართულია, იგი მხოლოდ იწყებს საშუალი ქართულის ნიშნების ათვისებას. ჯერ კიდევ საკმაოდ გვხვდება ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ძველი ქართულის დამახასიათებელია“. ასეთების მაგალითად მას მიაჩნია: 1. ატრაქცია, 2. უფროობითი ხარისხის წარმოება არსებით სახელთაგან (მაგ. უგმირე). 3. ნათესაობითი ბრუნვის ხმარება დროის ზმნისართის გამოსახატავად.

ჩვენ ამჯერად არ მიგვაჩნია საჭიროდ საგანგებო მსჯელობა ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულებები საერო მწერლობის ძეგლებს წარმოადგენს; ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია და მის შესახებ ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და სხვათა ნაშრომებში ბევრი საგულისხმო დებულება არის წარმოდგენილი. ძნელია აგრეთვე მკვლევრის მიერ ამ ნაწარმოებში ახალი ქართულისად მიჩნეულ მორფოლოგიურ ფორმათა არსებობის ახსნა მისი დებულების საფუძველზე. უნდა გავითვალისწინოთ დღეისათვის კარგად ცნობილი ფაქტები: ერთი მხრივ, ახალი ქართულის მრავალი ელემენტი, შენიშნული სასულიერო მწერლობის ძეგლებში ძალიან ადრე, XI საუკუნისათვის მათში მრავლად ჩნდება; მეორე მხრივ, XI—XII საუკუნეთა საერო მწერ-

ლობის ძეგლებში — „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“ ძველი ქართულის მრავალი ფორმა არის შენარჩუნებული. სწორედ ამიტომ ა. შანიძე XI ს. ყველა ძეგლისათვის საერთო სურათს ახასიათებს, როდესაც ამბობს: „XI ს. ძეგლებიც ძველი ქართული ენით არის დაწერილი, მაგრამ მათ საკმაოდ მოეპოვება ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენები, რომლებიც მათ ენას საშუალ ქართულთან ანათესავებს. ამიტომ XI ს. ენა გარდამავალი საფეხურის ენაა, რომელშიც სჭარბობს ძველი და რომელსაც საშუალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც მოეპოვება [30, გვ. 9]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ქართლის ცხოვრებაში“, სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ თხზულებათაგან შედგენილ კრებულში, თითოეულ ნაწარმოებში (ვგულისხმობთ ძველი ციკლის ნაწილს) მოსალოდნელია და კიდევაც არის, ძველი ქართული სამწერლობო ენის ნორმებით შეპირობებული საერთო ენობრივი მაჩვენებლების გარდა, ისეთი ფორმებიც, რომლებიც მის ენას ამავე კრებულში შეტანილ სხვა ნაწარმოებთა ენისაგან საგრძნობლად განასხვავებს. ესენია თავისებური სიტყვაწარმოება, სინტაქსური კონსტრუქციები და სხვა, რომელთა ერთიანობა ამა თუ იმ ავტორის ინდივიდუალურ სტილს ქმნის. ამის შესაბამისად, დავითის ისტორიკოსის თხზულების ენაზე დაკვირვებისას ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინებინა ნაწარმოებში, ერთი მხრივ, ის ფორმებიც, რომლებიც შეესაბამება მისი დაწერისდროინდელ ენობრივ ნორმებს, და, მეორე მხრივ, ისიც, რაც ავტორის ენისათვის ჩანს სპეციფიკური; ამგვარი ანალიზის საფუძველზე შესაძლებლად მივიჩნიეთ ზოგიერთი ცალკეული ფორმისა თუ ტექსტის მონაკვეთის შესწორება.

1. ბრუნვათა ზოგიერთი ფორმა და ტექსტის იკითხვისები (სამალავთაჲთ)

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ს. ყაუხჩიშვილს ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვათა დაბოლოებებში ჲ-ს უხმარებლობა მიაჩნია ახალი ქართულის ფორმად; მართლაც, CAMm ნუსხებში, ჲ-ს ხმარების შემთხვევები თითქმის არსად არ გვხვდება, მაგრამ ყველა ეს ნუსხა მხედრულია, ხოლო მხედრულ წერაში სისტემურობა ჲ-ს გადმოცემაში არც არის სავარაუდებელი. CAMm ნუსხებში ჲ-ს უქონლობა იმის ნიშანი კი არ არის, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ახალი ენობრივი ფორმებია დადასტურებული, არამედ მხოლოდ მხედრულ ნუსხათა თავისებურებების მაჩვენებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, Q ერთად-ერთია ძველი ჯგუფის ნუსხათა შორის, რომელიც ნუსხურად არის ნაწერი. აქ, როგორც მო-

სალოდნელი იყო, გარკვევით შეიმჩნევა ტენდენცია ძველი ორთოგრაფიული ნორმების დაცვისა; დიფთონგური დაწერილობანი ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვაში ხშირად გვხვდება (გარდა ე ხმოვანფუძიანი სახელებისა): სპაჲ მისი 108v; ქრისტიანობაჲ, ლხინებაჲ 111r; ქუეყანაჲ 111r, 119r, 120r; გაწურთაჲ 113v; მტერობაჲ 113v; უსჯულოებაჲ და ცოდვაჲ 114v; კეთილწესიერებაჲ 115r; სხუაჲ 116v; თურქობაჲ, ვნებაჲ 117r; რიდობაჲ 117v; განწყობაჲ 121r; გზაჲ 122r; დაუნჯებაჲ 136r; სიტყუაჲ 136v; ცხორებაჲ 138v; მოქალაქობაჲ, ურვაჲ 139r; **ო** ხმოვანფუძიან სახელებთან: უსულოჲ 136v, მარტოჲ 138r და სხვა. დიფთონგური დაწერილობა აქა-იქ გვხვდება ნათესაობითარ სახელობითშიც.

ამავე დროს მსგავსსავე შემთხვევებში **ჲ** არ არის: ხარაჯა ითხოვა 93r; შეწევნა მეფობრივი 106r; წამი სასწორისა 105v; კიდევ მეტი; დიფთონგური დაწერილობა გვაქვს იქ, სადაც იგი სრულიად ზედმეტია: მეფესაჲ 92r; მოისრაჲ და განგრძელდაჲ 92v; შემოისმაჲ 104v და სხვ.

შეგვიძლია თუ არა Q-ს დაწერილობათა საფუძველზე ვივარაუდოთ და აღვადგინოთ ავტორისეულ ტექსტში დიფთონგური დაწერილობანი ყველა საჭირო შემთხვევაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ ის საზოგადო ვითარება, რაც XI—XII სს. ნუსხურად ნაწერ ძეგლებში გვაქვს (ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ „ქართლის ცხოვრების“ დედანი, საერთო აზრის მიხედვით, ნუსხური უნდა ყოფილიყო). შესადარებლად მრავალი მასალიდან შეიძლება ავიღოთ ის, რომელიც ქრონოლოგიურად და სხვა თვალსაზრისითაც ახლოს დგას დავითის ისტორიკოსის თხზულებასთან — დავითის ანდერძი შიომღვიმისადმი, რომლის ნუსხური დედნის ერთ ნაწილს დღეს ფოტოპირის მიხედვით ვიცნობთ [54].

ამ დოკუმენტში ანალოგიური შემთხვევები გვაქვს: ე ხმოვანფუძიანი სახელების ბოლოს დიფთონგური დაწერილობა არ არის: მემსგეფსე... წირვიდეს; საზედაშე... გვევლოგიონ.

ა და ო ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში დიფთონგები გვხვდება: გამოღებაჲ; ოცდაათი ლიტრაჲ ვეცხლი წმიდაჲ; მომეტებული ზროხაჲ; სხუაჲ ჭურჭელი; ღამის-თევაჲ და ლოცვაჲ; ღჳნოჲ; საჭიროჲ და სხვ. ნათესაობითარ სახელობითში: ხილი ფურნისაჲ, სიგელი შეუვალობისაჲ; სასეფოჲ; მონასტრისაჲ და მათთა მეცხოვრეთაჲ; ივარი სპარსთაჲ.

ამავე დროს ტექსტში გვხვდება დიფთონგური დაწერილობანი იქ, სადაც ნორმის მიხედვით მოსალოდნელი არ იყო: დაუდგაჲმს; შემსგავსებულაჲდ; სულიერსაჲ მამასა; სხუათაცაჲ ჰქონებოდა და სხვ.

დავითის ანღერძის ორთოგრაფია კარგად ასახავს იმ ვითარებას, რომელიც XI ს. ბოლოსათვის ჩანს ნუსხურით ნაწერ ძეგლებში: ძველი მწიგნობრული ნორმები ჯერ კიდევ ძალაშია, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში დიფთონგების მოშლის გამო მათ დაწერილობაში მერყეობა შეიმჩნევა (დიფთონგი ზოგჯერ არ არის დაწერილი იქ, სადაც უნდა ყოფილიყო და იწერება იქ, სადაც ნორმის მიხედვით დიფთონგი არ უნდა გვქონოდა). საერთო ვითარების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ დიფთონგების გადმოცემა დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ორთოგრაფიულ ნორმას წარმოადგენდა, რასაც ასახავს (თუნდაც ნაწილობრივ) Q ხელნაწერი. შესაბამისად, ყველგან, სადაც ენის ნორმების მიხედვით მოსალოდნელია დიფთონგური დაწერილობა, იგი თხზულებაში აღსადგენია, თუნდაც Q-ში იგი არ გვქონდეს. მართალია, ერთგვარი საშიშროება მორფოლოგიური ფორმების ხელოვნური „არქაიზაციისა“ ამგვარ პროცედურაში ჩანს, მაგრამ ტექსტი, გამართული ერთიანად ძველი ქართული ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით, მაინც უფრო ახლოს უნდა მივიჩნიოთ ავტორისეულ ტექსტთან, ვიდრე მისი ის სახე, რომელიც გვიანდელ ხელნაწერებში გვხვდება. ამას თხზულების ენის სხვა მონაცემებიც უჭერს მხარს.

გვიანდელ RDT ხელნაწერებში თხზულების ტექსტში აქა-იქ შეინიშნება დიფთონგურ დაწერილობათა ხმარება, განსაკუთრებით D-ში (დაუნჯებაჲ 136г; სიტყუაჲ 136v; მოქალაქობაჲ, ურვაჲ 139г უსულოჲ 136v; მარტოჲ 138г; ცოდვა მჴედრისაჲ 115v; ათაბაგი განძისაჲ და უმრავლესი კახთაჲ 115v). აღსანიშნავია, რომ T-ში, რომელიც ნუსხურად არის ნაწერი, მოსალოდნელ შემთხვევებში უმეტესად დიფთონგი არ გვხვდება; მისი მიმდგომი ქ˜ყნა 162г; აჰა ქყ˜ნა საქართველო 162v. დიფთონგურ დაწერილობათა ხმარება გვიანდელ ხელნაწერებში არ ნიშნავს მათთვის ძველი დედნების ქონებას; როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამას მათი ტექსტუალური ანალიზი ადასტურებს.

დიფთონგურ დაწერილობებთან დაკავშირებით შესაძლებელია ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ იკითხვისს, რომელსაც ერთი შეხედვით მათთან საერთო არაფერი აქვს. მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა ტექსტის ერთი მონაკვეთი, რომელშიც აღწერილია დავითის გამარჯვება ერწუხის ბრძოლაში. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში იგი ასე იკითხება: „ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ჴელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი, არამედ სანთლითა თჳთ მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი“ [ქც^2, გვ. 328].

მონაკვეთის პირველ ნაწილს, სადაც ხდება დაპირისპირება: ერთი — ათასთა, ორნი — ბევრნი, ბიბლიური პარალელი აქვს (იხ. ქვემოთ).

მეორე ნაწილში ს ა ნ თ ლ ი თ ა გაუმართლებელ იკითხვისს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთოა ყველა ამჟამად ცნობილი ნუსხისათვის: ტყე-ღრეში სანთლით სიარული ტყვეთა შესაპყრობად აშკარა უაზრობაა. მარი ბროსეს გამოცემაში იგივე სიტყვა დატოვებულია ყოველგვარი კომენტარის გარეშე [ქც[1], გვ. 242]. ფრანგულ თარგმანში კი ჩანს, რომ გამომცემელს წინადადებაში სუბიექტად მიუჩნევია ქრისტიანენი [ქც[1]: იგინი ყოველნი ქრისტიანენი]: et que chaque chrétien, armé d'une torche, les traînait captifs, du sein des forêts et des cavernes [94, გვ. 356]. ამრიგად, ს ა ნ თ ლ ი თ ა ნათარგმნია როგორც 'ჩირაღდნით აღჭურვილი, ჩირაღდნის მქონე' (ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე სიტყვის განსაზღვრებად), თუმცა იქვე შენიშვნაში მ. ბროსე მიუთითებს, რომ ს ა ნ თ ლ ი თ ა იკითხვისს იგი ამჯობინებდა შემდეგს: ს ა ბ ლ ი თ ა.

გ. პეჩის თარგმანში ს ა ნ თ ლ ი თ ა აგრეთვე გაგებულია როგორც სინათლის წყარო: durch ihre Laterne [96, გვ. 406] 'მათი ფარნებით'.

განსხვავებულად (და ჩვენი აზრით უფრო სწორად) გაუაზრებია თავის თარგმანში ეს სიტყვა მ. წერეთელს: sie holten sie aus ihren Versteken in den Wäldern und Gräben heraus [95, გვ. 52]. ამრიგად, მთარგმნელს ს ა ნ თ ლ ი თ ა გაუგია როგორც 'დასამალავი ადგილი, საფარი,' რომელიც ტყეში ჰქონიათ დამარცხებულებს. ვფიქრობთ, რომ ხელნაწერებში დადასტურებული ს ა ნ თ ლ ი თ ა ამ შინაარსის სიტყვის აღდგენის საშუალებას იძლევა ამგვარად: ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ თ.

ძველ ქართულში მოქმედებითი ბრუნვა (სავრცობის გარეშე), როგორც ცნობილია, ხშირად აღნიშნავს დაწყების, გამოსვლის პუნქტს; აღვმაღლდე ქ უ ე ყ ა ნ ი თ (ი. 12, 32), გამოვალნ ე ზ ო ჲ თ თ ჳ ს ი თ (ფს. 18, 6) და სხვ. მსგავსი მაგალითები თვით დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არის: წარვიდა მეოტი ა ჭ ა რ ი თ 5; ს ა ს დ უ ნ ი თ მეოტი... წარვიდა 60; ჴ რ მ ლ ი თ მ ი ს ი თ უკმომდინარითა სისხლითა 28. დავითის ანდერძშიც გვხვდება მსგავსი ფორმები, რომლებიც ხმოვანფუძიან ფუძეუკვეცელ სახელებთან შესაბამისად დიფთონგურ დაწერილობას გვიჩვენებს; ს ა ა მ ი დ ო ჲ თ. როდესაც სახელი **ნართანიან** მრავლობითშია, მოქმედებით ბრუნვაში **თა** დაბოლოებას უკვე ძველ ქართულშივე კვლავ ერთვის მხოლობითის ბრუნვის ნიშანი: კ ა ც თ ა ჲ თ, ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ჲ თ (ე. ი. კაცთაგან, ანგელოზთაგან). „ვეფხისტყაოსნის" ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერებში მსგავსი ფორმები უკვე დიფთონგური დაწერილობის გარეშე გვხვდება: თ უ ა ლ თ ა თ (ე. ი. თვალებიდან) ცრემლი გისეტყვია [30,

გვ. 40]. სავარაუდებელია, რომ ისტორიკოსის თხზულებაში სწორედ ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ თ გვქონდა, რაც შინაარსეულად სრულიად გამართლებულია: ლტოლვილები ტყე-ღრეებში იმალებოდნენ და იქიდან (ე. ი. სამალავებიდან) დავითის გამარჯვებულ მებრძოლებს გამოჰყავდათ ისინი. ს ა მ ა ლ ა ვ ი ისტორიკოსის ტექსტში სხვაგანაც გვხვდება: „შენ თუ გენებოს, ძლიერნი ჯეროვანი გამოგზავნე და თქუენთა ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ თ გამოსრულმან მნახე“ 58. ს ა მ ა ლ ა ვ ნ ი ტ ყ ე თ ა დ ა ღ რ ე თ ა ნ ი წარმოადგენს საზღვრულს ორი მსაზღვრელით, რომელიც მოქმედებით ბრუნვაში ასე წარმოგვიდგება: სამალავთაჲთ ტყეთა და ღრეთაჲთ. პირველი მსაზღვრელი შეიძლება არ იყოს შეთანხმებული ბრუნვაში საზღვრულთან, ძველი ქართულის კარგად ცნობილი წესის მიხედვით [6, გვ. 616], მაგრამ ხელნაწერთა იკითხვისები თითქო შესაძლებელს ხდის აქაც სრული შეთანხმებაც ვივარაუდოთ: ტ ყ ე თ ა თ იკითხება MQmRT-ში (A-ში შეცდომაა: ტყუეთა, C-ში კი ორმაგი ბრუნვის ნიშანი არა გვაქვს: ტყეთა).

ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ თ ტიპის ფორმები, როგორც ცნობილია, ორმაგი ბრუნვის ფორმათა თავისებური სახეა. საზოგადოდ, Q-ში (და ხანდახან D-შიც) დიფთონგური დაწერილობა სიტყვათა ბოლოს ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას უფრო არის დაცული, ვიდრე ორმაგი ბრუნებისას; უკანასკნელ შემთხვევაში ძველი ქართულის ნორმები უფრო ხშირად არის დარღვეული. დედანში საგულისხმებელია აქაც ნორმათა დაცვა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სხვაგანაც დიფთონგურ დაწერილობათა აღდგენა: კუალითგან ფ ე რ ჯ თ ა ჲ თ 12; აიყარა ვ ე ლ თ ა ჲ თ 59; არბია ლ ი ჟ ა თ ა ჲ თ ვიდრე ქურდევანადმდე 51; აღივსო მთით მტკურამდე და გ ა გ თ ა ჲ თ ბერდუჯამდე 52; უკანასკნელ ორ შემთხვევაში გეოგრაფიულ სახელებში ავტორს მრავლობითის ფორმა აქვს ნაგულისხმევი (ლიჟანი, გაგნი), თუმცა შესაძლოა ნამდვილად აქ მრავლობითთან არ გვქონდეს საქმე.

ერწუხის ბრძოლის ეპიზოდში, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი, ეჭვს იწვევს საანალიზო მონაკვეთის ბოლოც იმ სახით, როგორითაც იგი არსებულ გამოცემებშია. ამ ბრძოლაში, თვით ისტორიკოსის ცნობით, დავითის მოწინააღმდეგენი იყვნენ არა მარტო ქრისტიანენი, არამედ სულტნისა და განძის ათაბაგის ჯარები. ამიტომაც უფრო სწორი უნდა იყოს MQm-ის იკითხვისი: იგინი ყოველნი (შდრ. იგინი C). ძველი რედაქციის ნუსხათაგან ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ხ ი არის მხოლოდ A-ში, ხოლო RT (D-ს აქ ფურცლები აკლია) ორსავე იკითხვისს აერთებს: იგინი ყოველნი ქრისტიანენი (ასეა მ. ბროსეს გამოცემაშიც).

რას ნიშნავს თ ჳ თ მ ა თ ვ ე? გამოცემების ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ აქ იგულისხმება ისინი, ვისაც ტყვედ მოჰყავდა მტერი (თჳთ მათვე... მოჰყვანდეს), თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრო-

სეს სახელობით ბრუნვაში დასმული ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ნ ი მიუჩნევია სუბიექტად. სინამდვილეში ეს სიტყვები ჩასმულია საზღვრულსა (ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ თ) და პოსტპოზიციურ მსაზღვრელებს შუა, და საზღვრულის მნიშვნელობასვე აზუსტებს. ზოგიერთ ხელნაწერთა ჩვენება შემდეგია: მთითვე MQm, მათითავე C, მათივე A, მათვე R, მ~თვე T. ამ იკითხვისთა მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ მ ა თ ი თ ვ ე: MQm ნუსხების იკითხვისებში ჩანს დაქარაგმებული დაწერილობის (მ~თითვე) დამახინჯება. კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც მოქმედებით ბრუნვაშია, აღნიშნავს, რომ სამალავები მ ა თ ი, ე. ი. ლტოლვილებისა იყო.

ამრიგად, ერწუხის ბრძოლის ეპიზოდის ბოლო მონაკვეთი ასე შეიძლება გაიმართოს: არამედ **სამალავთაჲთ** თჳთ **მათითვე** ტყეთა და **მთხრებლთაჲთ** ტყუედ მოჰყვანდეს იგინი 27.

2. წარმოქმნის თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები ტექსტში

XI—XII საუკუნეთა ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებში, როგორც ცნობილია, სიტყვაწარმოებას ფართო გასაქანი ეძლევა. უფრო ადრეული პერიოდის ქართულში დადასტურებული სიტყვაწარმოების ცალკეული საშუალებანი ხმარების არეს იფართოებს; ასეთ მაგალითებს ვხვდებით უკვე ათონელების შემოქმედებაში. შემდგომ, როდესაც ელინოფილური ტენდენციები მძლავრდება, შესაბამისად მატულობს სიტყვაწარმოების გზით შექმნილი ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობაც. დავითის ისტორიკოსის თხზულებაშიც საკმაოდ ბევრია მსგავსი შემთხვევები.

წარმოქმნილ ფორმათა ერთი რიგი გვიანდელ ნუსხებში შეცვლილია და დამახინჯებული. ტექსტის დადგენისათვის აუცილებელია მათი შესწორება; მსჯელობა ზოგიერთი ასეთი ფორმის შესახებ მოცემულია ქვემოთ.

ისტორიკოსის თხზულებაში დავით მეფე რამდენჯერმე შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან; ერთ-ერთი ასეთი ადგილი „ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემაში ასე არის გადმოცემული: „ჩუენი ესე გჳრგჳნოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმჴნითა უმცირე. და თჳთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავალითა უმაღლეს მგონიეს ესე. და რაოდენ საწუთოთა და ჴორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგე-

ოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა ჴორციელ-თავე თანა მისთა პირველთა ყოველთა ჰმატდა“ [ქც², გვ. 338]. ამ მო-ნაკვეთის აზრი ნათელია — ეს არის ალექსანდრესა და დავითის და-პირისპირება და უკანასკნელის ყოველმხრივი უპირატესობის აღნიშ-ვნა —, მაგრამ ამ მონაკვეთის ზოგიერთი ნაწილი გაუმართავია. ეს ეხება სიტყვებს: „და მისგან და მის ჟამისათა“. აქ იგულისხმება ალე-ქსანდრე; იგი „საწუთოთა და ჴორციელთა შინა მისთა სწორთა... უმა-ღლეს და უზეშთაეს იყო“. მომდევნო სიტყვებში ავტორისათვის ჩვე-ული სინონიმური პარალელიზმი გვაქვს; აქაც იგულისხმება პირები, რომელთაც იგი, ე. ი. ალექსანდრე, სჯობდა. „მისგან და მის ჟამისათა“ სიტყვებში შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ბოლო ორი სიტყვა ავტორი-სეულ ტექსტს გადმოსცემს. ავტორის სტილისათვის საზოგადოდ უცხო არ არის ზედსართავების ხმარება სუბსტანტივის მნიშვნელობით. ამის მაგალითები ზემოთმოყვანილ მონაკვეთებშიც გვაქვს: „საწუთოთა და ჴორციელთა“ გულისხმობს ამ რიგის მოქმედებას თუ ზრახვას, სუბ-სტანტივის გამოტოვება აქ შემთხვევითი არ არის; ეს არის სტილისტუ-რი ხერხი, რომელიც ავტორს საშუალებას აძლევს ორივე დაპირის-პირებული პირის დახასიათება განაზოგადოს; დავითზეც ასევეა ნათ-ქვამი: „ეგეოდენ ეგე საღმრთოთა და ქრისტეს-მცნებათა შინა.. ჰმატდა“.

ტექსტში სხვა შემთხვევებიც შეიძლება ვნახოთ, სადაც საზღვრუ-ლი სუბსტანტივი გამოტოვებულია: ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა 92, რაც ნიშნავს: ‘ჯაბანთათვის დედაკაცის ტანსაცმლის ჩაცმით’. სხვა მაგალითია: არა კმა იყვნეს (იგულისხმება: სპანი ან კაცნი) სამეფოჲსა მისისანი 43.

ამრიგად, შეიძლებოდა დაგვეშვა ავტორისეულ ტექსტში მის-ჟამისათა სიტყვის არსებობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაურ-კვეველი რჩება წინამავალი მისგან; მივმართოთ ხელნაწერთა ჩვე-ნებას: „მისგან და მის ჟამისათა“ იკითხვისი გვხვდება ART-ში (D-ში ტექსტი ნაკლულია). სხვა ნუსხებში გვაქვს: მოჟამეთა C, მოჰამებთა MQ, მოჰამებათა m. ამ ვარიანტთაგან სწორედ C-სი უნდა მივიჩნიოთ სწორად; MQm-ში ჰ ნუსხური ჟ-ს ცუდად ამოკითხვის შედეგია. მო-ჟამე წარმოების ტიპის მიხედვით XI—XII ს. ძეგლების ენისათვის დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენს; ამ დროს ხშირია ნასახელარი ზმნებიდან მიმღეობათა წარმოება; შენიშნულია, რომ ზოგჯერ მიმღე-ობებს თემის ნიშნის უქონლობის გამო ისეთი ფორმა აქვთ, რომ შეი-ძლება ვივარაუდოთ მათი უშუალოდ სახელის ფუძიდან წარმოება [13, გვ. 119]. ამ ეპოქაში გამორიცხული არ არის აგრეთვე ხელო-ბის სახელების **მე-ე** და მიმღეობის **მო-ე** მაწარმოებელთა არადიფე-რენცირებული ხმარება.

დავითის ისტორიკოსის ტექსტში მსგავსი მაგალითები შემდეგია: მოლაშქრე: მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს 42; მოსაკარგვე: განათავისუფლნა ...ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირებელთაგან 82. მომჯელოვნებელი: ლომსა მომჯელოვნებელსა [მოჯელოვნებულსა ქც^2, გვ. 339] არა სცონოდა 52; უკანასკნელ მიმღეობაში სხვა მაგალითთაგან განსხვავებით თემის ნიშანი ებ აშკარად ჩანს; გარდა ამისა, ტექსტში მოიპოვება შესაბამისი პირიანი ფორმაც: მეფემან მ ო ი ჯ ე ლ ო ვ ნ ა ესრეთ 39.

C ნუსხაში რეალურად დადასტურებული მ ო ჟ ა მ ე უნდა მივიჩნიოთ ავტორისეულ ფორმად. უკვე თხზულების დაწერის წინარე ხანებში ქართულში დადასტურებულია ჟამ ფუძიდან ნაწარმოები ნასახელარი ზმნის პირიანი ფორმა: ეფთვიმი მთაწმიდლის ერთ-ერთ თარგმანში (გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიაში „მაკაბელთათჳს“) ვკითხულობთ: თ ა ნ ა მ ე ჟ ა მ ე ო ბ ე ნ, რაც ნიშნავს ‘ჩვენი თანამედროვე არიან’. იმავე თხზულების ეფრემ მცირისეულ თარგმანში იგივე ადგილი ასე არის გადმოცემული: ხოლო მ ო ჰ ა ს ა კ ე ჩუენდა (A—109, 222r). მ ო ჰ ა ს ა კ ე სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება: მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში (ხელნაწერი 1031 წ.) ვკითხულობთ: არაოდეს შეექცეოდა სახიობათა და ლაღობათა მ ო ჰ ა ს ა კ ე თ ა თანა [68, გვ. 60]. აქ მ ო ჰ ა ს ა კ ე ‘თანატოლს, ასაკით სწორს‘ ნიშნავს.

ამიტომ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ART-ს მცდარი იკითხვისი C ნუსხის მიხედვით უნდა შესწორდეს. ამავე დროს უნდა შეინიშნოს, რომ MQm-ის დამახინჯებულ ფორმებში, სადაც იგივე სიტყვა შეიძლება ამოვიკითხოთ, ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მრავლობითის ფორმას, რომელშიც ორმაგი მაჩვენებელი (ებ-იანი და **ნარ-თანიანი** მრავლობითისა) გვაქვს — მ ო[ჟ]ა მ ე ბ თ ა. მსგავსი წარმოება ქართული ძეგლებისათვის, მართალია, იშვიათია, მაგრამ მთლად უცხო არ არის: ყოველთაგან ს ო ფ ლ ე ბ თ ა შეკრიბნა [ფსალმ. 106, 2]; ასეა ყველა — ძველ და გიორგისეულ რედაქციებში.

საანალიზო მონაკვეთში ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, მთლად ნათელი არ არის, თუ ვის „ჰმატდა“ დავითი. მართალია, აქ დასაწყისში აშკარაა, რომ ავტორი მას ალექსანდრე მაკედონელს უდარებს, მაგრამ ბოლოში მოცემული იკითხვისი გაუგებრობას ქმნის: ეგეოდენ ესე (ე. ი. დავითი **მ. შ.**) პ ი რ ვ ე ლ თ ა ყოველთა ჰმატდა. ვინ არიან „პირველნი ყოველნი“, თუ კი შეპირისპირება ერთ პირთან — ალექსანდრესთან — ხდება? ხელნაწერებში ასეთი სურათია: ყველა ხელნაწერი იძლევა პ ი რ ვ ე ლ თ ა იკითხვისს (მათ შორის QT დაქარაგმებულ ფორმებს: პ͠ლთა). მეორე სიტყვა, ყ ო ვ ლ ი თ ა არ არის CMQm-ში; ეს არის ART-ის იკითხვისი (D-ს აქ ტექსტი აკლია). ვფიქ-

რობთ, რომ პ ი რ ვ ე ლ თ ა მცდარი იკითხვისია. აქ უნდა გვქონდეს პ ი რ ვ ე ლ ს ა, რომელიც ზემოთ ხსენებულ ალექსანდრეს გულისხმობს; მრავლობითი რიცხვის ხმარება, ალბათ, წინამავალი სიტყვებით არის გამოწვეული (შესაძლოა იმიტომ, რომ პ ი რ ვ ე ლ თ ა გააზრებული იყო ჴ ო რ ც ი ე ლ თ ა სიტყვის პოსტპოზიციურ მსაზღვრელად). რაც შეეხება ყ ო ვ ე ლ თ ა სიტყვას, იგი შეიძლებოდა გაგვესწორებინა ასე; ყ ო ვ ლ ი თ ა (ყ ო ვ ლ ი თ ა ჰმატდა). მაგრამ უფრო სავარაუდებელია, რომ იგი A-ში ზედმეტად არის ჩასმული წინამავალი (მ ი ს ჟ ა მ ი ს ა თ ა ყ ო ვ ე ლ თ ა) სიტყვების ანალოგიით; შინაარსეულად იგი აუცილებელი არ არის, რადგან დაპირისპირება სრულია: როგორც ალექსანდრე სჯობდა თავის სწორებსა და თანამედროვეებს ჴორციელი მოქმედებით, ისე დავითი, საღმრთო (აგრეთვე ხორციელ) საქმეთა მოქმედი, „პირველსა ჰმატდა“.

შესაბამისად, საანალიზო მონაკვეთის ბოლო ასეა ჩვენ მიერ შესწორებული: და რაოდენ საწუთოთა და ჴორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და **მოყამეთა** ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს-მცნებათა შინა, ჴორციელთავე თანა მისთა, **პირველსა** ჰმატდა 49.

მო-ე, მე-ე მაწარმოებელთა საშუალებით წარმოქმნილ სახელებთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ ადგილს;

ანელმა თავადებმა მოციქულები აახლეს დავითს და ამცნეს „მოცემაჲ ქალაქისაჲ“, ამ პირებს „ქართლის ცხოვრების“ ორსავე გამოცემაში მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ნ ი ეწოდება. ეს ფორმა იმეორებს ARDT ნუსხათა ჩვენებას. იგივეა B ნუსხაშიც, რომელიც გამოყენებულია მ. ბროსეს გამოცემაში. ქც^2-ის ვარიანტებში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ სხვა გვიანდელ ნუსხებშიც იგივე იკითხება. ამავე დროს CMQm ნუსხებში გვაქვს სხვა, ჩვენი აზრით, მოცემული ადგილისათვის უფრო შესაფერისი იკითხვისი: მ ე წ ი გ ნ ე ნ ი. ეს სიტყვა, რომელიც ფორმით ხელობის სახელს წარმოადგენს, დადასტურებულია ‘შუამავლის, მოციქულის‘ მნიშვნელობით „დიდ სჯულისკანონში“. ეს თხზულება, არსენ იყალთოელის თარგმნილი, იმავე ეპოქის ძეგლია, რომელსაც ისტორიკოსის თხზულება ეკუთვნის. ერთ-ერთ თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი თვითონ კი არ უნდა ეახლნენ მეფეს რაიმე საქმის გამო, არამედ თავისი საჭიროება „მ ე წ ი გ ნ ი ს ა მიერ დიდისა ეკლესიაჲსა ანუ პატრიარქისა მათისა მოციქულისა მიერ“ უნდა ამცნონ. გარკვეულია, რომ ბერძნულ ტექსტში მ ე წ ი გ ნ ე ს შეესაბამება **‘ρεφερενδάριος**, რომლის მნიშვნელობაა ‘წერილობითი ბრძანების დამტარებელი’ [14, გვ. 74]. მაშასადამე, საანალიზო მონაკვეთში მ ე წ ი გ ნ ე უფრო შესაფერისია მოცემულ კონტექსტში, ვიდრე მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი: უნდა შეინიშნოს,

რომ ივ. ჯავახიშვილს დავით აღმაშენებელზე თხრობის დროს სწორედ მეწიგნენი აქვს დამოწმებული მარიამ დედოფლისეული ქ˜ცბის გამოცემის მიხედვით [42, გვ. 207].

თხზულების ენისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ფუძეთაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელთა სიმრავლე: ისინი უმეტესად — **ობა** სუფიქსით არის წარმოქმნილი: ცნეს მეოტობაჲ გიორგისი 5; აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულობისა 30; ჰმატს... მოქმნულობისა შეუსწორებელობითა 30; სულიერითა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობაჲ 32. ყოველი თურქობაჲ 37; შექმნათ... რიდობაჲ 39; მზაობაჲ... უბრძანა 39; საქებელ განსწავლულობითა 90. ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსუმურობითა 92; არცა მშვლდი თავს-იდებსო მარადის გარდაცუმულობასა და არცა ძალი ორღანოჲსაჲ მარადის განსხირპულობასა 91.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ავტორი აბსტრაქტულ სახელებს ხშირად მიმღეობათაგანაც აწარმოებს. ამის საფუძველზე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ადგილს, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ორსავე გამოცემაში ასეა წარმოდგენილი: რათა არარა ევნოს სოფლისა ამის მღელვარისა ზღვსაგან [ქც[1], გვ. 261; ქც[2], გვ. 361].

ამის მღელვარისა ზღუისაგან დადასტურებულია A-ში (მას მისდევს RDT, აგრეთვე სხვა გვიანდელი ნუსხებიც). მაგრამ CMQm-ში საანალიზო მონაკვეთი გადმოცემულია ასე: რათა არარაჲ (—QRDT) ივნოს (ევნოს CARDT) სოფლისა მის ზღჳსა (ზღუასა C) მრავალ-მღელვარობისაგან. ამ იკითხვისში გვხვდება ავტორის ენისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული სახელი, რომელიც წარმოქმნილია რთული ფუძიდან: მრავალ-მღელვარე. სხვადასხვა სახის რთული ფორმები (კომპოზიტები, შერწყმული სახელები), რომ აღარაფერი ვთქვათ რთულ ზმნებსა და აღწერილობით ფორმებზე, საკმაოდ ხშირია თხზულების ენაში. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მარტივ სახითა, მრავალ-სახე მართებითა 97; მოძღუარ-საგონებელნი ეგე თქუენნი 90; ნათესავი ქართველთაჲ ორგულ-ბუნება არს 94; პატივის-პყრობანი მონაზონთანი 84; ღმრთის-სახისა კაცთმოყუარეობისა თჳსისა 34; ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან 21; ღმრთივ-მოვლინებულნი გუემანი 13 და სხვ. შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე რთული ფუძიდან აბსტრაქტული სახელის წარმოქმნის მაგალითებიც: იყო ორკერძოვე ძლევისმოყუარებაჲ ოდენ 89; წარმოთქუნა... ძლევა-შემოსილობანი 57.

ზემოთქმული გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ A-ს (და მის მიმდევნო ნუსხათა) იკითხვისი საანალიზო მონაკვეთში ტექსტს შერყვნილი სახით წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენს გამოცემაში იგი CMQm ნუსხათა კვალობაზე გამართული: არარაჲ ივნის სოფლისა მის ზღჳსა მრავალმღელვარობისაგან 98.

ძლევა-შემოსილობა, რომელიც ზემოთ არის დამოწმებული, ზოგიერთ ნუსხაში გვხვდება ალექსანდრე მაკედონელის ხსენებისას: ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმჴნენი და ძლევა-შემოსილობანი ARDT, შდრ. ...მჴნე-კაცებანი და ძლევანი CMQm. გამოცემებში ტექსტის ეს მონაკვეთი ისევე იკითხება, როგორც ARDT-ში. სავარაუდოა, რომ ARDT-ში სამივე სიტყვა ავტორისეული არ არის, რადგან ორი მათგანი ერთი და იმავე ფუძის შემცველია (მძლეობანი, ძლევა-შემოსილობანი) და შინაარსით თითქმის სინონიმური. მოსალოდნელია, რომ გადამწერთათვის ნაკლებად გასაგები ძლევა-შემოსილობა შეცვლილი ყოფილიყო უფრო მარტივი აღნაგობის სიტყვით, მაგრამ ზოგ ნუსხაში, ჩანს, ორივე დარჩა: ავტორისეულიცა და გადანასწორებიც. სიმჴნე თხზულების ენისათვის უცხო სიტყვა არ არის. იგი რამდენჯერმე გვხვდება: სიმჴნე წყობათა შინა 44; გამოცდილნი სიმჴნითა 48; არცა სიმჴნითა უმცირე 49. მიუხედავად ამისა, საანალიზო მონაკვეთში იგი, საფიქრებელია, რომელიღაც გადამწერს შეუტანია; ამით მას შეუცვლია ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი შერწყმული სიტყვა მჴნე-კაცებანი, რომელიც დამოწმებულია MQm-ში. ზემოთქმულის მიხედვით, სინამდვილესთან ახლო ჩანს შემდეგი იკითხვისი: ალექსანდრესნი წარმოთქუნა მჴნე-კაცებანი და ძლევა-შემოსილობანი 57.

ბრუნვის ფორმანტებით და თანდებულებით ნაწარმოებ სახელთა თავისებურების გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს აღვადგინოთ ზოგიერთი სიტყვის მართებული წაკითხვა.

ორივე გამოცემებში დადასტურებულია დღითი-დღე შემდეგ კონტექსტში: კუალად დღითი-დღე წარსაგებელთა, რომელთა მისცემდა [ქც², გვ. 353]. ასეთი იკითხვისი საერთოა ყველა ნუსხისათვის, გარდა C-სი, რომელშიც დღითი-დღეთა გვაქვს.

ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია ასეთი ფორმები: წყალობაჲ მისი ნათესავითი ნათესავად (ლ. 1,50); სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად (მ. 23, 34). პური ჩუენი თანაარსობისაჲ მომეც ჩუენ დღითი დღედ (ლ. 11,3). ეს სპეციფიკური სიტყვათშეხამება კარგად არის ცნობილი; მისი პირველი წევრის მორფოლოგიური ფორმის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს [31, გვ. 310, 6, გვ. 218]. მეორე კი სავსებით ნათელია: სახელი დასმულია ვითარებითი ბრუნვა-

ში, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი კი ზოგჯერ დაკარგულია: ასწავებდა დღითი დღე (დღჱთი დღედ DE) ტაძარსა შინა (ლ. 19, 47 C).

ამრიგად, დღითი დღე დავითის ისტორიკოსის თხზულებაში თითქო ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ სხვა ვითარება უნდა გვქონდეს. დღითი-დღე წინ უძღვის წარსაგებელთა სიტყვას; შესაბამისად აქ სავარაუდებელია მისი მსაზღვრელის ფუნქციით ხმარება, მით უმეტეს, რომ პრეპოზიციური მსაზღვრელი (უმეტესად ატრიბუტული) თხზულებისათვის უცხო არ არის და პოსტპოზიციის გვერდზეც გვხვდება: იწყო მათვე მამულ-პაპურთა უგზოთა კუალთა სლვაჲ 15; იხილა რაჲ მშჳდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან 16; ქმნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევაჲ 21. რადგანაც წარსაგებელთა მრავლობით რიცხვშია, მისი მსაზღვრელიც ასევე მრავლობითში უნდა იყოს; საგულისხმოა ამ მხრივ C-ს დღითი-დღეთა. მაგრამ დღითი-დღე ფორმას თავისთავად ზედსართავის მნიშვნელობა არა აქვს, ამოსავალად ისტორიკოსის ტექსტში უნდა ვივარაუდოთ ფორმა, რომელშიც ვითარებითი ბრუნვის ნიშნით მაწარმოებელი ფორმანტის მნიშვნელობა აქვს: დღითი-დღედი 'ყოველდღიური'. იდენტური წარმოების მაგალითი ოთხთავის ძველ რედაქციებში ორჯერ გვხვდება: შემდგომად დღითი-დღედისა მის მსახურებისა აბიაჲსა (ლ. 1,5); წესსა მას დღითი-დღედისა მისისასა (ლ. 1,5); (გვიანდელ რედაქციებში — ეფთჳმესა და გიორგისეულში — პირველ შემთხვევაში დღითი-დღედ გვხვდება, მეორე კი ძველი რედაქციებისნაირ ფორმას გვიჩვენებს: წესსა მას დღითი-დღედისასა, წესსა მას დღითი-დღედისა მისისასა). მაგალითები შეიძლება უფრო გვიანდელი ძეგლებიდანაც დავიმოწმოთ: დღითი-დღედთა მსხუერპლთა, რომელთა შესწირვიდეს 64, [II, გვ. 194]. იქმნებოდეს ქურივნი მათნი დღითი-დღედსა შინა მსახურებასა [62, გვ. 379]. ამრიგად, დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტშიც შეიძლება აღვადგინოთ დღითი-დღე[დ]თა (რასაც C-ს ჩვენებაც ნაწილობრივ უჭერს მხარს) და საანალიზო ადგილი ასე წავიკითხოთ: **დღითი-დღედთა** წარსაგებელთა, რომელთა მისცემდა 81.

თანდებულები სიტყვამაწარმოებელი ფორმანტის ფუნქციით ისტორიკოსის თხზულებაში საკმაოდ ხშირია. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ **-გან:** კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა 91; დიდთა ანუ მცირეთაგანი 86; არცა ერთისა კეთილთაგანისა შემაშთობელ 97; რომელთაგანი მოძღუარსა თჳსსა იოანეს მისცა 81; ვინ მიიღო... ერთიცა სათნოებათაგანი 97;

წელიწადნი მისნი შობითგანნი 101; გაგზავნა მონათაგან-ნი 73.

ამის საფუძველზე შეიძლება ყურადღება მიექცეს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ასე იკითხება: ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა [ქც[2], გვ. 351]. ეს იკითხვისი ემყარება A-ს; სხვა ნუსხებში ეს ადგილი ასეა წარმოდგე-ნილი: ძუელთა და (ანუ C) ახალთა მეფეთაგანი (— გან m, — განნა D) ემსგავსა. მ. ბროსეს გამოცემაში ვკითხულობთ: ვერ-ვინ ძველ-თა და ახალთა მეფეთაგანი ემსგავსა [ქც[1], გვ. 255]. ზემოთ მოყვა-ნილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ მეფეთაგანი ავტორის ენი-სათვის ჩვეულებრივი წარმოქმნილი სახელია და სწორედ ამ სახით უნდა იქნეს წაკითხული შესაბამის ადგილას. მ. ბროსეს გამოცემაში (RTB ნუსხების მიხედვით) შენარჩუნებულია სწორი ამოსავალი ფორმა, რომელიც CMQ ნუსხებშია (სხვებთან ერთად), A-ში იკი-თხვისი კი ნუსხის გადამწერისათვის ჩვეულებრივი „გაუბრალოება“ არის. ამრიგად, უპირატესობა უნდა მივცეთ არა A-ს იკითხვისს, არა-მედ სხვა ნუსხებისას და საანალიზო მონაკვეთში მეფეთაგანი წავი-კითხოთ (როგორც მ. ბროსეს გამოცემაშია: ვერვინ ძუელთა ანუ ახალთა **მეფეთაგანი** ემსგავსა 76.

მიერ თანდებული თხზულებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება: ქა-დებული უსჯულოთათჳს ესაიაჲს მიერ 12; უწყოდიან... მის მიერ ქებაჲ სათნოებისაჲ 87; აღსანიშნავია ერთი თავისებურება: **მიერ** თანდებუ-ლი ხშირად არის ნახმარი მრავლობით რიცხვში ნათესაობით ბრუნ-ვაში დასმულ სახელთან იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლობითში შესაბამის კონსტრუქციაში მოქმედებითი ბრუნვა იყო მოსალოდ-ნელი: აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ 18; აღავსო სი-წმიდეთა მიერ 30; მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ 20; თანდებული შეიძლება მსაზღვრულ-საზღვ-რულს შორისაც იყოს ჩასმული: მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო 90; თჳთო ფერთა მიერ შესაწირავთა განა-მდიდრნა 80. მოქმედებით ბრუნვას ნართანიან მრავლობითში, რო-გორც ცნობილია, მოქმედების არე ძალზე შეზღუდული აქვს; ამი-ტომ არის, რომ ავტორი აქ ზემოთდასახელებულ კონსტრუქციას (ნათ. ბრ. + **მიერ**) იყენებს საჭირო შემთხვევაში ამავე ფუნქციით, მით უმე-ტეს, რომ **მიერ** თანდებულის ხმარება კლასიკური ძველი ქართუ-ლის ბოლო პერიოდის ენაში მატულობს ელინოფილური სკოლის გავლენით.

მიერ თანდებული, როგორც მაწარმოებელი, ძველი ქართულის უძველეს ძეგლებშია ცნობილი; ხანმეტ მრავალთავში ასეთი მაგა-ლითი გვხვდება: მოსესმიერთა მათ წიგნთაცა კითხვად მოს-

წრაფე იყო [88, გვ. 129]. შეიძლება დავიმოწმოთ სინური მრავალთავიც: ღმრთისამიერი ბრძანება არს [74, გვ. 105, 34]. მიერ თანდებული, როგორც საზოგადოდ სხვა თანდებულები, სადერივაციო აფიქსის მნიშვნელობით აგრეთვე ხშირად გამოიყენება XI—XII ს. მწერალთა ენაში. ზოგიერთი მაგალითი თვით დავითის ისტორიკოსის თხზულებაშიც გვხვდება; მოსეს ღმრთისამიერნი გუაუწყებენ თხრობანი... 78.

მიერ თანდებულთან დაკავშირებით განსახილავია ისტორიკოსის თხზულების ერთი მონაკვეთი: ხედვიდა რა დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა და შეწევნათა. ასე იკითხება ეს ადგილი ორსავე გამოცემაში. [ქც^{1}, გვ. 246, ქც^{2}, გვ. 335]. ღმრთისა მიერ სულ არ არის CMQm-ში. მიერ-ის ნაცვლად ARDT-ში მიმართ იკითხება. მიერ, რა თქმა უნდა, შინაარსეულად უფრო სწორია, ვიდრე მიმართ (მწყალობელი ღმერთია და წყალობაც მის მიერ არის მოცემული), მაგრამ გამოცემებში დადასტურებული სახით იკითხვისი ენობრივად გამართული არ არის. (მიერ და მიმართ ნუსხებში სხვაგანაც არის აღრეული: სულიერთა სათნოებათა მიმართ (მიერ ARD, მ̃რ T) მიხედვად 67. ღმრთისა მიმართ ARDT-ში გვავარაუდებინებს მ̃რთ დაქარაგმებულ დაწერილობას, რომლის გახსნით მიღებული ღმრთისამიერთა სრულიად გამართულია როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. ღმრთისამიერი არის ‘ღმრთის მიერ ნაბოძები, ღმრთისაგან მინიჭებული‘ და მოცემულ ადგილას სწორედ ეს იგულისხმება. მაშასადამე, საანალიზო მონაკვეთი ასეთ სახეს მიიღებს: ხედვიდა რაჲ დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისამიერთა წყალობითა 42.

დაახლოებით ასეთი ვითარება გვაქვს ამ მონაკვეთში: სულიერთა საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწუთეს [ქც^{2},გვ. 352]. მისთა CARDT-ს იკითხვისია, ხოლო MQm-ს მიხედვით, აქ მიერ მისთა იკითხება. ამ უკანასკნელის მიხედვით, შესაძლოა აღვადგინოთ ტექსტი ასე: საქმეთა მისმიერთა 78.

8. ზმნური ფორმები ნუსხებსა და გამოცემებში

გადამწერთა მიერ დროთა განმავლობაში თხზულების ავტორისეულ ტექსტში შეტანილი ნებსითი თუ უნებლიე ცვლილებები ზმნურ ფორმებსაც შეეხო. ეს ცვლილებები სხვადასხვა ხასიათისაა: აღრეულია პირის ნიშნები, შეცვლილია და არასწორად გადმოცემული მწკრივთა ფორმები, მცდარად არის შენაცვლებული ერთმანეთს სხვადასხვა გვარის ზმნები და სხვ. ასეთი ცვლილებების შედეგად ზოგჯერ ვიღებთ ქართულში საზოგადოდ არარსებულ ფორმებს;

ამგვარი ვითარება მარტო ნუსხებში არ არის; დამახინჯებული იკითხვისები გამოცემებშიც გვხვდება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტის აზრსაც აბუნდოვანებს.

მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ერთი ნაწილი გვიანდელი (და სწორი) ფორმებისა, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელდა საშუალ და ახალ ქართულში, XI ს-ში, ე. ი. თხზულების დაწერის დროისათვის, უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ქართულ ენაში. ასეთების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ ზმნისწინთა (აღ-, გან-, წარ- და სხვ). გამარტივება, რომლის მაგალითები XI საუკუნის ძეგლებში ხშირია. ავტორისეულ დაწერილობათა აღდგენა ზედამიწევნითი სიზუსტით ასეთ შემთხვევებში, ალბათ, თითქმის შეუძლებელია, რაკი თხზულების ადრეული ნუსხები არ მოგვეპოვება; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი საზოგადოდ უმეტეს შემთხვევაში ძველ მორფოლოგიურ ნორმებს იყენებს (რაც ხელნაწერთა ჩვენებიდანაც ჩანს), საყოყმანო შემთხვევებში ავტორისეულად ჩვეულებრივ უფრო ძველი უნდა ვივარაუდოთ (კერძოდ, ზმნისწინებისათვის ნუსხათა უმეტესობა უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ძველ ფორმებს გვიჩვენებს). რაც შეეხება მცდარ ფორმებს, ისინი, რა თქმა უნდა, გასწორებას მოითხოვს.

უნდა შეინიშნოს, რომ პირიან ზმნათა უმეტესობა თხზულებაში მესამე სუბიექტურ პირშია; ეს იმით არის გამოწვეული, რომ ნაწარმოებში იშვიათია პერსონაჟთა პირდაპირი მეტყველება და დიალოგები. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში პირიანი ფორმების უმეტესობაც ამგვარია.

პირის ნიშანთაგან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მესამე პირის ობიექტის ნიშნის ხმარება.

თხზულების გამოცემულ ტექსტში ხშირად გამოტოვებულია პირის ნიშანი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ნუსხაში სწორი ჩვენებაა დადასტურებული:

ფილოსოფოსმან ვინმე რ ქ უ ა (·A, შდრ. ჰ[რ]ქუა C, ჰრქუა Rm [ქც², გვ. 335]; გოლიათებრ მ ი მ ა რ თ ე ბ დ ა (მიჰმართებდა CAMQm RT, D-ს აკლია ქც² 329]; მ ა რ თ ე ბ დ ა (AMmRT, შდრ.: ჰმართებდა C) და განაგებდა [ქც², გვ. 337]; სწყალობდის და ნ ა ტ რ ი დ ი ს (A. შდრ. ჰნატრიდის CMQmRT, D-ს აკლია ტექსტი;) [ქც², გვ. 331]; სრულითა გულითა მ ს ა ხ უ რ ე ბ დ ა (A, შდრ.; ჰმსახურებდა CMQ mRT, D-ს აკლია) [ქც²,გვ. 329]. მესამე ობ. პირის ნიშანი, მოსალოდნელი აგრეთვე ზოგიერთ ორპირიან გარდამავალ ზმნაში, რომლებიც წარმოშობით სამპირიანი ჩანს, ზოგიერთ ნუსხაში სწორადაა წარმოდგენილი, გამოცემულ ტექსტში კი არ ჩანს: ძალი ზეგარდმო ფ ა რ ვ ი დ ა (A, შდრ.: ჰფარვიდა CMQmRDT;) [ქც², გვ. 341]; მე=

სამე ობ. პირის ნიშანია სავარაუდო აგრეთვე ისეთ ზმნაში, როგორიცაა ერთპირიანი ფორმები კრთომა ზმნისა: შდრ.: ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი (ლ. 1,41); იხილეს ჭაბუკი... და განჰკრთეს (მრ. 16,5; ეს ფორმები გვხვდება როგორც ძველ, შატბერდულ ოთხთავებში, ისე ეფთჳმისა და გიორგისეულ ნარედაქციევში). ისტორიკოსის თხზულებაში ვკითხულობთ: არცა კუერნაულად კრთების (A, შდრ.: ჰკრთების MQmRDT) [ქც^{2},გვ. 359]. ასეთივე მაგალითი სხვაც გვაქვს, ოღონდ საყურადღებოა ის, რომ ძველი ფორმა ვახტანგისეულ ხელნაწერებშია დადასტურებული: განკრთა (CA MQm, შდრ. განჰკრთა RDT) და აიყარა [ქც^{2}, გვ. 343]. საინტერესოა აგრეთვე ზმნური ფორმა, რომელსაც ბეჭდურ ტექსტში ასეთი სახე აქვს; სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე (D ქც^{2}, გვ. 350]. დანარჩენ ნუსხებში დავიწყდა იკითხება, რაც გვავარაუდებინებს, რომ აქ შესაძლებელია გვქონოდა ფორმა და[ჰ]ვიწყდა. ანალოგიური ფორმები გვხვდება „ვეფხის-ტყაოსანში“ (დაჰვიწყდა შიში მეფისა 1196; დაჰვიწყდეს რომე პატიჟნი სჭირდეს 1521. შდრ. აგრეთვე: რად დავვიწყდი 846; არღარა ვიცი, დამვიწყდეს 339).

პირისა და მწკრივის ფორმათა უსწორო ხმარება აგრეთვე საჭიროებს შესწორებას; დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს:

მეფესა გიორგის მოეჯსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარა ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა, არამედ... მისცა ნიჭად სუჯეთი... თჳთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად [ქც^{2}, გვ. 322]. ამ მონაკვეთში აღწერილია მეფე გიორგის მოქმედება და ყველა ზმნა მხოლობით რიცხვშია, ერთის გარდა: ზრუნვიდეს (ასევეა მ. ბროსეს გამოცემაში). შინაარსის შესაბამისად, აქ უნდა გვქონოდა მხოლობითის ფორმა: ზრუნვიდა, რომელიც დადასტურებულია CAD-ში. გამომცემელი იმეორებს MQmRT ნუსხათა მცდარ იკითხვისს.

ზრუნვიდა -ავ თემისნიშნიანი ზმნაა; ასეთებს, როგორც ცნობილია, უწყვეტელი ძველ ქართულში განსხვავებულად აქვთ ნაწარმოები; ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ (მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა ნუსხებში) ავტორისეულ ტექსტში ძველი ქართულის ფორმა არის ჩვეულებრივი: სრვიდა (სრვითა C) და დასცემდა წინა-დამთხუეულთა 28; საქმეთა ესრეთ ხედვიდა (ხედვითა T) 9 და სხვ.

ტექსტში გვხვდება ბრძანებითები, რომლებიც გამოცემებში არასწორად არის გადმოცემული: ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი პოვის... რამეთუ არა თუ ცუდად რადმე... იქმოდის; ნუ იყოფინ ესე.

წარვედ [ქც[2] ,გვ. 355]. ამ მონაკვეთში ნუ... ეძიებ ბრძანებითია (უკუთქმითი); მომდევნო ზმნაც ბრძანებითში უნდა იყოს, რადგან დაპირისპირება ნ უ — ა რ ა მ ე დ სწორედ ამას მოითხოვს: ორივე გამოცემის III პირის ფორმა (სცნობდა ქც[1], ცნობდა ქც[2]) უნდა შესწორდეს, რის საფუძველს Q იძლევა.: ს ც ნ ო ბ დ; ბრძანებითია სხვა ნუსხებშიც: სცნობდი CDT, ცნობდი R. არასწორი იკითხვისი ს ც ნ ო ბ დ ა არის მხოლოდ Mm-ში. საანალიზო მონაკვეთს ამთავრებს ავტორის პათეთიური შეძახილი, რომელთაგან პირველი III პირის ბრძანებითით არის გამოხატული ARDT-ში (CMQm-ში სულ არ არის სიტყვები: ნუ იყოფინ ესე); წ ა რ ვ ე დ იკითხვისშიც (რომელიც საერთოა ნუსხებსა და გამოცემებში) უნდა აღვადგინოთ III პ. ბრძანებითის ფორმა: წ ა რ ვ ე დ ი ნ 86.

ბრძანებითის ფორმა არასწორად არის გადმოცემული აგრეთვე შემდეგ ადგილას: ისმინეთ ესევითართა მათ პირველად ესე [ქც[2], გვ. 358]. რადგანაც აქ ავტორი მეორე პირს არ მიმართავს, ბრძანებითის ფორმა III პირისა უნდა აღვადგინოთ, როგორც ავტორისეული: ი ს მ ი ნ ე დ (C, შდრ. ისმინეთ ARDT ქც[1], ისმინენ MQm) 92.

ავტორი მოგვითხრობს, რომ დავითს სამეფო გვირგვინი დაადგა „თვით მამამან“ და განაგრძობს; „უჭეშმარიტესი ვთქუათ, თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით “ [ქც[2], გვ. 324]. ვ თ ქ უ ა თ ა გამოცემაში A-ს მისდევს, სხვა ნუსხებში კი იკითხება: ითქვინ Q, ითქვინ MmR, ითქუნ D (სიტყვა არ არის C-ში). ამ ნუსხათა ჩვენების მიხედვით უნდა აღვადგინოთ III პ. ბრძანებითი: ი თ ქ უ ნ. ამას ისიც უჭერს მხარს, რომ მსგავს შემთხვევებში ავტორი ვნებითი გვარის ფორმებს ხშირად იყენებს: ვითარცა აწ ი თ ქ უ ა ს 29; ვითარცა აწ ერთი ი თ ქ უ ა ს 39; ვითარცა ი თ ქ უ ა ს წაღმართ 46, ამრიგად, საანალიზო მონაკვეთი ასე უნდა აღდგეს: უჭეშმარიტესი ითქუნ 16.

დავითის მიერ შეშინებული სულტანი ძლევამოსილ მეფეს დიდ ძღვენს უგზავნიდა: არარას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ, თვთ სადა იყვის, იპოვის მშვდობა [ქც[2], გვ. 346]. ტექსტის ამ მონაკვეთში, სადაც აღწერილია სულტნის მოქმედება, ზედიზედ ნახმარია რამდენიმე ზმნა ხოლმეობითის სხვადასხვა ფორმით: წარმოავლენდის (I ხოლმ.), წარმოსცნის (II ხოლმ.), ეძიებნ (აწმყოს ხოლმ.). საანალიზო მონაკვეთში გასასწორებელია მ ი ხ ე დ ვ ი დ ე ს ზმნა, რადგან უწყვეტლის მრავლობითი ამ კონტექსტს არ უდგება. მიხედვიდეს (CAMQmRT) არის დამახინჯება სწორი მ ი ხ ე დ ვ ი დ ი ს (D) ფორმისა, რომელიც უწყვეტლის ხოლმეობითია. მ. ბროსეს გამოცემაში სწორედ ის უკანასკნელი იკითხვისი გვხვდება (როგორც ჩანს, B ნუსხის მიხედვით). საანალიზო მონაკვეთში საყურა-

დლებოა აგრეთვე იყვის და იპოვის ფორმები, რომლებიც შემდგომ არის განხილული.

ხოლმეობითების სიმრავლე თხზულებაში თვალშია საცემი; ამასთან, როგორც ხშირად ხდება ხოლმე XI ს. თხზულებებში, ერთად გვხვდება სხვადასხვა ხოლმეობითები; მაგალითად: თჳთ მივიდის (II ხოლმ.) და მოიხილნის (II ხოლმ.), მოიკთხნის (II ხოლმ.) და ამბორს-უყვის (II ხოლმ.),.. ჰფუფუნებდის (I ხოლმ.) მამებრ, სწყალობდის (I ხოლმ.), ჰნატრიდის (I ხოლმ.), განამჴნის (II ხოლმ.), მოთმინებისა მიმართ, მონახის (II ხოლმ.)... ცხედრები ...მისცის (II ხოლმ.), თითოეულსა ოქროჲ ...განაკრძალნის (II ხოლმ.), ზედამდგომელნი... განაგის (II ხოლმ.), ყოველი საქმე 34.

თხზულებაში გვხვდება ძველ ქართულში ცნობილი ხოლმეობითების ყველა ფორმა. აწმყოს ხოლმეობითის მაგალითებია: ისმენნ, გამოეძიებნ, ჰკითხავნ, თჳთ განჰმარტებნ 69.

უწყვეტლის ხოლმეობითი: პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან 7; ნადირობდიან, განისუენებდიან,, იხარებდიან... ვაჭრობდიან... არბევდიან 37; ზედაჲს-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა 65.

წყვეტილის ხოლმეობითი: მოვიდიან თურქნი 7; არა დაადის კითხვაჲ ვიდრე არა დაშურის... რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი აწაცვალნის 69.

განსაკუთრებით საინტერესოა იშვიათი მწკრივის — III ხოლმეობითის მაგალითები: რაოდენიცა ვის ფარულადექმნის ანუ ეთქჳს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა 85; ოდესმე ნახევარი წარაგის მისი და ოდესმე არავინ ეპოვნის და ეგრეთ სავსე მისცის დამარხვად 81; უკუეთუ ოდენ ეპოვის ესევითარი რაჲმე, და მიერ საცნაურ-ყვის ჭრტინვაჲ თჳსი 83.

ხოლმეობითების ფორმები ძალიან ხშირად არის დამახინჯებული ნუსხებში; ისმენნ (RT, ისმენენ CAMQm), გამოეძიებნ (DT, გამოეძიებდეწ MQm, გამოეძიებწ. A) 69; მოიქცის (ARDT, მოიქცეს MQm) 70; დადგიან (დადგან Q) ხარგებითა 36; სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის (მოაქუნდეს Q) 81; აქებდის (აქებდეს Mm) და ჰნატრიდის (ნატრიდეს Mm) 85 და სხვ.

ზემოთ დასახელებული მიხედვიდეს, რომელიც ერთი კაცის — სულტნის — მოქმედებას გადმოსცემს, ამგვარი დამახინჯების მაგალითია, რომელიც ნაბეჭდ ტექსტშიც არის გადმოსული. საგულისხმოა, რომ ზმნის სწორი ფორმა გვიანდელმა ნუსხამ (D) შემოგვინახა.

ნუსხების ჩვენებათა მიხედვით, შესაძლოა ხოლმეობითები აღვადგინოთ კიდევ ზოგიერთ შემთხვევაში:

ქუალად დღითი-დღე წარსაგებელთა რომელთა თჳსითა ჴელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღრაცხოს [ქც^{2}, გვ. 353]. ვარიანტებია: მისცემდის CMQ მისცემდა ARDT) და აღრაცხოს (აღრაცხნის Q, აღრიცხოს CRDT, აღირაცხოს A, აღრაცხოს Mm). დავითის მოქმედება უშუალოდ მომდევნო ტექსტში ასე არის გადმოცემული: ღლავსებდის (CMm, აღავსებდეს Q, აღავსის ARDT, ქც^{2}) დრაჰკნითა დღე... და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის (—დეს Q)... ოდესმე ნახევარი წარაგის... ოდესმე არავინ ეპოვნის. ნუსხებში მოცემული ფორმები ხოლმეობითებს გვავარაუდებინებს საანალიზო ზმნებში. შესაბამისად, ზემოხსენებული ნაკვეთი ასე უნდა გადმოიცეს: ქუალად დღითი-დღედთა (ამ სიტყვის შესახებ ნ. ზემოთ) წარსაგებელთა რომელთა თჳსითა ჴელითა **მისცემდის** ფარულად, ვინ ღრაცხნის 81.

ესე მან... კეთილად სადმე უწყოდა [ქც^{2}, გვ. 359]. უწყოდის Q და უწყოდე Mm-ში (C-ს ტექსტი აკლია) საშუალებას გვაძლევს უპირატესობა უწყოდის იკითხვისს მივცეთ (უწყოდა ARDT) **94.**

დავითი, ისტორიკოსის თქმით, წიგნების დიდი მოყვარული ყოფილა: ლაშქრობაშიც კი „წიგნები ეტჳრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და სადა გარდაჴდის ჰუნესა... წიგნნი მოაქუნდიან ჴელითა და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის“ [ქც^{2}, გვ. 348]. ეტჳრთა ARDT-ს იკითხვისია; ეტჳრთის Q და ეტჳრთჳს Mm (ეკიდის C) იკითხვისთა საფუძველზე საანალიზო ფორმა კონტექსტში, სადაც სხვა ზმნებიც ხოლმეობითის ფორმით არის მოცემული, ასე უნდა აღვადგინოთ: **ეტჳრთის** 69.

ხელნაწერთა ჩვენების მიხედვით სავარაუდებელია ავტორის მიერ ხოლმეობითების ხმარება აგრეთვე შემდეგ მონაკვეთში: „ვინ აღრიცხნეს (აღრ´ცხნეს Q, აღრაცხნეს CMm, აღრიცხუნეს ARDT) ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნა (ARDT — ნის C, ნეს MQ) და რომელნი უკუმოიჴსნნა (AMQmRDT, უკუე გამოიჴსნნის C) [ქც^{1}, გვ. 354]. ეგევე მონაკვეთი ჩვენს გამოცემაში ამ სახით არის დაბეჭდილი: „ვინ აღრაცხნეს ტყუენი, რომელნი მან **განათავისუფლნის** და რომელნი **უკუმოიჴსნნის**“ 84.

ცალკე უნდა შევეხოთ იყვის ფორმას, რომელიც გვხვდება ზემოთ დასახელებულ ერთ-ერთ მაგალითში. ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება მეორე ხოლმეობითის ამ ფორმის სიხშირეს XI ს. ძეგლში — „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ [25, გვ. 74]. იყვის სხვაგანაც გვხვდება ტექსტში: რაჟამს ჟამი იყვის [ქც^{2}, გვ. 348]. გარდა ამისა, მოქმედებითი გვარის ფორმეშიც გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე რთული ზმნების შედგენილობაში: **ყვიან ლავლავი 72;**

საცნაურ-ყ ვ ი ს ჰრტინვაჲ თუსი 83; [მონაზონნი] უზრუნველ-ყ ვ ნ ი ს 84; ზარგანჴდილ-ყ ვ ნ ი ს (ARDT, ზარი განჴდის მათ CMQm) 85; ესრეთ დევნა-უ ყ ვ ი ს 70.

ი ყ ვ ი ს ავტორისეული ტექსტის კუთვნილებად უნდა მივიჩნი-ოთ აგრეთვე შემდეგ შემთხვევებში: მეფისა დავითის წინაშე იყო-რეცა ერთგულად [ქც², გვ. 324]. შდრ. ი ყ ვ ი ს CMQmRDT, (ვარი-ანტები მხოლოდ ორთოგრაფიულია: იყვის, იყუის, იყვს), იყო A. ასე-ვე, ი ყ ვ ი ს უნდა აღვადგინოთ შემდეგ მაგალითში: რაოდენცა· შორს ი ყ ვ ი ს (იყო ARDT, ქც², გვ. 346 ი ყ ვ ი ს CMQ, იყუისი m), ეგ-რეთცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღჳძარესა სიკუდილი 64.

-მცა ნაწილაკთან ზმნები ისტორიკოსის თხზულებაში, ძველი ქართუ-ლის ნორმათა შესაბამისად, თხრობით კილოში იხმარება. საილუსტრა-ციოდ დავასახელებთ რამდენიმე სწორ ფორმას: რ ა ჲ თ ა მ ც ა ყო-ველი სოფელი მ ო ს ტ ა ც ა ეშმაკსა 82; ვ ი თ ა რ მ ც ა ვინ მ ი ს ც ა თხრობასა ყოველი 13. რთულ წინადადებაში მცა რამდენჯერმე გვხვდება წინადადების სხვადასხვა ნაწილებში: უ კ უ ე თ უ მ ც ა... ლაშ-ქრობითა... არა განეწყუართნეს სპანი... ხოლო ჯაბანთა... ძაგებითა... ა რ ა მ ც ა მოეღონა, რ ა ჲ თ ა მ ც ა ექმნნეს ესეოდენნი ძლევანი, ანუ რ ა ჲ თ ა მ ც ა აღეხუნეს... სამეფონი? 92; გლეხთა, ი ხ ი ლ ე მ ც ა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ, და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რ ა ჲ მ ც ა გჳნდოდა თქუმად! 56.

მაგრამ გვიანდელ ნუსხებში -მცა ნაწილაკის ხმარებისას ძველი ნორმა დარღვეულია; იხმარება არა ზმნის თხრობითი კილო, არამედ კავშირებითი; ზოგჯერ აღრეულია -მცა და -ცა ნაწილაკები; მსგა-ვსი შემთხვევები გამოცემებშიც გვხვდება

თურქთა სიმრავლის შესახებ ისტორიკოსი წერს: „ესეოდენ დიდ იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ ყოველი თურ-ქობაჲ... იქი არსო" [ქც², გვ. 332, ჰსთქუამცა ქც¹, გვ. 244], ხელ-ნაწერთა ჩვენება ასეთია: სწორი ს თ ქ უ მ ც ა გვხვდება C-ში (სთქუამ-ცა MmRT, სთქუმცა Q. A-ში ტექსტი დამახინჯებულია: რომელსა თუმცა; D-ს ტექსტი აკლია); უნდა აღვადგინოთ: რომელ სთქუმცა 37.

ისტორიკოსი ერთგან ასე აღწერს, თუ როგორ უყვარდა დავითს წიგნები: „ესენი... ესეოდენ შეიყუარნა და შეითვისნა, რომელ სთქუ-მცა, თუ მათ შინა ცხოველ არს" 69. -მცა ნაწილაკიანი ზმნა ორსავე გამოცემაში კავშირებითის ფორმით გვხვდება [ჰსთქვამცა ქც¹, გვ. 253, სთქუამცა ქც², გვ. 347]. არცერთ ნუსხაში ზმნის სწორი ფორმა არ გვხვდება: სთქ/მცა A, სთქმცა Q, საქმეთაცა Mm, სთქუამცა RDT. სწორი ფორმა აღდგენილია ტექსტის სხვა ჩვენებათა მიხედვით.

თხზულების ენისათვის დამახასიათებელია აღწერითი ფორმები, მათ შორის რთული ზმნები, რომლებშიც მოქმედებითი გვარის ფორ-

მებისათვის -ყოფა არის გამოყენებული; პირიან ფორმათა მაგალითებია: პყრობილ-ყო იგი ჟამ რაოდენმე 21; მოსრა და ტყუე-ყო 62; წარტყუენულ-ჰყოფს... მიმხედველ-ჰყოფს 70; რომლითა უეჭუელ-ყვნა იგინი 39; მით გულპყრობილ-ყვნა იგინი 50; გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ-ყვნა 82; დაუყო პირი მათი და უპასუხო-ყვნა 90. ამგვარ ზმნებს მიმღეობებიც მოეპოვება: საქმე, საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყუარულისაჲ 71.

ამგვარი ფორმების გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ მონაკვეთი, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ასე იკითხება: „სამეფო მისი განათავისუფლა ზედა-მარბეველთაგან“ [ქც^2, გვ. 321]. ეს იკითხვისი მისდევს A-ს; C-ში ზმნის ფორმა რთულია: თავისუფალ-ყო. საყურადღებოა MQm, რომლებშიც მთელი ფრაზა დამახინჯებულია: სამეფოსა (-ფოს Q) მის თავი (თავის Q) საუფლო ყო. ვახტანგისეული ნუსხებიც C-ს უჭერენ მხარს: სამეფო მისი თავისუფალ ყო D, სამეფო მისი თ҃ვ (თავ R) უ҃ფლ (უფალ R) ყო RT. ამიტომ ამოსავლად სწორედ რთული ზმნა თავისუფალ-ყო უნდა ვივარაუდოთ. MQm-ის უაზრო იკითხვისიც ამ ფორმიდან მომდინარეობს, ხოლო A-ში ხელნაწერისათვის ჩვეულებრივი შენაცვლება გვაქვს ძველი ფორმისა ახლით. აღსანიშნავია, რომ ბროსეს ტექსტი ასე აქვს დაბეჭდილი „სამეფო მისი თავისუფალ ჰყო ზედა მარბიელთა-გან“ [ქც^1, გვ. 238].

ტექსტში სხვაგან იმავე შინაარსის ზმნა ორჯერ ორგანული ფორმით არის წარმოდგენილი: ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნის (—C, —ლნეს MQm, —ლნა ARDT) 84; განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ 82. განთავისუფლება ნასახელარი ზმნაა, რომელიც (საწყისის სახით) უკვე ხანმეტ ტექსტებში გვხვდება: მიხეც საქმარი განთავისუფლებად მისგან (ლ. 12, 58). [89, გვ. 103], ხოლო ორპირიანი ფორმა შატბერდულ ოთხთავებში არის: ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ (ი. 8, 32). მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება დავსვათ კითხვა, რამდენად შეეფერება განთავისუფლება ისტორიკოსის სტილს: ამის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ ჩვენს მიერ მოყვანილ მეორე მაგალითში (განათავისუფლნა. მონასტერნი) ზმნას Q-ში ის ნიშანი აქვს თავზე, რომელსაც გადამწერი ძნელად გასაგებ ან დამახინჯებულ სიტყვებს უკეთებს თავზე. შეიძლება ვიფიქროთ ამის გამო, რომ იმ არქეტიპში, საიდანაც Q მომდინარეობს, ეს სიტყვა უკვე შეცდომით იყო დაწერილი.

ვნებითი გვარის ფორმები თხზულებაში ნაირგვარია: ზოგიერთი მათგანი ორგანული წარმოებისაა; მათ გვერდით გვხვდება აღწერითი

ფორმებიც. პირველის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: ამათნი მგონებელნი ნუ უკუე არა იბრალნენ 67; ზარი მისი განითქუა 87; წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა, და მუნ დ ა ე მ ა რ ხ ა 47; რომელი-ესე ფრიად ე ძ კ ნ ე ბ ო დ ა სულსა დავითისსა 72; გ ა ნ ბ რ ძ ნ დ ა უფროჲს ბესელიელისა 75; არავე დ ა მ შ ჳ დ ნ ა ქუეყანაჲ 12; გაზაფხულ გ ა ნ დ ი დ ნ ა მტკუარი 53 და სხვ.

ვნებითი გვარის ფორმები ხშირად ნახმარია ისეთ კონტექსტში, სადაც მოქმედებითიც იყო მოსალოდნელი; ზემოთ ნაჩვენები იყო შემთხვევები, როდესაც თ ქ უ მ ა ზმნის პირიანი ფორმები ვნებითი გვარისაა (ითქუას 29, 39, 46; ითქუნ 16): შდრ.: ვ თ ქ უ ა სხუაჲცა საქმე 71; რაჲთა მოკლედ ვ თ ქ უ ა 77.

ტენდენცია პასიური კონსტრუქციების ხმარებისა ნათლად მჟღავნდება აღწერით ფორმებში: რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მ ი ც ე მ უ ლ ი ქ მ ნ ნ ე ს, მოხუცებულნი არა შ ე წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ნ ე ს, ხოლო ქალწულნი — გინებულ, ჭაბუკნი — დაკუეთებულ 8; ყივჩაყნი... ა ღ თ უ ა ლ უ ლ ი ყ ვ ნ ე ს 58.

აღწერითი ფორმები გვხვდება მაშინაც, როდესაც ვნებითი გვარის შემღეობა სახელს უკავშირდება: აღეშენა ყოველი ო ჴ ე რ-ქ მ ნ ი ლ ი 65; ს ა ც ნ ა უ რ-ქ მ ნ ი ლ არს... წინაშე მეფისა 86 (შდრ. ესე საცნაურ არს 89); მაშინღამცა ღ ი რ ს-ქ მ ნ ი ლ ი ყ ვ ნ ეს ჯეროვანსა ქებასა 57.

უკანასკნელ მაგალითებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ თხზულების ერთი მონაკვეთი, რომელშიც ორსავე გამოცემაში ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ სიტყვა ორჯერ გვხვდება: „კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვანნი, მჴნენი და ძლიერნი, და რათაცა საქმეთა ზედა სახელოვანნი". [ქც[2], გვ. 352]. ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი თხზულებაში კიდევ ორჯერაა ნახმარი: მოსრნა ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი იგი მებრძოლნი 55; ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი გამომეტყუელნი 57. ამდენად, ეს სიტყვა ტექსტში მოულოდნელი არ არის, მაგრამ სიტყვის გამეორება ერთ კონტექსტში ავტორისათვის უჩვეულოა; ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს CMQm ნუსხებს, რომლებიც საანალიზო მონაკვეთში გვაძლევენ იკითხვისებს: ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი (ყველა სხვა ნუსხებთან ერთად) და ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ-ქ მ ნ ი ლ ნ ი (სახელოვანნი ARDT). უკანასკნელი სიტყვა, როგორც ავტორისათვის ჩვეულებრივი ფორმა, უნდა აღდგენილ იქნეს. შესაბამისად ტექსტის ეს მონაკვეთი შემდეგ სახეს მიიღებს: კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვანნი, მჴნენი და ძლიერნი, და რათაცა საქმეთა ზედა სახელოვან-ქმნილნი 77.

ნუსხათა სხვაობანი ვნებითი გვარის ფორმებისათვის უმეტეს შემთხვევაში ორთოგრაფიულს ან ფონეტიკურს არ სცილდება; ზოგჯერ გვხვდება გვიანდელი ფორმები და დამახინჯებანიც. მათი არსებობა გადამწერების საქმიანობას უნდა მივაწეროთ: აღორძინდა (MA, ღორძინდა CQmRDT) 68; დაიგალნეს (CARDT, და იგულნეს M, დაიგ˘ვლნეს Q და იგლოვნეს m) 14; განბრძნდა (CQD განაბრძნა AMm) 75;

საგანგებოდ უნდა განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ასეთი შემთხვევები გამოცემებში გვხვდება.

დიდგორის ბრძოლის ეპიზოდში გვხვდება ფრაზა, რომელიც ორსავე გამოცემაში ერთნაირია: „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა" [ქც², გვ. 341]. დიდგორის ბრძოლის ეპიზოდი მთლიანად ქვემოთ არის განხილული, აქ კი შევნიშნავთ შემდეგს: ივლტოდა აშკარად შეუსაბამო იკითხვისია, რადგან გამოდის, რომ ბრძოლაში გამარჯვებული დავითი თვითონ გაიქცა. ზემოთ აღნიშნული იკითხვისი ARDT ნუსხებისაა, ხოლო MQm-ში (C-ში, როგორც აღვნიშნეთ, დიდგორის ბრძოლის ეპიზოდი სულ არ არის) ვკითხულობთ: პირველსავე ომსა (ჰომსა) სივლტოლად მიდრიკიან (MQm-ში ზმნა დამახინჯებული ფორმით არის მოცემული). ანალოგიური გამოთქმები თვითონ თხზულებაში მოიპოვება: მიდრკეს სივლტოლად ესეოდენ ზარგანჴდილნი 38. შეიძლება დავასახელოთ კიდევ ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება: სივლტოლად მიდრკნეს (ასეა გამოცემაში: [56, გვ. 28]; მსგავსი გამოთქმა ცოტა უფრო გვიანდელ ძეგლში, იოსებ ფლავიოსის ქართულ თარგმანშიც გვხვდება იძლივნეს იუდელნი ბრძოლასა შინა და... სივლტოლად მიდრკეს [64, გვ. 278]. სივლტოლა შედის ძველ ქართულში დადასტურებულ სხვა გამოთქმებშიც: სივლტოლად მიაქციეს (1 მეფ. 17, 24); მიიქცა სივლტოლად (იერ. 49, 24); ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ იჯუმია [60, გვ. 16]. სახლით თჳსით სივლტოლაჲ იჯუმია [57, გვ. 202]. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში MQm-ის იკითხვისთა საფუძველზე უნდა აღვადგინოთ: პირველსავე ომსა სივლტოლად მიდრიკნა; შესაძლოა, იოტა ბანაკი მათი აგრეთვე ავტორისეული იყოს, რადგან დასაშვებია აქ ავტორის სტილისათვის ჩვეულებრივი სტილისტური პარალელიზმი გვქონდეს (ნ. ქვემოთ). ბანაკი ძველ ქართულში კარგად ცნობილი სიტყვაა ძველთაგანვე: ბანაკი ანგელოზთა უფლისათაჲ გარე-მოადგს მოშიშთა მისთა (ფს, 33, 8); მისგან ნასახელარი ზმნაც არის ნაწარმოები: დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ (ფს. 33, 8) დაიბანაკა უდაბნოსა მას (დაბ. 12, 9 ოშკ). ამრიგად, შესაძლოა საანალიზო

მონაკვეთი ასე წავიკითხოთ: პირველსავე ჰომსა **იოტა ბანაკი მათი და ხივლტოლად მიდრიკნა** [იგინი].

საეჭვოა აგრეთვე იპოვის ფორმა კონტექსტში, რომელიც ზემოთ იყო დამოწმებული; სულტანი არ დაეძებდა „წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენ მუნ თვთ, სადა იყვის, იპოვის მშვიდობაჲ" [ქც², გვ. 346]. იპოვის არის ბროსეს გამოცემაშიც. ძველი ქართულის ნორმების მიხედვით, იპოვის ვნებითი გვარის ფორმაა, მაშინ როდესაც ლაპარაკია მშვიდობაზე, რომელიც უნდა ეპოვა სულტანს. მოქმედებითი გვარის ფორმები თხზულებაში ყველგან ძველი ქართულის ნორმებს შეესაბამება: მამამან ზეცათამან პოვა დავით 16; რაჲცა პოვნა თურქმანი, მოსრა 62; საქმენი... უნდოდ და არარად პოვნეს 67; დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისაჲ, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად 69. უნდა შეინიშნოს, რომ სხვა შემთხვევაში, სადაც პოვნა გვხვდება თხზულებაში, ი (რომელიც ძველ ქართულში ამ ზმნაში ვნებითი გვარის მაწარმოებელია) არსად არ გვხვდება. გამონაკლისია სწორედ განსახილავი მაგალითი, რომელშიც ყველა ნუსხა იპოვის (CAMQm) ან იპოის (RDT) ფორმას იძლევა. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ისტორიკოსი ჩვეულებრივ ძველი ქართულის მორფოლოგიურ ნორმებს მისდევს, ძნელია იპოვის ავტორისეულ ფორმად მივიჩნიოთ; შდრ. მსგავსივე მაგალითი: მშვიდობაჲ პოონ და განსუენებაჲ 94. ამრიგად, ზემოთ ნახსენებ კონტექსტში მოქმედებითი გვარის ფორმა უნდა აღვადგინოთ: ოდენმცა მუნ, თვთ სადა იყვის, **პოვის მშვდობაჲ 65.**

ცალკეულ ზმნათა შესახებ შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: ქონების აღმნიშვნელი ზმნის პირიანი ფორმების უმრავლესობა არქაული ფორმისაა: აქუნდა სიმაღლე 52; აქუნდა ესეცა 83; წიგნნი აქუნდიან 70. ტექსტში ნახმარია უფრო გვიანდელი ფორმებიც; რომელსა ჰქონდეს ოლთისნი 3; აღმოსავლეთს ჰქონდეს 3; ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი 17 (ვარიანტები მხოლოდ პირის ნიშნის ქონება-არქონებით გამოიხატება). ამგვარ ფორმათა არსებობა სავსებით დასაშვებია, რადგან ისინი ძალიან ადრე ჩნდება; მაგალითად შეიძლება შატბერდული ოთხთავები დავიმოწმოთ: თევზნიცა ჰქონდეს მცირედ (მრ. 8, 7).

რამდენიმე შემთხვევაში ისტორიკოსის თხზულების ნუსხები სხვადასხვა ჩვენებას იძლევიან ამ ზმნისათვის: ჰქონდა CMQm, აქუნდა A, აქუნდათ RT (—D) 37 (აქუნდა ცხორებაჲ სანატრელი ქც², გვ. 332). ასეთ შემთხვევებში პირვანდელი ფორმის აღდგენა სათუოა; ვარაუდით შესაძლოა მხარი დავუჭიროთ ძველს, თუ იგი CAMQm ნუსხათაგან რომელიმეში გვხვდება, რადგან უფრო მოსალოდნელია (საზოგადოდ ყველა შემთხვევაში) ძველი ფორმის შეცვლა ახლით, ვიდრე პირი-

ქით; ვახტანგისეული რედაქციის ნუსხათა ჩვენება ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის, რადგან იგი ყოველთვის ძველი ნუსხებისას არ ემყარება.

განგრძელება ზმნის პირიანი ფორმა ორჯერ გვხვდება ტექსტში: *განგრძელდა*... ჭირი 7; *განგრძელდა*... რუევაჲ 14. ორსავე შემთხვევაში ნუსხათა იკითხვისები ვარიანტებს არ იძლევიან. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საწყისი ზმნისა ტექსტში არის *განგრძობა*: დაულოცა *განგრძობაჲ* დღეთაჲ 102; *განგრძობასა* ბრძოლისასა 57. მიმღეობა კი არის *განგრძობილთა* 15. ამის შესაბამისად პირიანი ფორმები შესაძლოა ასე აღვადგინოთ: *განგრძნა*. მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში მრავლად დაიძებნება. მართალია, *გრძელ* ფუძიდან ნაწარმოები ნასახელარი ზმნის სხვადასხვა ფორმაც ადრე გვხვდება ქართულში (მაგალითები ილ. აბულაძის ლექსიკონიდან: სიტყუაჲ *განგრძელდების*, მამათა სწ., *განაგრძელენ* საბელნი შენნი ეს. 54,2 და სხვ.), მაგრამ ისტორიკოსის ტექსტში ნახმარი საწყისები და მიმღეობა გვავარაუდებინებს, რომ პირიანი ფორმები, ნაწარმოები *გრძელ* ფუძიდან, უნდა იყოს არა ავტორისეული, არამედ გადამწერთა მიერ შემოტანილი.

ზ. სინტაქსურ კონსტრუქციათა ზოგიერთი სახეობა და მათი მნიშვნელობა ტექსტის კრიტიკისათვის

ნაწარმოების ენის მრავალი თავისებურება შეპირობებულია თხზულებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციებით, რომლებიც ავტორის სტილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ამგვარ კონსტრუქციათა ფორმობლივი ანალიზი, მათი ფუნქციური დატვირთულობის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში მასალას გვაწვდის ტექსტის სტრუქტურის გასარკვევად; ეს კი თავის მხრივ ზოგიერთი შერყვნილი ადგილის აღდგენის საშუალებას იძლევა.

1. განკერძოებული განსაზღვრებები

რა არის ნათქვამი გიორგი ჭყონდიდელზე?

გიორგი ჭყონდიდელი დავითის ისტორიკოსის თხზულებაში, როგორც ცნობილია, უდიდესი პატივით არის მოხსენებული. მისი თქმით, დავითის მწიგნობართ-უხუცესი ყოფილა „კაცი, სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჴორცთაჲთა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა,

განმზრახი, სვანი და ფრთხილი“... 45. ჭყონდიდლის ძმისწულს, სვიმონს, ისტორიკოსი, ქების ნიშნად, ისევ გიორგის უდარებს: „მიმსგავსებული გიორგი დედისძმისა თვისისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“ 63.

ამრიგად, ავტორის დამოკიდებულება გიორგი ჭყონდიდლისადმი ცხადია, მაგრამ მთლად ნათელი არ არის, თუ რა არის თქმული მის შესახებ იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია ჭყონდიდლის სიკვდილი. თვითონ ეს ფაქტი ასეა გადმოცემული: „მიიცვალა გიორგი (—A) ჭყონდიდელი“. მომდევნო ტექსტი კი ნუსხებში სხვადასხვანაირად იკითხება:

და თავით დგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათა C;

და თავ ადგან სიყრმითგანთა პატრონის მსახურებათა თჳსთა Mm

და თვ̃დგა სიყრმითგნთა პ̃ტრნის მს̃ხრბთა თ̃სთა Q;

და თავადგა სიყრმითგანთა პატრონი მსახურებათათვის RT (D-ში ეს ტექსტი ნაკლულია)

ეს ადგილი მ. ბროსეს გამოცემაში ისეა წარმოდგენილი, როგორც RT-ში: თავ ადგა სიყრმითგანთა პატრონი მსახურებათა-თვის [ქც[1], გვ. 247]. იქვე შენიშვნაში მ. ბროსე მიუთითებს, რომ ფრაზა დამახინჯებულია და რომ მისი აზრი უნდა იყოს ასეთი: „თავიდგან სიყრმისაგან პატრონის მსახურებასა შინა მყოფი“. ამის შესაბამისად იძლევა იგი ფრანგულ თარგმანსაც: Giorgi Dchondideli mourut, après avoir servi son maître depuis sa première jeunesse [94, გვ. 363]. ს ყაუხჩიშვილი ამ მონაკვეთს შემდეგი სახით გვთავაზობს: „თავადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათჳს“ [ქც[2], გვ. 337]. თხზულების ორ გერმანულ თარგმანშიც ამ მონაკვეთის აზრი სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული: მ. წერეთლის თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ დავითი მიცვალებულს თავზე დაადგა, რადგან გიორგი ჭყონდიდელი ახალგაზრდობიდან პატრონის სამსახურში იყო: Da starb... Georg Tschkondideli, und (der König) stand an seinem Haupte, weil er von seiner Jugend an im Dienste des Herrschers war [95, გვ. 57]. მეორე მთარგმნელს, გერტრუდ პეჩს, ეს ადგილი ასე უთარგმნია: ჭყონდიდელი პატრონის, ე. ი. დავითის, სიყრმითგან მისი მსახური ყოფილა: Aber starb Georg von Tschkondidi, seit der Jugend seines Oberherren hatte er sich in dessen Diensten aufgeopfert [96, გვ. 415].

ივ. ჯავახიშვილი წერს გიორგის შესახებ: „იგი თავ[ს] ადგა პატრონის მსახურებათა, ესე იგი მეფის მსახურებას სათავეში უდგა [43, გვ. 273] (ხაზგასმულია ივ. ჯავახიშვილის მიერ მ. შ.).

ნ. ბერძენიშვილსაც, როგორც ჩანს, *თავს-ადგა* ისევე ესმის, როგორც ივ. ჯავახიშვილს. იგი წერს: „გიორგი ჭყონდიდელი.. გამზრდელი იყო“, „პატრონთა“ სიყრმითგან პატრონის მსახურებასა თავს ადგა“, ხოლო განსახილველ ადგილას ტექსტს ასე კითხულობს: „ჭყონდიდელი (რომელიც) თავადგა“ [3, გვ. 93].

ცხადია, რომ ხელნაწერთა შერყვნილ იკითხვისებში გიორგი ჭყონდიდელთან დაკავშირებული რაღაც თხრობა არის საგულვებელი, რადგან მომდევნო სიტყვებიც ისევე მას შეეხება: მემატიანე გადმოგვცემს მეფის წუხილს გიორგის გარდაცვალების გამო, გვაცნობს, რომ დავითმა ჭყონდიდელი გელათს დააკრძალვინა და რომ მისი სიკვდილით გამოწვეული გლოვა მხოლოდ დავითის ძის დაბადების შემდეგ შეწყდა.

საანალიზო ადგილის გარკვევის დროს პასუხი უნდა გაიცეს ორ კითხვაზე: რა შინაარსის თხრობა არის მოსალოდნელი გიორგი ჭყონდიდლის ხსენების შემდეგ — მისი თანამდებობის აღნიშვნა თუ სხვა რამ, და რა ფორმით უნდა იყოს იგი გამოხატული? ნუსხათა მიხედვით, ჭყონდიდლის სახელს მოჰყვება *და* კავშირი, რომელსაც მოსდევს ზმნის პირიანი ფორმა: თავით დგა, თავ ადგა, თავ ადგან. ნუსხათა იკითხვისები შეუსაბამობას ქმნის, რადგან *და* შემაერთებელი კავშირია და ამრიგად, გამოდის, რომ გიორგი ჭყონდიდელი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდა „თავდგომას“. ალბათ, სწორედ ამიტომ არის ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში *და* ამოღებული. მაგრამ უკავშიროდ, პირდაპირ ზმნით დაწყება ტექსტის მონაკვეთისა, რომელიც ისევე ჭყონდიდელს შეეხება, ავტორის სტილს ნაკლებ შეესაბამება; სწორედ ამიტომ აღადგინა ნ. ბერძენიშვილმა აქ *რომელიც*; ეს წევრ-კავშირი, მომდევნო სიტყვებს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად აქცევს. ასეთი ტიპის წინადადებები ისტორიკოსის ნაწარმოებში მართლაც გვხვდება, მაგრამ თუ თხზულების ტექსტს დავუკვირდებით, საანალიზო ადგილას *რომელ* წევრ-კავშირის აღდგენა საეჭვო გახდება.

რომელ წევრ-კავშირი ნაწარმოებში იშვიათად მოსდევს უშუალოდ განსასაზღვრავ სიტყვას. ამასთან, მსგავსი კონტექსტები ჩვეულებრივ აზრობრივად ნათელია დ მათი დამახინჯება არ ხდება: *ქალაქნი, რომელ*[ნი] აღმოსავლეთს ჰქონდეს 3; *საქმე*, რომლითა მოიმადლებოდის ღმერთი 24; *სიხარული, რომელსა* არა აქუს მწუხარებაჲ; *სიმდიდრე*, რომელსა არა შეუდგს სიგლახაკე; *სიხარული, რომელსა* არა განჰკუეთს ურვაჲ; მეუფებაჲ, *რომლისაჲ* არა არს აღსასრული... *ცხორებაჲ, რომელსა* არა შეამრღუევს სიკუდილი 103.

უფრო ხშირად რ ო მ ე ლ წევრ-კავშირიანი განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება იხმარება მაშინ, როდესაც მთავარი წინადადების განსასაზღვრავი წევრი მას უშუალოდ არ უძღვის წინ: ც ე ც ხ ლ ი უცხოჲ და მბრძოლი, რ ო მ ლ ი თ ა მოიწუა შენებული ყოველი 8; ხ ა რ ა ჯ ა ჲ ითხოვა სამეფოჲსა მისისაჲ, რ ო მ ე ლ ს ა აღებდის 10; ს ა ქ მ ე ნ ი წამებენ, მზისა შარავანდთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რ ო მ ე ლ ნ ი სიბრძნითა თჳსითა ქმნნა 76; გარდაართხა ტ ა ძ ა რ ი ყოვლად წმიდისა დედისა ღმრთისაჲ, რაჲამ რაჲმე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულობისა, რ ო მ ე ლ ი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა 30.

უკვე ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩანს, რომ ხშირად განსასაზღვრავ სახელს უშუალოდ მოსდევს ან პოსტპოზიციური მსაზღვრელი, ან განკერძოებული განსაზღვრება, ზოგჯერ ორივე ერთად. განკერძოებული განსაზღვრება გადმოცემულია როგორც პირველად ზედსართავი სახელით, ისე მიმღეობითაც, სხვა მაგალითებია: შემოკრიბნა კაცნი, პატიოსანნი ცხორებითა და შემკობილნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა... 32; მოიხადეს განჩინებაჲ რისხვისაჲ, ქადებული უსჯულოთათჳს 12; იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა და სმენილთა გარდასრულთა ოჴრებათასა **7.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამა თუ იმ პიროვნებათა ხსენებისას მათი დადებითი თუ უარყოფითი თვისებების საჩვენებლად თითქმის ყოველთვის ასეთი კონსტრუქციებია გამოყენებული — პოსტპოზიციური ან პრეპოზიციური საზღვრულები, ხშირად რთული სტრუქტურისა, აგრეთვე განკერძოებული განსაზღვრება: აჰმად, ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი **4;** კჳრიკე, კაცი მეფობასავე თანა მეუფე-ქმნილი ვნებათა ზედა 23; რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდჳლვე ნაშობი იქედნეთაჲ 23; თევდორეს, ჭყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა 35; გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისაჲ 44; თჳთ იგი, უმსგავსოჲ სპასპეტი და წინა-მბრძოლი, მიმსგავსებული ძუელ ქაიხოსროსთჳს მოთხრობილთა 48; მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა 55; მოუწოდა... არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა 89; ძე თჳსი დემეტრე, სახელით ოდენ ცვალებული, ძე გარდამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა 102; ელდაზი, ძე არდუხისი, კაცი დაჭმანი და მრავალ-ღონე 54; შემთხვევები, როდესაც ამგვარი განსაზღვრებები წინ უსწრებს განსასაზღვრავ საკუთარ სახელს, სულ ორიოდეა: მშუდმან

და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით 21; სანატრელი და ყოვლად განთქუმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყოვჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა 44. მეორე მაგალითში საზღვრულს ახლავს წინამავალი მსაზღვრელები: სანატრელი, განთქუმული და განკერძოებული განსაზღვრებაც. ეპითეტებად ამგვარი განსაზღვრებების ხმარება მეტად ექსპრესიულია და ავტორის მიერ საგანგებოდ გამოყენებულ სტილისტურ ხერხს წარმოადგენს.

ზემოთქმულის შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი ჭყონდიდლის სახელს თავდაპირველად მოსდევდა (ტექსტის შერყვნისა და გადააზრიანების შემდეგ ჩამატებული და კავშირის გარეშე) განკერძოებული განსაზღვრება, რომელშიც გვქონდა არა პირიანი ზმნა, როგორც დღეს არის ნუსხებში, არამედ ნაზმნარი სახელი — მიმღეობა.

რომელი ზმნისა უნდა ყოფილიყო იგი? თავს-ადგა პირიანი ფორმისათვის საგულისხმოა თავს-დგომა საწყისი და თავს-მდგომი მიმღეობა. თუ ივ. ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაცია მივიღეთ, თავს-მდგომი უნდა იყოს გამგებელი, ზედა-მხედველი, მომწესრიგებელი', როგორც ახალ ქართულშია. არსებული მასალების მიხედვით ასეთი ფორმის დასახელება ჭირს. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ძველ ქართულში 'ზედამხედველობისა' და 'გამგებლობის' მნიშვნელობით უმეტესად იხმარება სხვა სიტყვა, ზედა-დგომა: რომელი-იგი ზედა-ადგა მომკალთა მათ (რუთ. 2,6 ოშკის ნუსხით); დაადგინეს მათ ზედა ზედამდგომელნი (გამ. 5, 14); ზედა-ადეგ ჟამითი უჟამოდ (II ტიმ. 4,2 ყველა ქართულ რედაქციაში). ამიტომ თავს-დგომა ზმნის როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმები ამ ადგილას გაუმართლებელი ჩანს — როგორც გრამატიკულად, ისე შინაარსეულადაც.

შესაბამისი მონაკვეთის აზრი, ქართული ნუსხებისაგან განსხვავებით, სრულიად ნათლად არის გადმოცემული ძველ სომხურ თარგმანში: *մեռաւ եւ Ճղոնդիդեալն Գիւորգի, միամիտն ի մանկութենէ իլ.* აბულაძე ამ სიტყვებს—საცსებით სწორად—ასე თარგმნის: „მოკვდა გიორგი ჭყონდიდელიც, სიყრმიდანვე ერთგული" [82, გვ. 244—245]. ჩვენი აზრით, სომხურში სწორად (ოღონდ არა სიტყვა-სიტყვით) არის ნათარგმნი ავტორისეული ტექსტი, რომლის აღდგენა შესაძლებელია ქართულ ნუსხათა დამახინჯებული იკითხვისების გაანალიზებით.

ძველ ქართულში დება და დადება ზმნები გვხვდება კონტექსტებში, რომლებიც საანალიზო ადგილთან დაკავშირებით იპყრობს ყურადღებას. პირველი მათგანი შედის რთულ თავს-დება ზმნაში, რომლის ძირითადი მნიშვნელობა 'კისრება, თავის-თავზე აღება' არის.

ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დასტურდება ძველ ძეგლებში: შუშანიკის წამებაში ნათქვამია: ძნიად თავს-იდვა შეტევვებაჲ ჩემი [86, გვ. 22]. [აღჳდაჲ] ბორკილთაჲ არა თავს-იდვა შუშანიკ (იქვე). სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ძმაო ია, შრომაჲ თავს-იდევ ღმრთისათჳს [57, გვ. 329]. მონასა შენსა თავს-მიდებიეს ყრმაჲ ეგე [დაბ. 44, 32]., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: მე თავს-მდებ გექმნე ქრისტეს მიმართ [90, გვ. ნვ]. ამრიგად, თავს-მდებ მიმღეობის პირველადი მნიშვნელობაა 'ის, ვინც რაიმეს კისრულობს, თავის თავზე იღებს'.

თუ დავუშვებთ, რომ ავტორისეულ ტექსტში თავს-მდები გვქონდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიც. ბრუნვის ნიშანი ადვილად დაიკარგებოდა [შდრ. ჯუარ(ს)-ცუმა]; ხოლო შემდგომი დამახინჯების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ნუსხური ზ-სა და გ-ს აღრევა. დაქარაგმებული სიტყვის არასწორად წაკითხვისა და შემდგომი გააზრიანების შედეგად უნდა იყოს მიღებული ყველა ის ფორმა, რაც ნუსხებში გვაქვს (თავ-ადგა, თავით დგა...) სიყრმითგანთა საერთო იკითხვისია ყველა ნუსხისათვის და ავტორის სტილს არ ეწინააღმდეგება: ტექსტში სხვაგანაც გვაქვს **-გან** თანდებული მაწარმოებლის ფუნქციით (ნ. ზემოთ). სიყრმითგანი ნიშნავს' სიყრმიდან მოყოლებულს, ახალგაზრდობიდან დაწყებულს', იგი მომდევნო კომპოზიტის მსაზღვრელად გამოდის, ხოლო თვით კომპოზიტის ბრუნვას განსაზღვრავს მიმღეობა, რომლისთვისაც ეს სიტყვა ნაგენიტივარ მსაზღვრელს წარმოადგენს: თავ[ს-მდები] სიყრმითგანთა პატრონისმსახურებათა[ჲ]. ასეთი იკითხვისი შემოთავაზებული იყო ჩვენს მიერ [36, გვ. 6]. ამჟამად, შემდგომი ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება კიდევ უფრო დავაზუსტოთ ჩვენი მოსაზრება.

თუ მივიჩნევთ, რომ სომხურ თარგმანში ქართულის აზრი სწორად არის თარგმნილი, მაშინ პირველ სიტყვაში უნდა ვეძიოთ ასეთი მნიშვნელობა: 'თავდადებული, ერთგული'.

თავის ან სულის დადება ძველი ქართულის ძეგლებში გვხვდება: თავი ჩემი დავდვა ზედა საცხოვართა მათ (ი. 10, 15 C) — შდრ. სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს DE. მსგავსი ტექსტი თვით ისტორიკოსის თხზულებაში გვაქვს: და ესრეთ დადვა თავი MQmC (სული ARDT) თჳსი და სისხლნი ქრისტეანეთა ჴსნისათჳს 9. ცოტა მოგვიანებით „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქისათვის თავის დადება უკვე ჩვეულებრივი ფორმაა: ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება 1470; ავთანდილ დამდვა წამალი მისგან თავისა დადებით 1521, პოემაში აგრეთვე გვაქვს ერთგულის მნიშვნელობით კომპოზიტი, რომლის მეორე

ნაწილი ვნებითი გვარის მიმღეობაა: [შერმადინ] თანა-შეზრდილი, ერთგული და მისთვის *თავ-დადებული* 150.

თავს-მდები სიყრმითგანთა პატრონის-მსახურებათაჲ ნიშნავს ამას:‘ ‘ის, ვინც იკისრა, ახალგაზრდობის დროიდან დაწყებული, მსახურება პატრონისა‘. რაკი თხზულების თარგმნის დროისათვის [XII ს.] *თავის დადება, თავ-დადებული* ქართულ ენაში უკვე გავრცელებული სიტყვები ჩანს, შესაძლოა სომეხ მთარგმნელს *თავს-მდები* გაეგო, როგორც‘ თავდადებული‘, მით უმეტეს, რომ *სიყრმითგანი პატრონის-მსახურებაჲ* მართლაც უდიდესი ერთგულების გამომხატველია.

დასასრულ, შესაძლებელია თუ არა, რომ ქართულ ტექსტშიც გვქონოდა *თავს-მდები* (ან *თავ-დადებული*) *სიყრმითგანთა პატრონის-მსახურებათათჳს*. (მონაკვეთის ბოლო ნაწილის შესაბამისად: მსახურებათათუის ART, მ-თა თჳსთა MQm)? ამგვარი რეკონსტრუქცია უფრო ხელოვნურად გვეჩვენება: თუ მონაკვეთის პირველი სიტყვა ნიშნავს‘ მას, ვინც იკისრა‘, მაშინ თანდებულიანი ნათესაობითი ბოლო სიტყვაში სინტაქსურად გაუმართავ კონსტრუქციას გვაძლევს (თავს-მდები... მსახურებათაჲ და არა მსახურებათათჳს), ხოლო თუ პირველ სიტყვაში ’ერთგული‘ იგულისხმება, მაშინ სავარაუდებელია, რომ ნაჩვენები ყოფილიყო — ვისთვის და არა რისთვის იყო ჭყონდიდელი თავდადებული (პატრონისათვის და არა პატრონის მსახურებისათვის). დამაფიქრებელია აგრეთვე სიტყვის განსხვავებული ფორმა ნუსხებში (მსახურებათა C, მ-თჳს ART, მ. თჳსთა MQm; C-ს გარდა, ნუსხებში გვიანდელი გააზრიანება უნდა იყოს).

ერთი რამ კი სავსებით უეჭველია: მოცემულ ადგილას ჭყონდიდელის სოციალური თუ თანამდებობრივი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები არ შეიძლება გვქონდეს. ავტორი მის მიერ ხსენებულ პირებს (გარდა მეფეებისა) ასეთ დახასიათებას ჩვეულებრივ. არ აძლევს; პირველ რიგში იგი მათ პირად თვისებებს გვიჩვენებს, აგრეთვე აფასებს მათ დავითთან დამოკიდებულების მიხედვით; გავიხსენოთ მისი დახასიათება ურჩი ბაღვაშებისა. გიორგი ჭყონდიდელის წოდება მწიგნობართ-უხუცესად ნაკარნახევია საგანგებო მიზეზებით, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი [19, გვ. 218]. ყველა დანარჩენი, რაც მის შესახებ არის თქმული, წარმოადგენს მისი პირადი თვისებების ჩამოთვლას (კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა...) ან აჩვენებს მის დამოკიდებულებას მეფესთან (თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთაჲ). ეს არის თქმული გიორგის პირველად ხსენებისას — როდესაც იგი ოვსეთს გაემგზავრა მეფესთან ერთად. მაშინ კი, როდესაც იგი გარდაიცვალა,

ავტორი კვლავ გახაზავს მიცვალებულის დამსახურებას მეფის წინაშე: სიყრმითგანთა პატრონის-მსახურებაჲ».

ამრიგად, ყველა ზემოთ განხილულ ვარიანტთა და შესაძლო დაწერილობათა განხილვის შემდეგ ავტორისეულთან ყველაზე უფრო ახლოდ მიგვაჩნია შემდეგნაირად გამართული ტექსტი: მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, თავს-მდები სიყრმითგანთა პატრონის-მსახურებათაჲ 47.

ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ი

დავითის გარდაცვალების აღწერისას მემატიანე ამბობს: ღმერთმა „არღარა მიუშუა... ჴორცთა ამათ ქუე-დამზიდველთა მიერ შეკრვად სულსა გონება-ქმნულსა“ 101.

ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ი ან დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ი სიტყვა-სიტყვით არის ‘ქვემოთ დამწევი’; ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ი საბას ნახმარი აქვს, როგორც განმარტება მ ძ ი მ ე სიტყვისათვის. მოცემულ ადგილას ავტორი იყენებს კარგად ცნობილ ქრისტიანულ სენტენციას, რომლის მიხედვით ხორცი და ყოველივე ხორციელი, დამამდაბლებელია და ხელისშემშლელი სულისა და სულიერისათვის. მსგავსი მაგალითები უხვად არის ქართულ სასულიერო მწერლობაში:

უშჯულოებაჲ ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ არს სულისა (ფსალმუნთა თარგმანება, ხელნ. Q—37, 1091 წ; 56, 3 ფს. განმარტებიდან); ყოველივე ჴორციელი ნივთი არს ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ა რ ი (მამათა ცხოვრებანი, ხელნ. A 1105, 165); ნივთიერთა სიზრქეთა და ქუეყანად მიმართ დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ თ ა გონებაჲ შენი სრულიად განაშორე [59, გვ. 101]; ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ თ ა ამათ და მიწიერთა ნივთთაგან განყენებულთა [61, გვ. 173]; ქუეყანიერნი ესე და მიწად დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ნ ი ნივთნი ვითარცა არარად შეერაცხნეს [63, გვ. 85]; ზეციერნი კეთილნი მიენიჭებიან... ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ თ ა ამათ და მიწიერთა ნივთთაგან განყენებულთა [55, გვ. 148].

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს ქ უ ე - დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ი ს ა და დ ა მ ზ ი დ ვ ე ლ ი ს მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ერთი ადგილი ისტორიკოსის თხზულებიდან, რომელიც ასეა დაბეჭდილი: „არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ჴორცთასა, არა სასმელ-საჭმელთა [საჭმელ-სასმელთა ქც[1]], არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა ჴორციელთა შეაკრა გონება [და რაჲთურთითით არარა შემკრველთა ჴორცთა და გონებისათა ქც[1]], გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა“ [ქც[1], გვ. 248, ქც[2], გვ. 338].

ამ მონაკვეთის შინაარსი ზოგადად ასეთია: დავითი ზრუნავდა არა ხორციელი, არამედ სულის მარგებელი საქმეებისათვის; მაგრამ ხელნაწერებში ტექსტის დამახინჯების გამო ორსავე გამოცემაში წინადადება გრამატიკულადაც და შინაარსეულადაც გაუმართავია.

საანალიზო მონაკვეთის ტექსტი ნუსხებში სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული, ამასთან ტექსტის მოცულობაც სხვადასხვანაირია.

ნუსხების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს (D-ს ამ ადგილას ფურცლები აკლია):

არა (არამედ A, არცა T) მიდრკა (+ არა A) გემოვნებათა (-ითა C) მიმართ,

არცა ნებასა (ნებ˜სა Q, ჴსენებასა C) ჴორცთასა

არა (არცა C) საჭმელ სას(უ)მელთა (MQm, სას(უ)მელ-საჭმელთა CAR საჭმელთა სასმელ T)

არცა სიმღერა (ს-თა C) სიღოდათა (ART, სათუღდთა MQm,—C)

და რაითურთით (C, არათურთითა A, არათურთ Mm, არათ˜რთ Q, რაჲთურთ RT) + და C

C MQm RT	A
არარათ (C, არა MQm, არარა RT) ეშმაკ-რეულთა (Mm, შემკრველთა CQRT) ჴორც-თა და გონებისათა	არარა ჴორციელთა შეაკრა გონება
CMQm (—RT)	
და (C,—MQm) და სულებად (C, დასრუ-ლებად MQm) და უდებებად და (C,—MQm) მზიდველთა ნებისათა (ნიჭისათა C)	——— ——— ———
——— ——— ———	ART გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველ-თა
	RT
——— ——— ———	და სრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა

საანალიზო მონაკვეთის დასაწყისში ჩამოთვლილია ის, რაზედაც დავითმა უარი თქვა: არა მიდრკა... არცა სიმღერა-სიღოდათა; ამ ჩამონათვალში თითოეული სიტყვის ბრუნვას განსაზღვრავს მი-

მართ თანდებული, რის გამოც ყველა ნათ. ბრუნვაში უნდა იყოს: არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებისა ჴორცთაჲსა... მომდევნო მონაკვეთში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: A-ს იკითხვისი, რომელიც ს. ყაუხჩიშვილმა გაიმეორა გამოცემაში (არათურთითა... გონება) პირველადი არ შეიძლება იყოს. A-ს არათურთითა სიტყვის სანაცვლო რაითურთით C-ში წარმოადგენს თითქმის უცვლელ გადმოცემას სიტყვისა, რომელიც XI ს. ძეგლებში ხშირად გვხვდება: რაჲთურთით. იგი ნიშნავს 'სრულიად, სრულებით' უკუთქმით წინადადებაში (25, გვ. 127). ა. შანიძის მიერ „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებიდან" დამოწმებულ მაგალითებში ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს: ზღუსა რაჲთურთით გამოცდილებაჲ არა გუაქუს; რაჲთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა. მსგავსივე მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონიდან: არა მნებავს რაჲთურთით, რაჲთა ორი გუარი პური შეიქმნებოდის [28, გვ. 75]; არა მნებავს რაჲთურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა შინა [გვ. 108]; ხანდახან იგი თხრობითი ხასიათის წინადადებებშიც არის: ვინცა ვინ იპოოს მიმღებელად ვახშისა ...რაჲთურთით საძაგელის-შეძინებისათჳს, განიკუეთოს [62, გვ. 235]; მოსესხეთა ჴელწერილნი განიხეთქნეს და რაჲთურთით მიიღო ღრმაჲ მშჳდობაჲ სასომხითომან [ხელნ. მაგალითი მომაწოდა ნ. გოგუაძემ]. და რაჲთურთით ისტორიკოსის თხზულებაში აგრძელებს იმის ჩამონათვალს, რის „მიმართ" დავითი „არა მიდრკა"; ამიტომ მას უნდა მოსდევდეს არა ზმნური წინადადება, როგორც A-ში, არამედ სახელი ნათესაობით ბრუნვაში. მსგავსი ფორმები CMQm RT-ში გვაქვს, რის შესაბამისად ტექსტი ასე უნდა აღვადგინოთ: და რაჲთურთით არარა[თა] ეშმაკ[ეულთა] (შდრ. ეშმაკრეულთა Mm) და ჴორციელთა (A), შემკრველთა გონებისათა. გონების ან სულის შეკრვა ამ თხზულებაში სხვაგანაც არის დადასტურებული, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ: აქაც ის არის თქმული, რომ ქუე-დამზიდველ ხორცს შეუძლია შეკრას სული. ეშმაკეულთა და ჴორციელთა რომ ნამდვილად ავტორისეული ტექსტის იკითხვისია, მტკიცდება იმით, რომ ისინი კონტრასტულ დაპირისპირებას ქმნის საანალიზო მონაკვეთის ბოლოში მყოფ საღმრთოთა და სასულიეროთა სიტყვებთან. ეს დაპირისპირება ასრულებს წინადადების აზრს: დავითი მისდევდა არა ეშმაკეულთა და ჴორციელთა, არამედ საღმრთოთა და სასულიეროთა. შემკრველთა გონებისათა არის განკერძოებული განსაზღვრების ერთი ნაწილი; მისი გაგრძელებაა სიტყვები, რომლებიც უშუალოდ მოსდევს CMQm-ში. მათ ჩვენ ასეთი სახით აღვადგენთ: და დასულებად და უდებებად დამზიდველთა ნებისათა. ორივე გამოცემაში დასრულებად და

უდებებად მზიდველთა ნებისათა მოსდევს სიტყვებს: საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა [როგორც RT-ში]. აშკარაა, რომ ისინი თავის ადგილზე არ არის, რადგან ის, რაც დასულებად და უდებებად განაწყობს კაცს, საღმრთო და სასულიერო არ შეიძლება იყოს.

დასულება (ისევე, როგორც შესულება) ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად ხმარებული სიტყვაა. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს; იგი ნიშნავს 'გაოცებას, გაოგნებას, გონების დაკარგვას, გარინდებას, უძრავად ყოფნას' და სხვა. მაგალითები: რაჲთა დასულბენ და დაიძინონ ძილი საუკუნოჲ (იერ. 51, 39); ნუ ღვნისაგან შესულბით (ეს. 29, 9). ისტორიკოსის თხზულებაში დასულებასთან სინონიმურად ნახმარი უდებება ნიშნავს 'სიზარმაცეს, უმოქმედობას': შდრ. განაღვიძენით სულნი თქუენნი ძილისა მისგან მცონარებისა და მოწყინებისა და უდებებისა [67, გვ. 97, 29]. დაზიდვა ზემოთ იყო განხილული და სათანადო მაგალითები ნაჩვენები. C-ში ზმნისწინი ცალკეა გამოყოფილი, MQm-ში კი კავშირად მიჩნეული და-სულ ამოუღიათ. ამრიგად, დასულებად და უდებებად დამზიდველთა ნებისათა წარმოადგენს განკერძოებული განსაზღვრების მეორე ნაწილს, ორივე ერთად (შემკრველთა და დამზიდველთა) ქმნის სტილისტურ პარალელიზმს, რომელიც თხზულებაში ძალიან ხშირია, როგორც მხატვრული ტროპი. თვით საანალიზო მონაკვეთში ასეთი პარალელიზმის რამდენიმე მაგალითია: დასულებად და უდებებად; ეშმაკეულთა და ჴორციელთა (ესეც ერთ-ერთი საბუთია მოცემული იკითხვისის აღსადგენად), საღმრთოთა და სასულიეროთა.

ეს მონაკვეთი, რომელიც სინტაქსური სტრუქტურის მხრივ საკმაოდ რთულია, გადამწერების მიერ არა მარტო დამახინჯებულია, არამედ შეკვეცილიც: მისი ერთი ნაწილი ამოღებულია CMQm-ში; ამის გამო ამ ნუსხებში აღარ ჩანს ამ წინადადების მთავარი აზრი — დავითისგან „ჴორციელთა“ უარყოფა და „სასულიეროთა“ მიმდევრობა. A-ში ძირითადი აზრი კი მეტად ძუნწად და პრიმიტიულად არის გადმოცემული და ავტორის სტილიც დარღვეულია. დაბოლოს, დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა სიტყვების ბოლოში გადატანა ორსავე გამოცემაში ავტორის ძირითადი აზრის საწინააღმდეგო შინაარსს გვაძლევს.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, საანალიზო მონაკვეთს შემდეგი სახით აღვადგენთ: არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებისა ჴორცთაჲსა, არა სასუმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და რაჲთურთით არარათა ეშმაკეულთა და ჴორციელთა, შემკრველთა

გონებისათა და დასულებად და უდებებად დამზიდველთა ნებისათა, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ღ ს ა რ თ ა ნ ი ს დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

თხზულებაში გვაქვს კიდევ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ავტორის ენისათვის დამახასიათებელი განკერძოებული განსაზღვრებები ზოგიერთ ნუსხაში შეცვლილია ან სულ გამოტოვებული: აღსართანის ასვლა კახეთის ტახტზე თხზულებაში ასეა აღწერილი: მიიცვალა მეფე კვრიკე და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კვრიკესი აღსართან, რომელსა არარა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო და ყოვლად წინაუკმო მამის ძმისა მისისა [ქც², გვ. 326]. მ. ბროსეს გამოცემაშიც ეს მონაკვეთი თითქმის მთლიანად ასეთივეა (ორთოგრაფიულ სხვაობათა გარდა), ოღონდ იქ ნ ი ჭ ნ ი სიტყვის შესაბამისად ნ ი შ ა ნ ი გვაქვს:... აღსართან, და რომელსა არა-რა ჰქონდეს ნიშანი მეფობისა, არამედ იყო... [ქც¹, გვ. 241]. იქვე შენიშვნაში და კავშირის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „არა საჭირო სიტყვაა“.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ნუსხებში იკითხება სხვადასხვა ვარიაციით: რომელსა (და რომელსა RT) არა რა (რაჲ D) ქონდეს (ჰქონდა D) ნიშანი მეფობისანი (·A —ისა RDT). როგორც ვხედავთ, ორსავე გამოცემაში ტექსტი ამ ჯგუფის ნუსხათა მიხედვით არის გამართული, ოღონდ უკანასკნელში ნ ი ჭ ნ ი C ნუსხიდან არის აღებული.

CMQm-ში აღსართანის დახასიათება წარმოდგენილია ავტორისათვის ჩვეული განკერძოებული განსაზღვრების სახით: აღსართან, არარათ (C, და არა რ˝ა Q, და არა რათა Mm) მქონებელი ნიჭთა [C, ნიშთა MQm], არამედ ცუნდრუკი... სწორედ ეს იკითხვისი უნდა მივიჩნიოთ პირველადად: A-ში აქაც მისთვის ჩვეული „გაუბრალოება“ ტექსტისა უნდა ვიგულოთ (განმეორებული მის მიმდევნო ნუსხებშიც); ოღონდ შესწორებას მოითხოვს ის იკითხვისი, რომელიც უარყოფას გამოხატავს: ა რ ა რ ა თ (და არა რათა MQm) მ ქ ო ნ ე ბ ე ლ ი; აქ სავარაუდებელია, როგორც წინამავალ მაგალითში, რ ა ჲ თ უ რ თ ი თ, რომელსაც მოსდევს უარყოფა ა რ ა. ამგვარად გამართულ წინადადებაში, რომელიც რთული კონსტრუქციის [მაპირისპირებელი კავშირით შეერთებული] განკერძოებული განსაზღვრებების შემცველია, სავსებით დაცულია ავტორის სტილი.

ამრიგად, საანალიზო მონაკვეთი ამრიგად უნდა იქნეს აღდგენილი:... აღსართან, რაჲთურთით არა მქონებელი ნიჭთა მეფობისათა, არამედ ცუნდრუკი რაჲმე... 23.

ტექსტის შემოკლების ტენდენცია ნუსხებში ან ნუსხათა ჯგუფებში იმაშიც ვლინდება, რომ ამა თუ იმ ხელნაწერში ვრცელი მრავალსიტყვიანი განსაზღვრებები მარტივდება და მოკლდება; ამის ერთ-ერთი მაგალითი აღსართანის დახასიათებაშიც გვაქვს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ძმისწული კვრიკესი აღსართან

CMQm	A (+RDT)
არარათ (C და არა რათა MQm) მქონებელი ნიჭთა (C, ნიშთა MQm) მეფობისათა,	რომელსა (და რ-სა RT) არა რა (რაჲ D) ქონდეს (ჰქონდა D) ნიშანი მეფობისანი (-ისა RDT)
	არამედ (+ იყო ARDT) ცუნდრუკი რაჲმე
—	A(RDT)
—	უსჯულო და ყოვლად (და ყ῾დ—RDT) უმეცარად უსამართლო
CMQm (+ROT)	A
და ყოვლად წინაუკმო (RDT წ. უკუმუაჲ Q, წ. უკუმოუა Mm, წინაუკუმო C) მამისძმისა მისისაჲ (D, მისისა CMQmRT)	— — — —

ზემოთ მოყვანილ ტექსტში ავტორისეული ტექსტის შემოკლება აშკარად ჩანს; რთული, მრავალსიტყვიანი განსაზღვრება ნუსხებში ნაწილ-ნაწილ არის გადატანილი; შინაარსეულად გამართული (შესაბამისად, პირველადი ტექსტისა) კი იგი მხოლოდ მთლიანი სახით არის: აღსართანი დახასიათებულია როგორც სამეფოდ ვარგისი პირისათვის აუცილებელ ნიჭთა არმქონე, ცუნდრუკი, უსჯულო... ხოლო მის უარყოფით დახასიათებას ასრულებს და განამტკიცებს მისი შედარება საკუთარ მამისძმასთან, რომელიც სხვა ადგილას ავტორს მრავალი ღირსების პატრონად ჰყავს დახატული.

მხედველი ყოველთაჲ

შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი მაგალითი განკერძოებულ განსაზღვრებათა სანაცვლოდ ზმნური წინადადების ჩასმისა და საზოგადოდ ტექსტის „გაუბრალოებისა“ ზოგიერთ ნუსხებში;

მღდელთაგან გამოვიდოდა (+ყოველი ARDT) უსჯულოებაჲ (Q, —ჲა სჴვ.)

CMQm	A (+RDT)
—	და ცოდვა,
MQm(+RDT)	A
რომლითა თუალი ღ҃ისა მხედვე-ლი (ზედა-მხედველი C) ყოველთა (+იყო D) ესეოდენად რისხვად აღძ-რულ იყო, ვითარცა ზემორე (ზე-მოთრე C) სიტყუამან გამოაცხადა (განაცხადა C)	რომელთა თუალი ღთისა ხედვიდა და ყოველთა განრისხებულ იყო ვითარცა ზემო ვთქუით

მ. ბროსეს გამოცემაში: ტექსტი ასეა გამართული: ცოდვა, რომლითა... თვალი ღვთისა, მხედველი ყოველთა, ეს-ოდენ რისხვად აღძრულ იყო, ვითარცა ზემორე სიტყვა-მან გამოაცხადა [ქც[1], გვ. 242]; ს. ყაუხჩიშვილს კი ამ ადგილას ტექსტის საფუძვლად A-ს იკითხვისი აქვს თითქმის უცვლელად განმეორებული [...ხედვიდა ყოველთა და ქც[2], გვ. 327]. ჩვენ გამოცემაში ტექსტი გამართულია ძირითადად CMQm-ის მიხედვით.

უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ამ ნუსხათა იკითხვისებს მხარს უჭერს ზოგიერთი მსგავსი ადგილი თვით ამ თხზულებიდან: რისხვად აღძრულ იყო შდრ. აღძრეს წყალობად 53; ს ი ტ ყ უ ა მ ა ნ გ ა ნ ა ც ხ ა დ ა პარალელს პოულობს ისეთ გამოთქმებში, როგორიც არის: ვითარცა წინამდებარემან ს ი ტ ყ უ ა მ ა ნ ც ხ ა დ-ყ ო ს 16; მცირედითა და ყოვლად ქნინითა ს ი ტ ყ ჳ თ ა წ ა რ მ ო გ ჳ ჩ ე ნ ი ა ნ 66; მარტივთა მიერ ს ი ტ ყ უ ა თ ა გ ე ზ რ ა ხ ო თქუენ 89. ზემოთქმულის შესაბამისად საანალიზო მონაკვეთი გამოცემაში ასეა გამართული: უსჯულოებაჲ და ცოდვაჲ, რომლითა თუალი ღმრთისაჲ, მხედველი ყოველთაჲ, ესეოდნად რისხვად აღძრულ იყო, ვითარცა ზემორე სიტყუამან განაცხადა 24.

გ ა ნ მ რ ა ვ ლ ე ბ ა დ ტ ა ლ ა ნ ტ თ ა

გელათის აღშენების ეპიზოდს წინ ერთგვარ შესავლად მიუძღვის თხრობა ღვთის მრავალრიცხოვან წყალობათა და დავითის საპასუხო საქმეთა შესახებ. ამ ეპიზოდში ზოგიერთი იკითხვისი გამოცემებში განსხვავებულია: არცა იგი უდებებდა განმრავლებად საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღვთისათა, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა [ქც[1], გვ. 243]. შდრ. ...განმრავლებად ტალანტთა, არამედ... [ქც[2], გვ. 329]. მსგავსი სხვაობა ნუსხებშიც არის.

არცა იგი უდებებდა განმრავლებად

CMQm	ART (D-ს ფურცლები აკლია)
ტალანტთა (ტალატთა C)	საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღთისათა

ტ ა ლ ა ნ ტ თ ა გ ა ნ მ რ ა ვ ლ ე ბ ა ბიბლიური ალუზიაა; როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები საგანგებო თავში, ბიბლიურ ალუზიებს, შედარებებსა და ციტატებს ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და მისი სტრუქტურის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ტ ა ლ ა ნ ტ თ ა გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა კონკრეტულად მიანიშნებს სახარების ეპიზოდზე (მთ. 25): მონებმა მათი უფლის მიერ მიცემული ფული სხვადასხვაგვარად იხმარეს: ორმა „აქმნია“ (ე. ი. აბრუნა ფული); ერთმა მიცემული ხუთი ქანქარი ათად აქცია, მეორემ ორი — ათად, მესამემ კი თავისი ერთი ქანქარი მიწაში დაფლა. ეს უკანასკნელი, სხვებისაგან განსხვავებით, სასტიკად დაისაჯა. ქრისტიანული სენტენცია იმის შესახებ, რომ ტალანტთა გამრავლება საჭიროა, სწორედ აქედან მომდინარეობს. სახარების ბერძნულ ტექსტში შესაბამის ადგილას ფულის ერთეულად სწორედ ტ ა ლ ა ნ ტ ი ა (τάλαντ:ν) დასახელებული. ქართული ოთხთავის ძველ თარგმანებში მხოლოდ ქ ა ნ ქ ა რ ი გვხვდება, ხოლო ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლების ნარედაქციევ ტექსტებში ქ ა ნ ქ ა რ ი და ტ ა ლ ა ნ ტ ი ერთმანეთს ენაცვლება. ეფთვიმისეულ ტექსტში ერთგან განმარტებაც კი არის ჩართული: ხუთი ტალანტი, რომელ არს ქანქარი (მ. 25, 15). ეს ბიბლიური რემინისცენცია მემატიანეს პირდაპირ აქვს მოთხრობილი: ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ-მყოფელსა მისცნაა ათნი ქანქარნი? ანუ არა ერთისა დამფლველსა მოუღო იგიცა და მისცა ათთა ზედა მეათერთმეტედ? 95.

ამრიგად, დავითის მიერ „განმრავლება ტალანტთა“ ავტორისეული ტექსტის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს. ამავე დროს სავარაუდებელია, რომ მომდევნო განსაზღვრებაც ასეთივე ხასიათისაა, რადგან იგი აკონკრეტებს ავტორის სათქმელს და აზუსტებს, თუ რას გულისხმობს დავითის „ტალანტი“ — საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა: ეს სიტყვები არ არის CMQm-ში, ისევე, როგორც ტ ა ლ ა ნ ტ თ ა — A (RT)-ში, მაგრამ აქაც ისევე სავარაუდოა ნუსხათათვის ჩვეულებრივი შეკვეცა ტექსტისა, შესაბამისად, შესაძლოა, მიგვაჩნია საანალიზო მონაკვეთის ასეთი სახით გამართვა: არცა იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა — საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა 29.

2. ერთგვარწევრებიანი სინტაქსური კონსტრუქციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირულითა ერითა

ერწუხის ბრძოლაში დავითმა დიდი გამარჯვება მოიპოვა; ამის შესახებ თხზულებაში შემდეგია ნათქვამი: ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დაჯოცნა სულტანისა იგი სპანი ურიცხუნი [ქც², გვ. 328].

ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია: დავითის მცირერიცხოვანი და თავგანწირული ლაშქარი იმარჯვებს მტრის უთვალავ ჯარზე.

განწირულ სიტყვას არცერთ გამოცემაში ეჭვი არ გამოუწვევია, რადგან იკითხვისი საერთოა ყველა არსებულ ხელნაწერში (მათ შორის იმათშიც, რომლებიც ჩვენს გამოცემაში დამოწმებული არ არის). არსებულ თარგმანებში განწირული ასეა გადმოცემული: avec des troupes inspireés par le désespoir, ე. ი. 'განწირული, უიმედობით აღძრული' [94, გვ. 356]; mit... den sich aufopfernden Männer [95, გვ. 52]; mit... einem bis zur Verzweiflung entschlossenen Kriegsvolk [96, გვ. 405]. გერმანულ თარგმანებში განწირულ სიტყვა მეტნაკლები სიზუსტით თარგმნილია ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც ძველ და ახალ ქართულში საკმაოდ ახლოა. განწირვა ნიშნავს 'გაწირვას, გამეტებას, იმედის წართმევას'. განწირულ სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციო კარგი მაგალითი აქვს დამოწმებული ილ. აბულაძეს „ძველი ქართულის ლექსიკონში“: მკურნალი იგი იქმნის, რომელმან განწირული განკურნის („მამათა სწავლათა“ მიხედვით).

მიუხედავად ამისა, წინადადების შინაარსსა და სტრუქტურაზე დაკვირვება ბადებს ეჭვს, რომ განწირული ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტში არ უნდა ყოფილიყო.

საეჭვოა, რომ განწირულ სიტყვას ძველ ქართულში 'თავგანწირულის' მნიშვნელობა ჰქონოდა. რაკი ასეთი მნიშვნელობა არ ჩანს, გარკვეული არ არის, ვის მიერ იყო განწირული დავითის ლაშქარი ან რატომ უნდა ყოფილიყო იგი უსასოო, უიმედო, როდესაც მან ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია.

საანალიზო სიტყვის სისწორისა თუ მცდარობის გასარკვევად ყურადღება უნდა მიექცეს მისი შემცველი წინადადების სინტაქსურ წყობასაც. ლაშქრითა და ერითა წარმოგვიდგება, როგორც ორი უბრალო დამატება (შერწყმულ წინადადებაში) ერთ შემასმენელთან, ამასთან თითოეულს თავ-თავისი განსაზღვრება ახლავს: მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა.

ერთგვარ წევრთა ხმარება მემატიანის თხზულებაში გვხვდება სინტაქსურ კონსტრუქციათა ყველა დონეზე. ამ მოვლენის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ როგორც შერწყმული, ისე რთული და ზერთული წინადადებები; ტექსტში გვხვდება ისეთი მონაკვეთებიც, სადაც ერთმანეთს მიჰყვება რამდენიმე დამოუკიდებელი წინადადება, ერთი და იმავე სინტაქსური სქემის მიხედვით აგებული.

წინადადებაში ერთგვარ წევრთა სიმრავლის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ტექსტის მონაკვეთი, სადაც ერთ ქვემდებარესთან თორმეტი შემასმენელი არის: თვთ მივიდის, მოიხილნის, მოიკითხნის, და ამბორს-უყვის თითოეულსა, ჰფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ჰნატრიდის, განამჴნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თვსითა ჴელითა ცხედრები, სამოსლები... და ყოველი საკმარი მათი, მისცის თჳთოეულსა ოქროჲ კმა-საყოფი და განაკრძალნის ზედა-მდგომელნი მათნი და განაგის ყოველი საქმე მათი დიდადშუენიერად და ღმრთისმსახურებით 34. ამავე წინადადებაში მონახის ზმნასთან რამდენიმე პირდაპირი დამატება: ცხედრები, სამოსლები, საჴმარი.

განსაკუთრებით შეიმჩნევა სხვადასხვა ტიპის ორწევრიან კონსტრუქციათა სიმრავლე. ბინარულობა, რომელიც წინადადების სხვადასხვა წევრებთან იჩენს თავს, ავტორის სტილის დამახასიათებელ ნიშნად გვევლინება; მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ „მრავალთაგან მცირედნი“: უჯმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თჳსთა აბრალებდედ... შეკრებულ იყვნეს... მეფენი და ჴელმწიფენი 96; საქმენი, რომელნი მან ქმნნა და აღასრულნა 66; საწუთოთა და ჯორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მოყამეთა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო 49; უკანასკნელ მონაკვეთში სამი წყვილი გამოიყოფა ერთგვარი წევრებისა: საწუთოთა და ჯორციელთა; სწორთა და მოყამეთა; უმაღლეს და უზეშთაეს. დაუდგინნა... სპასალარნი და მმართებელნი 48 და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ერთგვარი სინტაქსური ფუნქციის მქონე წევრები ლექსიკურად ახლო დგანან ერთმანეთთან და ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის სინონიმურნი არიან (ქმნნა და აღასრულნა). ეს მოვლენა, სტილისტური სიმეტრიის (ან სინონიმური პარალელიზმის) სახელით ცნობილი, საზოგადოდ დამახასიათებელია შუასაუკუნეებრივი პოეტიკისათვის [48, გვ. 170].

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში სტილისტური სიმეტრიის (აგრეთვე მხატვრული პარალელიზმის) შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ყველა რიგის განსაზღვრებებთან; აქ სტილისტური სიმეტრია

ყველაზე უფრო ნათლად არის გამომჟღავნებული, როგორც ავტორის პოეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. სტილისტური პარალელიზმი ხშირად მეტად რთულ კონსტრუქციებს ქმნის; პარალელიზმის წევრი შეიძლება ორზე მეტი იყოს, ანდა პარალელიზმს ქმნიდეს არა მარტო განსაზღვრებები, არამედ მათ მიერ განსაზღვრული სიტყვებიც: გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად *შუენიერსა* და ყოვლითურთ *უნაკლულოსა* 30; მონანი რომელ ჰყვეს *რჩეულნი* და *განსწავლულნი* ღუაწლსა... *მისანდონი* და *გამოცდილნი* სიმჴნითა 48; მეფემან დავით, *უშიშმან* და ყოვლად *უძრავმან* გულითა 55; ნადირნი *უცხონი* და ძჳრად *საპოვნებელნი* 65; მიწევნად თავსა ყოვლისა *სწავლულებისა* და *მეცნიერებისასა* 88; *სანატრელი* და ყოვლად *განთქუმული* გუარანდუხტ დედოფალი 44.

სიმეტრიის წევრთა იდენტურობა, ესე-იგი აბსოლუტური დამთხვევა მათი მნიშვნელობებისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, არა გვაქვს, მაგრამ იგი საერთოდ არც არის მოსალოდნელი. სიმეტრიის წევრების მნიშვნელობები ერთმანეთს ავსებს და აზრობრივ ერთიანობას ქმნის. კიდევ უფრო ნათლად ჩანს ეს მხატვრული პარალელიზმის შემთხვევაში, როდესაც ორი მოვლენა შეიძლება ერთმანეთს დაპირისპირებულიც იყოს [48, გვ. 171]. ისტორიკოსის თხზულებაში ასეთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ეოცებოდა *მძინარესა* შიში და *მღჳძარესა* — სიკუდილი 64; ანუ რაჲსათჳს ქადებულ არიან *სამოთხისა* შუებანი და სასუფევლისა ნეტარებანი ღმრთისა ნების მყოფელთათჳს, ხოლო საშინელებანი *გეჰენიისანი* — ურჩითა და უღირსთათჳს? 95. უკანასკნელ მაგალითში საკმაოდ რთული სქემა გვაქვს: *სამოთხისა შუებანი* და *სასუფევლისა ნეტარებანი*, აგრეთვე *ურჩთა* და *უღირსთათჳს* სტილისტური სიმეტრიის წევრებია, ხოლო სამოთხისა და სასუფევლის ნეტარებათა დაპირისპირება გეჰენიის საშინელებებთან მისდევს ყალიბს, რომელიც ცნობილია ჯერ კიდევ ბიბლიის პოეტური წიგნებიდან — ძირითადად ფსალმუნიდან (რომლის გავლენა ისტორიკოსის თხზულებაზე საზოგადოდ ძალიან დიდია): აქ გვაქვს ე. წ. კონტრასტული პარალელიზმი.

სტილისტური სიმეტრია გულისხმობს ერთი და იმავე აზრის, დებულებისა თუ მსჯელობის გამეორებას მსგავსი სინტაქსური ფორმით. დ. ლიხაჩოვი ამას უწოდებს აზრის ვარიაციას მისი არსის შეუცვლელად.

ისტორიკოსის თხზულების საანალიზო მონაკვეთში, სადაც ერწუხის ბრძოლაა აღწერილი, *ლაშქრითა* და *ერითა* სტილისტური სიმეტრიის წევრები არიან და, როგორც სხვაგან, ერთმანეთს

ავსებენ — ერთი და იგივე ნათქვამია ორჯერ. სავარაუდებელია, რომ ამ სიტყვათა მსაზღვრელები — მცირედითა და განწირულითა აგრეთვე სტილისტური სიმეტრიის წევრები უნდა იყვნენ და როგორც ლაშქარი და ერი, ერთნაირი ან ერთმანეთის შემავსებელი მნიშვნელობისა.

აშკარაა, რომ დავითის ჯარის სიმცირე საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ უფრო გამოჩნდეს მისი გამარჯვება მრავალრიცხოვან მტერზე. ამიტომ განწირულითა სიტყვაში 'მცირის, პატარის' მნიშვნელობა არის საძიებელი. რაკი განწირულს ასეთი მნიშვნელობა არ გააჩნია, საფიქრებელია, რომ სიტყვა იმ სახით, როგორითაც იგი დღეს გვხვდება ნუსხებში, გვიანდელ გადამწერთათვის გაუგებარი და შემდგომში მათ მიერ გააზრიანებული სიტყვაა.

ძველ ქართულში ცნობილია **წილ** ფუძიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები: განუწილა მათ საზომითა დამკჳდრებისაჲთა (ფს. 77, 55). ეს ფორმა გვხვდება. ძველ, „ქართულ" ვერსიაში; გიორგი მთაწმიდლის ნარედაქციევ ტექსტში შესაბამის ადგილას საანალიზო ზმნას განუყო ენაცვლება. სხვა მაგალითი: მუნ განიწილა ქუეყანაჲ (მეორე სჯ., 33, 21). ეს წიგნი ოშკის ხელნაწერს აკლია. განსახილველი მუხლი არ არის არც ძველ ლექციონარებში, ციტატა ამოღებულია „შატბერდის კრებულში" შეტანილი ეგზეგეტიკური თხზულებიდან [64a, გვ. 217] და ტექსტშივე განმარტებულია ასე: „მოგუასწავებს, რომელნი... განიყოფენ ქუეყანასა". საბასეულ ბიბლიაში („მცხეთურ ხელნაწერში") შესაბამისი მუხლი ასეთია: მუნ განიყო ქუეყანაჲ:. ფსალმუნთა სათაურებში (რომლებიც ხშირად გვიანდელი, ქრისტიანული ინტერპრეტაციის მაჩვენებელია) განწილვა (მაგ. ფს. 94 E) გულისხმობს ებრაელთა განბნევას, გაყოფას ბაბილონის ტყვეობის შემდეგ. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში განწილვა ასეა ახსნილი: დავჰყოფ, დავანაწილებ, **делить на части, дробить**. მის მიერ საილუსტრაციოდ დასახელებული II სჯ. 2,33 მემატიანის თხზულებასთან საინტერესო ანალოგიას გვაწვდის; აქაც აღრეულია განწილვა და განწირვა. დასახელებულ ადგილას ტექსტში სწორედ ეს უკანასკნელი სიტყვა გვაქვს: და განწირა იგი უფალმან... და მოვსართ იგი (მცხეთური ნუსხით). ამრიგად, განწილვა, არის 'გაყოფა', ხოლო ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობა განწილული ნიშნავს 'გაყოფილს, არამთელს, ნაწილს, მცირე რასმე'.

განწილული დავითის ისტორიკოსის თხზულებაში, ნახმარი ერის ეპითეტად, როგორც სინონიმური პარალელიზმის წევრი, მთლიანად არ ემთხვევა ლაშქარ სიტყვის ეპითეტს (ე. ი. მცირედს),

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს არც არის აუცილებელი; სიმეტრიის წევრები აბსოლუტურად იდენტური ჩვეულებრივ არც არიან; მათი მნიშვნელობები ერთმანეთს ავსებს და აზრობრივ ერთიანობას ქმნის [48, გვ. 171]. როდესაც ძნელად გასაგები განწილული გადამწერთა ხელში განწირულ სიტყვით შეიცვალა, სინონიმური წყვილი — მცირედი ლაშქარი და განწილული ერი დაირღვა. რომ აქ მართლაც განწილული (ე. ი. არასრული, ცოტა), უნდა გვქონოდა, ამას ისიც მოწმობს, რომ დავითის ჯარის სიმცირე დაპირისპირებულია მის მოწინააღმდეგეთა ჯარის მრავალრიცხოვანებასთან.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, საანალიზო ადგილი შემდეგნაირად არის აღდგენილი: მცირედითა ლაშქრითა და **განწილულითა** ერითა 27.

თხზულების ნუსხებში ხშირია სტილისტური პარალელიზმის დაშლა. ამა თუ იმ ნუსხის ტექსტიდან ამოღებულია მისი რომელიმე წევრი, ან პარალელიზმის წევრები ცალ-ცალკეა გატანილი ნუსხებში. დავითის ერთ-ერთი ბრძოლა ყველა გამოცემაში ასეა გადმოცემული: იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა [ქც^1, გვ. 245; ქც^2, გვ. 332]. ორსავე შემთხვევაში ტექსტი იმ სახითაა მოცემული, რომლითაც მას გადმოგვცემს A და RT ნუსხები (ასეთივეა ტექსტი D-ში ოდნავი ცვლილებით: იქმნა ბრძოლა მათ შორის ფიცხელი მას დღესა). ასევეა Q-ში; Mm-ში კი ფიცხელ სიტყვას ძლიერი ენაცვლება. დაბოლოს, მნიშვნელოვან ჩვენებას გვაწვდის C, რომელშიაც ორივე ეს სიტყვა გვაქვს: იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი. ამრიგად, C-ში შენახულია ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი პარალელიზმი, დანარჩენ ნუსხებში კი იგი დაშლილია შემადგენელ ნაწილებად გადამწერთა მიერ. შესაბამისად, ეს ადგილი ასეა გამოცემაში წარმოდგენილი: იქმნა ბრძოლაჲ **ძლიერი** და **ფიცხელი** 38.

წესად და კანონად

გელათის ტაძრის მშენებლობის აღწერის შემდეგ ავტორი გვამცნობს მის შესახებ: რომელიცა აწ წინამდებარე არს... სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად [ქც^2, გვ. 331]. ეგევე ადგილი მ. ბროსეს გამოცემაში ასეა გადმოცემული: სახლად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა, წესად, კანონად ყოვლისა საეკლესიოსა შვენიერებისად [ქც^1, გვ. 244]. სხუად ათინად ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში, რომელსაც MQm უჭერს მხარს, სწორი იკითხვისია: (ბროსეს გამოცემის სახლად RT-ში გვხვდება; CA-შიც ტექსტი დამახინჯებულია: სიტყუად ათინად A, სახად C). გელათი

არის, ტექსტის მიხედვით, მეორე იერუსალემი და სხვა (ე. ი. მეორე) ათინა. გელათის შედარება ქრისტიანობის წმიდა ქალაქთან და ბერძნული წარმართული მწიგნობრობის უდიდეს ცენტრთან მის მნიშვნელობასა და ღირსებას გახაზავს. ამავე დროს ავტორი გელათს, როგორც ქრისტიანობის კერას, ათინასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. სწორედ ტექსტის ეს მონაკვეთი არის გამოცემებში განსხვავებული. ს. ყაუხჩიშვილის მოწოდებული იკითხვისი A ნუსხისას ეყრდნობა: ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად. ასეთი სახით წარმოდგენილ ტექსტში გაუგებარია, თუ რას ნიშნავს დიაკონად. შუენიერებისად.

დიაკონი ამ ძეგლში სხვაგანაც გვხვდება და იქ სიტყვის მნიშვნელობა სრულიად ცხადია: კუალად მღდელთ-მოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა... 87... აქ დიაკონი გარკვეული რანგის მღვდელმსახურს აღნიშნავს. დიაკონი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა. ქართულ ძეგლებში, რომლების შექმნის დრო მემატიანის თხზულებისას უახლოვდება, დიაკონი (διάκονος) 'მონასტრის მოწესის, ახალგაზრდა მსახურის' მნიშვნელობითაც გვხვდება. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში საგანგებო თავია, სადაც დიაკონთა შესახებ არის საუბარი: თავი ლ҃ა. მოყმეთათჳს დიაკონთა. თუ სადა იყვნენ, ანუ ვითარ განისწავლნენ. განვაწესეთ უკუე ყოფად მოყმეთა მოსწავლეთა (თარგმანში: ученики— подростки) ნიკოლწმიდას [28, გვ. 116]. ამავე ძეგლში გვხვდება მთავარდიაკონი: მთავარდიაკონნი ორნი, რომელნი საკურთხეველსა მსახურებდენ... (თარგმანში — архидиакон). ბერძნულ ტექსტში აქ ისევ დიაკონი არის. აქვე ნახსენებია კერძოდიაკონნი (თარგმანში: иподиакон); და სხუანი კერძოდიაკონნი ორნი წიგნის მკითხველად. დიაკონი, როგორც ეკლესიის მსახური პირი, „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტის მიხედვითაც არის ცნობილი: არა ჴელთ-დასხმისათჳს ვიეთისამე ეპისკოპოსად ანუ ხუცად, ანუ დიაკონად [62, გვ. 129]; ეპისკოპოსად, ანუ ხუცად, ანუ დიაკონად, ანუ კერძოდიაკონად ჴელთდასხმულსა უჴმს, რაჲთა... სრულიად ქალწული იყოს [გვ. 131]; არა ჯერ არს, რაჲთა იყოს უკნინეს ოცდაათისა წლისა, რომელსა-იგი ჴელნი დაესხმოდინ ხუცად, და დიაკონი — ოცდახუთისა წლისაჲ... [გვ. 133]. ამავე ძეგლის მიხედვით, არსებობს დედათ-დიაკონიც: არა შეუნდობს, რაჲთა იქმნეს დედათ-დიაკონი, რომელი არა თანაწარსრულ იყოს რიცხუსა სამეოცთა წელიწადთასა [გვ. 133]. ზედმეტი არ იქნება იმის გახსენება, რომ „დიდი სჯულისკანონი“ ნათარგმნია

დავითის თანამედროვისა და თანამდგომის, არსენ იყალთოელის მიერ.

დიაკონი „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაშიც" თანამდებობის აღმნიშვნელია: ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი, გინა თუ მყამობელნი ხუცესნი და დიაკონნი. [60, გვ. 60, 43] და სხვ.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ცხადია, რომ გელათი დიაკონად შუენიერებისად არ შეიძლება მივიჩნიოთ. უფრო სწორი ჩანს გვიანდელი ნუსხების მიხედვით შემოთავაზებული იკითხვისი მ. ბროსეს გამოცემაში: წესად, კანონად, რომელიც ძველ ნუსხებშიც გვხვდება. ამრიგად, გვაქვს იკითხვისი: წესად (+ და CD), კანონად CMQmRT.

წესი და კანონი პოლისემიური სიტყვებია. თითოეულ მათგანს რამდენიმე, ზოგჯერ ერთმანეთს საკმაოდ დაშორებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ლექსიკური ერთეულების ხმარების სხვა შემთხვევები ისტორიკოსის თხზულებაში გვიჩვენებს, რომ ავტორისათვის წესი და კანონი იმასვე ნიშნავს, რასაც იგივე სიტყვები ჩვენთვის დღევანდელ ქართულში. ეს ჩანს მაგალითებში (სადაც ერთერთი ამ სიტყვათაგან გვხვდება არა მარტო ცალკე სიტყვად, არამედ საწარმოებელ ფუძედაც). ჟამიერად და წესიერად (ე. ი. დროულად და წესის მიხედვით) იყოვნებდა მათ 48; უღირსთა და უწესოთა... დაეპყრნეს საეპისკოპოსონი 24; ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად 87. მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოჲსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან 79. ძაგებაჲ არაწმიდათა და უწესოთა საქმეთაჲ 87; ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ 87, ვითარცა კანონსა უცთომელსა 79. წესად და კანონად საანალიზო მონაკვეთში ისეთ პარალელიზმს წარმოადგენს, რომლის წევრთა მნიშვნელობები ერთმანეთს ავსებენ და ამტკიცებენ.

ასეთი წაკითხვა ტექსტისა ავტორის სტილს სავსებით შეესაბამება. A-სა და ქც²-ის წაკითხვის მიხედვით, წესთა წარმოადგენს საზღვრულს საღმრთოთა სიტყვისათვის; მაგრამ ის გარემოება, რომ ჩვენი წაკითხვის მიღების შემთხვევაში საზღვრული არ ჩანს, დამაბრკოლებელი გარემოება არ არის. საზღვრულის გამოტოვების შემთხვევები სხვაგანაც არის: რაჲთა თჳთ მათ (იგულისხმება: სიტყუათა) იერემიაჲსთა ვიტყოდი 8; არა კმა იყვნეს (იგულისხმება: სპანი) სამეფოჲსა მისისანი 43; ჯაბანთა სადედოთა (იგულისხმება — სამოსელთა) შთაცუმითა 92. და რაოდენ ჴორციელთა და საწუთოთა (იგულისხმება: საქმეთა) შინა იგი მისთა სწორთა და მოჟამეთა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს-მცნებათა შინა ჴორციელ-

თ ა ვ ე (იგულისხმება ისევ: საქმეთა) თანა მისთა პირველსა ჰმატდა 49. განმარტოებული განსაზღვრება ძველ ქართულ ძეგლებში, განსაკუთრებით ნათარგმნში, კარგად არის ცნობილი. იოვანე ოქროპირის ერთ-ერთ თხზულებაში ნათქვამია: შენ შჭამ ჯოჯბისასა და კაკბისასა და ღრღედისასა [67, გვ. 85] აქ გამოტოვებულია სიტყვა ჯორცსა [6, გვ. 617].

ზემოთ მოყვანილი მონაკვეთის ამგვარი ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ უფრო ახლოა ავტორისეულ ტექსტთან CMQm ნუსხათა და მ. ბროსეს გამოცემის იკითხვისი. ასევეა გამართული ეს ადგილი ჩვენს გამოცემაშიც: უაღრეს მისა საღმრთოთა შინა, **წესად და კანონად** ყოვლისა საეკლესიაოჲსა შუენიერებისა 33.

დ ი დ გ ო რ ი ს ბ რ ძ ო ლ ა

დავითის საომარი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტის — დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობა, როგორც ცნობილია, თხზულების სხვადასხვა ნუსხაში ერთნაირი თანმიმდევრობით არ არის გადმოცემული. ეს გარემოება ადრევე გამოჩნდა: მ. ბროსეს გამოცემასთან შედარებით სხვაობა გამოავლინა უკვე მარიამისეულმა ნუსხამ. ს. ყაუხჩიშვილმა იგი აღნიშნა როგორც ანასეული ნუსხის გამოქვეყნებისას [76, გვ. 21], ისე „ქართლის ცხოვრების“ 1955 წ. გამოცემაშიც [ქც², გვ. 341], სადაც მან ამ ეპიზოდის ტექსტი ძირითადად A-ს მიხედვით გამართა. ამრიგად, ტექსტის თანმიმდევრობა ამ ორსავე გამოცემაში ერთმანეთს დაემთხვა; სხვაგვარად დაწყობილ ტექსტს შეიცავს მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, აგრეთვე Qm; C-ში დეფექტური დედნიდან გადმოწერის გამო დიდგორის ბრძოლა სულ გამოტოვებულია.

ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში დიდგორის ბრძოლის ამბავი ამგვარად იკითხება:

ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმი შუენიერად და ღონიერად ყო, რაზამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, — ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედამიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევ-

ნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა [ქც^2, გვ. 341].

ამ მონაკვეთში ტექსტი აშკარად არეულია, წმინდა გიორგის გამოჩენის ეპიზოდი თავის ადგილზე არ არის, რადგან მისი სიტყვები აზრობრივად არ უკავშირდება წინამავალ ტექსტს (და ვითარითა... მძორებითა) და არც ცალკე გამართულ წინადადებას ქმნის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამოვიღებთ სიტყვებს: რამეთუ პირველსავე... გიორგისსა (ე. ი. წმიდა გიორგის გამოჩინებას), მომდევნო სიტყვების წინამავალ ტექსტთან შეერთება გაბმულ აზრს არ ქმნის. აზრის მეტნაკლებად თანმიმდევრულად გადმოცემა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც საანალიზო მონაკვეთის ბოლოს (და ვითარითა ღონითა... მძორებითა) გადავიტანთ წინ, იქ, სადაც მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციის მონაკვეთი გვაქვს: ვითარ წინა განაწყო... ვითარ ყოველი საქმე ყო... ვითარ... დაიცვნა. იმის საჩვენებლად, რომ სხვა ძველ ხელნაწერებში თხრობა უფრო თანმიმდევრულია, წარმოვადგენთ ტექსტს MQm-ის მიხედვით (C-ში, როგორც აღვნიშნეთ, დიდგორის ბრძოლის ეპიზოდი საერთოდ არ არის). ქვემოთ ნაჩვენებია ძირითადი ვარიანტები (ორთოგრაფიულ-ფონეტიკური სხვაობები მხედველობაში არ არის მიღებული):

ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა თუ ვითარ წინა განეწყო (ასეა MQm) სპაჲ თჳსი და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო რაბამ რამე წყნარად და უშფოთველად გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო და თუ ვითარ ზეგარდამოთა (ზეგარდა m) შეწევნითა პირველსავე ჰომსა (ომსა Mm) სივლტოლად მიდრიკიან (მიდრიკნა m) და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ(ა) და განკრძალულად სდევნა და მოსრნა რომლითა აღივსნეს ველნი მთანი (მათნი m) და ღრენი (ღელენი Q) მძორებითა და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი არამედ ვგონებ ვითარმედ ყოვლისა სოფლისა ბრძენთა და გამომეტყუელთა ენა იმხილოს ჯეროვნად გამოწულილვით თხოვასა მიცემად.

ზემოთ მოყვანილ ტექსტში მონაკვეთის ბოლოს თვალნათლივ ჩანს ტექსტის დამახინჯება (თხოვასა მიცემად); მისი აზრი (A-ს ტექსტიც რომ არ გვქონდეს) კი ეს არის: ბრძენთა და გამომეტყველთა ენა უნდა იმხილოს, იმიტომ რომ ამის ყველაფრის (ე. ი. იმისა, რაც

ზემოთ არის ჩამოთვლილი) ჯეროვნად მოთხრობა არ შეუძლია. A-ში ეს მონაკვეთი ასეა წარმოდგენილი: ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწევნით ყოვლსავე. A-ში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხშირია რთული სიტყვათშეხამების გამარტივება. A-ს მიხედვით MQm-ში შეიძლება აღვადგინოთ თხოვასა როგორც თხრობასა, მიცემად კი ამ სახით: კერ-მიცემასა (ან ვერ-მიცემისათჳს). მსგავსი გამოთქმები თხზულებაში არაერთგზის გვხვდება: ვითარმცა ვინ მისცა თხრობასა ყოველი 13; ჩუენცა მივსცნეთ თხრობასა 67; მრავალთაგან მცირედი მივსცეთ თხრობასა 99; მსგავსი კონსტრუქცია გვაქვს შემდეგ გამოთქმაში: მეტომეთა თჳსთა ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა 57.

საანალიზო მონაკვეთის ბოლოს ამგვარი აღდგენის შემდეგ მისი მთლიანი სინტაქსური სქემა ნათელი ხდება: ხოლო მეფემან დავით... თუ ვითარ წინა-განაწყო... თუ ვითარ... შუენიერად... ყო.. ვითარ... სივლტოლად მიდრიკა... ვითარითა ღონითა მოსრნა... მეოტთა ვითარ... სდევნა... და თუ ვითარ სპანი თჳსნი დაიცვნა.· ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ... ბრძენთა... ენა... იმხილოს თხრობასა ვერ-მიცემასა.

MQm-ში ეს მონაკვეთი, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივადაც გამართულია, ავტორის სტილისათვის დამახასიათებელ პარალელიზმს შეიცავს; ვითარ სიტყვის რამდენჯერმე განმეორება დავითის მოქმედების თანმიმდევრულად გადმომცემ წინადადებებში ამ პარალელიზმს მკვეთრად გახაზავს. ეს ხერხი თხზულებაში საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული. მაგალითად: ვინ იყო ესეოდენ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ ღუმილითა? 97. დავითის მთელი დახასიათება, რომელიც აგრძელებს ამ მონაკვეთს, სინტაქსური პარალელიზმის ბრწყინვალე ნიმუშია; იგი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ პარალელიზმი თითქმის უცვლელი სახით, რაიმე ნაწილის გამოუკლებლად, არის მოცემული ყველა ნუსხაში.

ამრიგად, დიდგორის ბრძოლის აღწერილობაში ის მონაკვეთი, რომელიც სინტაქსურ პარალელიზმს შეიცავს (ხოლო მეფემან დავით... [თხრობასა ვერ] მიცემა[სა]) უფრო მართებულად გადმოგვცემს ავტორისეულ ტექსტს MQm-ში, ვიდრე A, რომელშიც პარალელიზმის წევრები ერთმანეთს დაშორებულია და უადგილო ადგილას მოთავსებული.

ამ ეპიზოდში განსხვავებულად არის გადმოცემული აგრეთვე მტრის უკუქცევა: პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა A, პირველსავე ჰომსა სივლტოლად მიდრიკიან MQm. ივლტოდა A-ში აშკარა შეცდომაა: ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ივლტო-

დ ა — ვნებითი გვარის ზმნა — აქ უადგილოა, რადგან დავითი თვითონ კი არ გაქცეულა, არამედ მტერი გააქცია.

ზემოთ (ნ. გვ 74), როგორც შესაძლებელი, წარმოდგენილი იყო შემდეგი იკითხვისი: პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა [იგინი].

წმინდა გიორგის გამოჩენის ეპიზოდი მთლიანად არის გამოტოვებული MQm-ში. ეს არის ერთად-ერთი შემთხვევა, როდესაც ძველ ნუსხებში დასრულებული შინაარსის მქონე მონაკვეთი ტექსტისა აკლია რომელიმე ჯგუფს. ძნელი სათქმელია, რით არის ეს გამოწვეული, მაგრამ გვიანდელ ჩანართად წმინდა გიორგის ხსენების მიჩნევა ჭირს, თუნდაც იმიტომ, რომ მას, ნაწილობრივ მაინც, მხარს უჭერს ძველი სომხური თარგმანი, რომელშიც ნახსენებია სასწაულები (მაგრამ ქრისტესი): *որ լեզու կարէ պատմել զաւուրն հրաշսն զոր ետ մեզ կեցուցիչն Քրիստոս* — „რომელ ენას შეუძლია მოგვითხროს იმ დღის სასწაულები, რომლებიც ქრისტე მაცხოვარმა მოგვცა ჩვენ?“ [82, გვ. 249]. სავარაუდებელია, რომ წმინდა გიორგის სახელი ქრისტეს სახელით სომეხი მთარგმნელის შეცვლილია მეტი ეფექტის შესაქმნელად. ყოველ შემთხვევაში, ის კი უეჭველია, რომ სასწაულთა ხსენება ძველ ტექსტში ნამდვილად იყო. სომხურ თარგმანში ეს თხრობა დიდგორის ბრძოლას ამთავრებს. თუ იგი ნამდვილად ტექსტის ნაწილია, სად უნდა მოეძებნოს მას ადგილი? როგორც A-ში, ისე MQm-ში შემდგომი თხრობა ასე გრძელდება: ჯერ მოთხრობილია დიდი ნადავლის აღება, სამეფოს ავსება ოქრო-ვერცხლით და სხვა სიმდიდრით, ხოლო შემდეგ — მტრის მეფეთა ტყვედ მოყვანა. ვფიქრობთ, რომ წმინდა გიორგის გამოჩენა ამის წინ უნდა იყოს მოთავსებული, რადგან აქ აღწერილია მისი უშუალო მონაწილეობა ბრძოლაში.

მონაკვეთი, რომელშიც გამარჯვებული ლაშქრის მიერ აღებული ალაფია აღწერილი, MQm-ში თავისი სინტაქსური სქემით ემსგავსება თხრობის იმ ნაწილს, რომელშიც უშუალოდ ბრძოლაა დახატული: ხოლო... ყოველი სამეფოჲ თუ ვითარ-ესე აღივსო ოქროჲთა... და ვეცხლითა, რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით ეს გარემოება არ ჩანს; ჩვენს გამოცემაში კი ეს მონაკვეთიც MQm-ის მიხედვით არის გამართული.

დასასრულ, უნდა შევეხოთ ფრაზას, რომელიც გლეხების მიერ არაბ მეფეთა დატყვევებას შეეხება. როგორც A-ში, ისე MQm-ში იგი დიდგორის ბრძოლის აღწერის სულ ბოლოსაა მოთავსებული. ყველა ნუსხაში მონაკვეთი ასე იწყება: და რამეთუ გლეხთა... მთლად ნათელი არ არის, წარმოადგენს თუ არა იგი წინამავალი ტექსტის

ლოგიკურ გაგრძელებას. გარდა ამისა, MQm-ში ფრაზის ბოლოკ დამახინჯებულია: და სხუათა გოლიათთათჳს რადლა რამცა გჳნდოდა თქუმად A, შდრ: და არა დია სხუათათჳს სიტყუა MQm. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მონაკვეთი ტექსტისა შინაარსის მიხედვით უნდა იყოს იქ, სადაც უშუალოდ ბრძოლა არის აღწერილი, მაგრამ მეორე მხრივ, დასაშვებია ისიც, რომ ტყვეთა სიმრავლე და დიდებულების ხსენება ავტორმა დიდძალი ალაფის ჩამოთვლას მოაყოლა.

გვიანდელი ხელნაწერები (RDT) დიდგორის ბრძოლის ეპიზოდს მთლიანად A-ს თანმიმდევრობით გადმოგვცემენ (რაც კარგად ჩანს მ. ბროსეს გამოცემიდან) და საკითხის გადასაწყვეტად ახალს არაფერს იძლევიან.

ამრიგად, ტექსტს აღვადგენთ შემდეგი სახით: ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინაგანაწყო სპაჲ თჳსი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რაჲმე წყნარად და უშფოთველად, გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ ზეგარდამოჲთა შეწევნითა პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა იგინი და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მბრძოლნი არაბეთისანი, ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა, და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად — ამათ ყოველთათჳს არა ჩუენდა, არამედ ვგონებ, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა ბრძენთა ვერ შესაძლებელ არს მითხრობად ზედამიწევნით ყოველსავე, და გამომეტყუელთა ენაჲ იმხილოს ჯეროვნად გამოწულილვით თხრობასა ვერ-მიცემად.

რამეთუ ჴელი მაღლისაჲ შეეწეოდა და ძალი ზეგარდამოჲ ჰფარვიდა მას: და წმიდაჲ მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა.

ხოლო სპანი ჩუენნი და უფროჲსად ყოველი სამეფოჲ თუ ვითარ -ესე აღივსო ოქროჲთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა და სარაფარდებითა და სხჳთა ურიცხჳთა ჭურჭლებითა საბრძოლელითა, თჳთო-სახეთა ქოსთა [მიერ] და ფილაკავანთა... რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! რამეთუ გლეხთა, იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ, და სხუათა გოლიათთათჳს რადლა რაჲმცა გჳნდოდა თქუმად! 55—56.

დავითის ისტორიკოსის განსწავლულობა ისტორიისა და მწერლობის დარგში არაერთგზის ყოფილა ლიტერატურაში აღნიშნული. თხზულებაში დასახელებული რეალური ისტორიული პირებისა თუ ლიტერატურული გმირების სახელების მარტოოდენ ჩამოთვლაც კი, როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, მოწმობს, რომ „ისტორიკოსის აზროვნება ფართოა და მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზს აღწევს“ [46, გვ. 219]. კ. კეკელიძეც წერს, რომ ავტორი (ავტორად მას არსენ ბერი საღირისძე მიაჩნია) „განათლებული კაცი ყოფილა, მას ზედმიწევნით სცოდნია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ისტორია, კულტურა და ლიტერატურა“ [8, გვ. 263].

დღეს უკვე მიკვლეული ზოგიერთი ლიტერატურული წყარო, რომელიც გამოუყენებია თხზულების ავტორს, უმთავრესად ბერძნული ცივილიზაციის სფეროს განეკუთვნება. ცნობილია, რომ მემატიანეს, რომელიც დავითს რამდენჯერმე ადარებს ალექსანდრე მაკედონელს, თავისი ცნობები ფსევდოკალისთენეს ნაწარმოებიდან — „ალექსანდრიანიდან“ ამოუღია; იგი იცნობდა არისტობულეს ისტორიასა და ქრონოგრაფებს, რასაც ადასტურებს ნაწარმოებში დამოწმებული არისტობულესა და პტოლემეოსის სახელები; ასახელებს იგი აგრეთვე იოსებ ფლავიოსს — ებრაელ ავტორს, რომელიც ბერძნულად წერდა, და მის თხზულებებში ნახსენებ პირებს [22, გვ. 132]. ჰომეროსისა და მისი პოემების მრავალი გმირის ხსენება ადასტურებს, რომ მისთვის ნაცნობი იყო ბერძნული საგმირო პოეზიაც; ამავე დროს მიჩნეულია, რომ შესაძლოა ამ შემთხვევაში ავტორის წყაროს წარმოადგენდა არა მარტო ქრონოგრაფები [შდრ. 23, გვ. 159], ან გრიგოლ ნაზიანზელის „ელინთა ზღაპრობათა“ ტიპის ლიტერატურა ქართულ ენაზე, არამედ ბერძნული დედნებიც [22, გვ. 132] და სხვ.

მსგავსი კვლევა საყურადღებო მასალას გვაძლევს თვითონ მემატიანის პიროვნებისა და მისი თხზულების შესასწავლად. მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე სათანადოდ არ არის გაანალიზებული ის ძირითადი წყარო, რომელიც საფუძველია როგორც მემატიანის მსოფლმხედველობითი, ისე ესთეტიკურ-ლიტერატურული კონცეფციისა, სახელდობრ — ქრისტიანული მწერლობა.

ნაწარმოებში ქრისტიანული მწერლობის, განსაკუთრებით კი ბიბლიის, უდიდესი ზეგავლენა ჩანს. იგი თვალნათლივ ვლინდება ტექსტის სტრუქტურაში. აქ იმდენია ბიბლიური პარალელები, ალუზიები და რემინისცენციები, „ფარული ციტატები“, რომ მათი გათვალისწინების გარეშე მთლიანი ნაწარმოების შესახებ სწორი წარმოდგენა არ შეიძლება ვიქონიოთ. აქ მნიშვნელობა აქვს არა მარტო

ბიბლიურ პარალელთა დიდ რაოდენობას, არამედ იმასაც, რომ მათი სიმრავლე შემთხვევითი არ არის და არც მარტოოდენ ავტორის წერის მანერის ინდივიდუალური თავისებურებით განისაზღვრება. ძველი და ახალი აღთქმის „შეჭრა“ ტექსტის სტრუქტურაში ნაწარმოების დაწერის დროინდელი ლიტერატურული კანონების მიხედვით ხდება. ქრისტიანული ლიტერატურიდან მომდინარე ლექსიკა, სტილისტური ფორმულები, მყარი პოეტური სახეები ავტორის თანადროული ეპოქის შესაბამისი მხატვრული სისტემის კომპონენტებია. ამ მოვლენის სრული სახით შესწავლა (თუნდაც ერთი ნაწარმოების ფარგლებში) ურთულესი პრობლემების გადაჭრას გულისხმობს. წინამდებარე ნაშრომში, რა თქმა უნდა, ჩვენ ამგვარ ამოცანას მიზნად ვერ დავისახავთ. ამჟამად მხოლოდ ვაჩვენებთ კონკრეტულ მაგალითებზე, თუ რა ფუნქცია ეკისრება ძველი და ახალი აღთქმის, აგრეთვე სასულიერო მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის თხზულებათა ტექსტს ისტორიკოსის ნაწარმოებში წარმოდგენილ სიტუაციათა კომპოზიციაში, ლექსიკის შერჩევაში, მხატვრულ სახეთა აგებაში და სხვ. ტექსტის ამ კომპონენტთა სწორ კვალიფიკაციას, მათ „გახსნას“ მნიშვნელობა აქვს არა მარტო ავტორის სტილის შესასწავლად; იგი ხშირ შემთხვევაში ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელადაც საჭირო საბუთებს გვაწვდის; ამიტომ მას ტექსტოლოგიური მნიშვნელობაც აქვს.

ბიბლიური პარალელები

ბიბლიური ტექსტის ციტირებისას დავითის ისტორიკოსი თხზულებაში ზოგჯერ წყაროსაც უთითებს.

დავითის გამეფებამდე მომხდარ უბედურებათა აღწერისას ავტორი ამბობს, რომ შემცოდეთ „ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თჳსი მოიხადეს განჩინებაჲ რისხვისაჲ, ქადებული უსჯულოთათჳს ესაიაჲს მიერ, მეტყუელისა ესრეთ“ 12. ამას მოსდევს ტექსტი ესაიას წიგნის პირველი თავიდან; იგი ოდნავ შემოკლებულია, სხვა მხრივ კი თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ძველ (ოშკურ-იერუსალიმურ) ვერსიას: შდრ. ვაჲ ნათესავსა! ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს ცოდვითა... (ეს. 1, 4) ფერჴთაგან ვიდრე თავადმდე არა არს მას შინა სიცოცხლე, არცა წყლულ, არცა ნაგუემ, არცა ბრძჳრი განსივებული; არა არს სალბუნი დასადებელ, არცა ზეთი, არცა შესახუეველ (ეს. 1, 6); ქუეყანაჲ თქუენი ოჴერ არს, ქალაქნი თქუენნი ცეცხლით მომწუარ, საყოფელსა თქუენსა წინაშე

უცხონი შეშჭამდენ და მოოჯრებულ არს და დაქცეულ ერისაგან უცხო თესლთაჲსა (ეს. 1, 7).

ზოგჯერ ბიბლიური ტექსტის შინაარსს ავტორი გადმოგვცემს თავისივე სიტყვებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ვრცელი დამოწმებაა მოცემული; ასეთია, მაგალითად, ტექსტი, რომელიც ნაბუქოდონოსორის ხილვას გადმოგვცემს: ვხედევდი... ხესა შორის ქუეყანისა სიმაღლედ ცისა მიმწდომსა 96. ეს ნაწყვეტი (დანიელის წიგნიდან) ძალზე განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი რედაქციების ტექსტისაგან; ნიმუშად შეიძლება ძველი რედაქციისა (ოშკ-იერუსალიმისა) მოვიყვანოთ: ხჱ მდგომარე შორის ქუეყანასა, სიმაღლჱ მისი მრავალ ფრიად. აღმაღლდებოდა, აღდუღნებოდა, აღსწუდებოდა მიღრუბლადმდე ცისა, და განვრცნებოდა და განავსებდა ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა; ფურცელი იგი შუენიერ იყო და ნაყოფი იგი მისი მრავალ იყო, და საჭმელი ყოველთაჲ მას შინა იყო. ქუეშე მისა დაბანაკებულ იყვნეს ყოველნი მჴეცნი ველისანი და რტოთა მისთა დამკჳდრებულ იყვნეს ყოველნი მფრინველნი ცისანი და მისგან იზარდებოდა ყოველი ჴორციელი (დან. 4, 7—9).

თხზულების დასაწყისში, ქვეყნის მდგომარეობის აღწერისას ავტორი ამბობს, რომ საქართველოს თავზე დამტყდარი უბედურებანი იერემიას სიტყვებით უნდა გადმოსცეს, „რამეთუ მან ოდენ კეთილად უწყოდა ჟამისა ამის ჴეროვანი გოდებაჲ“ 8. მომდევნო სიტყვები წარმოადგენს „იერემიას გოდების“ ცალკეული მუხლების პარაფრაზს.

რამდენჯერმე იმოწმებს ავტორი სოლომონის სიტყვებს. ერთგან იგი ამბობს: „იტყჳს სოლომონ — დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნეო“ 68. ეს სიტყვები პირდაპირ ციტატას წარმოადგენს „იგავთა წიგნიდან“ (4, 7).

ერთგან ავტორი ბიბლიური ტექსტის დამოწმებისას არ მიუთითებს კონკრეტულად, თუ საიდან არის აღებული ციტატა, არამედ ხმარობს მითითების ფორმას, რომელიც სასულიერო მწერლობისათვის ჩვეულებრივია: რამეთუ წერილისაებრ: არა თუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომ[ელნი]მცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით (ეს. 1, 9; ჰრომ. 9, 29). უნდა შეინიშნოს, რომ ერთი სიტყვა ამ ციტატაში ყველა ნუსხასა და გამოცემაში დამახინჯებულია: სოდომადმცა C, სოდომნიცა A, სოდომომომცა MQm, სოდომომცა RDT, სოდომცა [ქც^{1}, გვ. 240], სოდომნიცა [ქც^{2}, გვ. 323] 15. იგივე ციტატა სწორად არის გადმოცემული „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტში [71, გვ. 64].

პიროვნებათა დამახასიათებლად ავტორი მათ ბიბლიურ გმირებს ადარებს. დავითის პირველსავე ხსენებაზე ავტორი აღნიშნავს: იწყო

აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან... სახელმოდგამმან დავით ღმრთისა მამისამან და თჳთ სამეოცდამეათორმეტემან შვილმან ამის დავითისმან დავით 15. აქ მარტო ის კი არ არის თქმული, რომ მეფე დავითი „სახელმოდგამი" ანუ თანამოსახელეა ბიბლიური დავითისა, არამედ ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდა მეფე „იესიან-დავითიანია", ესე იგი ბიბლიური დავითის ჩამომავალი.

დავითის პირუთვნელობასა და სამართლიანობას ავტორი ასე აღწერს: მართლ სჯიდა სამწყსოთა თჳსთა თუალუხუამითა მით ბჭობითა თჳსითა და არასადა მიდრკებოდა წამი სასწორისა მისისაჲ, ვითარცა სოლომონისთჳს გუეშმის საბჭოთა შინა 78. აქ იგულისხმება დავითის ძის სოლომონის ბრძნული განსჯა: ვითარცა წამი სასწორთა შინა, ეგრეთ ყოველი სოფელი წინაშე შენსა (სიბრძნე სოლომონისი, 11, 23).

დავითი შედარებულია აგრეთვე ორ ბიბლიურ პერსონაჟთან: განბრძნდა უფროჲს ბესელიელისა და უმეტეს ეთამ ისრაიტელისა 75. ბესელიელ ძე ურისი „სავსე იყო სულითა საღმრთოჲთა, სიბრძნითა და მეცნიერებითა (გამ. 31, 2). მოსემ აუწყა მას ღმრთის ბრძანება და ბესელიელმა შექმნა „კარავი საწამებელისაჲ და კიდობანი იგი სჯულისაჲ" (გამ. 37, 1). ბესელიელის სახელი, როგორც ბრძენი ოსტატისა, საქართველოში საზოგადოდ ცნობილი ყოფილა. იგი დამოწმებულია გვიანდელი (ვესელეილ) ფორმით ხახულის ხატის ერთ-ერთ მინანქარზე [22, გვ. 160].

ეთამ ისრაიტელი (სახელის უფრო ზუსტი ფორმაა: ეთან იზრაიტელი) აგრეთვე ნახსენებია, როგორც გამოჩენილი და ბრძენი კაცი: და მოსცა უფალმან სოლომონს სიბრძნე დ მეცნიერებაჲ დიდად ფრიად და უმეტეს მეცნიერთა ეგჳპტისათა და განბრძნდა უფროჲს ყოველთა კაცთა და უბრძნეს ეთამ იზრაიტელისა და ზამბრისა (III მეფ. 4, 29—30). ამ ციტატიდან ჩანს, რომ მემატიანის ფრაზა დავითის სიბრძნის შესახებ მთლიანად ბიბლიურ მოდელზეა აგებული.

ისტორიკოსი აღწერს დავითის ბრძოლას: „თჳთ მეფე... ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა, თჳთ გოლიათებრ მიჰმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამჴობდა ახოვანთა" 28. აქ დავით მეფე შედარებულია ბიბლიურ გმირთან — ფილისტიმელ გოლიათთან, რომელიც შურდულით მოკლა მწყემსმა დავითმა. შდრ.: და გამოვიდა კაცი ერთი ერისა მისგან უცხო თესლთაჲსა კაცი მჴნჱ და ძლიერი და ქველი გუნდისა მისგან გეთელთაჲსა და სახელი მისი გოლიად. სიმაღლჱ მისი ოთხ წყრთა და მტკაველ (I მეფ. 17, 4).

დავითის პაექრობა სომეხ ეპისკოპოსებთან მეფის გამარჯვებით დამთავრდა. მემატიანის სიტყვით, მართლმადიდებლური სჯულის მოწინააღმდეგენი მეფემ „დაანთქნა ვითარცა მეგჳპტელნი" 70. აქ იგუ-

ლისხმება კარგად ცნობილი ეპიზოდი: ეგვიპტიდან გაპარულ ებრაელებს ფარაონის მხედრობა დაედევნა, მაგრამ მოსემ თავისი კვერთხით გააპო მეწამული ზღვა; ორმხრივ უძრავ ზღუდედ დამდგარ ტალღებს შუა ებრაელებმა უვნებლად გადაიარეს ზღვის ფსკერი. ეგვიპტელები უკან მიჰყვნენ, მაგრამ მოსემ კვლავ განირთხა კვერთხი, წყალი შეერთდა და ფარაონის მხედრობა დაიღუპა (გამ. 14, 21—30).

მოწყალების მთხოვნელები შედარებული არიან ახალი აღთქმის პერსონაჟს: აღვიდის... ბორცუსა... გინა თუ ხესა ვითარცა ზ ა ქ ე... და მიერ საცნაურ-ყვის ჰრტინვაჲ თვსი 65. ზაქე, მეზუერეთა მთავარი, ხეზე ავიდა, რათა დაენახა იესუ (ლ. 19, 1—8).

გარდა პირდაპირი ციტატებისა და შედარებებისა, ტექსტში გვხვდება ცალკეული გამოთქმები და სიტყვები ძველი და ახალი აღთქმიდან; ისინი უშუალოდ ტექსტში არის ჩართული და ავტორისეული თხრობის ნაწილს წარმოადგენს. ბიბლიური ლექსიკა, მხატვრული სახეები, ფრაზები ზოგჯერ უცვლელი სახით არის გადმოღებული, ზოგჯერ, საჭიროების მიხედვით, ავტორი მათ პარაფრაზს ახდენს. ასეთი სესხება ბიბლიის სხვადასხვა წიგნებიდან ხდება. „ფარული ციტატები" ტექსტში არის ხუთწიგნეულიდან, წინასწარმეტყველებიდან, პოეტური წიგნებიდან, ახალი აღთქმიდან. ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული ლიტერატურული წყარო არის ფსალმუნი.

ქვეყნის მძიმე მდგომარეობა დავითის გამეფებამდე ასეა აღწერილი: არცაღა იქმნა ლხინებაჲ კაცთა უკეთურებისათჳს მკჳდრთა მისთაჲსა 12. შდრ.: შექმნა ქუეყანაჲ ნაყოფიერი ბიცად უკეთურებისათჳს მკჳდრთა მისთაჲსა (ფს. 106, 34).

ავტორი წუხილს გამოთქვამს ეკლესიის დაცემის გამო: წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს 24.

ქ უ ა ბ ა ვ ა ზ ა კ თ ა, როგორც ბოროტების ჩამდენთა თავშესაფარის აღმნიშვნელი გამოთქმა, ბიბლიურ ტექსტებში გვხვდება ძველ და ახალ აღთქმაში: ქუაბ ნუ ავაზაკთა იქმნა სახლი იგი ჩემი (იერ. 7, 11). ხშირია ეს გამოთქმა ახალ აღთქმაშიც: სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდების, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა (მ. 21, 13. ნ. აგრეთვე მრ. 11, 17; ლ. 19, 46).

დავითის მიერ ქრისტეს საიდუმლოთა მუდმივი მიღების (ე. ი. ზიარების) მოწმედ დასახელებულია ღმერთი: რომლისა მოწამე არს სარწმუნოჲ ცათა შინა 79. ავტორისეულ ტექსტში თითქმის უცვლელი სახით არის ჩართული ციტატა, შდრ.: მოწამე სარწმუნოჲ ცათა შინა (ფს. 88, 38).

დავითის არაერთგვარი დამოკიდებულება მის გარშემო მყოფთა მიმართ ასეა გადმოცემული: ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლის 95. ეს არის თითქმის სიტყვა-სიტყვითი განმეორება ფსალმუნის ტექს-

ლისა: ღმერთი მსაჯულ არს; ესე დაამდაბლის და ესე აღამაღლის (ფს. 74,8) აქვე ავტორი დავითის მოქმედების გასამართლებლად მაგალითს ახალი აღთქმიდან იმოწმებს: ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ-მყოფელსა მისცნაა ათნი ქანქარნი? ანუ არა ერთისა დამფლველსა მ[illegible]-ცა და მისცა ათთა ზედა მეათერთმეტედ? 95. აქ იგულისხმება სახარებაში მოთხრობილი ამბავი: მონა, რომელმაც უფლისაგან დატოვებული ვერცხლის ტალანტი (ქანქარი) მიწაში დაფლა, დაისაჯა; იგი მას წაართვეს და მისცეს მეორეს, მონას, რომელმაც ხუთი ქანქარი „აქმნია“ და ათად აქცია (მ. 25, 15—30).

თურქმანთა ლაღი ცხოვრება ასეა აღწერილი: ნადირობდიან, განისუენებდიან, იხარებდიან და არა იყო ნაკლულევანებაჲ მათ თანა 37. ფრაზის ბოლო ნაწილს გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ფსალმუნში ეძებნება პარალელი: არღარა იყოს ნაკლულევანებაჲ მათ თანა (ფს. 138, 16). აქაც და სხვაგანაც ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ დავითის მემატიანე ლიტერატურულ წყაროდ ძირითადად ფსალმუნის გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციას ხმარობს. უკანასკნელ მაგალითზე ეს კარგად ჩანს, რადგან შესაბამისი ადგილი ძველ, „ქართულ“ რედაქციებში სრულიად განსხვავებულია: არავინ იყო მძლუარ მათა.

ლიპარიტ ბაღუაშის დახასიათების ერთ ნაწილში ავტორი იმეორებს ფსალმუნის სიტყვებს: რამეთუ ზაკვდა წინაშე მისა მოპოვნებად უსჯულოებისა (ფს. 35, 3)... და ვინაჲთგან გულისჯმის-ყოფაჲ არა ინება კეთილისაჲ (ფს. 35, 4), დადგა იგი ყოველსა გზასა არა-კეთილსა (ფს. 35, 5). შემდგომი დახასიათება ლიპარიტისა კვლავ ლიტერატურული ნიმუშის მიხედვით არის გამართული: თითქმის სიტყვასიტყვით არის გადმოღებული ტექსტი ახალი აღთქმიდან: ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი იმწუბა სანგორელსა მწჳრისასა 21, შდრ. 2. პეტრ. 22. ლიპარიტის ძე რატი, მისი სიტყვით, არის კაცი ორგული და ნანდვლვე ნ ა შ ო ბ ი ი ქ ე დ ნ ე თ ა ჲ. უკანასკნელი ორი სიტყვა სახარების ტექსტში გვხვდება არაერთგზის — ასე მიმართავს ქრისტე ფარისევლებს და სადუკევლებს: ნაშობნო იქედნეთანო (მ. 3, 7; 12, 34; ლ. 3, 7 და სხვ.).

დავითის მტრებს ბევრჯერ უცდიათ მეფის მოკვლა, მაგრამ ღვთის შემწეობით მეფე ყოველთვის უვნებლად გადარჩენილა: არაოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთაჲ მართალსა მას ზედა, არცაოდეს მისცა იგი ჴელთა მეძიებელთა მისთასა 100. ამ მონაკვეთში ორი ბიბლიური „ფარული ციტატა“ გვაქვს; პირველი მათგანი შემდეგია: არა დაუტეოს უფალმან კუერთხი ცოდვილთაჲ ნაწილსა ზედა მართალთასა (ფს. 124, 3). ს. ყაუხჩიშვილს მითითებული აქვს, რომ ეგევე სიტყვები გვხვდება დავითის ანდერძში, რომელიც მან შიომღვიმის ლავრას დაუწერა [ქც[2], გვ. 362, შნშ. ანდერძის ტექსტი: 54,

გვ. 95]. მეორე ბიბლიური პარალელი ისტორიკოსის თხზულებისათვის: და მიგცემენ ჴელებსა მეძიებელთა შენთასა (იერ. 22, 25).

იმისათვის, რომ ბიბლიური ციტატა ტექსტს მიუსადაგოს, ავტორი მას ყოველთვის უცვლელად არ იმოწმებს. საჭიროებისამებრ იგი ცვლის გრამატიკულ კონსტრუქციას, აერთებს ციტატებს, აკლებს ან უმატებს მათ სიტყვებს, ან პირიქით, ბიბლიური ტექსტიდან ამოღებული სიტყვებით განამტკიცებს საკუთარ მსჯელობას. მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, ავტორის მოდელი — ბიბლიური ტექსტი — სრულიად აშკარად არის გამოვლინებული.

თხრობა იმის შესახებ, რომ დავითის გამეფება ღვთის მიერ მოვლინებული წყალობა იყო, თითქმის მთლიანად ბიბლიურ პარალელებზეა აგებული: მაშინ რისხვასა შინა მოიჴსენა წყალობაჲ მან (შდრ.: რისხვასა შინა წყალობაჲ მოიჴსენო შენ ამბ. 3, 2), რომელი სწავლის ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს (შდრ.: რომელი უყუარნ უფალსა, სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის ებრ. 12, 6); [რომელი] მოაკუდინებს და აცხოვნებს (შდრ.: უფალი მოაკუდინებს და აცხოვნებს I მეფ. 2, 6); რომელი მზა არს უფროჲს მამისა მოწყალისა წყალობად 15.

იმის აღწერის შემდეგ, თუ როგორ დაადგა გიორგიმ გვირგვინი თავის ძეს, ავტორი განაგრძობს: უჭეშმარიტესი ითქუნ: თჳთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონაჲ თჳსი, და საცხებელი მისი წმიდაჲ სცხო მას. რამეთუ ჴელი მისი შეეწია მას და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი. წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ შეჰმოსა მას 16. ამ აღწერილობაში გამოყენებულია რამდენიმე ადგილი ფსალმუნიდან, რომელშიც პირველი პირის ფორმები ზმნებისა მესამით არის შეცვლილი: ვპოე მე დავით, მონაჲ ჩემი და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას, რამეთუ ჴელი ჩემი შეეწიოს მას, და მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი (ფს. 88,21—22). მემატიანე აგრძელებს: წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ შეჰმოსა მას 16. ამ წინადადების პირველი ორი სიტყვაც ფსალმუნიდან მოდის: შდრ. წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ უყუარს (ფს. 82, 12). შ ე ჰ მ ო ს ა ყურადღებას იმით იქცევს, რომ იგი პირდაპირი მნიშვნელობით არ არის ნახმარი; ასეთი რამ ისევ ფსალმუნის ტექსტისათვის არის დამახასიათებელი: შდრ. შ ე ი მ ო ს ა უფალმან ძალი და გარე შეირტყა (ფს. 92, 1); ოთხთავში კი შ ე მ ო ს ა მხოლოდ ისეთ კონტექსტში გვხვდება, სადაც რეალურად ტანსაცმელის ჩაცმაზეა ლაპარაკი. შემდგომი გაგრძელება დავითის შესახებ თხრობისა აგრეთვე ფსალმუნის პარაფრაზს წარმოადგენს: და უზეშთაეს ყო იგი უფროჲს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, ვიდრემდის დადვა ზღუათა ზედა ჴელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი 16. შდრ.: მე პირმშოდ დავადგინო იგი უმაღლეს უფროჲს მეფეთა ქუე-

ყანისათა (ფს. 88, 28); „ზღუათა და მდინარეთა ზედა“ ძალაუფლების მინიჭებაც ფსალმუნის ტექსტის განმეორებაა, ოღონდ ზმნური ფორმებია შეცვლილი (მესამე პირი პირველის ნაცვლად): დავდვა მე ზღუასა ზედა ჴელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი (ფს. 88, 26).

ასეთივე ხასიათისაა თხრობა დემეტრეს გამეფების შესახებ; დავითის მოქმედება შედარებულია ბიბლიური დავითის მოქმედებასთან: ვითარცა პირველმან დავით სოლომონ, თჳსითა ჴელითა დასუა ამანცა ძე თჳსი... 102. მომდევნო ტექსტი თითქმის მთლიანად ფსალმუნის პარაფრაზია: დაადგა თავსა შუენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა (შდრ. დაადგ თავსა მისსა გჳრგჳნი ქვისა მისგან პატიოსნისა ფს. 20, 4), ვიტყჳ უკუე სათნოებათა მამულთა, და შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი (შდრ.: შეიბ მახჳლი წელთა შენთა, ძლიერო ფს. 44, 4), ეჰა, რაბამ სჳანად ჴმარებული! და შეჰმოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა; და დაულოცა ცხორებაჲ წარმართებული და განგრძობაჲ დღეთაჲ (შდრ.: შუენის... სიგრძესა დღეთასა ფს. 92,5) ბედნიერებით, თაყუანისცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა (შდრ.: თაყუანისცემდენ მას ყოველნი მეფენი ქუეყანისანი და ყოველნი წარმართნი ჰმონებდენ მას ფს. 71, 11), გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშჳდობაჲ (შდრ.: გამოაბრწყინვოს დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშჳდობაჲ ფს. 71, 7). ფსალმუნის ტექსტი, ავტორის მიერ გამოყენებული, აქაც გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისაა. წ ა რ მ ა რ თ სიტყვას (ფს. 71, 11) წინარე ათონური რედაქციის ნუსხებში ცვლის ე რ ი ა ნ თ ე ს ლ ე ბ ი.

ზოგიერთ შემთხვევაში თხზულებაში ფსალმუნის ძველი ვერსიების რემინისცენციას ვხვდებით: ეს, როგორც ჩანს, მაშინ ხდება, როდესაც ესა თუ ის სიტყვა თუ შესიტყვება უკვე მყარ ლიტერატურულ-მხატვრულ სახეს წარმოადგენს. თურქი მხედართმთავარი აჰმადი ასეა დახასიათებული: ამირა ძლიერი და მ ა გ რ ი ა დ მ ო ი ს ა რ ი 4. აქ აშკარად ჩანს ძველი „ქართული“ დავითნის გამოძახილი; შდრ.: ძენი ეფრემისნი ძლიერნი და მ ა გ რ ი ა დ მ ო ი ს ა რ ნ ი (ფს. 77, 9). გიორგი მთაწმიდლის ნარედაქციევი ტექსტი აქ სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულს და განსხვავებულად იკითხება: ძენი ეფრემისნი მომრთხმელნი და მ ო ი ს ა რ ნ ი მ შ ჳ ლ დ ე ბ ი თ ა [37, გვ. 137]. მ ა გ რ ი ა დ მ ო ი ს ა რ ი, როგორც მხატვრული სახე, ადრევე დამკვიდრებულა ქართულ სამწერლობო ენაში. იგი გვხვდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: მოუწოდა ერისკაცსა აჩრელსა, ლირბსა და გლახაკსა და მ ა გ რ ი ა დ მ ო ი ს ა რ ს ა [90, გვ. ჲვ].

დავითის სამშენებლო მოღვაწეობის აღწერისას ავტორი მიუთითებს: რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ჴიდნი მდინარეთა

სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი 82. მ დ ი ნ ა რ ე ნ ი ს ა ს ტ ი კ ნ ი ფსალმუნის ძველი ვერსიების იკითხვისია; გიორგისეულ ტექსტში ვკითხულობთ: მ დ ი ნ ა რ ე ნ ი ი თ ა მ ი ს ა ნ ი. გიორგისეულ ტექსტში გამეორებულია ბერძნულ თარგმანში დაშვებული შეცდომა: ებრაული დედნის სიტყვა, რომელიც 'ძლიერს, წყალუხვს' ნიშნავს, ბერძნულში უთარგმნელად არის დატოვებული, როგორც საკუთარი სახელი. დავითის ისტორიკოსის მიერ ძველ ვერსიათა იკითხვისის ხმარება კიდევ ერთი ნიშანია მისი განსწავლულობისა.

შესაძლოა, ფსალმუნის ძველი ვერსიებით არის ნაკარნახევი შემდგომი პასაჟიც, რომელიც აღწერს მეფის მუდმივ ზრუნვას ქვეყნის კეთილდღეობაზე: არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენებაჲ ჴორცთა თჳსთა 49. ეს ტექსტიც ფსალმუნის პარაფრაზია, ოღონდ თხზულებაში ზმნური ფორმებია შეცვლილი; შდრ.: ანუ თუ ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა ჩემთა და განსუენებაჲ ჴორცთა ჩემთა (ფს. 131, 4). ეს გიორგისეული ტექსტია, ძველ ვერსიებში კი, როგორც ისტორიკოსის თხზულებაში, უარყოფა ნათლად ჩანს: ა რ ა ვსცე ძილ... ა რ ც ა რ უ ლ ი ლ... ა რ ც ა განსუენებაჲ.

ბიბლიური ტექსტის პარაფრაზი გვაქვს იქაც, სადაც ნათქვამია: რაჲთა არა თქუან მცოდველთა: ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათჳს იქმნნეს... არამედ შეცვალებითა რაჲთამე ჟამთაჲთა 13. ა ღ ძ რ ვ ა ნ ი წ ა რ მ ა რ თ თ ა ნ ი არის გამოთქმა, რომელიც შექმნილია ფსალმუნის შესაბამისად: რაჲ ა ღ ი ძ რ ნ ე ს წ ა რ მ ა რ თ ნ ი, და ერმან იზრახა ცუდი (ფს. 2, 1). ფსალმუნის მომდევნო მუხლი წარმოადგენს მოდელს თხზულების ფრაზისათვის, რომელშიც ნახსენებია დიდგორის ბრძოლაში მონაწილე მტრების ერთად თავისმოყრა: შ ე კ რ ბ ე ს ესე ყოველნი, შ ე ი თ ქ უ ნ ე ს და შეიმტკიცნეს სიმრავლითა 54. შდრ.: შ ე ი თ ქ უ ნ ე ს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შ ე კ რ ბ ე ს ერთად უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს (ფს. 2, 2). თეოლოგიური ინტერპრეტაციის მიხედვით, ეს სიტყვები გამოხატავს უსჯულოთა და უსამართლოთა შეკრებას სამართლიანი ღმერთის წინააღმდეგ, რაც ისტორიკოსის მიერ აღწერილ სიტუაციასაც კარგად ერგება.

ღვთისმოსავი მეფის მფარველ ღმერთს ისტორიკოსი ფსალმუნის მოდელზე შექმნილი ეპითეტებით ამკობს: განაგო ღმერთმან გულთმეცნიერმან, უძილმან მცველმან ისრაელისამან 26. შდრ.: აჰა არა ჰრულეს, არცა დაიძინოს მცველმან ისრაელისამან (ფს. 120, 4).

გელათის ტაძრის შესახებ ნათქვამია: ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი 30. შედარება ბიბლიური ტექსტის აშკარა რემინის-

ცეხციაა; შდრ:. რომელმან გარდაართხა ცაჲ ვითარცა კამარაჲ (ეს. 40, 22), აგრეთვე: გარდაართხენ ცანი ვითარცა კარავნი (ფს. 103, 2).

დავითს ბევრი უშლიდა შეუსვენებელ საქმიანობას და საბუთად ამას იშველიებდა: არცა მშჳლდი თავს იდებსო მარადის გარდაცუ-მულობასა 91; შდრ. ფსალმუნში ნახსენები: გარდააცუეს მშჳლდსა მათსა (ფს. 10, 2; 36, 14; 63, 4 და სხვ.).

დავითის „შიდა სპას“ ავტორი ასე ახასიათებს: მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა 48. აქაც ფსალმუნის ტექსტი გვაწვდის პარალელს: განსწავლენ ჴელნი ჩემნი ღუაწლსა (ფს. 17, 35).

მემატიანე აცხადებს, რომ მისი ნათქვამი სიმართლეა, რადგან ღმერთი სჯის ტყუილის მთქმელს: რომელსა შინა არარაჲ იყოს ტყუვილი, ვინაჲთგან წარსწყმედს უფალი რომელნი იტყჳან სიცრუ-ვესა 71. შდრ.: წარსწყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყჳან სიცრუ-ვესა (ფს. 5, 7).

ბიბლიური რემინისცენციები ყოველთვის ერთი კონკრეტული მაგალითის მოდელზე არ არის აგებული. თხზულებაში გვხვდება ისეთი მონაკვეთები, რომლებიც ბიბლიურ ტექსტებში გავრცელე-ბული მყარი გამოთქმებისა ანდა სიუჟეტურ სიტუაციათა მიხედვით არის შექმნილი. ზოგიერთი ასეთი მაგალითი ზემოთ იყო ნაჩვე-ნები. ამავე რიგისაა მრავალი სხვა მაგალითიც, მათ შორის შემდე-გი:

ერწუხის ბრძოლის შესახებ ნათქვამია: ვრი, მტერთავე თანა გარე-მოდგომილი ჩუენდა, ესეოდენ ადვილად და მოსწრაფედ ჴელთ-უსხნა ღმერთმან საკჳრველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ჴელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცი-ვნეს ბევრნი, არამედ სამალავთაჲთ... ტყუედ მოჰყუანდეს 27 (ზემოთ ამ ტექსტიდან გაანალიზებული იყო ს ა მ ა ლ ა ვ თ ა ჲ თ სიტყვა). ამ მონაკვეთის დასაწყისში მოწინააღმდეგეთა თანაფარდობა გაზვიადე-ბულად არის წარმოდგენილი: ერთი მებრძოლი ათასთა იპყრობს და ორი გაქცეულ ბევრთა (ანუ ათიათასთა) სდევს უკან. ძველ აღთქმა-ში მსგავსი შეპირისპირება საკმაოდ ხშირად არის ნაჩვენები: ივლ-ტოდიან ათასნი ჴმისაგან ერთისა და ჴმისაგან ხუთისა ივლტოდიან მრა-ვალნი (ეს. 30, 17). სხვა მაგალითთაგან (ლევიტ. 26, 8; ისუ ნავესი 23, 10 და სხვ.). საყურადღებოა შემდეგი: ვითარ-მე იოტოს ღმერთმან ათასები და ორმან წარიქციოს ბევრები? (II სჯ. 32, 10; მეორე სჯულის 32-ე თავი ლიტურგიკულ ფსალმუნში შედის რო-გორც მეორე გალობა). აშკარაა, რომ საანალიზო მონაკვეთში ის-ტორიკოსის თხრობა ბიბლიური ტექსტის მოდელზეა აგებული: ერთი ათასთა არა თუ სდევდა... ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი.

აქავე ადგილას ბიბლიურ ტექსტში შეიძლება ინახოს მოდელი თხზულების ცნობილი ადგილისათვის, სადაც მემატიანე აძაგებს პატრონის მოღალატე ქართველებს: ნათესავი ქართველთაჲ ორგულ-ბუნება არს პირველითგან თჳსთა უფალთა; რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და მშჳდობაჲ პოონ და განსუენებაჲ, იწყებენ განზრახვად ბოროტისა 94. „მოსეს გალობაში" (II სჯ. 32) მოსეს პირით შერისხულნი არიან უმადური ისრაელის ძენი; ისინი იაჰვემ ეგვიპტის მონობიდან იხსნა, უდაბნოში ხეტიალისას მრავალი სასწაული უჩვენა, ებრაელები კი მაინც განუდგნენ ღმერთს და „შესწირვიდეს ეშმაკთა მიმართ და არა ღმრთისა". მემატიანე მოღალატეთა დახასიათებისათვის პირდაპირ იმეორებს შესაბამისი ტექსტის ზოგიერთ სიტყვას; შდრ.: და ჭამა იაკობ და განძღა და განწიხა საყუარელმან მან, განსუქნა, განსხუნა, განვრცნა, დაუტევა ღმერთი (II სჯ. 32, 15). ზემოთ მოყვანილი ტექსტი გიორგისეული ვერსიისაა (ძველ რედაქციაში იკითხება: ჭამა იაკობ. განძღა... განსუქნა, განსხუა, განიშუა). ამ მაგალითში არა მარტო უშუალოდ სიტყვებია ბიბლიური ტექსტიდან აღებული: სიუჟეტური სიტუაციაც ანალოგიურია. ასეთივე ანალოგია ჩანს თხზულებაში იქ, სადაც დავითის ქველმოქმედებაა აღწერილი: დღითი-დღედთა წარსაგებელთა რომელთა თჳსითა ჴელითა მისცემდის ფარულად, ვინ აღრაცხნის თჳნიერ მამისა ზეცათაჲსა, რომელი მიაგებს ცხადად? 81. თხრობა ანარეკლია ქრისტიანული სენტენციისა, რომელიც მოითხოვს მოწყალების ფარულად გაცემას; მისი საფუძველია სახარების გამონათქვამი: რაჲთა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მათე 6,4).

ავტორის მიერ ნახმარი სიტყვებისა თუ სიტყვათშეხამებების ნაწილი ერთი შეხედვით სრულიად „ნეიტრალურია" და ამიტომ მათთვის წყაროს ძიებაც თითქოს არ უნდა იყოს საჭირო. მაგრამ მათი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ასეთი ლექსიკის შერჩევა ხშირად ისევ მწიგნობრული ენის ტრადიციებით არის შეპირობებული.

როდესაც გიორგი მეფე ეახლა მალიქშას, იგი კარგად მიიღეს: შეწყნარებულ იქმნა მისგან, ვითარცა შვილი საყუარელი 9. ორი უკანასკნელი სიტყვა ასოციაციას იწვევს ახალ აღთქმასთან, სადაც ძე საყუარელი არაერთგზის იხმარება (იესუ ქრისტესა და სხვათა მისამართით, ნ. მათე 3, 17; 17, 5; მრ. 9, 7 და სხვ.). იქვე თქმულია, რომ მეფე გიორგიმ თავი გაწირა ქვეყნისათვის: ესრეთ დადვა სული (თავი MQmC) ქრისტიანეთა ჴსნისათვის 9. თავისა და სულის დადება ახალ აღთქმაში ხშირად არის ხსენებული (მ. 12, 18; ი. 10, 11; ი. 15, 13 და სხვ). პარალელურ ტექსტებში თავი და სული ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება კიდევაც. მაგალითად: სული (ჯრუჭ-

პარხლის ოთხთ.) შდრ.: თავჲ (ადიშის ოთხთ.) შენთჳს დავდვა (ი. 13, 37). ამიტომ ასოციაცია სავსებით ნათელია.

საქართველოს მოოხრების სურათის აღწერისას ნათქვამია: ნაც-ვალად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა 7. ერთი შეხედვით, არც აქ არის მწიგნობრული ასოციაცია სავარაუ-დებელი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მჴეცი და პი-რუტყჳ ველისაჲ ბიბლიურ წიგნებში ძალიან ხშირია: სუან იგი ყოველთა მჴეცთა ველისათა (ფს. 103, 11); ჩემი არს ყოველი მჴეცი ველისაჲ (ძველ ტექსტში: მაღნარისაჲ), ნადირი მთათაჲ (ფს. 49, 10); პირუტყუნი (ძველ ტექსტში: მჴეცნიცა) ველისანი (ფს. 8, 8); მჴეცთა ველისათა დათრგუნიან (იობ. 39, 15 პარიზ. ლექც.); ხესა მას ქუეშე იყვნეს ყოველნი მჴეცნი ველისანი (ეზეკ. 31, 13); დამკჳდრებულ იყ-ვნეს მჴეცნი ველისანი (დან. 4, 18) და მრავალი სხვა. ამრიგად, მჴეც-ნი და ნადირნი ველისანი ისტორიკოსის თხზულებაში არის არა „თავისუფალი“, არამედ მწიგნობრული ტრადიციით შეპირობებუ-ლი გამოთქმა.

რამდენჯერმე იხმარება თხზულებაში გამოთქმა მკჳდრნი ქუეყანისანი: ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი 6; იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა 7; მიჰფინა წყალობაჲ ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა 29; გან-ჰკრთეს ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი 87. ესეც მწიგნობრული ტრა-დიციიდან მომდინარე სიტყვათშეხამება უნდა იყოს; შდრ.: ეშინოდენ მკჳდრთა ქუეყანისათა (ფს. 64, 9); ისწავეედ სიმართლე მკჳდრთა ქუე-ყანისათა (ეს. 26, 9); დაეცნენ მკჳდრნი ქუეყანისანი (ეს. 26, 18) და სხვ.

ისტორიკოსი წერს თურქთა შესახებ: ცხენისა, ჯორისა, ცხუა-რისა და აქლემებისა მათისა არა იყო რიცხჳ 36. ასეთი აღნიშვნა სიმ-რავლისა ხშირია ბიბლიის წიგნებში: ვერღარა ეძლო აღრაცხად, რა-მეთუ არა იყო რიცხჳ (დაბ. 41, 49); ქუეწარმავალნი, რომელთაჲ არა არს რიცხჳ (ფს. 103, 25); საკჳრველნი, რომელთაჲ არა არს რიცხჳ (იობ. 5, 9); არა იყო რიცხჳ სიმრავლისა მათისაჲ (ივდ. 2, 20); არა არს რიცხჳ საუნჯეთა მათთა (ეს. 2, 7).

დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული ალაფის სიმდიდრით გაკვირ-ვებული ისტორიკოსი ამბობს: რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაი-ტიოს აღწერად! 56. ქარტა და მელანი ახალი აღთქმის ტექსტშია დამოწმებული: მინდა მიწერად თქუენდა, არამედ არა ვინებე ქარტითა და მელნითა (2 კათ. ეპისტ. იოან. 12). იგივეა გამოყენებული ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების შესავალში“: მახლობელნი ბაგითა, ხოლო შორიელნი ჴმითა და უფროჲსღა მსხემნი და წარმავალნი ქარ-ტითა და მელნითა აუწყებენ [38, გვ. 76]. უნდა შეინიშნოს ისიც, რომ

ეფრემის ამ ციტატაში ბიბლიური ლექსიკა სხვაგანაც არის. შდრ.: რამეთუ მსხემ ვარ მე შენ წინაშე და წარმავალ (ფს. 38, 13).

ლიტერატურული ტრადიციით არის შეპირობებული ზოგიერთი ისეთი სიტყვის ხმარებაც, რომელიც მხოლოდ მწიგნობრულ ენაში გვხვდება; მაგალითად, ისეთი კომპოზიტებისა, რომლებიც ბერძნულის კალკებს წარმოადგენენ. ერთ-ერთი ასეთია დ ი დ ა დ შ უ ე ნ ი ე რ ი: განაგის ყოველი საქმე მისი დიდადშუენიერად 34. შდრ.: დიდადშუენიერ არიან საქმენი მისნი (ფს. 110, 3). გარდა ამისა, ხშირად იხმარება ამავე წიგნში დ ი დ ა დ შ უ ე ნ ი ე რ ე ბ ა: აღმაღლდა დიდადშუენიერებაჲ შენი (ფს. 8, 2). ჴმაჲ უფლისაჲ წყალთა ზედა ძლიერებით და დიდადშუენიერებით (ფს. 28, 4).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ბიბლიურ პარალელებს, რემინისცენციებს, ბიბლიიდან აღებულ ლექსიკასა და მხატვრულ სახეებს ნაწარმოებში დიდი ადგილი უჭირავს. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს შევთავაზოთ მკითხველს ზოგიერთი მოსაზრება ტექსტის ამა თუ იმ ადგილის შესახებ.

ხუნანის ბრძოლის აღწერისას ისტორიკოსი გადმოგვცემს მტრის განადგურებას: მოსრეს პირითა მახჳლისათა, რომელ არა დაუტევეს მთხრობი ამბავისა [ქც², გვ. 340]. თითქმის იდენტურია ეს მონაკვეთი მ. ბროსეს გამოცემაში: და მოსრეს პირითა მახვილისათა, და რომელ არა დაუშთათ მთხრობი ჰამბავისა [ქც¹, გვ. 249]. მ. ბროსეს ხელთ მყოფ ნუსხებში სხვაგვარი ტექსტი არც ჰქონდა; ს. ყაუხჩიშვილის მიერ შერჩეული იკითხვისი A-სა და მის მიმდგომ ნუსხებს (RDT) ეყრდნობა; გამოცემაში უყურადღებოდ არის დატოვებული CMQm ნუსხათა იკითხვისი: მოსრეს პირითა მახჳლისათა და არა დაუტევეს მიქცეული კლდედ (-MQ, კლდეთა C, კლდე m). რ ო მ ე ლ ა რ ა დ ა უ შ თ ა მ თ ხ რ ო ბ ი ა მ ბ ი ს ა CMQm-ში არ არის.

მ. ბროსეს ფრანგულ თარგმანში CMQm ნუსხათა იკითხვისის შესაბამისი თარგმანი არც იყო მოსალოდნელი. მ. წერეთლის თარგმანი ასეთია: Und man vernichtete (die Türken) mit der Klinge des Schwertes und liess auch nicht einen Boten übrig[95, გვ. 59]. გ. პეჩის თარგმანში ვკითხულობთ: Und sie töteten mit der Spitze des Schwertes, daß niemand übrigblieb, um von dem Geschehen zu berichten [96, გვ. 418].

ერთი შეხედვით, ტექსტი ამ სახით სავსებით გამართულია: მტერი ისე მოსპეს, რომ ამბის მომტანიც კი არ დატოვეს. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ CMQm იკითხვისი — ტექსტის ნაწილია იგი თუ უაზრო ზედმეტი ჩანართი, რომელიც სამართლიანად არ არის შეტანილი არცერთ გამოცემასა თუ თარგმანში?

აქ ჩვენ ვვარაუდობთ ერთ ბიბლიურ პარალელს, რომელიც თხზულების განსწავლულ ავტორს კარგად უნდა სცოდნოდა; ებრაული ძვე-

ლი აღთქმის ტექსტებში რამდენჯერმე არის ნახმარი გამოთქმა מַשְׁתִּין בְּקִיר. მისი პირდაპირი მნიშვნელობაა 'შარდისათვის კედელზე მიმდგარნი', სემიტურ სამყაროში იგი გადატანით აღნიშნავს 'მამაკაცებს, საზოგადოდ მამრს'. შესაბამისი მაგალითები ძველ ქართულში, ნახმარია სწორედ ამ მნიშვნელობით, როდესაც ერთი მოწინააღმდეგე მეორეს ემუქრება, რომ მისი ხალხისა თუ გვარის ყველა მამაკაცს ერთნაირად ამოჟლეტს: მოვსრა იერობოამისი მფსმელიცა კედელსა დაყენებული და დაშთომილი ისრაელსა შორის და გამოვარჩიო შემდგომად სახლი იერობოამისი, ვითარცა იგი მოიმარგვლის მტილი, ვიდრემდე მოისრულოს იგი (III მეფ. 14, 10, ოშკის ნუსხა, 978 წ.); აჰა ესერა, მოვავლინო ბოროტი შენ ზედა და აღვაგზნა შენსა შემდგომად ცეცხლი და მოვსრა აქაბისი მფსმელიცა კედელსა და შეპყრობილი და დაშთომილი ისრაელსა შორის (III მეფ. 21, 21); თუმცა არა მოსრულ იყავ შემთხუევად ჩემდა, არამცა დაშთა განთენებადმდე ნაბალისა, რომელმანაც შეაფსა კედელსა (1 მეფ. 25, 33). განსაკუთრებით საყურადღებოა იმავე თავში მეორე ადგილი, სადაც, როგორც ჩანს, ეს გამოთქმა შეცვლილია: „ესე რაჲმე უყავნ ღმერთმან დავითს და ესე შესძინენ, უკუეთუ დაუტეო მე სახლისა მისგან ნაბალისა ვიდრე განთენებადმდე ყრმაჲცა ერთი, რომელიმცა მიექცა კედელსა (I მეფ. 25, 22). ბერძნულ ტექსტში ორივეგან ებრაულის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი გვაქვს; რუსულ თარგმანში, რომელიც ბიბლიური საზ-ბის გამოცემულ ებრაულ ტექსტს ახლავს (ვენა, 1883 წ.). ამ მაგალითებში ებრაული თარგმნილია ასე: 'ძაღლი'; თანამედროვე რუსულ თარგმანში — мочащийся к стене, ხოლო თანამედროვე ინგლისურ თარგმანში (The Jerusalem Bible, 1968) პირდაპირ სწერია: male 'მამრი, მამაკაცი').

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ უკვე ძველ ქართულ წყაროებში (ოშკის ბიბლიაში) გვაქვს მაგალითი სავსებით ნათელი და გასაგები, მაგრამ უხერხულად მიჩნეული გამოთქმის შეცვლისა მისი ევფემისტური ექვივალენტით. ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი ოშკის ტექსტში, სადაც პლეონაზმს ვხვდებით — ერთსა და იმავე ადგილას თარგმანი ორია: პირდაპირიცა და ევფიმისტურიც: და დასცე სახლი აქაბისი უფლისა შენისაჲ პირისაგან შენისა და იძიო შური სისხლისაჲ მონათა მათ უფლისათა ჴელთაგან იეზაბელისა და ყოვლისაგან სახლისა მათისა და მოსრა სახლისა მის აბიაჲსა ყოველი, რომელი მოექცეს და აფსმიდეს კედელსა და დათრგუნვილი დაუტეო იგი ისრაელსა (IV მეფ. 9, 8).

ამრიგად, დავითის ისტორიკოსისათვის, რომელიც ბიბლიის ტექსტს ძალიან კარგად იცნობს, მიქცეული კედლად ნაცნობი გამო-

თქმა იყო და მან კიდევაც იხმარა იგი იმის აღსანიშნავად, რომ ხუნანის ბრძოლაში მოწინააღმდეგის არცერთი მებრძოლი მამაკაცი აღარ დარჩა. მსგავსი გამოთქმის ჩამატება სხვა გადამწერთაგან [illegible]-რებელი არ არის, მით უმეტეს, რომ ნუსხებში კ ე დ ლ ა დ [illegible]-გიათ და თავისებურად გაუაზრებიათ (საფიქრებელია უკვე ნუსხურად ნაწერი და დაქარაგმებული დედნიდან გადაწერის დროს). სწორედ ამის გამო არის სავსებით სწორი კ ე დ ე ლ ი ავტორისეული ტექსტისა ნუსხებში კ ლ დ ე დ ქცეული.

გასარკვევია ისიც, თუ რა მოცულობისა უნდა ყოფილიყო საანალიზო მონაკვეთის ტექსტი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სხვადასხვა ნუსხებში ავტორისეული ტექსტი სხვადასხვაგვარად არის შემოკლებული; განსაკუთრებით ეს ეხება პარალელიზმების გამარტივებას. ვფიქრობთ, აქაც შეიძლება ასეთივე ვითარება გვქონდეს.

მოსრეს პირითა მახჳლისაჲთა

CMQm	ARDT
და არა დაუტევეს მიქცეული კედლად	———
———	———
———	რომელ არა დაუშთა მთხრობი ჰამბავისაჲ.

ამრიგად, საანალიზო მონაკვეთი უნდა აღვადგინოთ ასე: მოსრნეს პირითა მახჳლისაჲთა და არა დაუტევეს მიქცეული კედლად, რომელ არა დაუშთა მთხრობი ჰამბავისაჲ 52.

რუის-ურბნისის კრების აღწერილობაშიც არის ერთი ადგილი, რომელიც ბიბლიურ რემინისცენციას შეიცავს. ეს ადგილი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ასე იკითხება: უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი ვითარცა ავაზაკთა [ქც², გვ. 327]. უკანასკნელ სიტყვებთან ნაჩვენებია სხვა ნუსხათა უფრო ვრცელი ვარიანტები. ამას მოსდევს გამომცემლის შენიშვნა: „ნუსხებში (A-ს გარდა) მოცემული ვარიანტები წარმოადგენს გვიანს, მაგრამ ვახტანგის წინადროინდელ ჩანართს სახარების მიხედვით: „რომელი არა შევიდეს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ შთაჴდეს, იგი მპარავი არს და ავაზაკი. ხოლო რომელი შევიდეს კარით, მწყემსი არნ იგი ცხოვართაჲ (ი. 10, 1—2)“.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ისტორიკოსის თხზულებაში თხრობის მოდელად მრავალ შემთხვევაში სწორედ ბიბლიური ტექსტია. სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ კეთილი მწყემსისა და ბოროტი ავა-

ზაკის შესადარებლად ავტორს გამოეყენებინა ის ცნობილი ადგილი, რომელზეც მიუთითებს ს. ყაუხჩიშვილი.

ხელნაწერთა ჩვენებაც ამას ადასტურებს, რადგან ჩანართად მიჩნეული ტექსტი გვაქვს ისეთ ნუსხებში, როგორიცაა CMQm (არის RDT-შიც): დაეპყრნეს... საეპისკოპოსონი (-ზოდ C, საებისკოპოზისანი A) არა კარით (კართა RDT) მწყემსებრ (-ებ C) შესრულნი, არამედ ავაზაკებრ (შესრულნი, ა῀დ ავაზაკებრ — Mm) ერდოთ შესრულნი (C). არსებითად, იგივე მითითება A-შიც არის: ვ ი თ ა რ ც ა ა ვ ა ზ ა კ თ ა იმავე ბიბლიურ პარალელს შეიცავს, ოღონდ, A-სათვის ჩვეულებრივი შემოკლება გვაქვს ტექსტისა. ძველ სომხურ თარგმანშიც აშკარად იგრძნობა ავტორისეული ტექსტის გამოძახილი: ***այլ առաջնորդք կոյրք և գաւշաքաղք, այլ և աւազակք, որք ընդ որմ և ընդ երդս մտանէին և ոչ հովուաբար ընդ դրունս*** „არამედ [ჰყავდათ] ბრმა და მიმხვეჭი წინამძღვრები, აგრეთვე ავაზაკები, რომლებიც ზღუდითა და ერდოებით შედიოდნენ და არა კარებით მწყემსივით“ [82, გვ. 239]. ამრიგად, ბოროტი წინამძღვრების შედარება ერდოდან ჩამავალ ავაზაკებთან ძველი სომხური ტექსტის მიხედვითაც დასტურდება.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი მოსაზრებაც: დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი მიცემულ ანდერძში იგივე პარალელი გვხვდება: ძაგანის ძმა, მოდისტოსი, აქ დაახლოებით ისევეა დახასიათებული, როგორც ბოროტი ეპისკოპოსნი ისტორიკოსის თხზულებაში: მწყემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემჴუა [54, გვ. 95]. მაშასადამე, მოდისტოსიც არის ცრუ მწყემსი, რომელიც კარიდან არ შედის, ამიტომაც არის იგი უ კ ა რ ო ჲ. ამგვარი ეპითეტის ხმარება დავითისდროინდელ და უშუალოდ დავითთან დაკავშირებულ დოკუმენტში კიდევ ერთი საბუთია იმისათვის, რომ A-საგან განსხვავებული იკითხვისი სხვა ნუსხებისა ავტორისეულად ჩავთვალოთ.

უნდა შეინიშნოს, რომ ბიბლიური ალუზია ტექსტუალურად მთლად ზუსტი არ არის; ე რ დ ო ჲ თ სახარების არცერთ რედაქციაში არ გვხვდება ამ ადგილას; ამ სიტყვის სანაცვლოდ გვაქვს ს ხ ჳ თ კ ე რ ძ ო (ე. ი. ‘სხვა მხრიდან’ ἀλλαχόθεν). ისტორიკოსის თხზულებაში ე რ დ ო ჩნდება სახარების სხვა ადგილების — ლექსიკური და სიუჟეტური ანალოგიების შესაბამისად. მაგ., ერთგან აღწერილია სახლში ზემოდან (ერდოდან) ჩასვლა: აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის, სადა იგი იყო, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრღუეული იგი (მრ. 2, 4). მართალია, ამ ადგილას ოთხთავის ყველა არსებულ ვერსიაში ს ა რ თ უ ლ ი გვხვდება, მაგრამ ე რ დ ო ისტორიკოსისათვის უთუოდ ნაცნობი სიტყვაა, რადგან

იგი სახარებაში რამდენჯერმე გვხვდება, მათ შორის უკვე ხანმეტ ტექსტებში: ქადაგებდით ერდოებსა ზედა (მათ. 10, 27).

მ. ბროსეს გამოცემაში ტექსტი ასეთია: დაეპყრნეს... საეპისკოპოსონი, არა კართა მწყემსებრ შესრულნი, არამედ ავაზაკთა-ებრ ერდოთ შესრულნი [ქც[1], გვ. 241]. მ. ბროსეს ხელთ მყოფი ნუსხება (RTB) ამ შემთხვევაში CMQm ჯგუფის მიმდევნო იკითხვისს იძლევა, ამიტომ ტექსტიც უფრო გამართულია ავტორის სტილის შესაბამისად; ცრუ მწყემსთა დახასიათება გამოხატულია განკერძოებული განსაზღვრებით, რომელიც (როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები) ძალიან ხშირად არის ავტორის მიერ გამოყენებული.

ზემოთქმულის შესაბამისად, საანალიზო მონაკვეთი ჩვენს გამოცემაში ასეთი სახით არის გადმოცემული: დაეპყრნეს... საეპისკოპოსონი, არა კარით მწყემსებრ შესრულთა, არამედ ავაზაკებრ ერდოჲთ, 24.

ქვემოთ განხილულ რამდენიმე მაგალითშიც ბიბლიური პარალელის „გახსნა“ ტექსტის სწორად გაგებისა და გასწორების საშუალებას იძლევა.

ერწუხის ბრძოლის აღწერილობაში გვაქვს ფრაზა, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ასე იკითხება: ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუელსა დავითს ელიაზარის ჴელი ჴრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ... [ქც[2], გვ. 329]. ამის მიხედვით გამოდის, რომ ბიბლიურ („ძველ“) დავითს ელიაზარის ხელი დაუწებებია, მაგრამ ბიბლიის შესაბამისი ადგილის შინაარსი სხვაგვარია: ელიაზარი იყო დავითის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თანამებრძოლი. იგი მონაწილეობდა ფილისტიმელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ისტორიკოსის სიტყვები მიუთითებს ეპიზოდზე, რომელიც ოშკის ბიბლიაში ასეა გადმოცემული: ესე სახელები არს მთავართაჲ მათ და ერისთავთა დავითისთაჲ: იაზბალ... მთავარი პირველი სამთაჲ მათ... ამისა შემდგომად ელეაზარ ძჱ დუდეაჲსი სამთა მათ შორის ერისთავთა; ესე იყო დავითის თანა მესერანს... და იგი განუჴდა და შეემთხჳა პირისპირ მათსა და მოწყჳდნა უცხო თესლნი იგი ვიდრე დაშრომადმდე ჴელისა მისისა და დაექუა ვადაჲ ჴრმლისა მისისაჲ ჴელსა მისსა ზედა (II მეფ. 23, 8—10).

ძუელ სიტყვა ნუსხებში სხვადასხვა ბრუნვაშია: ძუელისა A, ძუელსა CRT; MQm-ში იგი დამახინჯებულია: ძუ˝ლსა Q, ძულსა Mm. ამ ადგილას დასადგენია არა მარტო სიტყვის ფორმა, არამედ მნიშვნელობაც. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ძუელი აქ გულისხმობს ძველ აღთქმას. ძუელი და ახალი (საზღვრულის გარეშე) ძველ ქართულში ბიბლიის ნაწილებს აღნიშნავს: იყო იგი წადიერ კითხვად წმიდათა წიგნთა ძუელისა და ახლისათა [70, გვ. 52]; ვითარ-

ცა უკუე თქმულ არს ღმრთისათვის ძ უ ე ლ ს ა შინა, ამას პავლე ა ხ ა ლ ს ა შინა იტყვს (იოანე ოქროპირი, სიტყვსა მისთვს... ქრისტე აღმოსავალი აღმოსავალთაჲ, ათ. ხელნ. № 6, XII—XIII 40v); თჳნიერ ჩემსა ძ უ ე ლ ი ს ა და ა ხ ლ ი ს-შ ი ნ ა ჲ ს ა ღმერთი არა არს (35r). გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც: ძ უ ე ლ სიტყვას წრფელობით ბრუნვაში აქვს მნიშვნელობა ‘ძველად, წინათ’. წრფ. ბრუნვის ხმარება დროის აღსანიშნავად ძველ ქართულში საზოგადოდ კარგად ცნობილი ფაქტია [6, გვ. 649]. მაგალითი შეიძლება დავიმოწმოთ „ქართლის მოქცევის“ შატბერდული ტექსტის მიხედვით: წარმოვედ... სადა ძ უ ე ლ ქალაქი ყოფილ იყო [69, გვ. 336].

არსებულ თარგმანთა მიხედვით, ძ უ ე ლ ი დავითის განსაზღვრებაა: Comme sous l’ancient David, la main d’Eléazar s’etait collée [94, გვ. 356]; ასევე ესმის ეს ადგილი. მ. წერეთელს: Seine Hand klebte, wie die des Eleazar des früheren Dawith, an dem Heft [95, გვ. 53]; გ. პეჩის თარგმანში: Wie bei Eliasar zur Zeit des alten David... die Hand am Schwertgriff klebte [96, გვ. 406] თუ ასეთ გაგებას გავიზიარებთ, მაშინ ტექსტი უნდა ასე გავმართოთ: ვითარცა ძუელისა დავითის [ერისთავსა] ელეაზარს ჴელი... დაეწება,

სავარაუდოა ისიც, რომ დავითის სახელი ავტორის ტექსტში ამ ადგილას სულ არ იყო ნახსენები. ელეაზარი (ან: ელიაზარი) ძველ აღთქმაში რამდენიმეა, ამიტომ შესაძლოა იგი ნახსენები იყო მამის სახელითაც (ელიაზარ ძე დუდეაჲსი). შეიძლება დავუშვათ, რომ ტექსტში გვქონდა ე ლ ი ა ზ ა რ ს დ უ დ ე ა ჲ ს ს ა (ან დუდეაჲს ელიაზარს), სადაც ძ ე გამოტოვებული იყო. შდრ.: იხილა ლევი ალფესი ე. ი. ლევი, ალფეოსის ძე (მრ. 2, 14) ყველა ქართულ ვერსიაში. შესაძლოა, დ ა ვ ი თ ი ამ მონაკვეთში სწორედ ელეაზარის მამის სახელის დამახინჯებული ფორმა იყოს. ასევე დასაშვებია მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის შენაცვლება (სიტყვების გადასმა ნუსხებში არა ერთგზის გვხვდება). თუ ისრაელის მეფე სულ არ იყო აქ ნახსენები, მაშინ ძ უ ე ლ ი დ ა ვ ი თ ი აღარ შეიძლება გვქონდეს და ძ უ ე ლ მხოლოდ დროის გარემოების (‘ძველად, ძველ დროს’) აღმნიშნველი იქნება. (ან ძ უ ე ლ ს ა — ძველ აღთქმაში).

ასეთი ვარაუდის საფუძველზე საანალიზო მონაკვეთს ასეთი სახე მიეცემა: ვითარცა **ძუელსა ელიაზარს დუდეაჲსსა** ჴელი ჴრმლისა ვადასა ოდენ დაეწება 28.

ბალვაშთა საბოლოო განადგურება ასეა აწერილი: ესრეთ დასრულდა სახლი ბალუაშთაჲ, სახლი განმამწარებელთაჲ, რამეთუ სუა უკუანაჲსკნელი თხლე რისხვისაჲ, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისა-

თაჲ; და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკჳდრი, რამეთუ აღიჴსენა უსჯულოებაჲ მამათა მათთაჲ წინაშე უფლისა და მამული მათი აღიღო მეფემან 23.

სახლი განმამწარებელთაჲ ასოციაციას იწვევს ბიბლიის ისეთ პასაჟებთან, როგორიცაა: მიგავლინო შენ სახლისა მის ისრაჱლისა, განმამწარებელთა მათ ჩემთა, რომელთა განმამწარეს მე... რამეთუ სახლი განმამწარებელთაჲ არს (ეზეკ. 2, 3—5); შდრ. აგრეთვე თესლ გულარძნილ და განმამწარებელ (ფს. 77, 8). *სუა... თხლე... სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათაჲ* წარმოადგენს პარაფრაზს ფსალმუნიდან: სასუმელი ჴელთა შინა უფლისათა ღჳნისა ურწყოჲსა სავსე არს სხმულითა; მიდრკა ამიერი მუნ, ხოლო თხლე მისი არა წარმოიცალიერა; სუან იგი ყოველთა ცოდვილთა ქუეყანისათა (ფს. 74, 9). საანალიზო მონაკვეთის შემდეგი ნაწილი აგრეთვე ფსალმუნის ასოციაციითაა გამსჭვალული: არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკჳდრი — შდრ.: საყოფელთა მათთა ნუ იყოფინ მკჳდრი (ფს. 68, 26).

საანალიზო მონაკვეთის ბოლოც ფსალმუნის რემინისცენციაა და ამის საფუძველზე ტექსტის სწორი სახის აღდგენა შეიძლება. „ქართლის ცხოვრების" ბოლო გამოცემაში იგი ასეა დაბეჭდილი. *აღიჴსნა* უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღიღო მეფემან [ქც[2], გვ. 326]. გამომცემელმა გაიზიარა ძველ ნუსხათა იკითხვისები: აიჴსნა A, აიხსნა C, აღიჴსნა MQm. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორია ვახტანგისეული ნუსხები: აღიჴსენა D, აღიხსენა RT. ასევეა მ. ბროსეს გამოცემაში: აღიხსენა [ქც[1], გვ. 241]. ისტორიკოსი ლაპარაკობს არა ცოდვის *ახსნაზე*, არამედ ცოდვის *გახსენებაზე*, ეს ნათლად ჩანს საანალიზო მონაკვეთის შინაარსიდანაც; გარდა ამისა, ამასვე ადასტურებს ბიბლიური პარალელი: აიჴსენედ უსჯულოებაჲ მამათა მისთაჲ წინაშე უფლისა, და ცოდვაჲ დედისა მისისაჲ ნუ აღიჴოცებინ (ფს. 108, 14). „ფარული ციტატა" ისტორიკოსის ტექსტში თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა თავის წყაროს.

უნდა შეინიშნოს ისიც, რომ იკითხვისის სისწორე გვიანდელ ნუსხებში ამ შემთხვევაში (და სხვაგანაც) არ ნიშნავს უთუოდ, რომ ვახტანგს დღეს ჩვენთვის ცნობილთაგან განსხვავებული წყაროები ჰქონდა ხელთ: განსწავლულ მეფეს, რომელმაც საღვთო წერილი კარგად იცოდა, ასეთი შეცდომები თვითონაც შეეძლო გაესწორებინა.

ზოგიერთი სასულიერო თხზულების კვალი ნაწარმოებში

დავითის ცხოვრების აღმწერმა უცნობმა ავტორმა, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ძველი და ახალი აღთქმა ზედ-

მიწევნით იცოდა. ნაწარმოებში ისიც ჩანს, რომ ისტორიკოსი სასულიერო მწერლობის სხვა ნიმუშებსაც კარგად იცნობდა.

ზ. სარჯველაძემ შენიშნა, რომ „დავითის ცხოვრების“ ერთ-ერთ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულება, რომელიც ბასილი კესარია-კაპადუკიელის შესხმას წარმოადგენს. იგი ორჯერ არის ნათარგმნი ქართულად; პირველი თარგმანი ეკუთვნის ეფთვმი მთაწმიდელს („ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოზისაჲ“, ხელნ. A 1, XI ს. და სხვ.). მეორე — ეფრემ მცირეს („სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისთჳს“, ხელნ. A 109, XI ს. და სხვ.). ისტორიკოსის თხზულებაში არის ერთი ფრაზა, რომელიც პირდაპირ გადმოღებული ჩანს ამ ნაწარმოებიდან: ნუუკუე და ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდამტკავლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების [ქც[2], გვ. 359]. შდრ. ეფრემის თარგმანი: ნუუკუე და ლომსაცა აბრალობდეს ვინ, რამეთუ არა ციდამტკაველურად ხედავს [16, გვ. 151]. დამატებით უნდა შევნიშნოს, რომ ამავე მაგალითს იყენებს ეფრემ მცირე საკუთარ წინასიტყვაობაში, რომელიც წინ მიუძღვის გრიგოლ ღმრთისმეტყველის მის მიერ შესრულებულ თარგმანს (ხელნ. იერუს. № 43): ხოლო უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკაველებრ ხლდებოდა კარებსა ფილოსოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრივობაჲ მისი და მეუფებრივობაჲ კრთომისაჲ; რამეთუ ყოველი მჳელი ღმრთისმეტყუელისაჲ მას (იგულისხმება ეფთვმე მთაწმიდელი. **მ. შ.**) აედვა ურემსა ქართველთასა, ხოლო მე... ჭუვილნიღა აღმიკრებიან [12, გვ. 76].

დავითის ცხოვრების დასასრულის აღწერისას ისტორიკოსი ამბობს: ესრეთ რაჲ აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტჳრთთა სათნოებისათა და არღარა შემძლებელ წარსლვად ღადირთა და აქუნდა ყოვლით კერძო მშჳდობაჲ..., მაშინ [ღმერთმა. **მ. შ.**] ესრეთ განაგო... ვითარცა მენავემან ბრძენმან განიცადის რაჲ ნავი თჳსი აღსავსედ მრავალფასითა ტჳრთითა, მიისწრაფის ნავთსადგურად, რაჲთა არარაჲ ივნოს სოფლისა მის ზღჳსა მრავალმღელვარობისაგან 98.

წერილში, რომელშიც საგანგებოდ არის განხილული ღ ა დ ი რ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა (გეოგრაფიული სახელწოდება) და მისი შემდგომი გააზრიანება, ზ. სარჯველაძეს მითითებული აქვს ის ნათარგმნი ძეგლები, რომლებშიც ეს სიტყვა გვხვდება. ესენია: გრიგოლ ნაზიანზელის ზემოთ ნახსენები თხზულება და ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათჳს“ (ორიგინალურ თხზულებათაგან ღ ა დ ი რ სიტყვას იგი იმოწმებს „თამარის ცხოვრების“ მიხედვით, დავითის ისტორიკოსის ტექსტში მისი არსებობა აღნიშნული არ არის). გრიგოლ ნაზიანზელის თხზულების თარგმანში, რომელიც ეფრემ

მცირეს ეკუთვნის, არის ასეთი კომენტარი: ნავთ ალტჳრთულობისაგან შემოიღების სიტყუაჲ ესე, რამეთუ რაჟამს ნავნი ტჳრთითა აღივსნენ, არღარას უმეტეს ზომისასა დაიტევენ; ეგრეთვე დიდი ბასილი განი-სწავლა რაჲ, აღსავსე იყო სწავლულებითა, რომლისა უმეტესი არღარა დაეტევის კაცობრივსა ბუნებასა, შეუძლებელ იყო განვლად ღ ა დ ი-რ თ ა მისთა [17, გვ. 98].

ქართულ სასულიერო მწერლობაში სხვაგანაც გვხვდება ეს მოტივი, სხვადასხვა ვარიაციით. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბასილი დიდის „დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა“, სადაც ერთგან ნათქვამია: რაჲთა აღვავსოთ ნავი ჩუენი ტჳრთითა კეთილითა და ესრეთ უცთომელად განჰვლიდეთ ამას ცხორებასა... და მიემსგავსის ვაჭარსა დიდსა და მდიდარსა, რომელმან აღავსის ნავი სიმდიდრითა ფრიადითა [58, გვ. 114].

რაკი დავითის ისტორიკოსის ტექსტში ნახსენებია ღ ა დ ი რ ა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოდელი, რომელზედაც აგებულია ეს პასაჟი, არის ისევ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულება და მისი კომენტარი. ღ ა დ ი რ ნ ი ქალაქის სახელწოდებაა (დღევანდელი კადისი); ძველი წარმოდგენით, მის იქით ნაოსნობა შეუძლებელი იყო [17, გვ. 98]. მაშასადამე, დავითის მემატიანისათვის ეს არის უკიდურესი წერტილი, რომლის იქეთ აღარ შეიძლებოდა დავითის ცხოვრების „მრავალფასითა ტჳრთითა აღსავსე“ ნავის სლვა, ამიტომაც მან, „ვითარცა მენავემან ბრძენმან“, მიაშურა ნავთსაყუდელს — იმქვეყნიურ სასუფეველს.

ლიტერატურული პარალელებიდან შეიძლება აღვნიშნოთ კიდევ შემდეგი: ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავითმა უკეთურ ლიპარიტ ბაღვაშს ბევრი უთმინა და დასაჯა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა მის ვერაგობაში: იხილა რაჲ მშჳდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისაჲ არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლიად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა 21.

ძაღლის კუდის ხსენება, შესაძლოა, ბიბლიური ალუზიაა (შდრ. ეკლეს. 1, 15). საზოგადოდ კი ამ შინაარსის ანდაზა მთელს აღმოსავლეთშია გავრცელებული (იგი არის არაბულ, ქართულ ფოლკლორში). ძნელი სათქმელია, რა სახის წყაროს ეყრდნობა ამ შემთხვევაში ისტორიკოსი.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ მეორე მეტაფორას (კირჩხიბის შესახებ). კირჩხიბის მრუდი სიარული ძველ ბერძნულ ანდაზაში

არის ნახსენები[1]; ბერძნულ სასულიერო მწერლობაშიც გვხვდება ანალოგიური გამონათქვამები, უთუოდ ცოცხალი მეტყველებიდან შემოსული; ამ წერილობითი წყაროების ანარეკლი ქართულ მწერლობაშიც ჩანს; ბასილი კესარიელის ერთ-ერთ სწავლაში ნათქვამია: შენ ეცინი კირჩხიბსა და სიბრძნე შენი უმრუდეს მისსა არს [67, გვ. 148]. ძნელია დაბეჯითებით თქმა, რომ უთუოდ ზემოხსენებული ადგილი ბასილის სწავლიდან უდევს საფუძვლად ისტორიკოსის ფრაზას — არცა კირჩხიბი მართლიად ვალს, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ აქაც ავტორის ტექსტისათვის ლიტერატურული წყარო არის საძიებელი.

ლიპარიტთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ლიტერატურული პარალელი. დავითის შემწყნარებლობას ურჩი ფეოდალის მიმართ ავტორი ასე ამართლებს: რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინაჲთგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭუელ 20. ეს ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთ ადგილს გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებიდან, რომელსაც ეწოდება „შესხმაჲ და ქებაჲ წმიდისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ“ (ეფთვმის თარგმანით) ან „სიტყუაჲ დიდისა ათანასისთჳს“ (ეფრემის თარგმანით). უკანასკნელში ზემოხსენებული მონაკვეთის შესაბამისი ტექსტი გვხვდება: რამეთუ ბოროტმან მსწრაფლ აბრალის კეთილსაცა, ხოლო კეთილმან არცაღა თუ ბოროტსა ადვილად, ვინაჲთგან სიბოროტედ არ-განმზადებულ, არცა მეჭუელობისაგან ადვილ-სატაცო (ხელნ. A 109, 239). ამავე ადგილის ეფთჳმისეული თარგმანი განსხვავებულია, თუმცა დედანი ორივე მთარგმნელს ერთი უნდა ჰქონდეს (შდრ. PG XXXV, სვ. 1097): რამეთუ კაცმან კეთილმან არცა თუ ბოროტსა ადრე აბრალის, რამეთუ რომელი-იგი უკეთურებისაგან უცხო არნ, იჭჳსა მიმართ და ჰაზრისა არავე ადვილად მიმავალ არნ (ხელნ. A 1, 497). ორი მთარგმნელის ტექსტის შედარება ცხად-ყოფს, რომ დავითის ისტორიკოსს ეფრემის თარგმანი გამოუყენებია.

ისტორიკოსი ერთგან აღწერს ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ პაექრობას, რომელშიც დავით მეფესაც მიუღია მონაწილეობა და თავისი ცოდნითა და მჭევრმეტყველებით დაუმარცხებია მოწინააღმდეგნი: და დაუყო პირი მათი და უპასუხო-ყვნა და ყოვლად

[1] ეს ანდაზა დამოწმებულია არისტოფანეს კომედიაში („მშვიდობა“): οὔποτε ποιήσεις τὸν καρκίνον ὀρθὰ βαδίζειν. რუსულ თარგმანში: Нет же, ползти прямиком никогда не научишь ты рака (Мир. строка 1083. пер. С. Апта. Аристофан, Комедии, т. I, М., 1954).

უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა ესუნივე მწვალებელნი 90. ამ შედარებაში იგულისხმება ბასილი კესარიელი. მისი სარწმუნოებრივი დავა სომხებთან მოთხრობილია გრიგოლ ნაზიანზელის იმავე თხზულებაში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. საგულისხმოა, რომ თუ ზემოთმოყვანილ მაგალითებში ისტორიკოსის წყაროს ეფრემისეული თარგმანი წარმოადგენს, უკანასკნელ შემთხვევაში, საფიქრებელია, ავტორის თხრობაზე ეფთჳმი ათონელის თარგმანმა მოახდინა გავლენა. ამას შემდეგი გარემოება ამტკიცებს: ეფრემის თარგმანი სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულს; ამბის გადმოცემაც ნაკლებ ემოციურია: არა მარტივ ნათესავ ვჰპოებ სომეხთასა, არამედ ფრიად დაფარულ რაჲმე და ზღვს-კლდე... მძრველობით სდევდა მჴნეთა მათ და სცემდა; შემოკრებებითა არა პირველად კუალად იქცა, ვიდრე სრულიად წარიქცინა და განწმენდილი ძლევაჲ დაიდვა. ესენი უკუე ესრეთ წარვიდეს უქმად, ფრიად მაბრალობელნი თჳსისა ცუნდრუკებისანი... (ხელნ. A — 109, 99, შდრ. PG XXXVI, სვ. 520). ეფთჳმის თარგმანი კი ბერძნულ დედანთან შედარებით გავრცობილია: ვითარცა არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა და ვერ იხილვენ მას მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი და სხუაჲ უც გულსა მას. და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს. და რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ და ბოროტად აღმსარებელ (A — 92, 299 r). ბასილიმ გაიმარჯვა: იწყო დართვად სიტყუათა უბადრუკთა მათ ზედა და ორკეცობითა სიტყუათაჲთა შეჰმუსრვიდა და არა დაუტევნა, ვიდრე არა სრულიად მოაკუდინნა და უსიტყუელ-ყვნა... და იგინი წარვიდეს სირცხვლეულნი და ფრიად აბრალეს თჳსსაცა კადნიერებასა (იქვე). მთელი ეს სცენა თავისი საერთო განწყობითა და ტონით ძალზე გვაგონებს „დავითის ცხოვრებაში“ მოთხრობილი პაექრობის ამბავს. ზოგიერთი გამოთქმა შესაძლოა ეფთჳმის თარგმანის გამოძახილადაც მივიჩნიოთ: ნათესავი გულარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები 88... უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ... ფრიად მაბრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხჳლეულნი 90.

ლიტერატურულ წყაროებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ტექსტის შემდეგი ადგილი: როგორც ცნობილია, ავტორი არა ერთგზის გახაზავს დავითის საქმეთა სრულად გადმოცემის შეუძლებლობას; ერთ-ერთი ასეთი ადგილი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ასე იკითხება: მცირედითა და ყოვლად კნინითა სიტყჳთა წარმოგჳჩენიან დიდთა მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან, და ბრჭალ-

თაგან ლომსა და ფესვსაგან მცირისა ყუავილისასა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ-ყოფად ვმეცადინობთ [ქც[2], გვ. 346]. გამოცემის მიხედვით, აზრი აქ ასეთია: ყვავილის მცირე ფესვისაგან (სიტყვას ამ სახით ს. ყაუხჩიშვილი A-დან იღებს) ვცდილობთ მისი ქსოვილის ვითარების გაგებას. მაგრამ ნუსხებზე დაკვირვება და ზოგიერთი ლიტერატურული პარალელის გათვალისწინება ამ მონაკვეთის სხვაგვარად გააზრების საშუალებას იძლევა.

თუ გავიზიარებთ ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, ყუავილისასა (A) ორმაგი ნათესაობითის ფორმით არ უნდა იყოს; მოსალოდნელია ყუავილისა. სხვა ნუსხებში ყუავილის სანაცვლოდ იკითხება: ყოველისა C, ყოველსა Mm, ყ҃ა QT, ყოვლისა RD.

მ. ბროსეს გამოცემაში: და ბრჭალთაგან ლომსა და ფესვისა მცირისა ყოვლისა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ-ყოფად ვმეცადინობთ [ქც[1], გვ. 253].

ფესვისა და ყვავილის დაკავშირება ერთი შეხედვით ბუნებრივი ჩანს, მაგრამ ფესვი არ არის მხოლოდ მცენარისა. ამ შემთხვევაში სიტყვის სხვა მნიშვნელობაა საძებარი. ფესუ ძველი ქართულით არის აგრეთვე 'ტანსაცმლის ქვედა ნაწილი, კალთა'; ეს მნიშვნელობა ოთხთავში არის დადასტურებული: შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა (მათე 9, 20). უნდა მიექცეს კიდევ ყურადღება სიტყვას ასეთ კონტექსტშიც: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ მოთხრობილია: როდესაც წმინდა ნინო დასნეულდა და სიკვდილის პირად მიიწია, მის სანახავად აუარებელი ხალხი მოდიოდა: ხედვიდა ყოველი ერი პირსა ნინოსსა, ვითარცა პირსა ზეცისა ანგელოზისასა და მოსწყუედდიან ფესუსა სამოსლისა მისისასა [ქც[2], გვ. 126]. კონტექსტის მიხედვით აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, არა მთლიანი კალთა, არამედ სამოსლის კალთიდან ჩამოხეული ვიწრო ზოლი ქსოვილისა (ფესვის მსგავსი). მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ფესვს მოხეურში 'ფოჩის' მნიშვხელობა აქვს დღესაც [20, გვ. 336].

მაშასადამე, ფესჳ ისტორიკოსის თხზულებაში დაკავშირებულია არა ყვავილთან, არამედ ქსოვილთან. ფესჳ არის მცირე, წვრილი ჩანახევი, რომლის მიხედვით შეიძლება მთლიანი ქსოვილის სახე წარმოვიდგინოთ. ყუავილი A-ს დამახინჯებაა. სხვა ნუსხების ყოველი (სხვადასხვა ბრუნვაში) კი ლექსიკურად სწორ იკითხვისს წარმოადგენს, რადგან მოცემული ადგილი ამას ნიშნავს: ვცდილობთ, რომ ბრჭყალების მიხედვით წარმოვიდგინოთ, თუ როგორია ლომი, მცირე ნიმუშის (ფესვის) მიხედვით კი — მთლიანი (ყოველი) ქსოვილი. რომ ეს მართლაც ასეა, შეიძლება დავრწმუნდეთ XI ს. ერთი შესანიშნავი ორიგინალური თხზულებიდან; ეს არის ეფრემ მცირის „შესავალი ფსალმუნთა თარგმანებისაჲ“; შესავალში ეფრემი

(რომელიც, ჩანს, იმავე ლიტერატურულ წყაროს იყენებს, რასაც დავითის მემატიანე) წერს, რომ მას თავის თარგმანებაში შერჩევით გადმოაქვს ათანასის, კჳრილეს და სხვა ავტორების თარგმანებები, „რაჲთა კნინ ოდენითა გემოჲსხილვითა გიჩუენოთ გემოჲ მდინარისა დიდისაჲ და მცირისა მიერ ფ ე ს ჳ ს ა განგიცხადოთ ყ ო ვ ე ლ ი ქ ს ო-ვ ი ლ ე ბ ა ჲ ს ა მ ო ს ლ ი ს ა ჲ [38, გვ. 83]. ეს ტექსტი სრული უეჭველობით გვიჩვენებს ისტორიკოსის თხზულების პარალელს. გარდა ამისა, აქ მეორე პარალელიც შეიძლება დაიძებნოს: ეფრემის განცხადება, რომ მცირედი გემოჲსხილვა საკმარისია დიდი მდინარის გემოს გასაგებად, ისევ მოგვაგონებს ისტორიკოსის ტექსტს, სადაც ანალოგიური სიტუაციაა: დავითის სულიერთა საქმეთა მოთხრობი-სას ავტორი გვპირდება; მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასუმელი ერთი მტკურისაგან, ჩუენცა მივსცნეთ თხრობასა 67. მიუხედავად იმისა, რომ მ ტ კ უ რ ი ს ა გ ა ნ საერთო იკითხვისია ყველა ნუსხაში, ვფიქრობთ, რომ იგი სწორი არ არის. ავტორისეულ ტექსტში სა-ვარაუდოა უფრო ზოგადი ხასიათის მ დ ი ნ ა რ ი ს ა გ ა ნ (როგორც ეფრემის ტექსტშია).

„ბრჭალთაგან ლომის ცნობა“ აგრეთვე საკმაოდ ცნობილი გამო-თქმაა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაშია დამოწმებული. სასულიერო მწერლობის ძეგლებში ის, როგორც მრა-ვალი სხვა, ანტიკური წყაროებიდან არის შესული[1]; დავითის ისტო-რიკოსი, სავარაუდებელია, მას სასულიერო მწერლობიდან იცნობდა. „თამარის ცხოვრებაშიც“, რომელიც სტილისა და პოეტიკის მხრივ ბევრ რაიმეში ემსგავსება დავითის ისტორიკოსის თხზულებას, ვკითხუ-ლობთ: ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს [56, გვ. 19, 9].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მონაკვეთი უნდა აღდგენილი იყოს შემდეგი სახით:... და ბრჭალთაგან ლომსა და ფესჳსა მცირისა ყოვ-ლისა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ-ყოფად ვმეცადინობთ 66.

---

[1] ეს გამოთქმა მხატვრულ ლიტერატურაშიც არის. ამის ერთ-ერთი მაგალითია ა. პუშკინის ეპიგრამა, რომელშიც ამავე შინაარსის ლათინური ანდაზა გამოყენებულია სათაურად: Ex ungue leonem:

Недавно я стихами как-то свистнул
И выдал их без подписи моей;
Журнальный шут о них статейку тиснул,
Без подписи ж пустив ее, злодей.
Но что ж? Ни мне, ни площадному шуту
Не удалось прикрыть своих проказ:
Он по к о г т я м у з н а л меня в минуту,
Я по ушам узнал его как раз.

დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტის შესწავლისა და ნუსხათა ერთმანეთთან შეჯერების შედეგად შეიძლება გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებები თხზულების პირვანდელი სახის შესახებ, აგრეთვე იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც ნაწარმოების ტექსტმა განიცადა შემდგომ დროში.

მიუხედავად იმ სხვაობებისა და ვარიანტებისა, რომლებიც CA MQm ნუსხებში არის, ყოველგვარ ეჭვს გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ისტორიკოსის თხზულების ტექსტი ერთი საერთო არქეტიპიდან მომდინარეობს. საერთო დედნად „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებისათვის უნდა ვიგულისხმოთ არა ნაწარმოების ავტორისეული ტექსტი, არამედ ის, რომელიც კრებულში შესატანად იყო საგანგებოდ გადამუშავებული და შეკვეცილი. ამ სახით იგი უკვე XII ს-ში უნდა არსებულიყო, რადგან ძველი სომხური თარგმანი ძირითადად მისდევს დავითის ცხოვრების ჩვენთვის ცნობილ ტექსტს და, როგორც ილ. აბულაძე მიუთითებს, კიდევ უფრო კვეცავს მას [82, გვ. 016]. ზემოთდასახელებულ ნუსხებში შემონახული ტექსტის საერთო წარმომავლობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ არცერთ მათგანში არ მოიპოვება სხვებისაგან განსხვავებული, შინაარსეულად მთლიანი თხრობა ავტორის მიერ აღწერილ პერიოდში მომხდარი რაიმე ამბის შესახებ. ერთად-ერთი გამონაკლისი ამ მხრივ არის ეპიზოდი წმინდა გიორგის გამოჩენისა დიდგორის ბრძოლაში; იგი არის A-ში და არ არის MQm-ში. როგორც ცნობილია (დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ზემოთ), თხრობის თანმიმდევრობა დიდგორის ბრძოლის აღწერისას განსხვავებულია; A-ში ტექსტი არეულია, MQm-ში კი თხრობა სწორ თანმიმდევრობას გვიჩვენებს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ MQm-ში ეს ეპიზოდი იმიტომ არ არის, რომ მათ საერთო დედანში იგი შემთხვევით იყო გამორჩენილი ან დედანი იყო დაზიანებული. ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთი შინაარსის მონაკვეთი რომელიმე რედაქტორს თუ გადამწერს შეგნებულად ამოეღო. იმ ვარაუდს, რომ წმინდა გიორგის გამოჩენის ამბავი ავტორისეული ტექსტის ნაწილია, მხარს უჭერს ძველი სომხური თარგმანის ჩვენებაც. ეს კია, რომ სასწაულთა მოქმედად აქ ქრისტეა გამოყვანილი, მაგრამ ეს ცვლილება სომეხი მთარგმნელის საგანგებო აქციად უნდა ჩაითვალოს ეფექტის გასაძლიერებლად.

უნდა შეინიშნოს აგრეთვე, რომ სომხურ ტექსტში სხვა მნიშვნელოვანი შინაარსეული სხვაობა, განსხვავებული ან უფრო ვრცელი ტექსტის არსებობაზე მიმანიშნებელი, არ ჩანს. მართალია, მთარგმნელი ქართველ-სომეხთა პაექრობას სულ სხვა განწყობილებით

აღწერს, ვიდრე ქართულში; ამის მომდევნო თხრობა დავითის მეგობრობაზე ჰახპატის წინამძღვართან ქართულში სულ არ არის [82, გვ. 254—255], არც ისაა ნათქვამი, რომ თურქმანნი სომხეთის მთებში ატარებდნენ ზაფხულს, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მთარგმნელის არმენოფილური ტენდენციურობის ნიშანია და არა იმისა, რომ მას დავითის ცხოვრების რაიმე განსხვავებული წყარო ჰქონდა ხელთ.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თხზულების ტექსტი, „ქართლის ცხოვრებისათვის" შემზადებული, შინაარსის მიხედვით ისეთივე იყო, როგორიც არის იგი დღეს ჩვენამდე მოღწეულ „ძველი ჯგუფის" (CAMQm) ნუსხებში.

სხვაობა ამ ნუსხებს შორის, ერთი შეხედვით, საკმაოდ დიდია და მასნაირგვაროვან იკითხვისთა სიმრავლე ადასტურებს. მაგრამ ამ ვარიანტებზე დაკვირვება და ტექსტის მთლიანობაში შესწავლა გვიჩვენებს, რომ ვარიანტთა უმეტესობა ისტორიკოსის თხზულებაში ტექსტის მიზანდასახული შეგნებული სწორებისა და რედაქტირების შედეგი არ არის. ვარიანტული იკითხვისების აბსოლუტურ უმრავლესობას ტექსტის მრავალგზისი გადაწერის პროცესში დაშვებული სხვადასხვა შეცდომები წარმოადგენს. ასეთებად საგულვებელია არა მარტო აშკარად უაზრო იკითხვისები, არამედ თავისთავად სწორიც (გრამატიკული ფორმები, ლექსიკური ერთეულები და სხვა), რომლებიც შინაარსეულად არ უდგება ამა თუ იმ კონტექსტს. ამავე დროს, როგორც ცნობილია, ნუსხათა ურთიერთმიმართებისა და ტექსტის ისტორიის გასარკვევად ამგვარ ფორმებს ზოგჯერ არა ნაკლები, არამედ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფორმობლივად და შინაარსეულად გამართულ ვარიანტებს. ქვემოთ ვუჩვენებთ ნუსხათა სხვაობების ისეთ მაგალითებს, რომლებიც ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია არა მარტო ავტორისეული ტექსტის აუცილებელი რეკონსტრუქციისათვის, არამედ მისი შემდგომი ისტორიის პერიპეტიათა განსასაზღვრავადაც. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ვარიანტთა განაწილება ნუსხებში და მათი დაჯგუფება ისტორიკოსის თხზულების მიხედვით ყოველთვის ფაქტობრივად არ მისდევს „ქართლის ცხოვრების" ნუსხათა ფილიაციის იმ სქემებს, რომლებიც მოცემულია ს. ყაუხჩიშვილისა [76, გვ. LXXXIII] და საურმაგ კაკაბაძის [7, გვ. 59] შრომებში. ორივე მეცნიერის დასკვნით, ნუსხათა საბოლოო ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გამოვხატოთ ასე: CA — Mm (ს. ყაუხჩიშვილი) და CA — SMm (ს. კაკაბაძე; S არის იგივე Q). ერთი ნაწილი ვარიანტული სხვაობებისა ისტორიკოსის თხზულებაში მართლაც ასეთ დაპირისპირებას გვიჩვენებს: CA — MQm; მაგრამ ამავე დროს ნაწარმოებში თვალნათლივ ჩანს ვარიანტულ იკითხვისთა სხვა-

გვარი დაჯგუფებაც, ამიტომ ეს „სტანდარტული“ კომბინაციაც განსხვავებულ ინტერპრეტაციას მოითხოვს.

ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითთაგან ზოგიერთი უკვე დასახელებული იყო წინამდებარე ნაშრომში, მაგრამ განმეორებულია იქაც, რომ ვარიანტთა ურთიერთმიმართება ნუსხებში უფრო ნათლად იყოს წარმოჩენილი.

MQm (ან Mm) ჯგუფისათვის საერთო იკითხვისთა ერთი ნაწილი წარმოადგენს ტექსტის აშკარა დამახინჯებებს; ზოგიერთში CA-ს სწორ იკითხვისებს სრულიად უაზრო დაწერილობები ცვლის. ასეთებია: ზამთრისა სიფიცხ(ლ)ითა CA — სიტფითა MQm 6; კუირიკეს — შდრ.: კაეს Mm, კ῀ეს Q 23; ვითარცა სხუა — შდრ. ვასხა Mm, ვ῀ას῀ხჲ Q 28; ჩუენთა ნაპირთა (ჩუენ თანა პურითა MQm) არბევდიან 37; არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა (გასხმაჲ Q, გასმია Mm 37; შოთა — ბოთა 40; საბრძოლველთა თუითო სახეთათა ქოსთა და ფილაკავანთათა A (C-ში აქ ტექსტი გამოტოვებულია) — შდრ.: საბრა M, საბრაჲ Q, საბარ m 56; სახლი თავადი — სახლითა ვადი 61; საცნაურ-ყოფად, ს. ჰყოფდა C — ცნა უარყოფად Mm, ცნა უარ Q 66; ყვიან ლავლავი — ყვიანლა ვალავი 72; ეს ადგილი MQm-ში საზოგადოდ დამახინჯებულია, განმეორებულია სიტყვები: ოდესმე ყვიანლა ვალავი და თუინიერ მიზეზისაცა ყვიანლა ვალავი და თუინიერ მიზეზისა მოსრნიან; ლავრანი — ლვარანი M, ლვარნი m, ლ῀ვრნი Q 80; ამათ ქუე-დამზიდველთა — ამ თქმად მზიდველთა, 101; სიზმრითა და ნაოცნითა... მღერად — მირ῀ად Q, მირიად Mm 101.

MQm-ში CA-ს უპირისპირდება მოცემული კონტექსტისათვის სრულიად შეუფერებელი სიტყვები, რომლებიც ზოგჯერ დამახინჯებულიც არის: პატიოსანნი და ბოროტისა (ბოროტის მოქმედნი A) *გამოუცდელნი* (გამოცდილნი) 8; *ძალი* (რომელი MQm) ბერძენთაცა შემცირებულ იყო 9; *ქადებული* (ქადაგებული MQm) ესაიას *მიმართ* (მიერ MQm) 12; სწორია: ქადებული (CA) ესაიაჲს მიერ (MQm); მოიწივნეს *ქუეყანასა ჩუენსა* (—C) *ზედა* (ქუეყანანი MQm) 13; *აღძრვანი* (Q, აზნაურნი Mm) წარმართთანი 13; *სახელმოდგამმან* (სახელმდგომმან MQ, სახელთა უდიდესმან მდგომმან m) 15; მკლავითა მტკიცითა *დაამჯობდა* (და ჯმობდა Mm, დაჯმობდა Q) 28... სრვიდა და *დასცემდა* (მოსცემდა) 28; ვითარცა *მეორე ცაგარდააკარვა* A (მეორეცა გარდაირთხა C), შდრ.: მერეცა გარდა ვართხა Mm 30; დადგიან *ხარგებითა* (Q, ხარებითა M, ჯარებისა m) 36; *წაიღო* (წარიღო Q, წარვლო Mm) რუსთავიცა 39; ქსოვილისა ვითარებასა — ქსო(ვ)ილსა ვრ῀ებსა Q, ვარდებსა Mm) 66; მათ შინა *იძრვის* AQ, —C, იძლივის Mm 69; მიმოსლვათა შინა *მიმდემთა* A,—C, მმაჲ დედათაჲ Q, მამადედათა Mm, 69; *რა*-

ჟამს (ჟი῀ჟს Q, ჟამიჟამს Mm) თუალნი დაშურიან, სასმენელნი (სმენილნი A) ანაცვალნის (ნაცვლად Q, — Mm) 69; მოძღვართა მართალნი (მთავართა მართალთანი m) გამოძიებანი 76; დამალტობელად ლაწუთა Q, ღვაწლთა Mm 84; ფრიად აზნაურობდეს (Q, აზნაურობდეს Mm) თავთა თჳსთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა (—ისასა C) და მეცნიერებისასა 88; ალექსანდრე... პირველ მამულისა თჳსისანი შეკრიბნა (შეიკრიბნა Q, შეიპყრნა Mm) 93; ვინ იყო... მცნობელ ვითარებასა (ვრ῀ბსა Q, ვედრებასა M, — m) 96; საზარელ ლომებრ (ლმობიერ MQm) 97; შემძლებელ წარსლვა[დ] ღადირთა C ღ. წ. A — ნადირთა MQm 98; მადლითა მისითა (მ. — A) ღმერთ-ქმნილთა (და მადლითა ღთივ-ქმნულთა MQm) ზედა 101; მუნ აღიყვანა (მუნღა ყვნა) მის თანა მეფობად (მეუფებდა MQm) 101.

მრავალია შემთხვევა, როდესაც MQm-ში იკითხვისთა გრამატიკული ფორმა (ბრუნვა, რიცხვი, მწკრივი და სხვ.) არ უდგება კონტექსტს: საზრდელისა (-ითა) შვილთა მიცემად (მ. — C) მოქმედებენ 8; სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისა[ჲ]თა (მპყრობელობითა) 10; ხარაჯა... რომელსა (რომელთა Mm, რლ῀საჲ Q) 11; [გიორგი]... არღარას ზრუნვიდა (-დეს) აღებასა 11; აღაშენა... ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა (შემსგავსებულად შუენიერად) 34; საქმე (+შეუსწორებელი C) საცნაურ-მყოფელი (ს. მყოფელთა) წიგნთა სიყუარულისა 71; ჰკრა ხატსა ...რომელი ეკიდა ყელსა ოქროსა (— C) მცირე (ოქროსასა Mm მცირედმან MQm) 100.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში თითქმის ყველგან MQm ან Mm ჯგუფში მცდარი იკითხვისები გვხვდება CA-ს სწორ ფორმათა საპირისპიროდ. ასეთი ხასიათის ვარიანტები ტექსტის რედაქციულ სხვაობად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

CA—MQm ჯგუფებში სულ რამდენიმე შემთხვევაა, სადაც სხვაობები ტექსტის შეგნებული ცვლილებებისა თუ სწორების პროცესს შეიძლება ასახავდეს: იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა CA (ქართლისათა MQm) 7; მათი იყო სადგური (სადგომი) 23; შორით უზახებდა (უზრახებდა) 28; დაუტევა (დაყარნა C) აზნაურნი მესხნი (მისნი) 63; განაგო მეფემან (მაშინ) ყოველი საქმე 63; გაგზავნნა მონათაგანი (ა)თხუთმეტნი (ათორმეტნი MQm) 73 (აქ შესაძლოა შეცდომა იყოს დაშვებული ნუსხური ასოებით დაწერილი რიცხვის ამოკითხვისას); განწმენდილითა გულითა (გონებითა) 79; მისცა ვითარ ოცდაოთხი (ოც-

დახუთ) ათასეული (ათასი A) 82; ყოვლისავე უმჯობესად შემცვალებელმან (შემძლებელმან უმჯობესად) 93.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ტექსტუალური სხვაობები CA—MQm ჯგუფებს შორის მინიმალურია; განსხვავებულია უმეტესად თითო-თითო სიტყვა; ზოგჯერ ცვლილება შემთხვევითი ხასიათისაც შეიძლება იყოს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლექსიკური სხვაობის ერთი შემთხვევა CA—MQm-ს შორის. საქართველოში მომხდარი დიდი მიწისძვრის აღწერისას ავტორი კატასტროფის საზარელ სურათს გვიხატავს: მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს 14. უკანასკნელი სიტყვა — დაზულეს — გვხვდება მხოლოდ CA-ში (C: დაძულეს) ეს სიტყვა ძველ ქართულშიც შედარებით იშვიათია; საბას ლექსიკონში მითითებული დაზულენ (2 პეტ. 3, 10) ნიშნავს 'დაინგრევიან, ჩამოიშლებიან'. CA-ს სიტყვა MQm-ში შეცვლილია იმავე მნიშვნელობის დაირღუნეს სიტყვით, რომელიც უადგილოდ არის ნახმარი, რადგან ტავტოლოგიას ქმნის, რაც ავტორის ენისათვის დამახასიათებელი არ არის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ რედაქციული ტიპის სხვაობები CA—MQm ჯგუფებს შორის ისტორიკოსის თხზულებაში არ არის. არსებულ ნუსხებში ნაწარმოების რედაქციათა არსებობა-არარსებობის გასარკვევად საჭირო მასალის მოსაპოვებლად უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნუსხათა დაჯგუფება სხვაგვარია, სახელდობრ: CMQm — A.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ A-ს შეცდომებისა და დამახინჯებულ დაწერილობათა საპირისპიროდ CMQm-ში ხშირად ოთხივეში ერთგვარი და სწორი იკითხვისები გვხვდება: თუთ... სახითა (სახლითა Mm) სიტკბოებისათა და სახიერებითა CMQm (სახარებითა A) აღმატებულ 10; სხუანიცა ურიცხუნის საცნაურებანი (სახარებანი A) 10; განსაკითხავად საგიობელთა (საგონებელთა A) საქმეთადა 86; განპატიჟებულცა იყვნეს და მხილებულ (მახლობელ A) 86; ჩუენ მოწაფე (— A) ვუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა 90. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანში ცალ-ცალკე ბევრია სხვადასხვა ხასიათის შეცდომები და დამახინჯებები (სიტყვებისა, გრამატიკული ფორმებისა და სხვა), მაგრამ CMQm იკითხვისთა ერთიანობა მრავალ შემთხვევაში საგულისხმო მონაცემია, რომელიც მათ ტექსტობრივ სიახლოვეს გვიჩვენებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ფაქტი; მათგან პირველად უნდა დავასახელოთ CMQm ერთიანობა (ცალკეულ სიტყვებში დაშვებული აშკარა შეცდომების გარდა) იმ იკითხვისებ-

ში, სადაც A-ში ჩანს ტექსტის „გაუბრალოება“: იშვიათი, ძნელად გასაგები ლექსიკური ერთეულები თუ რთული სინტაქსური კონსტრუქციები A-ში შეცვლილია უფრო მარტივით; ზოგჯერ ეს ცვლილება A-ში ისე შორს მიდის, რომ მონაკვეთის აზრი გაუგებარი ხდება: დაითხია ესეოდენი მტკნარი (ე. მ. C., ე-ისა მტკნარისა MQm) სისხლისა შეყენებულისა (-ყინ. Mm), რომელსა (რომელ C) პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვჰგონებდით (ვჰგ. — MQm) გამოსრულად; შდრ. სიტყვათა უაზრო შეერთება A-ში: დაითხია დამტკნარებული სისხლი და რამეთუ ჩუენთუის მისგან გამოდენასა ვაყენებდით 28. იქვე CMQm-ში იკითხება: წ ი ა ღ ნ ი აღსავსედ ე ტ ჳ რ თ ნ ე ს (წ ე ლ ნ ი აღსავსე ე ს ხ ნ ე ს A).

ასეთი „გამარტივების“ მაგალითები A-ში, CMQm-ის ერთიან იკითხვისთა საპირისპიროდ, საკმაოდ მრავლადაა, მაგალითად: მათ იქმოდა, რომელნი ნებისა(დ) ღ̃თისად დაამტკიცნის (დაː ამტკიცნნის Mm) და სათნო-ყოფილად მისად (მისდა MQm) აღუჩნდის, შდრ. A: მათ იქმოდა, რომელნი მას სათნო-ეყოფვოდიან 29; იიძულა (იძულა C, აიძულ(ვ)ა MQm) მეფე (მეფე — CQ) წარსლვად (წ-ა m), შდრ. A: ბრძანა მეფემან წარსლვა 45; მოგზავნა მოციქული... და ეყუედრა წიგნითა MQm, (C-ს აკლია) შდრ. A; ...და მოუწერა წიგნი და რქუა 58; თქუენთა სამალავთა[ჲ]თ გამოსრულმან მნახე MQm, (C-ს აკლია) შდრ: A: თუ გინდა სამალავთათ გამოედ და მნახე 58. უმყის (უ — სსM, უ — სსა m) სიტყვსა მოვიდეს MQm, შდრ. A: ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს 58. არავინ იყო წინა-მდგომ (წ. დამდგომ C), შდრ, A: არავინ წინა-აღუდგა 64; არცა ძ უ ე ლ მ ა რ თ ე ბ უ ლ თ ა (მთავრებულთა m) ქალაქთა... ესვიდა (იტყოდა C) თჳსად (მისად C) ქონებად, შდრ.: A: არცაღა თუით ძ უ ე ლ ა დ ქ ო ნ ე ბ უ ლ თ ა ქალაქთა... ჰგონებდა თუისად ქონებად 64; ენამან მსახუროს თხრობითა (—ილსა C); შდრ. A: ენამან შეუძლოს თხრობად 78; სოფლისა მის ზღჳსა (ზღუასა C) მრავალმღელვარობისაგან, შდრ. A: სოფლისა ამის მღელვარისა ზღუისაგან 98.

მეორე გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია ნუსხათა დაჯგუფების დასახასიათებლად, არის სხვაობა ტექსტის მოცულობაში. შემთხვევით გამორჩენილი თუ აზრის დასაზუსტებლად ჩამატებული ცალკეული სიტყვები თხზულების ტექსტში თითოეულ ხელნაწერში გვხვდება და მათ ინდივიდუალურ თავისებურებას წარმოადგენს. მაგრამ ზოგჯერ ტექსტის გარკვეული ნაწილების მეტობა თუ კლება აშკარად ჩანს ნუსხათა ჯგუფების მიხედვითაც.

CA ნუსხები (ერთად) ასეთ სხვაობას MQm-თან შეპირისპირებით სულ ორიოდე შემთხვევაში გამოავლენს: დასრულდა სახლი ბაღუაშ-თა (ბაღუივაშთა C) სახლი განმაშწარებთა CA; შდრ. MQm, სადაც არ არის სიტყვები: ს ა ხ ლ ი ბ ა ღ უ ა შ თ ა 23. ეს მსაზღვრელ-საზ-ღვრული შინაარსეულად მეტად საჭიროა, რამდენადაც იგი ამთავ-რებს თხრობას ამ ურჩი ფეოდალების ოჯახთან დავითის ბრძოლის შესახებ. მისი გამოტოვება MQm-ში კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ სამი ნუსხისათვის საერთო არქეტიპზე, სადაც ეს სიტყვები არ იყო.

ტექსტის ამგვარი სხვაობის მაგალითები ბევრად უფრო მეტია CMQm—A ჯგუფებში. მაგალითად, დავითის ერწუხის ბრძოლის აღწერისას CMQm-ში გამოტოვებულია სიტყვები: და ვითარცა ლომი შეუხახებდა ჴმითა მაღლითა და ვითარცა გრიგალი მი-და-მო-იქცეოდა 28; ძნელი სავარაუდებელია, რომ ეს რომელიმე რედაქტორის ჩანართი იყოს. გვაქვს საპირისპირო შემთხვევები: CMQm-ში არის სიტყვები, რომლებიც აკლია A-ს: ვინ ჯეროვნად წარმოაჩინნეს (—ნნა MQm) პატივის-პყრობანი მონაზონთანი, ს ი მ დ ა ბ ლ ი თ შ ე მ თ ხ უ ე ვ ა-ნ ი დ ა მ ო კ ი თ ხ ვ ა ნ ი 84. A-ში არ არის უკანასკნელი ოთხი სიტ-ყვა.

წინამდებარე გამოკვლევის წინა თავებში ნაჩვენები იყო რამდე-ნიმე შემთხვევა ტექსტუალური სხვაობისა, სადაც ნუსხათა ასეთი-ვე დაჯგუფება (CMQm—A) გვაქვს. ერთგან A-ში გამარტივებულია რთული სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც, მიუხედავად ცალ-კეული სიტყვების გრამატიკული ფორმის განსხვავებულობისა, ნათ-ლად ჩანს დანარჩენ ოთხ ხელნაწერში (ნ. „მხედველი ყოველთაჲ“, ტაბ., გვ. 88). ასევე ჩანს CMQm ნუსხებში ტექსტის ერთიანობა სხვა-გან („ალსართანის დახასიათების შესახებ“, ტაბ. გვ. 87) და „ქუე-დამ-ზიდველი“ ტაბ. გვ. 84) ამ ორ უკანასკნელ მაგალითშიც ნათლად ჩანს ნუსხათა მიმართებები: ორსავე შემთხვევაში CMQm—A. შეიძლება აქ გავიხსენოთ, რომ C ნუსხის პირველი მკვლევარი ივ. ჯავახიშვილი იმთავითვე აღნიშნავდა, რომ დავითის ისტორიკოსის ტექსტი აქ „სა-ზოგადოდ უდგება A და M-სას“ [41, გვ. 382].

შეიძლება კიდევ დავასახელოთ სხვა მსგავსი შემთხვევები, სადაც ისევ ჩანს CMQm—A დაჯგუფება ტექსტის გამოკრებისას. ერთი ასე-თი მაგალითი რუის-ურბნისის კრების აღწერისას გვხვდება:

ბიბლიოთეკა

უღირსად გამოჩინებულნი

CMQm	A
——	განკუეთნეს და შეაჩუენნეს და

გარდამოსთხინეს საყდართაგან (+ და შეაჩუენეს D)

დალათუ

არა-ადვილ	ძნელღა

იყო ესე

ნათესავთა მათთა ძლიერე ბითა	—— ——
—— —— —— ——	რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრა საყდრები

და მათ წილ ჭეშმარიტნი

——	და სათნონი ღმრთისანი

მწყემსნი დაადგინ(ნ)ეს 25.

ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ეს ეპიზოდი ძირითადად A-ს მისდევს, გამოტოვებულია სიტყვები: ნ ა თ ე ს ა ვ თ ა მ ა თ თ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ი თ ა [ქც², გვ. 328], რომლებიც ჩვენ ავტორისეულად მიგვაჩნია, რადგან მომდევნო სიტყვებში A-ში (რამეთუ იყვნეს...) ახსნილია, თუ ვინ იყვნენ ეს ნათესავები.

ზემოთ, მსჯელობისას, ჩვენ აღნიშნული გვქონდა ავტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხი — პარალელიზმი, რომელიც ერთგვარწევრებიან კონსტრუქციათა შექმნას გულისხმობს სხვადასხვა სინტაქსურ დონეებზე; ასეთის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს დიდგორის ბრძოლის აღწერაში ვხვდებით (ნ. ზემოთ, გვ. 98). ასეთივე პარალელიზმი, ოღონდ „დაშლილი“ სახით, გამოვლინებულია კიდევ სხვაგანაც, ისევ CMQm — A დაჯგუფებით: ორწევრიანი პარალელიზმი ვლინდება შემდეგ მაგალითში: ესე ყოველი მოიწია და თუალითა ჩუენითა (რომლითა C) ვიხილეთ, და ფრიად უფროსი (CA, უფროს MQm) ამათ (ამათი A) წარმოთქმულთასა, (+ და A),

რამეთუ

CMQm	A
ვითარმცა (ვერმცა C) ვინ მისცა (მისწუთა C) თხრობასა ყოველი, რომელი იქმნა	—— —— ——

[ანუ]

—— ——	ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი

დღეთა ჩუენთა

——	მოიწია ჭირი 13.

ასეთივე პარალელიზმის ნიმუში ჩანს შემდეგ ადგილას:

და ვინღამცა იყო წინა-დამდგომი (წ. დამდგომ C, წ-ად MQm) მისი (—MQm) + და A

CMQm	A
——	ანუ მიმმართი ომისა
ანუ ამამაღლებელ (ამღებელ C, ამ̃ღბლი Q, ამაღლებული Mm) საჭურველისა წინაშე მისსა (მის წინაშე MQm)	—— —— —— —— 48.

იმის დასადასტურებლად, რომ CMQm-ისა და A-ს იკითხვისებს ერთი საერთო პროტოტიპი აქვს, შეიძლება დავიმოწმოთ შემდეგი ადგილიც:

კმა იყვნეს დაუცხრომელ[სა] (-მლად Q, -მელად სხვ.).

CMQm	A
და სამარადისოსა მისსა	——

მიმოსლვასა

——	ლაშქრობასა მისსა

ზამთარ და ზაფხულ,

გინაღა (განაღა Mm, გ̃ნღა Q) სადამე [Q, სადმე Mm, გ. ს.] განაღსამე C)ლაშქრობასა	—— —— —— 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები ლაშქრობასა მისსა A-ში შემოკლებულად გადმოგვცემს CMQm ნუსხების უფრო ვრცელ თხრობას.

ზოგჯერ აშკარად ჩანს, რომ MQm-ში ტექსტი ცუდად არის გამოკრებილი (C-ს ტექსტი აქ ნაკლულია):

უკუეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვალად ორგულთა,

MQm	A
——	ჯაბანთა და უღირსთა, ადიდნეს,
——	რა უსამართლო

ქმნას 95.

ყველა ნუსხისათვის საერთო, სამი ეპითეტის შემცველი დახასიათების საპირისპიროა ასევე სამწევრიანი უარყოფითი. ეს უკანასკნელი სრული სახით მხოლოდ A-შია. A ნუსხაში მოცემული ტექსტობრივი მონაკვეთის დანარჩენი სიტყვების გარეშე აზრი MQm-ში გაუმართავია.

უკანასკნელ, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს, რომ CMQm და A-ში ერთი პროტოტიპის ტექსტია გამოკრებილი; ამას გვიჩვენებს თხზულების ბოლო, რომელიც A-ში უფრო მოკლეა, ვიდრე CMQm-ში:

წინა-წარგზავნნა საუნჯეთა მათ უშიშთა

CMQm	A
მაღალთა და მპარავთაგან უშიშთა დალევნისაგან და მოკლებისა ქალაქსა მას, რომლისა შუენიერებაჲ არა უხილავს თუალსა სხეულეანსა (სახელოვანსა MQm) და რომლისა ბრწყინვალებაჲ ვერ აღვალს გულსა ჴორციელსა, ვერცა სასმენელი დაიტევს სმენილსა	——

რამეთუ

ნამდვლ	——

მუნ არს

——	შრომა (!)
შუება (C, ბუნება MQm)	შუება და სიხარული და

რომელსა არა აქუს მწუხარება, და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგს (შეუდგეს C, აქუს Mm); მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა (მწუხ. ...შეუდგს] — Q) სიგლახაკე და სიხარული (და ს.] — A) რომელსა არა განჰკუეთს ურვაჲ (არა გ. ურვა] გაჰკრთეს ურვაჲ MQm) და მეუფება (მეფობა A), რომლისა (რომელსა CA) არა არს (აქუს CA) ალსასრული; და მუნ არს ცხოვრება, რომელსა არა შეამრლუევს სიკუდილი 103.

ზემოთ მოყვანილ მაგალითთა მიხედვით შესაძლოა დავასკვნათ, რომ „ძველი ჯგუფის“ ყველა ნუსხის ტექსტს საფუძვლად ერთი არქეტიპი უდევს. ცვლილებები, დადასტურებული ცალკეულ ნუსხებში თუ ნუსხათა ჯგუფებში, ისე შორს არ მიდის, რომ თხზულებაში ცალკეული დამოუკიდებელი (ორი თუ მეტი) რედაქციები გამოვყოთ. „დავითის ცხოვრების“ ის პროტოტიპი, რომელიც „ქართლის ცხოვრებისათვის“ ნარედაქციევ ტექსტს შეიცავდა, შემდგომ ცვლილებებს განიცდის ნუსხებში. რედაქციული ხასიათის ცვლილებები ძირითადად ტექსტის „გამოკრებას“ გულისხმობდა, გამარტივების მიზნით, რასაც თან ერთვოდა სხვადასხვა ხასიათის შეცდომები და დამახინჯებები. ასეთ პირობებში ძნელია იკითხვისთა შერჩევისას რომელიმე ნუსხას მიეცეს უპირატესობა ყველა შემთხვევაში, რადგან შეცდომებისაგან არცერთი თავისუფალი არ არის. ვარიანტთა შერჩევა ავტორის ენისა და სტილის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს. ამგვარი ოპერაციის შედეგად დადგენილი ტექსტი ხელოვნური, „მოზაიკურად“ შეკრებილი არ ჩანს, რადგან ეს ადგილები შინაარსობრივად გამართულია, ხოლო ენისა და სტილის მხრივ სავსებით შეესაბამება იმ ადგილებს, სადაც ტექსტი ყველა ნუსხაში ერთგვაროვანია.

იმის გადასაწყვეტად, თუ რომელ ხელნაწერს ან ხელნაწერთა ჯგუფს უნდა მიეცეს უპირატესობა თხზულების ტექსტის დადგენისათვის, არც ხელნაწერთა აბსოლუტური თუ შეფარდებითი სიძველე შეიძლება მივიჩნიოთ სანდო კრიტერიუმად. საზოგადოდ კარგად არის ცნობილი, რომ ძველი ხელნაწერი ყოველთვის სხვაზე უკეთესი ყოველთვის არ არის. გარდა ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ნუსხების მიხედვით დროული დაშორება „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილ ნუსხებსა ან მათ უშუალო დედნებს შორის მაინცდამაინც დიდი არ ჩანს: A თუ მისი დედანი 1479—1485 წლებშია გადაწერილი; Q-ს უშუალო დედნად მიჩნეული „მცხეთური“ ნუსხა არ უნდა ყოფილიყო 1546 წ. გვიან გადაწერილი (შესაძლოა, ბევრად უფრო ადრეულიც იყოს). ტექსტის მიხედვით „მცხეთურიდან“ უნდა მოდიოდეს (მაგრამ არა უშუალოდ) Mm-ც. მაშასადამე, მაქსიმალური ქრონოლოგიური სხვაობა A-სა (თუ A-ს დედანსა) და Q-ს დედანს შორის ნახევარ საუკუნეს არ შეიძლება აღემატებოდეს. CMQm საერთო იკითხვის-

ბი ამ ნუსხებში გამოკრებული ტექსტის ჩვენების მიხედვით ქრონოლოგიურად კიდევ უფრო ადრეული საფეხურის მაჩვენებელია.

ტექსტი ყველა არსებულ ნუსხაში საკმაოდ არის დამორებული „ქართლის ცხოვრებისათვის“ შემზადებულ ნარედაქციევ ტექსტს. სავარაუდოა, რომ ზოგიერთი შეცდომა თხზულებაში უკვე ამ სტადიაზე გაჩნდა. ამას მოწმობს ის საერთო შეცდომები, რომლებიც ყველა ნუსხაში გვხვდება; ზოგიერთი მათგანი ზემოთ იყო დასახელებული (ს ა ნ თ ლ ი თ ა, ნ. გვ. 55).

ზოგიერთი შეცდომა, რომელიც არქეტიპში უნდა ყოფილიყო, განსხვავებულ, მაგრამ ყოველთვის დამახინჯებულ იკითხვისებს გვაძლევს სხვადასხვა ნუსხებში: კარასეულნი — პაგრატეულნი, (კარ.]—Q), გარატეულნი, გარტეულნი (ნ. გვ. 45); აბუ-იაყუბ — ბუქლუქ, ბუქლუბ და სხვ (ნ. გვ. 36); სოდომელნი — სოდომომცა და სხვ. (ნ. გვ. 105); საგულისხმოა ისიც, რომ გაუგებარი და დამახინჯებული ადგილები ზოგიერთ ნუსხაში სულ გამოტოვებულია; მისეულითა — მასლათა A, — CMQm. (ნ. გვ. 33); მიქცეული კედლად — მიქცეული კლდედ, კლდეთა, კლდე MQm; მ. კ. — A. (ნ. გვ. 115).

საერთო შეცდომა უნდა იყოს აგრეთვე შემდეგი: არა მიუშუა განხრწნადითა გვრგვნითა და პორფირითა, ვითარცა სიზმრითა და ნაოცნითა, უმრავლესად მღერად 101. უ მ რ ა ვ ლ ე ს ა დ, რომელიც ყველა ნუსხაშია, აზრობრივად გაუმართლებელია. შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ აქ ნუსხურად დაწერილი დაქარაგმებული უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ა დ სიტყვა არის ცუდად ამოკითხული.

შემთხვევითი არ არის აგრეთვე რეალურ ისტორიულ პირთა, ბიბლიისა და სხვა თხზულებათა ლიტერატურულ გმირთა სახელების მრავალგვარი დამახინჯება ტექსტში.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ისტორიკოსის თხზულების ტექსტის გასამართავად არ შეიძლება გამოცემის საფუძვლად ერთი რომელიმე ნუსხის ან თუნდაც ნუსხათა ჯგუფის აღება. უნდა შეინიშნოს, რომ ს. ყაუხჩიშვილიც, რომელიც მის მიერ გამოცემულ ტექსტში („ქართლის ცხოვრებაში“) ძირითადად მისდევს A-ს, ზოგიერთი ადგილებისათვის ირჩევს სხვა ნუსხათა იკითხვისებს და A-ში გამოტოვებული სიტყვები და წინადადებებიც ამ უკანასკნელთა მიხედვით შეაქვს, მაგალითად: იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა (ესენი... საჭურველითა — A), [ქც², გვ. 337] 48; აქუნდა ყოვლით კერძო მშვდობა და დაწყნარებე (და დაწყნარება — A) [ქც², გვ. 361]; 98; შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით სულისა მიერ წმიდისა (კეთილად... წმიდისა ART, D ნაკლ., — CMQm) აღიღო მაღლად თავი თჳსი (აღიღო... თჳსი CMQmRT,

D ნაკლ., — A; [ქც², გვ. 335] 43; და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთა-თვს და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი (ყივჩაყთათვს... დიდი CMQmRT, D ნაკლ., — A [ქც², გვ. 336]. 36. ტექსტის ამგვარად „შეკრე-ბა“ გვაძლევს არა ხელოვნურ ნაერთს, არამედ გამართულ იკითხვისებს, ასეთივე პროცედურის შედეგს ხშირად ვხედავთ ვახტანგის ნარედაქ-ციევ ტექსტში (ამის შესახებ მსჯელობა შემდეგ თავშია მოცემული).

ს. კაკაბაძეც, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწი-ლების მიხედვით გამოყოფს ორ რედაქციას — CA და MQm ნუსხებში დაცულს, აღიარებს, რომ სხვადასხვა რედაქციის ნუსხათა გამოყე-ნების გარეშე „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული ტექსტის გამო-ცემა არ შეიძლება [7, გვ. 56]. მით უმეტეს შეეხება ეს დავითის ის-ტორიკოსის თხზულებას, რომელიც ყველა ნუსხაში ერთი რედაქ-ციის ტექსტს წარმოადგენს. როგორც ზემოთ ითქვა, ეს გარემოება არ გამორიცხავს ნუსხათა ერთმანეთთან მეტ-ნაკლებ სიახლოვესა თუ მსგავსებას. ზემოთ მოყვანილი მონაცემები, აგრეთვე ლიტერატუ-რაში დაცული ცნობები ნუსხათა წარმომავლობის შესახებ საფუძ-ველს გვაძლევს დავითის ისტორიკოსის თხზულების მიხედვით წარ-მოვიდგინოთ შემდეგი სქემა:



არსებულ ნუსხებში დადასტურებული რედაქციული ერთგვარობა დავითის ისტორიკოსის თხზულებისა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნაწილებში ამ თვალსაზრისით განსხვავებული სურათი გვქონდეს. ფილიაციის სხვადასხვა სტადიაზე შესაძლებელია ცალკეულ ნუსხაში ან ნუსხათა ჯგუფში რომელიმე თხზულების ტექსტის რედაქციული გადამუშავება და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სხვებისაგან დამოუკიდებლად.

მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ავტორისეულია ტექსტში მოცემული თარიღები, თუ ჩართულია „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელთა მიერ. ეს საკითხი ადრევე იყო დასმული ჩვენს ლიტერატურაში; ჯერ კიდევ თ. ჟორდანია [15, გვ. XXI და ქვემოთაც] ამტკიცებდა, რომ ქრონოლოგიური ცნობები „ქართლის ცხოვრების“ გარკვეულ ნაწილებში, მათ შორის „დავითის ცხოვრებაშიც“, გვიან შეტანილი უნდა ყოფილიყო; მისი აზრით, ეს ეხება იმ თარიღებსაც, რომლებიც მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში მოიპოვება (სახელდობრ — დიდი თურქობისა — 1080 წ., დავითის გამეფებისა — 1089 წ. და გარდაცვალებისა — 1125 წ. გვ. XIV). დანარჩენი თარიღები მას ვახტანგის შეტანილად მიაჩნდა მის ნარედაქციევ ტექსტში. ამავე აზრისა იყო ე. თაყაიშვილიც [52,გვ. II, 88]. ანა დედოფლისეული ნუსხის აღმოჩენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქრონოლოგიური ცნობები ძველ ნუსხებშიც არის, რის გამოც ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქრონოლოგიური ცნობებიც დავით აღმაშენებლის მეფობაში ვახტანგისა და მის მეცნიერთა შეტანილი არ არის“ [44, გვ. 315]. ივ. ჯავახიშვილის დასკვნა, რა თქმა უნდა, სავსებით სწორია, მაგრამ რჩება სხვა კითხვა: ეს ცნობები ძველ ნუსხებში ავტორისეულია თუ შემდგომი რედაქტორების შეტანილი?

ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს და მასზე დამარწმუნებელი პასუხის გაცემა ამჯერად ძნელია. შესაძლებელია, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მხოლოდ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა.

თხზულებაში სულ თორმეტი თარიღია: დიდი თურქობისა (1080 წ.), დავითის გამეფებისა (1089 წ.), ზედაზნის აღებისა (1003 და 1001), სამშვილდის აღებისა (1110 წ.), რუსთავის აღებისა (1115 წ.), თურქთა დამარცხებისა ტაო-კლარჯეთში (1116 წ.), მალიქის სიკვდილისა (1118 წ.), ბოტორასთან ბრძოლისა (1120 წ.), ხუნანის ბრძოლისა (1121 წ.). დიდგორის ბრძოლისა (1121 წ.), თბილისის აღებისა (1122 წ.), დავითის გარდაცვალებისა (1125 წ.), უკლებლად თორმეტივე მხოლოდ A-შია; ხელნაწერში შეცდომებია: დავითის გამეფების თარიღად მითითებულია ქრონიკონი სამოცდაცხრა (სამას ცხრის ნაცვლად, 16) და გარდაცვალებისად — სამას·ოცდახუთი (სამას ორმოცდახუთის ნაცვლად,

102). ყველა თარიღი სიტყვებით არის დაწერილი, ზედაზნის აღების თარიღი A-ში (სამას ოცდა სამი — ე. ი. 1103 წ.) განსხვავდება ვახტანგისეული ნუსხების თარიღისაგან — ტ҃ქა (321—1001 წ.). დანარჩენ ნუსხებში ეს თარიღი სულ არ არის აღნიშნული. ძველ ნუსხათაგან ყველაში (CAMQm) არის მხოლოდ სამი თარიღი — დიდი თურქობისა, დავითის გამეფებისა და გარდაცვალებისა. ეს სწორედ ის თარიღებია, რომლის არსებობას თ. ჟორდანია აღნიშნავდა M-ში: (1080, 1089 და 1125 წლები) [15, გვ. XIV]. დანარჩენი თარიღები არ არის არა მარტო M-ში, არამედ მასთან ერთად Qm-შიც.

C-ში განსხვავებული ვითარებაა: მასში ზემოთ დასახელებული სამი თარიღის გარდა, კიდევ ხუთია; ეს თარიღები, რომლებიც არ არის MQm-ში, C-ს ტექსტში A-საგან განსხვავებულად არის შეტანილი. ოდეს სამშუილდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი A; შდრ. C: ქარონიკონსა სამას ოცდა ათსა ოდეს სამშუილდე აიღეს (37—38); წაიღო... ჭყონდიდელი (!) რუსთავიცა... იყო ქრონიკონი სამას ოცდათხუთმეტი A; შდრ. C: ქარონიკონსა სამას ოცდათხუთმეტს წაიღო... 39; ტაო-კლარჯეთში თურქთა დამარცხების თარიღი A-ში ნაჩვენებია მათი განადგურების შემდეგ: უგრძნაულად დაესხა... უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარმიფორისად, რამეთუ (!) ქრონიკონი იყო სამას ოცდა ათექუსმეტი; C-ში იგივე თარიღია ნაჩვენები სხვა ადგილას, ბევრად უფრო წინ: ქრონიკონსა სამას ოცდა თექუსმეტსა ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი 39. A-ში თარიღი მოსდევს ცნობას მალიქისა და ალექსის სიკვდილის შესახებ: ვერ ცნეს ერთმან მეორისა სიკუდილი. ქრონიკონი იყო სამას ოცდათურამეტი; C-ში კი თარიღი წინ მიუძღვის ამავე ეპიზოდს: ქრონიკონსა სამას ოცდა თურამეტსა თუესა აგუისტოსსა მოკუდა სულტანი.. 41. ბოტორას აღების თხრობაში თარიღები, პირიქით, A-შია უფრო წინ: გულპყრობილ ყუნა იგინი. ქრონი[კონი] იყო სამას ორმოცი, შდრ. C: ჩამოდგეს ბოტორას... და დაიზამთრეს და ქარონიკონი იყო [.....] (რიცხვი ამოშლილია) 50. ზედაზნის აღებისა და ხუნანის ბრძოლის თარიღები C-ში არ არის (ისევე, როგორც MQm-ში); დიდგორის ბრძოლისა და თბილისის აღების ეპიზოდები, როგორც აღნიშნულია, C-ში გამოტოვებულია, ამიტომ ამ თარიღების შესახებ ვერაფერს ვიტყვით. ამრიგად, A-ში აღნიშნული თორმეტი თარიღის შესაბამისად, MQm-ში, როგორც უკვე აღვნიშნეთ — სამია, C-ში რვა (კიდევ ორი მოდის ტექსტის შეკვეცილ ნაწილზე).

ასეთი სხვადასხვაობა „ძველი ჯგუფის“ ნუსხებში ეჭვს ბადებს, რომ თარიღები თხზულებაში ავტორისეული არ არის. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ავტორის თხრობის მანერასა და აღზევებულ სტილს ძნელად თუ შეიძლება შეუხამოთ თარიღები, რომლე-

ბიც ხელოვნურად ჩასმულის შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლებოდა ისიც დაგვეშვა, რომ ის თარიღები, რომლებიც ხუთივე ნუსხაშია — დიდი თურქობისა, დავითის გამეფებისა და გარდაცვალებისა, ავტორს ეკუთვნის; მაგრამ ესეც საეჭვოა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თარიღები საკმაოდ უსისტემოდ არის ტექსტში მითითებული. არ არის აღნიშნული ავტორის თვალსაზრისით ისეთი დიდი მოვლენების თარიღები, როგორიცაა: რუის-ურბნისის კრება, ურჩი ბარონების განადგურება, გელათის მშენებლობის დაწყება, ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში და სხვ. თხზულებაში მოცემულ თარიღთაგან ზოგიერთი, მართალია, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს ეხება (დიდგორის ბრძოლისა, თბილისის აღებისა); მაგრამ ძნელია თქმა, რომ სხვა ბრძოლები, რომელთა თარიღები თხზულების ნუსხებშია დასახელებული, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თარიღის აღუნიშნავად დატოვებულები; ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თარიღების ერთი ნაწილი თხზულებაში შეტანილია ადრეული რედაქტორის მიერ, რომელმაც ნაწარმოებს რედაქცია გაუკეთა „ქართლის ცხოვრების" კრებულში შესატანად. მას დაუთარიღებია ზოგი მოვლენა, თუ მისი თარიღის გარკვევა შესაძლებელი იყო მის ხელთ მყოფი ისტორიული წყაროების მიხედვით (ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ ავტორს, დავითის თანამედროვეს, მის მიერ აღწერილი ყველა ამბის თარიღები ეცოდინებოდა). არც ის არის გამორიცხული, რომ სხვადასხვა ნუსხათათვის სხვადასხვა წყარო ვივარაუდოთ იმ სხვაობის მიხედვით, რომელიც თარიღების სხვადასხვა ოდენობაშია გამოვლინებული. მეცამეტე თარიღი ანისის აღებისა (1124 წ.) D-ში აშკარა ჩანართია.

დასასრულ, უნდა შევეხოთ თხზულების დასაწყისის საკითხს. ბოლო დრომდე საყოველთაოდ იყო მიღებული აზრი, რომ იგი ნაწარმოებს ჩამოაცილეს „ქართლის ცხოვრებაში" შეტანისას. ივ. ჯავახიშვილი სრულიად მართებულად აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია სრული ტექსტის შემცველი თხზულება იმგვარად დაიწყოს, როგორც იგი დღეს იწყება [46, გვ. 210]. მართლაც, პირველივე სიტყვები: (ა მ ი ს შ ე მ დ გ ო მ ა დ) მიანიშნებს, რომ ავტორი გულისხმობს რაღაც მოვლენებს, რომელთა შესახებ უწინარესად იყო საუბარი. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი", საგანგებოდ დაიწერა „ქართლის ცხოვრებისათვის" [9, გვ. 37, 39; 47, გვ. 25, 27]. ეს მოსაზრება გაშლილი და საბუთებით შემაგრებული არ არის, ამიტომ ძნელია მის ავტორთან კამათი; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება უფრო სამართლიანად მიგვაჩნია. თუ დავითის ისტორია წინამავალი თხრობის გასაგრძელებლად არის დაწერილი, მაშინ მისი ტექსტი ამ თხრობას პირდაპირ უნდა აგრძელებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილად კი ისტორიკოსის თხზულების დასაწყისში გამეორებულია ზოგიერთი ამბავი, რომელიც წინამავალ ნაწარმოებში უკვე არის ნახსენები: „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: და მოვიდა სულტანი მალიქშა მტერად ყოველთა ქრისტიანეთა. მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა, და დაყო მის თანა მცირედნი ხანნი და გამოეპარა. და მოვიდა სულტანი და მოადგა სამშჳლდესა და წარუღო სამშჳლდე. და ტყუე იქმნა ივანე... შემდგომად მცირედისა ხანისა შეკრბა სარანგი ყოველითა ლაშქრითა... განაძლიერა ღმერთმან გიორგი მეფე... მიუჴდა ზედა ფარცხისს ქვემოთ, და იოტა ბანაკი სარანგისი... [ქც², გვ. 316—317]. ამის შემდეგ მოთხრობილია გიორგის მიერ კარის აღება. აქედან ჩანს, რომ ერთი თხზულების ბოლო და მეორის დასაწყისი ერთმანეთს მორგებული არ არის, ცუდადაა „გადაკერებული“. „ცხორებაჲ დავითისი“ რომ წინამავალის უშუალო გაგრძელებად იყოს ჩაფიქრებული, ასეთ შეუსაბამობას ავტორი უთუოდ აღარ დაუშვებდა. გარდა ამისა, დავითის მემატიანის თხზულება მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის გამომავლინებელი ნაწარმოებია; თავისი კომპოზიციით და სტილით იგი უფრო სახოტბო თხზულებაა, ვიდრე ისტორიულ ანალებში შესატანად დაწერილი მშრალი ქრონიკა; ამ მხრივ იგი უფრო მეტ მსგავსებას იჩენს ისეთ თხზულებასთან, როგორიც არის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრება“, რომელიც გარკვეულ პირთა ცხოვრებასა და „მოქალაქობას“ გადმოგვცემს და რეალურ ისტორიულ ფაქტებთან ერთად ჭარბად შეიცავს მათ პირადულ თვისებათა შესხმა-ქებას. ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდში ასეთ ნაწარმოებებს თავისი საკუთარი სტრუქტურა აქვთ, მათთვის სავალდებულო კომპოზიციის კანონებს ემორჩილებიან.ამ სტრუქტურის ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს შესავალი; თუ რამოდენა იყო იგი „დავითის ცხოვრებაში“, ან რა მოვლენები იყო შიგ აღწერილი — ამის შესახებ, სამწუხაროდ, დღეს რაიმეს თქმა ძნელია.

იგივე უნდა ითქვას თხზულების პირვანდელი სათაურის შესახებ. მისი დღევანდელი სათაური, როგორც ცნობილია, მეტ-ნაკლებად პირობითია. A (და C-შიც) უსათაურო თხზულებას MQ-ში სათაურად მხოლოდ ც ხ ო რ ე ბ ა მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს ა აქვს. m-ში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამას ემატება გ ი ო რ გ ი ს ი. შეიძლება დავუშვათ, რომ MQ-ის სათაური პირვანდელი (ალბათ ვრცელი) სათაურის ნაწილია, მაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება.

VI. ვახტანგის ნარედაქციევი ტექსტის რაობისათვის

ვახტანგ მეექვსისა და მის „სწავლულ კაცთა“ მუშაობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთგზის

არის განხილული. მეტად საყურადღებო დებულებები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა, გამოთქვა ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა [152, გვ. 34—114]. ამის შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი მოსაზრება იქნა გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის შესახებ, მაგრამ ისინი უმეტესად ეხება „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნაწილებს. საგანგებოდ არავის შეუსწავლია, თუ რა ხასიათისა არის „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ ვახტანგის დამუშავებულ ნუსხებში. ამ მხრივ გამონაკლისია ქ. გრიგოლიას მიერ მოკლედ აღნიშნული თარიღები დავითის ცხოვრებაში [5, გვ. 221]. უნდა ითქვას, რომ იმ ექვს ნიშანთაგან, რომელთაც ქ. გრიგოლია ვახტანგისეული რედაქციისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს, „დავითის ცხოვრებას“ საზოგადოდ მხოლოდ სამი შეიძლება შეეხებოდეს: ტექსტის დაყოფა-დასათაურება მეფეთა ზეობის მიხედვით, ჩანართების არსებობა თუ უქონლობა, ტექსტის გამართვა-გასწორება. კარგად არის ცნობილი, რომ დასათაურება თხზულებისა ვახტანგის ნასწორებ თუ მათგან მომდინარე ნუსხებში ისევე, როგორც სხვა თხზულებათა სათაურებში, გავრცობილია. ეს ჩანს ზემოთ, ხელნაწერთა აღწერილობაშიც. თხზულების ტექსტი ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში კი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

დაკვირვება ვახტანგისეული რედაქციის ადრეულ (RDT) ნუსხებზე გვიჩვენებს, რომ ტექსტში არსად არ არის სამივე ნუსხისათვის საერთო მნიშვნელოვანი ჩანართი, რომელიც შეიძლება უცნობი წყაროდან მომდინარედ ან თვით ვახტანგის ჩამატებულად მიგვეჩნია (ჩანართი კატრონიკე დედოფლის საფლავის მონახულების შესახებ არის, როგორც ცნობილია, მხოლოდ D-ში). კიდევ მეტი: RDT ნუსხათა ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათში საერთოდ არ არის ჩვენთვის ცნობილ ძველ ნუსხათა იკითხვისთაგან განსხვავებული ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი იკითხვისები. არსებულ სხვაობათა რიცხვი მინიმალურია.

ფრაზა, რომ გელათის ტაძარი ყველამ შეიძლება იხილოს, A-ში ასეა გადმოცემული: რომელსა აწ თანა-მოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი, შდრ.: რომელსა თანა-მოწმედ ჰქონან თუალნი მხედველთანი CMQm. RDT იმეორებს უკანასკნელ იკითხვისს, ორი სიტყვის დამატებით: ...თუალნი ყოველთა ჴორციელთა მხედველთანი 30; ადგილთა ყუავილოვანთა CAMQm] მწუანვილოვანთა RT (D ნაკლულია) 37; თვთ მივიდის] ხოლო თვთ მივიდის RDT 34; მითვე დიდებითა ადიდა] მითვე დიდებითა ამყოფა 20; ცხენსა (ციხესა A)] ცხენზედა RT, D ნაკლულია 50; განბრძნდა უმეტეს] განბრძნდა უფროს RDT 75. განმკითხველნი CA, გამომკითხველნი MQm] გამკითხვარნი RDT 83. მეტომეთა თჳსთა ზედანი

(ზანი A) ჭირნი] მეტომეთა თჳსთა ზ ა რ ნ ი ჭირნი RDT, ალბათ, A-ს გავლენით 57. საკუთარი სახელი ა ს ა თ (—C, ასა A, სათ Q, სათა Mm) RDT-ში ა ს ა მ ფორმითაა მოცემული 40.

ამგვარ სხვაობათა მიხედვით, რა თქმა უნდა, გაჭირდებოდა იმის თქმა, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონდა „დავითის ცხოვრების“ სხვა, ჩვენთვის უცნობი წყაროები (თუმცა ეს არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ სხვა თხზულებათათვის). აქაიქ RDT ნუსხებში გვხვდება ადრეულ ნუსხებში დადასტურებულ გვიანდელ ან მცდარ ენობრივ ფორმათა სანაცვლოდ სწორი ენობრივი ფორმები; მაგრამ ვერც მათ მიხედვით დავასკვნით, რომ ვახტანგს ადრეული, სწორი და ჩვენთვის ცნობილთაგან განსხვავებული დედნები ჰქონდა; მორფოლოგიურ ფორმათა უმეტესობა RDT ნუსხებში ისეთივე სიჭრელეს გვიჩვენებს, როგორც ადრინდელებში. ვახტანგს ზოგი რამ შეეძლო გაესწორებინა და გაუსწორებია კიდევაც, მაგრამ დაკვირვება მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე გვიჩვენებს, რომ უმეტესად მას უცვლელად გადმოაქვს ნუსხებიდან შერჩეული ენობრივი ფორმები [33, გვ. 380]. ასევე იქცევა იგი აქაც.

ვახტანგს რომ ჩვენთვის უცნობი ადრეული წყაროები არ ჰქონია ხელთ, იმითაც მტკიცდება, რომ მის ტექსტში განმეორებულია ყველა ჩვენთვის ცნობილ ნუსხათათვის საერთო შეცდომები: ს ა ნ თ ლ ი თ ა (ნ. ზემოთ, გვ. 55), თურქ ამირათა სახელების დამახინჯებული ფორმები (ნ. გვ. 36), მცდარი იკითხვისი ბ ა გ რ ა ტ ე უ ლ ნ ი (ნ. გვ. 45) და სხვ.

RDT ნუსხებში თხზულების ტექსტი ერთგვაროვანია, იგი რაიმე მნიშვნელოვან რედაქციულ სხვაობას არ გვიჩვენებს (ორთოგრაფიულ და ენობრივ სხვაობათა გარდა). ჩანართები, რომლებიც R-ში აშიაზეა შეტანილი, ხოლო D-ში შიგ ტექსტში, ამ ერთგვაროვნებას კიდევ უფრო ამტკიცებენ (ნ. ზემოთ, ხელნაწერთა აღწერილობაში).

ერთი შეხედვით, შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ ტექსტი ჯანაშვილისეულ (D) ხელნაწერში რედაქციულ სხვაობას გამოავლენს: ამ ნუსხაში საკმაოდ ხშირად სიტყვებია ჩამატებული (ზოგიერთი ასეთი შემთხვევა ნაჩვენებია ზემოთ, ხელნაწერის დახასიათებისას), მაგრამ ეს ჩამატებები შინაარსს სრულიად არ ცვლის და ნართულია მხოლოდ თხრობის დასაკონკრეტებლად. მაგალითად: იწყეს ტყუეობად ჩ უ ე ნ ქრისტეანეთა 3; ესმა მათგან ს ი ტ ყ უ ა ე ს ე ვითარმედ 5; მისცა მ ა თ 11; ესრეთ მ ე ო ტ ა დ განიბნივნეს თჳსთა ქუეყანათა შ ი ნ ა 38; შ ე მ დ გ ო მ ა დ ა მ ი ს ა კ უ ა ლ ა დ წარიღო 39; ვინ იხილა ნადირობასა შინა ესეოდენ განმარჯუებელი მ ს გ ა ვ ს ი მ ე ფ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ი 70; მ ი ს ა შ ე მ დ გ ო მ ა დ აღიხუნა მეფემან დ ა ვ ი თ 27; წარმოიღო ნ ა ტ ყ უ ე ნ ა ვ ი მ ა თ ი ურიცხჳ 51; და მ უ ნ ი თ ჩამოვლო 51; მეორესა წელსა დ ა ვ ი თ მ ე ფ ე მ ა ნ 40; ეძუნე-

ბოდა სულსა ამის მეფის დავითისსა 72; მაშინ გულდებით ხამოდგეს 52 და სხვ.

თხრობა რუის-ურბნისის კრების შესახებ D-ში ორიოდე წინადადებით არის გავრცობილი: როდესაც უდირს ღვდელთმთავართ[illegible]ვებაზეა ლაპარაკი, D უმატებს სიტყვებს: ა[ღ] ამისთვს არა[illegible]სა წარჩინებულობასა და შეჩუენებით განაძეს 25. ეს ფრაზა ტექსტს არაფერს მატებს, რადგან ზემოთ უკვე არის ნათქვამი, რომ ისინი განკუეთნეს და შეაჩუენნეს.

ძეგლის წერის დადებაზე ისტორიკოსი წერს: და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით 26. ამ სიტყვებს D უმატებს: უწინარეს ყოველთა კეთილთა საქმეთა თჳსთა. ეს სიტყვები შეტანილია გამოცემაში [ქც², გვ. 328]; ამ იკითხვისს არცერთი სხვა ნუსხა მხარს არ უჭერს; იგი არც ფაქტობრივ არის სწორი და ალბათ მხოლოდ იმისთვის არის ჩართული გადამწერის მიერ, რომ კიდევ უფრო წარმოაჩინოს დავითის ღვთისმოსაობა. ამავე მიზნითაა გავრცობილი ადგილი, სადაც დავითის ქველმოქმედებაზეა ლაპარაკი: ხოლო წყალობაჲ გლახაკთაჲ, შეწყალებაჲ ქურივთა, ობოლთა და დავრდომილთანი ესეოდენი აქუნდა 80.

აქა-იქ D-ში სიტყვათა რიგია შეცვლილი, ან ამა თუ იმ წინადადების აზრი თავისი სიტყვებით აქვს გადმოცემული: რაოდენნი ჯიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა] რაოდენთა სასტიკთა მდინარეთა ზედან ჯიდნი განჯიდნა D 82.

ამრიგად, D-ს იკითხვისები, რომლებიც ნუსხის ინდივიდუალურ თავისებურებას წარმოადგენს, არ გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ მასში ისტორიკოსის თხზულების ტექსტი RT-ს ტექსტისაგან არის განსხვავებული; სამივეში შემონახული რედაქციის თვალსაზრისით ერთგვაროვანია.

უფრო რთულია გარკვევა, თუ რა მიმართებაშია RDT ნუსხებში დაცული ისტორიკოსის თხზულების ტექსტი უფრო ადრეული ნუსხების ტექსტთან. ამ საკითხის გარკვევა საშუალებას მოგვცემს გავცეთ პასუხი კითხვაზე: — წარმოადგენს თუ არა ვახტანგის ხელში გავლილი თხზულების ტექსტი ნაწარმოებისა ცალკე დამოუკიდებელ რედაქციას?

ვახტანგისეულ ნუსხათა დამოკიდებულების შესახებ ძველ ნუსხებთან, როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი რამ არის გარკვეული; აღნიშნულია, რომ მარიამ დედოფლისეული ხელნაწერი ვახტანგს ადრევე ჰქონია ხელთ; ე. თაყაიშვილი ამის საბუთად იმოწმებს ვახტანგის ხელით შესრულებულ მინაწერებს მის კიდეებზე [52, გვ. 92]. კ. გრიგოლიას აზრით, ეს ხელნაწერი „ის სახელმძღვანელო წიგნი უნდა ყოფილიყო, რომლის მიხედვითაც

ის სამშობლო ქვეყნის ისტორიას ეცნობოდა და სწავლობდა" [5, გვ. 116]. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ვახტანგი ანასეულ ნუსხასაც იცნობდა. კ. გრიგოლია მიუთითებს: „ამ უკანასკნელ ხანებში პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოარკვია, რომ კომისიას თავისი სარედაქტორო მოღვაწეობის დროს ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეული ხელნაწერიც ჰქონია ხელთ და შესწორება-ჩანართების ერთი წყება მას სწორედ იქიდან ამოუღია [5, გვ. 208]. აქ იგულისხმება, როგორც ჩანს, ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებული შედარება A, M და B ნუსხებისა [76, გვ. LXXIII—LXXXI], რომლის შესახებ თვითონ ს. ყაუხჩიშვილი ასე წერს: „ანასეული ხელნაწერის ეს ღირებულება მუდამ თვალწინ უნდა გვქონდეს, როდესაც ვადასებთ „ქართლის ცხოვრების" ნუსხებს: XVIII ს. ნუსხებში ხშირია ისეთი ვარიანტები, რომლებიც მარიამისეულს ნუსხაში არ მოიპოვება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ეს ვარიანტები XVII ს. რედაქტორთა ნახელავია: ისინი მოიპოვება უკვე ანასეულ ნუსხაში" [76, გვ. LXIII].

სამწუხაროდ, ს. ყაუხჩიშვილს „დავითის ცხოვრებიდან" შედარების არცერთი მაგალითი არ აქვს მოყვანილი. ამავე დროს დასაშვებია შესაძლებლობა, რომ ცალკეული თხზულებები ვახტანგის მიერ სხვადასხვაგვარად ყოფილიყო რედაქტირებული, ამ გარემოების განმსაზღვრელი ფაქტორები შეიძლებოდა ყოფილიყო (და იყო კიდევაც) არა მარტო ახალი წყაროების ქონება თუ უქონლობა; „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი ცალკეული თხზულებებისათვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ზოგიერთი სხვა მომენტიც (ცალკეული ნაწილების გადამუშავებისა თუ შევსების აუცილებლობის შეგრძნება იდეოლოგიური მოსაზრებების გამო და სხვა).

RDT ნუსხებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტექსტის რედაქციისათვის მართლაც გამოყენებულია M და A (ან მათი ტიპის სხვა ნუსხები). ვახტანგის ხელში გავლილ ნუსხათა იკითხვისები ყოველთვის გადმოღებულია რომელიმე ძველი ნუსხიდან, ოღონდ, RDT მთლიანად არცერთ მათგანს არ მიჰყვება: ვახტანგს მის ხელთ მყოფი სხვადასხვა ხელნაწერიდან შეურჩევია მისი თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტები.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ თხზულების ბოლო A-ში შემოკლებულია (გვ. 137). ასევეა იგი „გამოკრეჭილი" (უმნიშვნელო ვარიანტებით) RTD-ში. დიდგორის ბრძოლის ეპიზოდშიც RTD-ში განმეორებულია თხრობის ის არასწორი თანმიმდევრობა, რომელიც A-შია (ნ. ზემოთ, გვ. 98) უკვე ეს ორი მაგალითი ამტკიცებს, რომ ანასეული ნუსხა (ან მისი ტიპის სხვა ხელნაწერი) გამოყენებული იყო ვახტანგის მიერ.

რუის-ურბნისის კრების აღწერილობაშიც (ნ. ზემოთ, გვ. 135). ‹DT A-ს მისდევს: უღირსად გამოჩინებულნი განქუეთნეს და შეაჩუენნეს და (ARDT, — CMQm) გარდამოსთხინეს საყდართაგან (+ და შეაჩუენნეს D) დაღათუ ძნელოა [illegible] CMQm) იყო ესე (+ ნათესავთა მათთა ძლიერებითა CMQm), რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი (+ ა̃დ არა მიჰრიდეს წარჩინებულებასა მათსა და შეჩუენებით განაძეს D), რომელთა უწესოდ დაეპყრა საყდრები (ARDT, — CMQm) და მათ წილ ჭეშმარიტნი და სათნონი ღმრთისანი (ARDT — CMQm) მწყემსნი დაადგინნეს 25.

RT (D-ს აქ ფურცლები აკლია) იმეორებს სიტყვებს, რომლებიც A-ში არის, CMQm-ში კი გამოტოვებულია: და ვითა ლომი შეუზახებდა (-ძახ. RT) ჴმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მი-და-მოიქცეოდა 28.

ასეთივე მაგალითია: უკუეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვალად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა, აღიდნეს, რაჲ უსამართლო (ARDT, — MQm, C ნაკლულია) ქმნეს 95. და თუ სადა (სადათ A) პოვა სამეფო თჳსი სიმდაბლედ შთასრული და თუ ადა სიმაღლედ აღიყვანა 67. ამ მაგალითში MQm-ში აშკარა შეცდომაა, რადგან შთასრული — სიმაღლედ სიტყვების გამოტოვება აზრსაც არღვევს და ავტორის სტილისათვის დამახასიათებელ შეპირისპირებასაც სპობს. სიტყვები, რომლებიც არ არის MQm-ში, RDT-ში მისდევს A-ს იკითხვისს. A-ს მისდევს იკითხვისი: ღმერთმან გულთმეცნიერმან (—CM Qm), მაგრამ მომდევნო სიტყვა CMQm-ს: უძლმან მცველმან ისრაელისამან 26.

სხვა შემთხვევაში RDT-ში არ არის სიტყვები, რომლებიც A-შია გამოტოვებული: ვინ ჯეროვნად წარმოთქუნეს (ARDT, წარმოაჩინნეს/—ნნა CMQm) პატივის პყრობანი მონაზონთანი, სიმდაბლით შემთხუევანი და მოკითხვანი (CMQm, — ARDT) 84.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, როდესაც ვახტანგისეული ნუსხები იმეორებენ A-ს (ზოგჯერ CA-ს) იკითხვისებს:

ARDT	CMQm
შეუამდგომლად მიმცემი	შეუა-შემომღებელი C, შეუა-შემოღებული MQm 20;
უშიშად გულდებითა მსხდომარეთა	სასოებით მსხდომარეთა 39;
მოუწერა წიგნი და ჰრქუა (მოჰრქუა RT)...	ეყუედრა წიგნითა
ბრძანებასავე მისსა თანა	უმყის სიტყჳსა MQm, C ნაკლ. 58;

მსწრაფლ შევიდა ARDT, შევიდა C	შეივლტოდა 59;
მწიგნობარნი	მეწიგნენი 62;
შეუძლოს თხრობად	მსახუროს თხრობითა ([illegible]თა C) 78;
განმარისხებელი	საძულელი C, საძულველნი Q, სძლენი (!) Mm 79;
საფლავი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი	ს. მეუფისა 80;
მღელვარისა ზღუისაგან	ზღვსა მრავალმღელვარობისაგან 98.

გვაქვს საწინააღმდეგო მაგალითებიც: ვახტანგს უპირატესობა მიუცია იმ ვარიანტთათვის, რომლებიც A-საგან განსხვავებულია (და ახლოა CMQm-თან). მათგან აღსანიშნავია იკითხვისები RDT-ში, რომლებიც სულ არ არის A-ში: და იქმნა გლოვაჲ ფრიადი შორის მათსა CMQm RDT, — A 53; აიყარა ველთაჲთ, ს ა დ ა დ გ ა 59; პირველ ყოფილნი მეფენი, მ ს ა ჯ უ ლ ნ ი 77; განაღა სადამე ლაშქრობასა 42; A-ში გამოტოვებულია სიტყვები: და ყივჩაყნი ოდენ ალთუალულ იყვნეს მაშინ და იპოვა შემბმელი კაცი ორმეოცდაათი ათასი. და ეუწყა რა სულტანსა 58. RDT-ში კი ეს იკითხვისი არის. საკმაოდ ბევრი იკითხვისი RDT-ში CMQm-ისას იმეორებს:

A	CMQmRDT
სამშუილდეს	სამშვილდის ბარსა 1;
მკჳდრთა ქუეყანისათა	მ. ქართლისათა 7;
სახარებითა	სახიერებითა 10;
უფლისათა	უფლისა ბრძანებათასა 13;
აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა	ა. მეუფისასა 14;
სჯულთა საღმრთოთა	ს. ღმრთისათა პყრობისა 24;
განემზადოს	განეკრძალოს 24;
მთავართაგანი	მრავალთაგანი RT, D ნაკლულია 28;
ბრძანა მეფემან წარსვლა	იძულა C (აიძულა MQmRT, D ნაკლ) მეფე წარსლვად 45.

RDT-ში ზოგიერთი მცდარი ფორმა, რომელიც A-შია, გასწორებულია: სასანთლენი და კ ი დ ე ლ ნ ი A, შდრ. სწორი ს ა კ ი დ ე ლ ნ ი RDT, CMQm 31; ესეოდენ შ ე ი ყ უ ა რ ნ ა (=CMQm) და შეითვსნა, შდრ.: შ ე ი პ ყ რ ნ ა A 69; ქუხეთის აოხრება A-ში შეცდომითაა გადმოცემული: რომელი მ ო უ ჯ დ ა მუნ დღენდელად. RDT-ში ეს სიტყვა გასწორებულია: მ ო ო ჯ რ დ ა (=CMQm), თუმცა შემდეგი მცდარი იკითხვისი A-სი RDT-ში დატოვებულია: მუნ დღეინდელად, შდრ. დღენდელად (მოდღენდელად C); ამას RDT-ში, კვლავ M-ს მიხედვით, მოსდევს: დღედმდე 11.

A-ში დამახინჯებულია თხრობა ბრძოლაში დაღვრილი სისხლის შესახებ: დაითხია დამტკნარებული სისხლი და რამეთუ ჩუენთუის მისგან გამოდენასა ვაყენებდით. ეს ადგილი RT-ში (D-ს ფურცლები აკლია) A-ს არ მისდევს: დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თვთ მისგან ვგონებდით გამოსრულად CMQmRT 28.

ვახტანგის მიერ A და M ტიპის ნუსხათა გამოყენება კარგად ჩანს, თუ დავუკვირდებით ტექსტის მოზრდილ მონაკვეთებს, სადაც იკითხვისები ხან ერთი ტიპისაა, ხან კი მეორისა:

შემოიკრიბა გონება კ ე თ ი ლ ა დ დ ა გ ო ნ ი ე რ ა დ გ ა მ გ ო ნ ე, ვ ი თ ა რ ც ა დ ა ვ ი თ ს უ ლ ი ს ა მ ი ე რ წ მ ი დ ი ს ა (ART, D-ს ფურცლები აკლია, — CMQm) ა ღ ი ღ ო მ ა ღ ლ ა დ თ ა ვ ი თ ჳ ს ი (CMQmRT, — A) 43.

ზემოთ (ნ. გვ 87) ნაჩვენები იყო CMQm და A-ს ტექსტის სხვაობა იმ მონაკვეთში, სადაც ალსართანია დახასიათებული. ამ მონაკვეთის დასაწყისში RDT მისდევს A-ს: რომელსა (და რომელსა RT) არა რა (რაჲ D) ქონდეს (ჰქონდა D) ნიშანი მეფობისანი (— ისა RDT) არამედ იყო... უსჯულო და ყოვლად (და ყ´ლ — RDT) უმეცრად უსამართლო ARDT. მაგრამ მომდევნო ნაწილი ამ დახასიათებისა A-ში აღარ არის, RDT კი, CMQm-ის მსგავსად, გვაძლევს მას: და ყოვლად წინაუკმო მამის ძმისა მისისა 23.

მტრის სისხლით ტანისამოსშეღებილი მეფის შესახებ ნათქვამია: წიაღნი აღსავსედ ეტჳრთნეს CMQm, წელნი აღსავსედ ესხნეს A; შდრ.: წელნი აღსავსედ ეტჳრთნეს RT, D ნაკლულია 28.

ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ ვახტანგი აწარმოებდა ისტორიკოსის თხზულების ტექსტის რედაქტირებას მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ტიპის ნუსხების მიხედვით.

ვახტანგის დამუშავებულ ტექსტში შეცდომებიც არის. მის მიერ შერჩეული ვარიანტები ყოველთვის გამართლებული არაა: არა ხუთთა ქანქართა ათ-მყოფელსა მისცნა ხუთნი ქ ა ლ ა ქ ნ ი 95. გამეორებულია A-ს მცდარი იკითხვისი, შდრ. ქანქარნი M (და CQm). ასეთივე

მაგალითებია: სათნოებათა მ ი ე რ მიხედვად ARDT, შდრ. სწორი მ ი მ ა რ თ CMQm 67; ოდეს ყურნი დაშურიან, ს მ ე ნ ი ლ ნ ი ანაც-ვალნის ARDT, შდრ. სასმენელნი CMQm 69; მრავალნი განპატიჟე-ბულცა იყვნეს და მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ARDT შდრ. მხილებულ CMQm 86; ტფილისი იყო ოდეს არა ე რ თ ჯ ე რ... შ ე მ ო ყ ვ ა ნ ე ბ უ ლ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა ARDT, შდრ... ჯერეთ... შემოყენებულ CMQm 72; ყოველთა ჟამთა წმიდითა პირითა და განსწავლულითა გო-ნებითა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა 79. RDT-ში ისევე, რო-გორც A-ში, გამოტოვებულია ზმნა: მ ი ი ღ ე ბ დ ა (არის CMQm-ში); თუთ ს ა ხ ე ლ ი თ ა უ ფ ლ ი ს ა თ ა და მღდელთაგან გამოვიდოდა... უსჯულოება ART (D-ში წ-ბა გამოტოვებულია), შდრ.: სახლით უფლი-სათ CMQm 24; დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული მ ა რ ა დ ღ ე გარდამონასახი ARDT. მ ა რ ა დ ღ ე (ასევეა გამოცემაში) მცდარი იკითხვისია, შდრ. ძე CMQm; აქვე, დემეტრეს დახასიათებისას, ARDT-ში გამოტოვებულია ძ ი რ თ ა: შდრ. ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა CMQm; დემეტრეს დახასიათების ბოლოც A-ს მიხედვით არის გამართული: დაადგა თავსა გჳრგჳნი შუენიერი ARDT, შდრ. თავსა შუენიერსა გჳრგჳნი 102. პირველ მეფეთა ყოფილთა ARDT, შდრ. პირ-ველ ყოფილთა მეფეთა CMQm 75.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონდა ჩვენთვის ნაცნობი ნუსხები ან მათი მსგავსი. სხვა წყარო მის მიერ დამუშავე-ბული „დავითის ცხოვრებისათვის“ საგულვებელი არ არის.

ვახტანგის მუშაობა რედაქტორული ხასიათისაა. ვახტანგს რო-გორც სხვა წყაროებიდან არაფერი შეუტანია, არც თავისი ჩაუმატე-ბია რაიმე — გარდა იმისა, რაც უკვე ცნობილია (სათაურები და სხვ.)

შეიძლება თუ არა RDT ნუსხებში დაცული ტექსტი ცალკე დამოუკიდებელ რედაქციად ვცნოთ? იგი „ვახტანგის რედაქცია“ იმ-დენად არის, რამდენადაც ტექსტი მისი თუ მისი „სწავლულ კაცთა“ კომისიის დამუშავებულია; მაგრამ იგი არ არის ახალი, დამოუკიდე-ბელი რედაქცია თხზულებისა; ეს არის ვახტანგის მიერ შეძლებისა-მებრ დადგენილი კრიტიკული ტექსტი. ასეთივე დასკვნა ადრევე გა-აკეთა ა. შანიძემ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ [27, გვ. 83].

ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ყველა ძველ ნუსხაში „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ მხოლოდ ერთი რედაქციითაა წარმოდგე-ნილი. ვახტანგს ხელთ ჰქონდა ესენი ან მსგავსი ნუსხები. ამდენად მისი ცდა სხვადასხვა ნუსხათა მიხედვით ისტორიკოსის თხზულების პირველადი ტექსტის დადგენისა პრინციპულად სწორია. ვახტანგის მუშაობა ამ თხზულების ფარგლებში გულისხმობდა უმთავრესად ნუს-ხებიდან ისეთი ვარიანტების შერჩევას, რომელსაც ნაწარმოები ნა-

თელი და გასაგები უნდა გაეხადა. მართალია, მან ვერ შეძლო ტექსტის საბოლოოდ გამართვა, მაგრამ არც შეიძლება მის ნამუშევარს თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნები წავუყენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შესავალშივე იყო აღნიშნული, რომ წინამდებარე ნარკვევი სრული არ არის და კვლევის თანამედროვე სტადიაზე ყოვლისმომცველი არც შეიძლება იყოს. სწორედ ნაწარმოებზე ჩატარებულმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ტექსტის დასადგენად [illegible] აჭიროა კიდევ უფრო ღრმად შევისწავლოთ ის ნაწარმოები, რომლის მეტნაკლებად პირობითი სათაურია „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“. ამ სტრიქონთა დამწერის მიერ შემოთავაზებული შესწორებანი, ცალკეული იკითხვისები, ხელნაწერებში არსებულ ვარიანტთაგან შერჩეული თუ კონიექტურული, რომლებიც ავტორს უცილობლად ეჩვენება, შესაძლოა ყველამ ასევე უეჭველად არ მიიჩნიოს; მაგრამ აქ ისევ შეიძლება „ვეფხისტყაოსანთან“ გავატაროთ ანალოგია: ტექსტის დადგენის საკითხები დღესაც წარმოადგენს რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემას და სპეციალისტთა შეხედულებები ნაწარმოების ამა თუ იმ ადგილის შესახებ ზოგჯერ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგოა... ისიც უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად დავითის ისტორიკოსის თხზულების მცირე მოცულობისა, ტექსტის დადგენისას მკვლევარი შეიძლება არანაკლებ სიძნელეებს გადააწყდეს, რადგან რუსთველის პოემაში მეტრისა და რითმის მოთხოვნები ერთგვარად ზღუდავდა გადამწერრედაქტორთა თუ ინტერპოლატორთა საქმიანობის არეს, თხრობითი ხასიათის ნაწარმოებებში კი მსგავსი ბარიერები ნაკლებად მოქმედებდა. ჩვენი უმთავრესი მიზანი წინამდებარე გამოკვლევაში იყო: გამოგვეკვეთა იმ ძირითად პრობლემათა კონტურები, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ცალკეული ნაწარმოების ტექსტუალურ კვლევასთან არის დაკავშირებული. შევეცადეთ შეგვესწავლა თხზულების ენა, გამოგვევლინებინა მასში ის ნიშნები, რომლითაც იგი XI—XII სს. სამწერლობო ენის ჩარჩოებში თავსდება, და ამასთან ერთად გვეჩვენებინა ნაწარმოების ავტორის წერის ინდივიდუალური მანერის მაჩვენებელი თავისებურებანიც, ტექსტის გასამართავად შევეცადეთ შეძლებისდაგვარად აგრეთვე გაგვერკვია ავტორის პოეტიკის სტრუქტურული საფუძვლები, სტილის თავისებურებანი, შეპირობებული მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციით, დაგვედგინა ზოგიერთი კულტურული და ისტორიული რეალია. ამგვარი ძიების შედეგად მიღებული მონაცემები, ვფიქრობთ, მნიშვნელობას არ არის მოკლებული თხზულების ავტორობის საკით-

ხის კვლევისას. წინამდებარე ნაშრომში ეს საკითხი საგანგებოდ არ არის განხილული სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო ამგვარი კვლევის დასაწყის აუცილებელ ეტაპად მიგვაჩნია. წინასწარი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: თხზულების ენა, ავტორის მცდელობა კლასიკური ძველი ქართულის მორფოლოგიური ნორმების დაცვისა, მწიგნობრული ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები, ნაწარმოებში გამოვლინებული განსწავლულობა, ბიბლიურ მხატვრულ სახეთა, ალუზიათა და რემინისცენციათა დიდი რაოდენობა (მათი რიცხვი ამ არცთუ დიდი მოცულობის თხზულებაში ასამდე აღწევს), სასულიერო მწერლობის ზედმიწევნით ცოდნაზე დაფუძნებული მხატვრული ტროპები და ლიტერატურული პარალელები დამატებით მასალას გვაძლევს იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, რომ „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი" დაწერილია მწიგნობრის — სასულიერო პირის მიერ.

„ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი ცალკეული თხზულების ანალიზს, თუ იგი სწორად იქნება წარმართული, თავისთავად აქვს მნიშვნელობა. გარდა ამისა, ზოგი რამ მთლიანი კრებულის შესასწავლადაც შეიძლება საგულისხმო იყოს. ირკვევა, რომ შესაძლებელია დავუშვათ რედაქციულ მიმართებათა სხვადასხვაგვარობა „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ნაწილებში: დავითის ისტორიკოსის თხზულება დღეს არსებულ „ძველი ჯგუფის" ყველა ნუსხაში რედაქციულად ერთი ტიპისაა — ამ კრებულში შემავალ სხვა თხზულებათათვის კი არქეტიპთან სხვადასხვა მიმართებაში მყოფ ნუსხებში არც რედაქციული ცვლილებაა მოულოდნელი. ამასვე მოწმობს სხვაობანი ნუსხათა შედგენილობაში. იგივე უნდა ითქვას „ვახტანგისეულ რედაქციაზე"; აშკარად ჩანს, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებისათვის ვახტანგს არ ჰქონია არავითარი სხვა სრული წყარო, გარდა ჩვენთვის ცნობილი (ან მათი ტიპის) ნუსხებისა. „ვახტანგისეული რედაქცია" დავითის ისტორიკოსის თხზულებისათვის პირობითი ტერმინია; ვახტანგს უცდია „დავითის ცხოვრების" ტექსტის კრიტიკული დადგენა; ამავე დროს ცნობილია, რომ ზოგიერთმა ნაწარმოებმა ვახტანგის ნარედაქციევ „ქართლის ცხოვრებაში" განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, შეპირობებული იდეოლოგიური მოსაზრებით თუ ტექსტში დამატებითი ცნობების შეტანის საჭიროებით. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრების სისწორეს „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ნაწილთა საგანგებო ტექსტოლოგიური შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ⴒⴄⴕⴑⴒⴈ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტისათვის

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტექსტი იბეჭდება რვა ხელნაწერის მიხედვით. T-ს გარდა ყველა დაცულია საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

დათქმული ნიშნები ხელნაწერთათვის:

C: Q — 207 („ჭალაშვილისეული“)
c: C-ს ახალი ნაწილი (ჭალაშვილის ხელით ნაწერი)
A: Q — 795 („ანასეული“)
M: S — 30 („მარიამისეული“)
Q: Q — 1219
m: H — 2135 („მაჩაბლისეული“)
R: H — 2080 („რუმიანცევისეული“)
D: S — 4730 („ჯანაშვილისეული“)
T: აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყ. ხელნაწერი M — 24 („თეიმურაზისეული“).

ტექსტში ნაჩვენებია ხელნაწერთა თანამედროვე ფურცლობრივი სათვალავი გარდა Am-ისა, რომელთაც გვერდობრივი სათვალავი აქვთ.

თხზულების ტექსტი პარაგრაფებად დაყოფილია ჩვენ მიერ (გამოკვლევაში ტექსტი ამ დაყოფის მიხედვით არის დამოწმებული).

ვარიანტებში შერჩევით, მაგრამ მაინც საკმაო სისრულით არის ნაჩვენები გამოცემისათვის გამოყენებულ ნუსხათა იკითხვისები (მათ შორის დამახინჯებანი და უაზრო დაწერილობები), რომლებიც საჭიროა ტექსტის დასადგენად. ამავე მიზნით ვარიანტებში, შინაარსობრივ სხვაობათა გარდა, ჩატანილია ენობრივ ცვლილებათა ამსახველი ზოგი მნიშვნელოვანი იკითხვისიც. სხვაობანი, რომლებიც მხოლოდ ორთოგრაფიული ხასიათისაა, კრიტიკული აპარატის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული არ არის. ჩვენ მიერ აღდგენილი ფორმები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. გამონაკლისია სიტყვები, რომლებიც XI-XII ს. ძეგლებში ჩვეულებრივ დაქარაგმებულად იწერება (რ ა ჲ თ ა, ვ ი ნ ა ჲ თ გ ა ნ, ს ა დ ა ჲ თ და სხვა). ამ სიტყვებში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები გატარებულია საგანგებო აღნიშვნის გარეშე.

ვარიანტებში მოყვანილია აგრეთვე მ. ბროსესა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემებში დადასტურებული, ჩვენი გამოცემისაგან განსხვავებული საყურადღებო იკითხვისები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი[1*]

D 108 Q 92 1. ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშჳლდეს და წარიღო; და იოვანე ძე ლიპარიტისი ტყუე-ყო, მოაოჴრა სომხითი და წარვიდა. | T 162 მასვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტნისა[ჲ]თა, ჩამოდგა სამშჳლდის ბარს; მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი, და შეიბნეს ფარცხისს; სძლეს სპათა გიორგისთა და იოტნეს სპარსნი; და დიდი ძლევა[ჲ] მოსცა ღმერთმან.

A 339 2. წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს და მოვიდა ბანას; მუნ მოვიდა წი|ნაშე მათსა ზორავარი აღმოსავალისა[ჲ] გრიგოლ

ს ა თ.: ცხორებაჲ მეფეთ-მეფისაჲ Q; ცხორება მეფეთ-მეფისა M; ცხოვრება მეფეთ-მეფისა გიორგისა m; უ ს ა თ ა უ რ ო ა Ac; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი გიორგის ძისა (ძის T) რომელი იყო სამეოცდამეათვრამეტე (-მეტი D, სამოცდაათვრამეტე T) შვილიშვილთაგანი (შვილისშვ. D) დავით წინასწარმეტყუელისა რომელსა ეწოდა (უწოდეს შემდგომად D) დავით აღმაშენებელი. ესე (ხოლო ესე დავით D) იყო მეფე ქართლისა და აფხაზეთისა (~ქართლისა და აფხაზეთისა მეფე D) მეორმეოცდაექუსე (მეორმეოცდაათხუთმეტე D) RDT.

2 ამისსა AMQmc. მალიქაშ Mm, მალიქაბ Q, მალიქ-შაჲ ქც^{1}. ~მალიქშა სულტანი D. 2—3 სამშჳილდეს A/ს-სა სხვ., ქც^{1,2}. 3 და]—c. წაიღო MQmcRT. წ.]+სამშვილდე D. და]—A. ი˜ვნე Q, ივანე MmcRD ქც^{2}, ი˜ე T, იოანე ქც^{1}. ლიპარიტისა RD. ყო]+და MQmRDT ქც^{1}. მოაოხრა D, მოჰოჴარა c. 4 წავიდა c. წარვიდა]+ხოლო ARDT ქც^{1,2}. ამასვე ქც^{1}. სარანგნი m. 4—5 სულ˜ტნისათა Q, სულტნისათა MmcRD, სულტნის˜თა T, სულტანისათა A ქც^{1,2}. 5 ჩამოდგა] ჩამოვიდა ქც^{1}. სამშვლდის ბარს] სამშჳილდეს A. ბარსა Mm. ბ.]+და ARDT ქც^{1,2}. ლაშქარი D. 6 და]—Ac. შეიბნეს]—Q, შეიბეს c. ფარცხის AcRDT ქც^{1}, ფარცხსს M, ფ-ს(ა) Qm. სძლიეს MmcRDT ქც^{2}. სპათა გიორგისთა]—MQmc. აოტნეს A, იოტეს c. 7 სპარსნი]—MQmc. და] რამეთუ A ქც^{1,2}, და რამეთუ RDT. და დიდი ძლევაჲ მოსცა ღმერთმან]—c. ღმერთმან]+გიორგის ARDT ქც^{1,2}, გ. მეფესა D+და A ქც^{2}. 8 წავიდა c. წ.]+მენით D. მეფე]—Q. ~გიორგი მეფე A. და]—AcQ. მივიდა AcD. ბანას (ბანს D)]+ხოლო ARDT ქც^{1,2}, და c. 9 მივიდა c. ზორვარი ARDT ქც^{1,2}, ზოძავარი M, ზოძვარი m. აღმოსავალისა A, აღმოსავლისა MQmcRD, აღმოსა˜ვლისა T.

1* A-ში, რომელიც უსათაუროა, ტექსტის დასაწყისი ხუთი სიტყვა წითელი მელნით სწერია; c-ში სათაურის სანაცვლოდ სწერია: აქა დიდი და ღ˜თივ განბრძნობილი დავით დაიბადა მსგავსი ალექსანდრესი და ვახტანგისებრივე სუიანი და გამარჯვებული; M-ში სათაურს მოსდევს ანდერძი: ღ˜თო და საშინელო სვეტო ცხოველო დაიცევ და წარმართე ორსავე ცხოვრებასა დედოფალი მარიამ; D-ში სათაურის გასწვრივ აშიაზე ტექსტის ხელით: ბ˜ დავით; უფრო ქვემოთ აშიაზე სხვა ხელით: დავით აღმაშენებელი მეფეთ იქმნა ქ˜ტს აქეთ წელსა ჩ.პ.თ.

ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუ-ქალაქი[1*] და
კარი, და დიდად იამხანაგ[ეს] და განისუენეს. და მოსცა გიორგი
მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანაჲ, ხოლო
მეფემან დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა.

3. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყა-
M 261 ნანი მათნი|, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს და
c 216 |წარვიდეს, რომელნიცა აიხუნეს თურქთა და და|ემკჳდრნეს მას შინა,
და ვინაჲთგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლ-
და შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა: რამეთუ იწყეს მიერითგან
რბევად, ტყუენვად და მოოჴრებად, წუვად, სრვად და ტყუეობად
ქრისტეანეთა.

4. რამეთუ მათ ჟამთა გიორგი მეფესა, ყუელს გარე-მდგომსა,
დაესხნეს უგრძნულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად,
m 329 ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი[1], რომელსა მას ოდენ|ჟამსა აღე-
ლო კარი. მოვიდეს ესენი შინა-განცემითა ქრისტეანეთა[ჲ]თა, აოტეს
გიორგი მეფე და სპაჲ მისი ურიცხჳ.

A 340 5. |ხოლო საჴურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა
C 217 ტაბლათანი, ოქრო[ჲ]სა და ვეცხლ|ისანი[2], [კარას]ეულნი, სასუმურნი

1 და]—D. კარნო MQm. ქალაქნი c. 2 და]—ACM. დიდად იამხანაგნეს c, დიადია ამხანაგი MQm. დიდათ R, დიადათ T. იამხანაგეს] გაიხარეს A, განიხარეს D ქც[1,2], განიხარნეს RT. 3 კარი Ac. ციხე-ქალაქი] ციხე ქართლი Mm, ციხე და ქალაქი c. მის Mm. ქ~ყნა Q/ქუეყანა ს ხ ვ. ქ.]+და განიყარნეს ARDT ქც[1,2]. ხოლო]—m. 4 მეფემან]+გიორგი A ქც[2], გიორგიმ RDT ქც[1]. კარსა MQmc ქც[1]. წამოვიდა MQm. 5 დაუტევეს D. 6 მათნი]—Ac. ქალაქნი]+და MQm, მათნი Ac. და რომელ და Q. აღმოსავლით c. ქონდეს A. და]—Mm. 7 რომელნიცა... მას შინა] და თურქთა რომელნიცა აიხუნეს მუნ შინა დაემკჳდრნეს D. და]—A. 8 და]—AMm, ხოლო D. ვინაიდგან D. მოიახლნეს Mm. 9 მათგან] მათი MQmcRDT ქც[2]. მიერიდგან D. ~ მიერითგან იწყეს ქც[1]. 10 დატყუენვად A. და]—A. ოჴრებად c. დაწვად A, წვად MmRD, წუად T. წ.]+და] A. სვრად mc. და ტყუეობად]—A. და]—Q. ტყუენად Mm, ტყვეობად T. ტყუეობად]+ჩუენ D ქც[2]. 11 ქრისტიანეთა AMmcRD ქც[1,2], ქ~ნთა Q. 12 ჟამთა] + შინა A ქც[2]. გიორგის A. გარე-დგომასა MQm. 12—13 ~ დაესხნეს ყველს გარე-მდგომსა A. 13 ~ თურქნი დიდნი უგრძნეულ~დ Q. უგრძნეულად Mm ქც[2], უგრძნაულად A, უგრძნეულოდ cRDT ქც[1]. რომლისა D. აჰმად] ამად AMQm. 14 ამირა] ჰმირა MQ, ჰამირა m, ამირ c. მაგრად AQRქც[1], მაგრა M, მაგარა m, მ~გრდ T. მოისარი]—Mm, მოისრა Q. მას]—A. ~ ჟამსა ოდენ Ac. 14—15 აელო AcmD ქც[2]. 15 შინა-გაცემითა MQmD. შინა, განცემითა ქც[1]. ქრისტიანეთათა AMmcRD, ქნთ~ათა Q. 16 სპაჲ QD/სპა ს ხ ვ. ურიცხვნი c. 17 და]—ქც[1]. სამსხურებელნი Qc. 17—18 სამეფოთა ტაბლათანი ოქროჲსა და ვეცხლისანი, კარასეულნი]—Q. 18 ვერცხლისა c, ვერცხლისანი m. კარასეულნი] ბაგრატეულნი CARDT ქც[1,2], გარატეულნი M, გარტეულნი m. კარას.]+და CMQmRDT ქც[1]. სს~მურნი Q, სასმურნი ARDT, სიასამურნი Mm.

1* ამ სიტყვის გასწვრივ D-ში აშიაზე: კარნუ აზრუმია. 2* ჭალაშვილისეულ ნუსხაში 216v დაუწერელია. ძველი ნაწილი იწყება 217r-ზე: | ... ისანი ბაგრატეულნი.

1 ფსალმ. 77,9 (ძველ, წინარეათონურ რედაქციებში).

და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი, — სამეფონი და ყოველთა დიდე-
ბულთანი, — აიხუნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გიორგი მეფე
A 350₁ წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშქართა, |ესევითა-
D 109 რითა ალაფითა სავსეთა მიმავ|ალთა, წინა დაემთხჳვნეს ამირანი
დიდნი, ის[ა ბარ]ი და ბუ-[იაყ]უბ და მათ თანა სიმრავლე ურიცხჳ
თურქთა[ჲ] — საბერძნეთს მიმავალნი, რომელთა, იხილეს რაჲ ესე-
R 219 ოდენი სიმრავლე ოქრო[ჲ]სა და სიმდიდრისაჲ, რომელი|აქუნდა, და
ცნეს მეოტობაჲ გიორგისი, და ესმაცა მათგან, ვითარმედ: „რად
წარხუალთ საბერძნეთს? აჰა ქუეყანაჲ საქართველო[ჲ], უკაცური და
სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“, და მათ მყის მოაქცივნეს გზანი
მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი.

6. და დღესა ივანობისასა ასისფორი და კლარჯეთი ზღჳს პირამდის, შავშეთი, აჭარაჲ, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო[ჲ] და ჭყონდიდი აღივსო თურქითა; მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი. და მასვე [და] ერთსა დღესა დაწუნეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თ|ურქთა ვიდრე მოს[ლვ]ადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანაჲ და მოსწყჳდეს, თუ სადამე ვინ დაშთომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა. |და ესე იყო პირველი დიდი

---

1 და]—MQmRDT ქც[1]. სამწდეონნი MQmRDT, საწმედონნი A. კარავნი]+პატიოსანნი C. სამეფოთა RDT ქც[1]. და]—MQmRT ქც[1]. 1—2 დიდებულთანი] დიდებულთა A, დიდებულთა საჭურჭლენი C. 2 და]—Mm. 3 მეოტი] —C. აფხაზეთად]+ხოლო D. 5 ისა ბარი] ისი ვინმე CAMQmRT ქც[1,2], ვინმე ისი D. ბუ-იაყუბ] ბუყლობ RDT ქც[1], ბუყლოშ MQm, ბუყლუშ A ქც[2], ბუყლუყ C. და]—A. 6 საბერძნეთ Q. მიმავალთა A ქც[1,2]. რომელთა] და ვითარცა D. რაჲ QRDT, რა CAMm. 6—7 ესოდენი C. ესენი და ესეოდენი D. 7 სიმრავლე] სიმდიდრე D. ოქროჲსა] ქორსა A. ოქრ.]+და ვეცხლისა და სხუათა მრავალთა სიმდიდრისა იარაღთანი D. სიმდიდრისაჲ Q / ს-სა ს ხ ვ. აქუნდა] ჰქონდა C ქც[2], ქონდა A. აქუნდა]+მათ D. 8 სცნესცა მათ D. მეოტობაჲ Q / მეოტება AMm, მ-ობა CRDT ქც[1,2]. გიორგისი]გ-ი მეფისაჲ D. ესმაცა] ესმა A, უთხრეს C. მათგან] მათ C. მათგან]+სიტყუაჲ ესე D ქც[1]. 9 წარხუალ A. საბერძნეთად A ქც[1]. ქუ͠ნჲ Q / ქ-ნა ს ხ ვ. და]—C. 10 სიმდიდრითა] ალაფითა C. და] ხოლო A ქც[2]. ~მყის მოაქციეს მათ C. 11 მოეფინნეს] მოეხუივნეს A. 12 და]—A. ივანობასა CMQmD ქც[1], იოვანობასა T. ასისფორნი ATქც[1,2], კარნისფორნი R, კარნიფორნი D. და]—MQmRDTქც[1]. კალარჯეთი m. 12—13 პირამდინ CA. 13 პ.]+ტყუე იქმნა C. აჭარაჲ Q / აჭარა ს ხ ვ. არგუეთი] არაგვეთ Mm. და]—Mm. 14 და]—MQm. 15 მკჳდრი] მკუდარი m. და]—MQmRTქც[1]. ერთსა]—CMQm. დაწუნეს C/ ჲაწუეს ს ხ ვ. ქც[1]. და[3]]—CA. 16 კალარჯეთისანი m. და[2]]—A. 17 ვიდრე]—C. მოსულადმდე AM, მოსულამდე CQ, მოსვლადმდე m ქც[1], მოსვლამდე RDT. 17—18 ქ͠ყნჲ Q / ქ-ნა ს ხ ვ. 18 მოსწყუიტეს Mm. თულა C. სად C, სადმე m, სადალა A ქც[2]. დარჩომელ Mm, დარჩომილ AMQRDT ქც[1,2]. იყუნეს Mm. 19 და[2]]—CA. პ͠ლ Q, პირველ M, პ-ლი CARDT+და CAQRT ქც[1].

A 351$_1$ თურქობაჲ (ქრონიკონი იყო ტ˜[1*]). | ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ
m 330 სიმაგრეთა სადაღა ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა |სიფიცხლითა,
T 163 უსახლობ|ითა და შიმშილითა ეგეცა მოისრა.
Q 93 7. და განგრძ[ნ]ა| ესევითარი ჭირი ქრისტეანეთა ზედა; რამეთუ
არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე ბირველთა
საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა
შინა თესვაჲ და მკაჲ; მოოჴრდა ქუეყანაჲ და ტყედ გარდაიქცა;
ნაცვალად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი[1] დაემკჳდრნეს მას
შინა; და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა[2], შეუსწორებელი და აღმატ|ებული ოდესმე ყოფილთა [და]
M 262 სმენილთა გარდასრულთა ოჴრებათასა.
8. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნნეს სახლად ჰუნეთა მათთა,
ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი — ადგილად არაწმიდებისა[3] მათისა.
და მღდელნი რომელნიმე თჳთ შეწირვასავე შინა საღმრთო[ჲ]სა
C 218 მსხუერპლისასა მუნვე| მახჳლითა შეწირულ იქმნნეს და სისხლნი
აღრივნეს თჳსნი მეუფისათა თანა; და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიც|ემულ იქმნნეს. მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნნეს,
D 110 ხოლო ქალწულნი — გინებულ, ჭაბუკნი — დაკუეთებულ, ხოლო
A 342$_6$ ჩჩჳლნი —| მიმოდატაცებულ; ცეცხლი უცხო[ჲ] და მბრძოლი, რომ-

---

1 თურქობ˜ჲ Q/თ-ბა ს ხ ვ. თურქობაჲ]+რამეთუ ARDT ქც[1,2]. ქ˜კნი QT, ქორონიკონი CMmR, ქორონ. D ქც[1]. იყო] იჯდა RDT ქც[1]. სამასი (სიტყვით) CA ქც[2], ტ MQmD ქც[1], ტარი RT. ხოლო]—A. 2 სადამე A ქც[2], სადაღა ს ხ ვ. ზამთრითა Mm. სიფიცხითა ARDT ქც[1,2], სიტფითა MQm. 3 ეგეცა] ეგრეცა CAMQmRT, იგინიცა D. ეგრეთვე მოისრნეს D. 4 განგრძელდაჲ Q, განგრძელდა ს ხ ვ. ქც[1,2]. ქ˜ნთა Q, ქრისტიანეთა CAMmRD. 5 არეთა Mm. 6 საქმეთა A ქც[1]. და[1]]—A. წავიდიან CMQm. 7 შინა]—C. თესვაჲ Q / თესვა ს ხ ვ. მკაჲ Q/მკა ს ხ ვ.+და CQRDT. ქუეყანაჲ Q / ქ-ნა ს ხ ვ. გარდაიცა ქც[1]. გარდაიქცა]+და CA. 8 ნაც˜ვლდ Q, ნაცულად AMRDT, ნაცვლად Cm. ველისანი]—RT ქც[1]. მას CA, მათ ს ხ ვ. ქც[1]. 9 და]—MQmRT ქც[1], რამეთუ D. 9—10 ქუეყანისათა] ქართლისათა MQmRDT ქც[1]. 10 შეუსწორებელი] და (—D) შეუსწორებელნი MQmRDT, და შეუსწ-ლი ქც[1]. ოდესვე CA ქც[2]. 11 სმენილთა]+და CMQmRDT ქც[1,2]. გარდამოსრულთა MQm, გარდარეულთა ქც[1]. ოჴრებათა Q, ოჴრებულთა Mm. 12 რამეთუ] ხოლო MQmRDT ქც[1]. შექმნნეს] — Q, შეიქმნნეს C. ონეთა A, ჰონეთა CMQ. მათთა] თუისთა A ქც[2]. 13 ხოლო] რამეთუ C, და D. არაწმინდებისა m. 14 მღრდელნი RDT. რომელნი A, რომელიმე m. თჳთ]—ქც[1]. შეწირვასა CA. საღმთოჲსა Mm. 15 მსხვერპლისავესა m. 16 აღრივნეს] არინეს A, აღირინეს MQ, აღირივნეს m.~თუისნი აღრივნეს C. თჳსნი] მათნი RDT ქც[1]. მეუფისა CMQm, მეუფისა RDT ქც[1]. 16—17 ტყუეობასა]+შინა A. 17 იქმნეს MQmRDT, ქმნნეს C. შეწყალებულ] შეწყნარებულ C. იქმნნეს C / იქმნეს ს ხ ვ. 18 ხოლო[2]] და D. 18—19 ხოლო ჩჩჳლნი]—A. 19 მიმოტაცებულ(ი) AMmD. ცეცხლი] ცოცხალი A. რომელი C.

1* ეს თარიღი აღნიშნულია ყველა ნუსხაში (შესაძლოა იგი ჩანართი იყოს). ნ. ქოდევ ვარიანტებში.

1 ფსალმ. 8,8 და სხვ. 2 ფსალმ. 64,9. 3 იერ. 19,11.

ლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლისანი ნაცვალად
წყლისა ნაკადულთა მრწყველნი ქუეყანისანი· და, რაჲთა თჳთ მათ
იერემია[ჲ]სთა ვიტყოდი, — რამეთუ მან ოდენ კეთილად უწყოდა
ჟამისა ამის ჯეროვანი გოდებაჲ, — ვითარმედ: „ძენი სიონისანი, პა-
m 331 R 220 ტიოსანნი და ბორო|ტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტყუე|ბისა-
თა მოგზაურობენ. ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არა-ყოფისა-
თჳს მათ ზედა მედღესასწაულეთა[ჲ]სა; და ჴელნი დედათა მოწყალე-
თანი არა საზრდელისა შვილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრ-
A 343 დელ თჳსსა ჰყოფენ თჳთ მათ საყუარელთა თჳსთა[1]. |და ესენი ესრეთ
და ფრიადცა უძჳრეს.

9. ამათ საქმეთა ესრეთ რაჲ ხედვიდა მეფე გიორგი, და რამეთუ
არასადაჲთ იყო ღონე ჴსნისა და შეწევნისაჲ, არცა რაჲ დამ|ჴსნელი
ამათ ძჳრთა[ჲ], რომელ მოეცვა პირი ქუეყანისა[ჲ], — რამეთუ ძალი
ბერძენთა[ჲ]ცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი აღმო-
სავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა, — ყო
განზრახვაჲ დიდებულთა თჳსთა თანა, და დაამტკიცეს წარსლვა[ჲ]
მაღლ[ი]სა სულტნ[ი]სა მალიქშას წინაშე; და ესრეთ დადვა სული[2]
თჳსი და სისხლნი ქრისტეანეთა ჴსნისათჳს. და მინდობითა ღმრთისა[ჲ]-

---

1 შენებულნი QmRDT ქც[1]. ყოველი C / ყ-ნი ს ხ ვ. ქც[1]. სისხლთანი CMQmRDT ქც[1,2]. ნაცულად AMQmRDT, ნაცვლად Cm. 2 ნაკადულითა C. მრწყუალნი M, მარწყუალნი m. ქუეყანისა m. 3 იერემიასთა CA, იერემიასათა MmRT, იერე-მიასითა C. ვიტყოდით A ქც[2]; ვიტყოდე MQmRDT ქც[1]. რამეთუ]+თუით C. ამან Tქც[1,2]. ოდენ] ოდესმე A, ოდეს Q. 4 გოდებაჲ Q / გ-ბა ს ხ ვ. სიონისა C. 4—5 პატი-ოსანნი C. 5 ბოროტისა] ბოროტისმოქმედნი A, ბოროტის C. გამოცდილნი MQm. 6 იგლოვენ CRDT. 7 მედღესასწაულეთათა A, მ-თა'სა ს ხ ვ. და ჴელნი]—A. დედათა] დიდთა C. 8 საზრდელითა MQmRDT, საზრდელთა ქც[1]. მიცემად]—C. 8—9 სა-ზრდელსა A. 9~თჳსთა (თჳსითა m) მათ საყუარელთა (საყუარელთასა D) MQmRDT ქც[1,2]. მათ საყუარელთა თჳსთა] მათსა ყოველსა რომელთათჳს A. და]—MQmRT ქც[1]. 9—11 და ესენი ესრეთ და ფრიადცა უძჳრეს. ამათ საქმეთა ესრეთ რაჲ] და ამას ესევითართა საქმეთა ფრიადცა უძჳრეს რაჲ D. 11 ამათ]+რა(ჲ) CAMQmRT. რაჲ]—A. ხედვითა T. 12 არასადაჲთ] არა Q, სადათ ს ხ ვ. ჴსნისაჲ Q/ჴ-სა ს ხ ვ. ~შეწევნისა და ჴსნისა A. შეწევნისაჲ Q / შ-ისა ს ხ ვ. შ.]+და D. რაჲ QRDT, რა CAMm. მჴსნელი A. 13 ძჳრთა CAMmRDT, ძჳრთა საქმეთა Q. რ~ი Qm, რომე-ლი ს ხ ვ. ქც[1]. პირი]+ყოვლისა ARDTქც[1,2]. ქუეყანისა ქუეყანისა M. ძალი] რ~ი Qm, რომელი M. 14 და]—C. ქუეყანანი]+ამათ A, მათ RDT ქც[1,2]. 14—15~ქონ-დეს აღმოსავლეთს A. 15 ზღუის A, ზღუას m. ყოველსა A, ყოველივე D. თურქსა A. დაეპყრა]+მაშინ D ქც[2]. 16 განზრახვაჲ Q / ვ-ვა CAMRDT, განძრახვა m. თჳსთა]—A. და]—A. წარსვლა mRT. 17 მაღალსა სულტანსა ყ ვ. მალიქაშს M, მ-აშს Q. სული] თავი CMQm. 19 სისხლი D. ქრისტიანეთა CMmD, ქ~ნთა Q. ქ-თა ჴსნისათჳს] ქრისტიანეთათჳს A. ხსნისათვის RT.

1 გოდ. იერ. 4,2; 1,4; 4,10. 2 იოანე 10, 11; 10,15 და სხვ.

თა და წარძღუანებითა ძლისა ცხორებისა[ჲ]თა წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მისგან, ვითარცა შვილი საყუარელი[1].

10. რამეთუ იყო კაცი იგი, ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისა[ჲ]თა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტკბოებისა[ჲ]თა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურებანი: მართლმსაჯულებანი,
A 344 მოწყალებანი, ქრისტეანეთა |სიყუარულნი, და, — რაჲთა არა განვაგრძოთ სიტყუაჲ, — ყოვლად უბოროტო[ჲ] რაჲმე გონებაჲ ყოვლით კერძო აქუნდა. ამისთჳსცა ყოველი სათხოველი აღუსრულა
C 219 მეფესა| გიორგის, უმეტესცა სასოებისა; და სამეფო[ჲ] მისი თავი-
m 332 სუფალ-ყო ზედა-მარბიელთაგან; და მოსცა კახეთიცა და |ჰერეთიცა, გარნა ხარაჯა[ჲ] ითხოვა სამეფო[ჲ]სა მისისაჲ, რომელსა აიღებდ[ი]ს
M 263
D 111 ჟამთა მრავალთა. და ესრეთ |დიდ|ებითა დიდითა გამოგზავნა სამეფოდ თჳსად და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რაჲთა წარვლონ გზაჲ
T 164 მშჳდობისა[ჲ] და რაჲთა აა|რთუან კახეთი.

11. და ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთს და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა, ვიდრე ჰბრძოდესღა, მოვიდა თოვლი; ხოლო მეფესა გიორგის მოეჴსენა ნადირობაჲ აჴამეთისა[ჲ], არღარას ზრუნვიდა სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისა და კახეთისასა, არამედ ლაშქართა

---

1 და]—CMQm. ცხ῀რბისა Q, ცხორებისათა CAM, ცხოვრებისათა m, ცხრ῀ბისათა T. ას῀პნს Q, ასფაანს C. 4 რამეთუ] და C, და რამეთუ A. იყოცა A. კაცი იგი] მალიქშა A, კაცი იგი მალიქშა RDTქც[1,2]. 4—5 მპყრობელობისათა CAD, მპყრობელობითა Q, მ-ბლობითა Mm, მპყრობელობისა RT. 5 შეუსწორებელი C, შესწორებულ AMQm. სახითა] სახლითა Mm. 6 სახიერებითა] ს-ით m, სახარებითა A. აღმატებული CRDT. რომლისანი] რომლისაგან Mm. 7 და]—CMm. საცნაურებანი] სახარებანი A. მართლმსაჯულებანი] მ-ობანი A, მრავალმსაჯულებანი CMm. 8 მოწყალებანი]+და D. მ.]—A. ქრისტიანეთა CMmD, ქ῀ნთა Q, ქრისტიანეთანი A. 8—9 განვაგრძოთ] განვაგდო MQm. 9 სიტ῀ყჲ Q / სიტყუა ს ხ ვ. რაჲმე] რამეთუ C. გონებაჲ Q/გ-ბა ს ხ ვ. 10 სათხოელი CR, სათხოვარი m. 11 მეფეს QRT. 11—12 სამეფო მისი თავისუფალ-ყო CRDT ქც[1] / სამეფოსა (-ფოს Q) მის თავი (თავის Q) საუფლო ყო MQm, ს. მისი განათავისუფლა Aქც[2]. 12 ზედა მარბეველთაგან Aქც[2], მარბეველთაგან C. კახეთი A ქც[2]. (ჰ)ერეთი AMQmRDT ქც[1]. 13 მისსა MmDT, მისისა ქც[1,2]. რომელთა Mm. აიღებდეს ყ ვ. ქც[1,2]. 14 ესრე A. დიდებითა] გადიდებითა ARDT, განდ. ქც[1,2]. დიდითა] ლთისათა MQm+(და) მრავალთა დიდებითა RDT ქც[1,2]. 14—15 ~თჳსად სამეფოდ A. 15 წარავლონ D. წარვლონ გზაჲ მშჳდობისაჲ და რაჲთა] — A. გზაჲ D/გზა ს ხ ვ. 16 მშჳდობით C. რაჲთა]—C. წართუან MQm, აართონ A. 17 კახეთად A ქც[2]. 18 ვეჟინისასა]+და ACD. ბრძოდესღა AQD. 18—19 გიორგისა m. 19 ნადირობაჲ Q / ნ-ბა ს ხ ვ. ღარის A, არღარა RDT. ზრუნვიდეს MQmRT ქც[1,2]. 20 ვეჟინისა C/ვეჟ(ი)ნისასა ს ხ ვ. ქც[2]. კახეთისა A.

1 მათე 3,17 და სხვ.

თურქთა რომელნი ჰყვეს, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანაჲ
იორის პირისა[ჲ] კუხეთი, რომელი მოოჴრდა მოდღენდელად დღედმდე.
ხოლო თჳთ გარდავლო მთაჲ ლიხთა[ჲ] და შთავიდა აფხაზეთად.
12. მათ ჟამთა აღსართანცა, კახთა მეფე[1*], წარვიდა მალიქ-შას
R 221 წინაშე, დაუტ|ევა ქრისტეანობაჲ და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა
A 345 და ამით ღონითა აღიღო სულტნისაგ|ან კახეთი. ამათ ესევითართა
ჟამთა არავე დამშჳდნა ქუეყანაჲ, არცაღა იქმნა ლხინებაჲ კაცთა
უკეთურებისათჳს მკჳდრთა მისთა[ჲ]სა[1]; რამეთუ ყოველმან ჰასაკმან
და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს
გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა; ბუნებით მო-
წყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თჳსი მოი-
ხადეს განჩინებაჲ რისხვისაჲ, ქადებული უსჯულოთათჳს ესაია[ჲ]ს
Q 94 მიერ, მეტყუელისა ესრეთ: „ვაჲ|ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი
სავსე არს უსჯულოებითა კუალითგან ფერჴთა[ჲ]თ ვიდრე თავადმდე.
არა არს მას შინა სიცოცხლე, არცა ბრძჳლ, არცა შესახუეველ[2]“ და
m 333 შემდგომნი: „ამისთჳს ქუეყანა[ჲ] თქუენი | ოჴერ, ქალაქნი ცეცხლითა
მომწუარ, სოფელთა თქუენთა უცხო თესლნი მოსჭამენ, და მოოჴ-
რებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო ტომთა[ჲ]სა“[2].
13. ესე ყოველი მოიწია[3] და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ[4], და
ფრიად უფრო[ჲ]სი ამათ წარმოთქმულთასა: რამეთუ ვითარმცა ვინ

---

